საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ო. სოსელია

ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან

(სათავადოები)

III

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1990

63.3(2Г)
ს 703

ნაშრომი გაგრძელებაა ამავე სათაურით 1981 წელს გამოქვეყნებული ო. სოსელიას II წიგნისა. წინამდებარე წიგნში განხილულია უმთავრესად დასავლეთ საქართველოს საუფლისწულოები, რომელნიც არსებითად სათავადოებს წარმოადგენდნენ, გარკვეულია მათი წარმოქმნა-განვითარება-გაუქმების დრო და პიროებები. ნაჩვენებია უფლისწულთა თავდაპირველად დროებითი სამფლობელოების თანდათანობითი ევოლუცია: ყამთამსველელობაში მუდმივ სამემკვიდრეო საკუთრებად გადაქცევის პროცესი. წარმოჩენილია საუფლისწულოთა ისტორიული როლი იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წიგნში შესულია დღემდე შეუსწავლელი ორი სათავადოს (ასათიანთა და აფაქიძეთა) თანმიმდევრული კონკრეტული ისტორიაც. ბოლოს დართული აქვს ტერმინოლოგიური შენიშვნები, რომლებშიც მოცემულია ახლა ჩვენთვის გაუგებარი, XVI—XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საგლეხო ვალდებულებათა დავთრებში წარმოდგენილი, ზოგი ტერმინის მნიშვნელობის დადგენის ცდა.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ფართო მკითხველთათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნ. დოქტორი ქ. ჩხატარაიშვილი

რეცენზენტები: საქართველოს მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი
მ. დუმბაძე
ისტ. მეცნ. დოქტორი გ. აკოფაშვილი

ს $\frac{0503020906}{М\ 607(0Є)—90}$ 160—90

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990

ISBN 5—520—00728—4

წინასიტყვა

დასავლეთ საქართველოს სათავადოების კონკრეტულ ისტორიას ჩვენ ორი წიგნი მივუძღვენით[1] („ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)" I და ამავე სათაურით II წიგნი, რომელთაგან I გამოქვეყნდა 1973 წელს, ხოლო II — 1981 წელს. პარალელურად, წლების განმავლობაში, ვსწავლობდით და ვაგროვებდით მასალებს ლიხთ-იმერეთის საუფლისწულოების ისტორიისთვისაც. ამასთანავე, ვეძიებდით და ვკრეფდით დამატებით ცნობებს, წყაროების სიმცირის გამო განუხილველად დარჩენილ, ამა თუ იმ თავადური გვარის ისტორიის გასაშუქებლადაც. მასალების ამ ხანგრძლივი ძიების შედეგია წინამდებარე ნარკვევების ეს III წიგნი, რომელიც ზემოაღნიშნული ორი წიგნის პრობლემური გაგრძელებაა (ე. ი. ესეც სათავადოების კონკრეტულ ისტორიას ეხება). ქრონოლოგიურადაც III წიგნიც არსებითად იმავე პერიოდს — XVI—XVIII საუკუნეებსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარს მოიცავს ისევე, როგორც პირველი ორი წიგნი.

ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტია ლიხთ-იმერეთის საუფლისწულოები და უფლისწულთა წარმომავლობა-ბიოგრაფია უმთავრესად, პლუს ამას ორი სათავადო: ასათიანთა ფეოდალური სახლისა და აფაქიძეთა (აფაქიათა) გვარისა. ნაშრომს ბოლოს დართული აქვს ტერმინოლოგიური შენიშვნები, სადაც მოცემულია XVI—XVII საუკუნეების საგლეხო ვალდებულებათა დავთრებში და შემდგომი ხანის ზოგ სხვა დასავლურ ქართულ წყაროში ნახმარი, დღეს ჩვენთვის გაუგებარი რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობის დადგენის ცდა.

საუფლისწულო თავისი ბუნებით არ განსხვავდება პრინციპულად სათავადოსაგან. ისიც თავისებური სათავადო, ანუ ფეოდალური ეპოქის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სენიორიაა. მხოლოდ ისაა, რომ საუფლისწულო ანუ საბატონიშვილო

---

[1] აქ სათვალავში არ შეგვაქვს ჩვენი წიგნი, რომელშიც დასავლეთ საქართველოს სათავადოების ზოგადი დახასიათებაა მოცემული („ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან სათავადოების სისტემა"), გამოქვეყნებული 1966 წელს.

მეფის ან მთავრის ძის, ძმის ან სამეფო თუ სამთავრო სახლის გვერდით შტოს (მეფის ან მთავრის ძმისწულის, ბიძის, ბიძაშვილის) სამფლობელოა. სათავადო კი — თავადის, უფრო ზუსტად — თავადური გვარისა, რომლის სათავეზე ჩვეულებრივ „დიდებული თავადი" დგას.

საუფლისწულო, ისე როგორც სათავადო, ქვეყნის დეცენტრალიზაციის ნაყოფია და თავისი სეპარატისტული ტენდენციებით ისიც ცენტრიდან მსრბოლ ძალთა ინტერესებს ემსახურება.

ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლის პროცესი ჯერ კიდევ XIII საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. გარკვეულ საგარეო ფაქტორთა მოქმედებას აქ გამარჯვებულ ბატონყმურ ძალთა მოქმედება გადაეხლართა და XV საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური მონარქია პოლიტიკურად დაიშალა[2]. ამან ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროებში როგორც სათავადოების, ისე საუფლისწულოების აღმოცენებას. ერთიც და მეორეც ქვეყნის ფეოდალური დაშლილობის შემდგომ გაღრმავებას წარმოადგენს.

საუფლისწულო იყო სამეფო სახლის საერთო საგვარეულო სამფლობელოდან გამოყოფილი უფლისწულის წილხდომილი ყმა-მამული, რომელიც მას თავდაპირველად მხოლოდ დროებით სარგებლობის უფლებით ეძლეოდა. მაგრამ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას ყამთამსვლელობაში ფეოდალური საკუთრების ბუნებაში ცვლილება შეაქვს. ხდება უფლისწულის მფლობელობის უფლების ევოლუცია: საუფლისწულოდ დროებით გამოყოფილი ყმა-მამული ბოლოს და ბოლოს ფაქტობრივად უფლისწულის სრულ საკუთრებად იქცევა. XVIII საუკუნეში ეს უკვე მომხდარი ფაქტია. საუფლისწულო ყმა-მამული უფლისწულის სრულ განკარგულებაშია. იგი დამოუკიდებლად ასხვისებს (ყიდის, უბოძებს, სწირავს) ყმა-მამულს და ყოველივე ამას იგი მეფის სანქციის გარეშე აკეთებს.

ნაშრომში შესწავლილია იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებში არსებული საუფლისწულოების წარმოქმნა-ჩამოყალიბება-განვითარების დრო და პირობები, თითოეული მათგანის ტერიტორიული შემადგენლობა, ადმინისტრაციული ცენტრი თუ უფლისწულის რეზიდენცია, მმართველობის აპარატი, ყმა-გლეხთა და აზნაურთა რაოდენობა, მათი გვარები. დადგენილია ზოგიერთ შემთხვევაში ამა თუ იმ უფლისწულთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ თავადთა გვარებიც; მოცემულია ცალკეულ უფლისწულთა ბიოგრა-

---

[2] Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 86.

ფიული ძიებანი და სხვ. ამგვარადვეა განხილული ზემოდასახელებული ორი სათავადოც.

საუფლისწულო-სათავადოს ისტორიას როგორც I—II წიგნში, ისე აქაც, განვიხილავთ მათი ჩამოყალიბებისა და გაუქმების ფარგლებში. მაგრამ სურათის სისრულისათვის ხშირად ადრინდელი და ნაგვიანევი ხანის ფაქტებსაც მივმართავთ.

ეს ნაშრომიც ეყრდნობა პირველწყაროებს — დოკუმენტურ მასალებს, თავადთა საგვარეულო საბუთებს, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და ჩვენს მიერაა გამოვლენილი საქართველოს სხვადასხვა არქივში დაცული ფონდებიდან. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე ნარატიული წყაროები და ჩვენს მიერვე შეგროვილ-ჩაწერილი ზეპირი და საველე-გეოგრაფიული მასალები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასალათა ხასიათის გამო ყველა უფლისწულისა და თავადის ისტორიული ბიოგრაფია ნაშრომში ერთნაირი სისრულით არაა წარმოდგენილი. ზოგის შედარებით ვრცლადაა მოცემული, ზოგის კი — მხოლოდ რამდენიმე შტრიხით. მაგრამ ამ სახითაც მასში სასარგებლო ცნობას მაინც იპოვის დაინტერესებული მკითხველი.

ჩვენ არ დავიწყებთ აქ იმის დასაბუთებას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესწავლისათვის სათავადოების და საუფლისწულოების ისტორიის კვლევა. ეს ისედაც კარგად ჩანს წინამდებარე ნაშრომის შინაარსიდან.

-

თავი I

საუფლისწულოები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში

I. საუფლისწულოები იმერეთის სამეფოში

სამეფო სახლს ფეოდალური ხანის საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, თავისი საკუთარი უშუალო სამფლობელო ანუ დომენი ჰქონდა. მასში შედიოდა: ადგილ-მამული (სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახები, საძოვრები, ტყეები, მთები, მდინარეები), ყმები (თავადები, აზნაურები, გლეხები), ჯოგები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგ-რეები, ქალაქები, საბაჟოები, მადანთა საბადოები და აგრეთვე სხვა-დასხვა საწარმო (წისქვილი, საფეიქრო, სამღებრო და სხვ).

მეფის, როგორც ფეოდალისა და ფეოდალური სახლის მეთაურის, ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას სამეფო სახლის ამ საერთო ქონების გამგეობა შეადგენდა. ამას იგი თავის მოხელეთა საშუალებით ანხორ-ციელებდა.

სამეფო სახლის ამ საერთო ქონების აღსანიშნავად როგორც აღ-მოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, სიტყვა „სახასო" იხმა-რებოდა. ტერმინი „სახასო", რომელსაც პრეფიქსი „სა" და დაბოლო-ება „ო" ერთვის, არაბული წარმოშობისაა და საკუთარს ნიშნავს[1]. ამ სიტყვის ხმარებაში შემოსვლა საქართველოში არაბ დამპყრობელ-თა ბატონობის დამყარების დროიდან (VII საუკუნის 50-იანი წლე-ბიდან) არის საგულისხმებელი[2]. „ვეფხისტყაოსანში" ხშირად იხმარება „ხასი" სწორედ საკუთარის მნიშვნელობით[3].

---

[1] ტერმინი „სახასოს" ეტიმოლოგიის შესახებ იხ. В. Бартольд, Персидская надпись на стене аннинской мечети Мануче, СПБ., 1911, с. 28, იხ. აგრეთვე Г. Я. Натадзе, Крестьяне „Сахасо" в Восточной Грузии в конце XVIII столетия, მასალები კავკასიისა და საქართველოს ისტორიისათვის, ნაკვ. V, 1937, გვ. 326—327.

[2] იხ. გ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 327.

[3] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937 (საიუბილეო გამოცემა), სტრ. 164, 507, 1205, 1243 (ქვემოთ ყველგან ეს გამოცემაა მითითებული).

ქართული დოკუმენტური წყაროებითაც „სახასო“ საკუთარს ნიშნავს. მაგრამ აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „სახასო“ აღნიშნავს არა მხოლოდ სახელმწიფოს ან მეფის ან რომელიმე ცალკეული პირის საკუთრებას, არამედ, უფრო მეტად, სამეფო სახლის ან ამა თუ იმ ფეოდალური სახლის საერთო საგვარეულო საკუთრებასაც. ამდენად, „სახასო“ ხშირად „სათავისთავო“ (ინდივიდუალური) საკუთრების საპირისპირო ცნებაა.

მეფეს და სამეფო სახლის წევრებსაც, საერთო-სახასო საკუთრების გარდა, ჰქონდათ აგრეთვე პირადი, „სათავისთავო“ ქონება (ნასყიდი, ნამზითვი და სხვ.), რომელიც მათ სრულ განკარგულებაში იყო.

სამეფო სახლის წევრებს ჰქონდათ აგრეთვე თავიანთი „საუფლისწულო“ მამულები. საუფლისწულო საქართველოში, როგორც ზემოთ ითქვა, იყო სამეფო სახლის საერთო ანუ სახასო ქონებიდან გამოყოფილი უფლისწულის (მეფის შვილის, ძმის, ძმისწულის, ბიძის თუ ბიძაშვილის) წილხდომილი სამფლობელო.

საუფლისწულოს არსებობა ქართულ ისტორიულ წყაროებში ადრინდელი ხანიდანაა დადასტურებული. ლეონტი მროველის (XI საუკუნის ავტორი) გადმოცემით, ქართველმა მეფემ მირიანმა (IV საუკუნის პირველი ნახევარი)[4] „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ ჯახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას“ და „ცხოვნდებოდეს იგინი (რევ და მისი თანამეცხედრე სალომე, ო. ს.) უჯარმას“[5].

„მატიანე ქართლისაის“ (XI საუკუნის წყარო) ერთ ჩანართში, რომელიც X საუკუნის ამბებს ეხება, ნათქვამია: აფხაზთა მეფე თეოდოსი II რომ გარდაიცვალა, „დაჯდა მეფედ გიორგი, რომელსაც საუფლისწულოდ ჰქონდა აღწეფი. ამისთვის ეწოდა მას გიორგი აღწეფელიო“[6].

ეამთააღმწერლის (XIV საუკუნის ავტორი) ცნობით, მეფე დემეტრე თავდადებულმა (1271—1289 წწ.) „წარავლინა ძე მისი დავით

---

[4] გ. მელიქიშვილის ქრონოლოგიით, მირიან III „გამეფდა IV ს. 20—30-იან წლებში (?). გარდ. 338 წლამდე (?) ან დაახ. 362 წ.“ (იხ. მისი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, წიგნში: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, IV, ნაკვ. I, თბილისი 1958, გვ. 170).

[5] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955, გვ. 70—71. ხაზი ჩვენია. — ო. ს. ქვემოთაც ხაზი ყველგან ჩვენია, თუ სხვა ნაჩვენები არაა.

[6] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 258.

ბაგრატ IV-ის მეფობაში (1027—1072 წწ). მისი ნახევარძმის დემეტრეს საუფლისწულოდ ჩანს ანაკოფია ციხითურთ, რომელიც ამ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულმა უფლისწულმა ბიზანტიის იმპერატორს გადასცა. იხ. იქვე, გვ. 295.

მცირე სახლსა ზედა ათაბაგისასა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქუნ-დეს ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო დ ო"[7].

XVI საუკუნის დამდეგს კახთა მეფის ავ-გიორგისაგან შევიწრო-ებულ ქართლის მეფეს დავითს მისმა უმცროსმა ძმამ ბაგრატმა თხო-ვა: „მომეც მე მუხრანი ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო დ ჩემდა და დროშა, და-რაჯად ჩემდა იყოს ერისთავი ქსნისა და ჯეობა არაგვსა, და შევიწრო ძალი ქრისტესი და თემიცა მისი (ავ-გიორგის, ო. ს.) იავარ ვყო". „უს-მინა ძმამან მისმან დავით მეფემან და მისცა ყოველი თხოვილი მისი"[8].

ამგვარად, საუფლისწულოს ინსტიტუტი ქართული ფეოდალური წყობილებისათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო.

ნატურალური მეურნეობის პირობებში მეფეს უფლისწულისა-თვის ადგილ-მამულის გამოყოფის გარდა სხვა საშუალება არ გააჩ-ნდა. ბაგრამ თავდაპირველად საუფლისწულო მამული უფლისწულს სამემკვიდრეო საკუთრებად არ ეძლეოდა. ის მისთვის განკუთვნილი ყმა-მამულის მხოლოდ შემოსავლით სარგებლობდა დროებით. ე. ი. უძრავი ქონება (მიწა-წყალი, ციხესიმაგრე, ეკლესია-მონასტერი და სხვ.) თავდაპირველად უფლისწულის განკარგულებაში არ იყო. ამის შესახებ საისტორიო წყაროებში პირდაპირი მითითება არ მოგვეპო-ვება. ბაგრამ ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილიდან: როცა თინათინი „დალოცეს და მეფედ დასვეს...", როსტევანმა მას ასეთი სიტყვებით მიმართა: ამიერიდან „შენ ხარ მეფე არაბეთს", შენ მოგანდეთ სამეფო, „ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!" და ისე როგორც:

„ვარდთა და ნეხვთა... მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების;
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
...უხვად გასცემდი, ზღვათამცა შესდის და გაედინების"-ო.

მამის ეს „სწავლა" თინათინმა „ბრძნად" მოისმინა და შემდეგ:

„მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი, ჩემი ყველაი, ჩემი ნ ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ე ვ ი".
მიართვეს: გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი"[9].

აქ „ნაუფლისწულევი", ე. ი. უფლისწულობის დროინდელი ქო-ნება მხოლოდ მოძრავი ქონება ჩანს, რომელიც „საჭურჭლეში" არის

---

[7] ჟამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 285.

[8] ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 350.

[9] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 48—52.

„დანაბეჭდულევი“ ანუ შეკრულ-შენახული. „საჭურჭლე“ ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „სახელმწიფო ხაზინას ერქვა“[10]. ცხადია, ხაზინაში დაბეჭდილ-შენახული ადგილ-მამული და სხვა უძრავი ქონება არ შეიძლებოდა ყოფილიყო. უეჭველია, თინათინმა „გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“ სწორედ ის მოძრავი ქონება, რომელიც მას თავის საუფლისწულოდან მიღებული შემოსავლით ჰქონდა შეძენილი და მისივე „საჭურჭლეში“[11] ინახებოდა.

„ვეფხისტყაოსანში“, როგორც ცნობილია, ქართული სინამდვილეა ასახული. ამიტომ მოტანილ ციტატას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა.

ამგვარად, უფლისწულს თავდაპირველად საკუთრებად ჰქონდა მისთვის საუფლისწულოდ მიჩენილი ყმა-მამულიდან მიღებული მხოლოდ შემოსავალი. ხოლო თვით საუფლისწულოდ დადებული ყმა-მამული კი სამეფო სახლის საერთო საკუთრებად რჩებოდა. უფლისწულს ამ ყმა-მამულის განკარგულების (გასხვისების, წყალობის და სხვ.) უფლება არ ჰქონდა. ამასთან საუფლისწულო თავდაპირველად არ სარგებლობდა არც საგადასახადო, არც ადმინისტრაციულ და არც სასამართლო იმუნიტეტით. მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის პირობებში უფლისწულს მისთვის სარჩოდ თუ სამმართველოდ გამოყოფილი ყმა-მამულის მემკვიდრეობით დასაკუთრების, მასზე იმუნიტეტის მოპოვებისა და დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება თავიდანვე ახასიათებდა. სწორედ ამის ან მეფობის მიტაცების ნიადაგზე წარმოებდა გაუთავებელი ბრძოლა უფლისწულებსა და მეფეებს შორის. ეს ბრძოლა საბოლოოდ უფლისწულთა „გახელმწიფებით“ (ნ. ბერძენიშვილი) დამთავრდა.

ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ხანაში უფლისწულის ან სხვა ფეოდალის ასეთი მიდრკილება შეზღუდული იყო. მაგრამ, როცა ფეოდალური მონარქიის ძლიერება შეირყა (XIII საუკუნის 20-ანი წლებიდან), უფლისწულთა სეპარატისტულ მისწრაფებას გასაქანი მიეცა.

უფლისწულთა გახელმწიფება ამ მონარქიის რღვევის პირობებში მიმდინარეობდა, ხოლო უფლისწულთა გახელმწიფების პარალელურად მიმდინარეობდა ერისთავთა გამთავრება — დამოუკიდებელ სამთავროთა წარმოქმნა და სათავადოთა ჩამოყალიბება საქართველოში.

აღნიშნული საუკუნის 20-იან წლებში ხორეზმ-შაჰ ჯალალედინის

---

[10] ივ. ჯ ავ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, ტფილისი, 1928, გვ. 170.

[11] „საჭურჭლე“, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, აგრეთვე „ჟურჭლის“ საწყობს ნიშნავდა და მასში განძი, განძეულობა, სიმდიდრე იგულისხმებოდა (იხ. იქვე, გვ. 169).

თარეშებმა დიდად შეარყია საქართველოს ფეოდალური მონარქიის სიმტკიცე. ამავე საუკუნის 30-იან წლებში კი საქართველოში დამყარებულმა მონღოლთა ბატონობამ უფრო მეტად შეასუსტა ამ მონარქიის ძლიერება. ამ საგარეო ფაქტორთა მოქმედებას საქართველოში, როგორც აღინიშნა, გამარჯვებულ ბატონყმურ ძალთა მოქმედება გადაეხლართა და ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა მოიშალა. ყოველივე ამან უფლისწულთა გახელმწიფებას და ერისთავთა გამთავრებას ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა.

ამავე პირობებმა შეუწყო ხელი იმერეთის უფლისწულ-ერისთავის გამეფებასაც. უფლისწულთა გახელმწიფება-გამეფებისა და ერისთავთა გამთავრების პროცესი იყო ერთი მთლიანი, „ნელი, თანდათანი და ხანგრძლივი პროცესი“[12]. დაიწყო ის XIII საუკუნის 20—30-იან წლებში და დასრულდა ძირითადად XV საუკუნის მეორე ნახევარში.

იმერეთის მეფის ტიტულს ჯერ კიდევ დავით ნარინი და მისი მემკვიდრეები — კონსტანტინე და მიქელი ატარებდნენ[13]. მაგრამ როცა გიორგი V ბრწყინვალემ (1314—1346 წწ.) ცენტრალური ხელისუფლება განამტკიცა, გააუქმა იმერეთში მეფობა და საქართველოს პოლიტიკური ერთიანობა ისევ აღადგინა[14]. თუ მიქელ დავით ნარინის ძე თვითონ დაჯდა-ლიხთ-იმერეთის ტახტზე დ იმერთა მეფედ იწოდა, ძე მიქელ მეფისა ბაგრატი გიორგი ბრწყინვალემ იმერეთის „ერისთავობასა ზედა“ დაადგინა „მორჩილებასა შინა“ თვისსა[15]. ერისთავი კი, როგორც ცნობილია, მეფის მოხელე იყო, რომელიც მისგან ინიშნებოდა „შეცვალებით“.

გიორგი ბრწყინვალის მიერ აღდგენილ წესს იცავდნენ გაერთიანებული საქართველოს სხვა მეფეებიც. იმერეთის უფლისწულ-ერისთავები კი სწორედ ამ წესის გაუქმებისათვის იბრძოდნენ. იმერეთის არაერთი უფლისწული (ალექსანდრე, გიორგი თუ კონსტანტინე) ცდილობდა „განმკვიდრებასა იმერეთისასა“ და მეფის ტიტულის მითვისებას — „განდგებოდიან და იწოდებოდნენ მეფედ“[16]. ალექსანდრე ბაგრატის ძე „ეკურთხა“ კიდეც გელათს[17]. მაგრამ მათი წარმატება მეტად მცირე ხნისა და მერყევი იყო. გიორგი ბაგრატის

---

[12] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 137.

[13] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 800—801 (ქვემოთ შემოკლებით: ვახუშტი, აღწერა...).

[14] იხ. იქვე, გვ. 802.

[15] იქვე, გვ. 802—803.

[16] იქვე, გვ. 802—804.

[17] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 803.

ქე კი მთლად დაიღუპა მეფობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ეს მოხდა იმიტომ, რომ „არღარა ინებეს მთავართა მათ მორჩილება გიორგი მეფისა“[18]. ლიხთ-იმერეთის ტახტის მაძიებლის თუ პრეტენდენტის საბოლოო გამარჯვება დადიან-გურიელისა და სხვა მსგავს ფეოდალთა მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო. იმერეთის ტახტზე მომაგრებას მოახერხებდა ის, ვისაც ექნებოდა მათგან „პირი მტკიცე მეფედ ყოფისა იმერეთს“[19]. და აი, იმერეთის ერისთავი, უფლისწული ბაგრატიც შეუთანხმდა მათ. ცენტრიდან მსრბოლი ძალები გაერთიანდნენ საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის წინააღმდეგ. შეთანხმების იდეა სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს ეკუთვნოდა[20]. ამ შეთანხმების შემდეგ ბაგრატი აჯანყებას აწყობს. მეფესა და მის ერისთავს შორის ხდება ბრძოლა ჩიხორს 1462 წელს. ამ ბრძოლაში გიორგი VIII მარცხდება. „ხოლო ბაგრატ გამარჯვებული მოვიდა ქუთათისს, აქა მოერთნენ დადიან-გურიელი-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო-ჩინებითა, მეფედ. ამისათვის აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თვისი და განთავისუფლდნენ, თვინიერ ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს ა და ქ უ ე გ ა ნ წ ე ს ე ბ ი ს ა მეფისა, და იქმნა იმერეთი მიერით ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდო“ — გვაუწყებს ვახუშტი[21]. ვახუშტის გამონათქვამი „განთავისუფლდენ“ მთავარნი „თვინიერ ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა“, იმას ნიშნავს, რომ დადიან-გურიელი და სხვა ერისთავები განთავისუფლდნენ სამეფო გადასახადებისაგან. მართლაც, ამიერიდან ისინი „ხარკის მოცემითა“ აღარ ემორჩილებიან მეფეს. 1462 წლიდან მეფესთან მათი დამოკიდებულება მხოლოდ „ლაშქრობასა“ და „ქუეგანწესებაში“ (ლაშქრობისას მეფის განკარგულების მიხედვით მოქმედებაში) გამოიხატება[22].

XVI საუკუნეში ძლიერ ერისთავებს მხოლოდ ეს ერთადერთი ვალდებულება („ლაშქრობა“ და „ქუეგანწესება“) შეუყვათ და ამ საუკუნის შუა წლებისათვის ამისგანაც თავისუფლდებიან ისინი[23].

ამგვარად, იმერეთის უფლისწულ-ერისთავის გამეფება, იმერეთის ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბება და დადიან-გურიელისა და სხვა ერისთავთა გამთავრება, მეფის ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან მათი

---

[18] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 803—804.

[19] იქვე, გვ. 805.

[20] იქვე.

[21] იქვე, გვ. 806.

[22] იხ. ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის. „მიმომხილველი“, II, 1952, გვ. 178—179.

[23] იხ. იქვე, გვ. 179—181. უფლისწულთა გამეფებისა და ერისთავთა გამთავრების პროცესის შესახებ იხ. აგრეთვე ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), თბ., 1966, გვ. 32—37.

განთავისუფლება, ერთსა და იმავე დროს, 1462 წელს ხდება. მეფობის მოპოვებისას გაწეული სამსახურის გამო გაანთავისუფლა ბაგრატ მეფემ საგადასახადო ვალდებულებისაგან დადიან-გურიელი და სხვა ერისთავები. „ასეთი დათმობის საფასურით მოიპოვა ქუთაისის ტახტმა მთლიან საქართველოს ცენტრისგან დამოუკიდებლობა“[24]. ამიტომაც „ეს იყო არა ლიხთიქითის ტახტის, არამედ ლიხთიქითის მთავართა გამარჯვება“[25]. მართალია, ბაგრატიონთა დინასტიის დასავლური შტო საბოლოოდ იმკვიდრებს მეფობას, მაგრამ, ამასთან ერთად, ლიხთ-იმერეთის ერისთავებიც იმკვიდრებენ მთავრობას.

ამრიგად, XV საუკუნის 60-იან წლებში იმერეთის უფლისწულ-ერისთავმა და დადიან-გურიელმა, შარვაშიძემ და გელოვანმა დიდი წარმატება მოიპოვეს. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, რომ, ვახუშტი ბატონიშვილის გაგებით, ამით თავდება დასავლეთ საქართველოში ერთი სამეფოსა და ოთხი სამთავროს ჩამოყალიბება[26]. არსებითად სწორიც არის იგი. ნ. ბერძენიშვილიც XV საუკუნის მიწურულში ხედავს მთლიანი საქართველოს დაშლის პროცესის „ქრონოლოგიურ ტეხილს“ და „არსებითად... ამ პროცესის დასასრულს“[27].

ასე რომ, იმერეთის თუ კახეთის თავდაპირველი მეფეები „გაჯელმწიფებული“ უფლისწულები იყვნენ. მათ შექმნეს ბაგრატიონთა შტოს კახეთისა და იმერეთის დინასტიები, რომელნიც ჟამთამსვლელობაში ლეგიტიმური დინასტიების უფლებებით აღიჭურვენ.

ამ ახალ სამეფოებშიც, ბუნებრივია, გაჩნდნენ უფლისწულები, რომელთაც ისეთივე მიდრეკილება ჰქონდათ, როგორც თავის დროზე მათ წინაპრებს. ოღონდ ახალ სამეფოებში უფლისწულებმა სრულ ხელმწიფობას ვერ მიაღწიეს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამა თუ იმ უფლისწულის მიერ დროდადრო, რამდენიმე ხნით, მეფობის მიტაცებას). მაგრამ მოხდა ის, რომ შეიცვალა საუფლისწულო ყმამამულის მიმართ უფლისწულის საკუთრების უფლება, რაც მისი მეტნაკლები ხელმწიფობის საფუძველი გახდა.

ამ ცვლილების შესახებ მხოლოდ გვიანდელი, XVIII საუკუნის მიწურულის ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ ეს ცვლილება ბევრად ადრე უნდა მომხდარიყო. ამის თქმის საფუძველს იძლევა თვით ის წყარო, რომელშიც აღნიშნული ცნობებია დაცული. ეს არის ერეკლე II-ის

---

24 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

25 იქვე.

26 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 806.

27 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 137—138.

1791 წლის „განწესებანი“, დადებული „ძეთა თვისთადმი“[28]. აქ იგი, როცა ბატონიშვილთა „წილს“ განსაზღვრავს, ამბობს: „როგორც ჩვეულება არის“, ისე ვაწესებ, „ქვეყნის სამართალს... ვერ გადავაგდებთო“[29]. ე. ი. ის, რაც ერეკლემ განაწესა, „ჩვეულებაა“, „ქვეყნის სამართალია“ ანუ ადრეც ყოფილა. ეს რომ ასე იყო, კარგად ჩანს ცოტა გვიანდელი წყაროდან, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ მეფე აძლევს თითოეულ უფლისწულს ყმა-მამულს „მუდმივ და სამეკვიდრეო სამფლობელოდ“ („Вечное и потомственное владение“)[30].

ერეკლემაც თითოეულ უფლისწულს თავის „საკუთარი წილი“ გაუჩინა სამკვიდროდ. უკანასკნელი სიტყვა („სამკვიდრო“) ძეგლში თუმცა არაა ნახმარი, მაგრამ ეს „წილი“, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისეთი ხასიათისაა, რომ არ შეიძლება დროებითი იყოს. ასე, მაგალითად, მეფე თავის „განწესების“ მე-14 („იდ“) მუხლში კატეგორიულად აცხადებს: უფლისწულებს, რაც „თავიანთვის წილი აქვთ მიცემული, ის ხომ თავიანთი კერძი არის. იმაში ვისაც უნდა, აჩუქებენ..., ვისაც უნდა ასესხებენ და ვისაც უნდა დაპატიჟებენ“, ეს „კანონად დამიდვიაო“[31]. ქვემოთ კიდევ იგი დასძენს: თავიანთი „წილი“ ყმის საქმე „თითონ იციან“ უფლისწულებმა, ეს მათ „ნებაზეა“ დამოკიდებული[32].

ამგვარად, უფლისწულის უფლება ახლა საუფლისწულო ყმა-მამულის მხოლოდ შემოსავლით სარგებლობით კი არ განისაზღვრება, არამედ მას აქვს ამ ყმა-მამულის თავის ნებისამებრ განკარგულების (გასხვისების და სხვ.) უფლება. ე. ი. საუფლისწულო ახლა უფლისწულის სრული საკუთრებაა. ასეა ეს სავარაუდებელი, როგორც ზემოთ ითქვა, ადრეც, საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლის ხანიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფლისწულის წილში ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეები არ შედიოდა. ყოველივე ეს, როგორც ად-

---

28 იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. I, გამოც. მეორე, წ. I, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1920, გვ. 200—221.

ერეკლე II-ის „განწესებანი“ განხილული აქვს აპ. როგავას დავით ბატონიშვილის „საქართველოს სამართალთან“ მიმართებით (იხ. დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 116—123).

29 იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 203—204, მუხ. ე, ᲘᲐ; გვ. 210, მუხ. ლგ.

30 დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, გვ. 224, მუხ. 16.

31 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 206.

32 იხ. იქვე, გვ. 209, მუხ. კ.

რე, ისე ახლაც (ფეოდალური მონარქიის დაშლილობის ხანაშიც), საშეფო სახლის გაუყოფელ საკუთრებად რჩებოდა. იმ ეკლესია-მონასტრებზე და ციხესიმაგრეზე, რომელიც უფლისწულის წილხვდომილ მამულში მოყვებოდა, უფლისწულს სასაკუთროდ ხელი არ მოუწვდებოდა[33]. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად. სინამდვილეში კი უფლისწული ზოგჯერ ეკლესია-მონასტრისა და ციხესიმაგრის მიტაცებას ახერხებდა.

უფლისწულებს უფლება ეძლეოდათ, თუ მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდათ, საერთო ეკლესიის გარდა, „თავთავისთვის" ეკლესია აეშენებინათ, „სადიდებლად ღ(ვ)თისა", თავიანთ კარზე, „თუ სხვაგან სადმე". ოღონდ ეს „ძმების დაკითხვით იქნას და ამ კეთილს საქმეს ვერც ძმები დაუშლიანო". მაგრამ იმ ეკლესიებიდან, რომელნიც საერთოდ ჰქონდათ, უფლისწულები „ვერას გამოიტანენ ახალის აშენებულის ეკლესიისათვის ვერც ხატსა, ვერც ჯვარსა, ვერც შესამოსელსა, ვერც წიგნსა და ვერც სიწმიდის იარაღსა". „აღმშენებელ" უფლისწულს თავის „წილიდან" უნდა მოეწყო „ის თავისი ახალი აშენებული ეკლესია" და „სხვას ჯელი არ ჰქონდა არც ხარჯში და არც იმ საყდარში"[34]. ე. ი. უფლისწულის მიერ აშენებული ეკლესია მისი სრული საკუთრება იყო და მასვე უნდა შეემკო თავის „წილით" შეძენილი საჭირო ნივთებით.

რაც შეეხება საკუთარი ციხესიმაგრის აგების უფლებას, ეს უფლება, როგორც ჩანს, უფლისწულს არ ჰქონდა მეფის სანქციის გარეშე[35]. ეს იმიტომ, რომ უციხო, თუნდაც ურჩი, უფლისწული მეფისთვის იმდენად საშიში არ იყო, რამდენადაც ციხეში გამაგრებული მეფობის მაძიებელი რომელიმე აჯანყებული ბატონიშვილი. ამით იყო გამოწვეული ცენტრალური ხელისუფლების მიერ უფლისწულებისათვის ციხის აგების უფლების აღკვეთა. იმ ციხესიმაგრეებშიც, რომელნიც საუფლისწულოების ფარგლებში იყო მოქცეული, მეფის გარნიზონი უნდა მდგარიყო და არა უფლისწულებისა[36].

თუ გავითვალისწინებთ ფეოდალურ ხანაში ციხესიმაგრის დიდ მნიშვნელობას, უციხობით უფლისწულს ლიხთ-აქეთ საქართველოში გახელმწიფების საყრდენი რამდენადმე გამოცლილი ჰქონდა. ლიხთ-იქით საქართველოში კი, როგორც ქვემოთ ვნახეთ, მდგომარეობა უფრო სხვაგვარი იყო: აქ ციხიანი უფლისწულებიც გვხვდებიან.

---

[33] იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 204, მუხ. 8.
[34] იქვე, გვ. 205, მუხ. იბ.
[35] იხ. დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 225, მუხ. 21, I.
[36] დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 225, მუხ. 21, I.

ახლა ციხესიმაგრის ფლობის თვალსაზრისით თუ უფლისწულისა და თავადის მდგომარეობას აღმოსავლეთ საქართველოში ერთმანეთს შევადარებთ, უკანასკნელის მდგომარეობა ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო: თავადი თავის საგვარეული ციხესიმაგრეს სამკვიდროდ ფლობდა და შიგ მისივე მეციხოვნეები იდგნენ. სწორედ ამაში იყო მისი ძლიერება.

ერეკლე II-ის „განწესებაზე" გვიან, 1812—1913 წლებში შედგენილ დავით ბაგრატიონის საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა"-შიც სპეციალურადაა განსაზღვრული სამეფო სახლის წევრთა, უფლისწულთა უფლებები. ამ ძეგლის მიხედვით, უფლისწულებს ეძლეოდათ „მუდმივ და სამემკვიდრეო სამფლობელოდ მდიდარი მამულები, საუკეთესო მიწები, ბაღები" და სხვ. და მათგან მიღებული შემოსავლით სარგებლობდნენ უშუალოდ თავიანთ განკარგულებისამებრ[37]. უფლისწულები იყვნენ სამეფოში მეფისა და დედოფლის შემდეგ, „უპირველესი პერსონები", მეფესთან მათ ყოველთვის თავისუფლად შესვლის უფლება ჰქონდათ. კარზე ყოველგვარი ცერემონიისა და საჯარო შეკრების დროს პირველ ადგილს იკავებდნენ და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდნენ[38].

ქართული ფეოდალური საზოგადოების ყველა წოდება ვალდებული იყო უფლისწულისათვის აღმოეჩინა პატივისცემა და ერთგულება. მისი „მაღალი პიროვნების" უგულვებელყოფისათვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, მკაცრად ისჯებოდა[39].

უფლისწულებს თავიანთ კარზე თავიანთი წესისამებრ ყავდათ მხლებლები და მსახურები[40].

საუფლისწულოებში უფლისწულებს ჰქონდათ სამართლის წარმოების უფლება, მაგრამ მხოლოდ სამოქალაქო საქმისა. სისხლის საქმეები იქ მეფის მდივანბეგთა სასამართლოს ექვემდებარებოდა[41].

უფლისწულების ნებაზე იყო დამოკიდებული დააარსებდნენ თუ არა ისინი თავიანთ სამფლობელოებში ფაბრიკებს, სამეურნეო დაწესებულებებს, სასწავლებლებს, ჰოსპიტლებს, დავრდომილთა თავშესაფარს და სხვ[42].

თუ ერეკლე II-ის „განწესებით" უფლისწული თავის წილხდომილ მამულში თავის „ნებისამებრ" მოქმედებს, დავით ბატონიშვილის

---

[37] იქვე, გვ. 224, მუხ. 16.
[38] იქვე, გვ. 223—22წ, მუხ. 14.
[39] დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 224, მუხ. 15.
[40] იქვე, მუხ. 16.
[41] იქვე, მუხ. 19, 3.
[42] იქვე, გვ. 224—225, მუხ. 20, 4.

„სამართლის“ მიხედვით, თუმცა უფლისწული არათუ საუფლისწულოში, საერთოდ სამეფოში „უპირველესი პიროვნებაა“, მაგრამ პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით იგი მნიშვნელოვნად შეზღუდულია:

არც ერთ უფლისწულს უფლება არა აქვს თავის საუფლისწულოში, მეფის ბრძანების გარეშე, შეყაროს ჯარი, შექმნას რაზმები და შემოიღოს რაიმე სამხედრო გადასახადი[43].

უფლისწულს უფლება არა აქვს მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან აწარმოოს ომი და მოაწყოს მათზე თავდასხმა[44].

მას არა აქვს უფლება იყოლიოს არტილერია და ჩამოასხას ზარბაზნები[45].

მეფის უცნობლად უფლისწულები ვერ გაგზავნიან მეზობელ მფლობელებთან ვერც დესპანებს, ვერც საჩუქრებს და ვერც თავად მიიღებენ მათგან ასეთებს[46].

მეფის ყოველგვარ ბრძანებას თუ ბრძანებულებებს უფლისწულები ღებულობენ და ასრულებენ სრული სიზუსტით. მათი დარღვევისათვის მეფისგან განირისხებიან და პასუხს აგებენ[47].

მეფის განსაკუთრებული სიგელის გარეშე სახაზინო ან საბატონო გლეხთაგან უფლისწულებს არავინ არ ეკუთვნით[48].

უფლისწულები მათთვის ნაწყალობევ თავადებს და აზნაურებს მეფისადმი მოუხსენებლად ვერ დასჯიან[49].

თავიანთ საუფლისწულოს უფლისწულები, დაწესებულს გარდა, ახალ გადასახადს ვერ შეაწერენ[50].

ბაჟი საუფლისწულოში იკრიბება საერთო ტარიფის მიხედვით. ამის ზევით თვით უფლისწულები მას ვერ დააწესებენ[51].

უფლისწული თავის სამფლობელოში მეფის მოურავს ვერ აუკრძალავს მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას[52] და სხვ.

საერთოდ, დავით ბატონიშვილის „სამართლით“ უფლისწულთა უპირველესი მოვალეობაა მეფისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისა და შინაგანი და საგარეო მშვიდობიანობის დაცვა[53].

---

43 იქვე, გვ. 225, მუხ. 22,2.
44 იქვე, მუხ. 23, 3.
45 იქვე. მუხ. 24, 4.
46 იქვე, მუხ. 25, 5.
47 იქვე, გვ. 226, მუხ. 28, 8.
48 იქვე, მუხ. 31,11.
49 იქვე, მუხ. 33,13.
50 იქვე, მუხ. 34.
51 იქვე, მუხ. 36, 16.
52 იქვე, გვ. 227, მუხ. 40, 20.
53 იქვე, მუხ. 41, 21.

როგორც ეხედავთ, საუფლისწულოს ინტერესებზე მაღლა აქ სახელმწიფოს ინტერესები დგას, მისადმია დაქვემდებარებული უფლისწულთა ინტერესები. მაგრამ ეს იყო სამართლის ნორმა, რომელიც პრაქტიკაში ხშირად ირღვეოდა, უფლისწული არაიშვიათად ხელმწიფობას (სუვერენობას) იჩემებდა და აღწევდა კიდეც მას. საამისო მაგალითები მრავლადაა საქართველოს ისტორიაში.

აქ აღსანიშნავია შემდეგიც: ერეკლე II-ის „განწესებით" იგულისხმება, რომ უფლისწულს თავის მამულში აქვს საგადასახადო, ადმინისტრაციული და შეზღუდული სასამართლო იმუნიტეტი. საუფლისწულო ყმა-მამულის საქმე ამ ძეგლით, როგორც ზემოთ ითქვა, „თვითონ იციან" უფლისწულებმა. ეს მათ „ნებაზეა" დამოკიდებული. დავით ბატონიშვილის „სამართალში" კი საუფლისწულოს საგადასახადო იმუნიტეტზე გარკვევით არაფერია ნათქვამი. ადმინისტრაციული იმუნიტეტი, ამ „სამართლის" მიხედვით, მას აშკარად არა აქვს (საუფლისწულოში მეფის მოურავი შედის, მოქმედებს და სხვ.), ხოლო რაც შეეხება სასამართლო იმუნიტეტს, ის აქვს უფლისწულს, მაგრამ ამ მხრივ იგი, როგორც ზემოთ ვნახეთ, დიდად შეზღუდულია.

მთავარი მაინც ერეკლე II-ის „განწესებასა" და დავით ბატონიშვილის „სამართალში" ისაა, რომ საუფლისწულო მამული უფლისწულის სრული საკუთრებაა და მას მისი განკარგულების უფლება აქვს. ასეა ეს, როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, დასავლეთ საქართველოშიც:

მაგალითად, 1769 წლის 20 დეკემბერს „ლიხთ-იმერეთის უფლისწულ" არჩილის მიერ თავის აზნაურ ბუჯუა ჯოხთაბერიძისათვის მიცემულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ესე... წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ღვთივ აღმატებულმან ლიხთ-იმერეთის უფლისწულმა ბატონმა ბატონიშვილმან არჩილ და თანამეცხედრემან ჩემმან ქართველის ბატონის ასულმან ბატონმა ბატონიშვილმა ელენემ, შენ ჩვენს ერთგულსა და მოსამსახურეს ჯოხთაბერიძეს ბუჯუასა და შვილთა და მომავალსა შენსას ასე და ამა პირსა ზედან, რომ ცოტა რამე სამდურავი მოგვიხდა ბატონყმობაში: შეგწყერით და კვამლაძეებს გართმევდით. მერმეთ მოხვედი და შემოგვეხვეწე. ვისმინეთ ხვეწნა და მოვსენება შენი. ქრთამიც ისე მოგვართვი, როგორათაც გული შეგვჯერდებოდა. ისევ ხელახლა წყალობა გიყავით: გ ვ ი ბ ო ძ ე ბ ი ა ი ს ე ვ ე კ ვ ა მ ლ ა ძ ე ე ბ ი მ ა თ ი ს ყ ო ვ ლ ი ს ფ ე რ ი თ — სახ-კარით, ცოლ-შვილით, ტყით, წყლით, შესავალ-გასავალით... ღმერთმან გახმაროს ჩემს ერთგულობაში. მ ო ც ი ლ ე და მ ო დ ე ვ ე ა რ ა ვ ი ნ გ ყ ა ვ ს და ვ ე რ ც ა რ ა ვ ი ნ გ ე დ ა ვ ე ბ ა, თუ შენ ჩვენი ერთგული და ბრძანების მორჩილი იყო.

ვინც და რამაც ძემან კაცისამან ან ჩემმა სახლის-კაცმა ან სხვამ ვინმე მებატონემ შენ ეს ჩვენი ნაბოძები საფიცარი შეგიშალოს, ისიმც შეიშლება რჯულის ქრისტიანობისაგანო“ და სხვ[54].

აქედან ნათლად, ჩანს, რომ უფლისწული თავის ყმა-მამულის სრული განმკარგულებელია. მისგან შეწყალებულ კაცს ნაწყალობევ ყმა-მამულში „მოცილე და მოდავე არავინ ყავს“, არც მწყალობლის სახლი-კაცი და არც სხვა ვინმე. უფლისწულის წყალობას პირადად მის გარდა სხვა ვერავინ ვერ მოშლის. ამის პირობადაა დათქმული შეწყალებული ყმის უფლისწულისადმი ერთგულება.

მოვიტანთ სხვა მაგალითსაც: იმავე არჩილ ბატონიშვილის აღნიშნული წლის ახლო ხნის ერთ ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: „ესე ნასყიდობის წიგნი დაგიწერე დ გიბოძე ჩვენ, ლიხთ-იმერეთის უფლისწულმა ბატონიშვილმა არჩილ, შენ, დავით ჩხეიძეს; ცხენი და ხელნავი გამოგართვი, მოგეც ჩუბინიძე კაციელა ცოლიანა, შვილიანა. შენ ამაში კაცი არ გედეოსო“[55].

ასევე გურიის ბატონიშვილის სრულ განკარგულებაშია მისი საბატონიშვილო ყმა-მამული გურიის სამთავროში. მაგალითად: XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გურიელის ძემ გიორგიმ „ქრისტეს საფლავს“ შესწირა „იესე ნაკვერცხალისეული მამული და ორი ჭური“[56].

ასეთივე უფლებით სარგებლობდნენ ოდიშის სამთავროს საუფლისწულოებში ოდიშის ბატონიშვილები ანუ დადიანის ძენი. ეს კარგად ჩანს გიორგი, ნიკოლოზ და მანუჩარ ბატონიშვილების XIX საუკუნის დამდეგის წყალობის წიგნებიდან[57].

ამგვარად, უფლისწულის წილხდომილი ყმა-მამული დასავლეთ საქართველოში მის სრულ განკარგულებაშია. XVIII საუკუნეში იგი სრულიად დამოუკიდებლად ასხვისებს (ყიდის, უბოძებს, წირავს) ყმა-მამულს. ამასთან არ არის მითითება იმაზე, თუ რა ხასიათისაა ეს ყმა-მამული — საერთო-სახასო ქონებიდან წილად გამოყოფილი, სამ-

---

[54] იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.); წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო ზ. ბერჯანაძემ, თბ., 1958, გვ. 121, № 132 (ქვემოთ შემოკლებით: ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა.... გამომცემლის დაუსახელებლად).

[55] იხ. იქვე, გვ. 122, № 133.

[56] იქვე, გვ. 145—146, № 153.

[57] იხ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Qd, საბ. № 7973, 8331 (ქვემოთ: ხელნაწ. ინსტ.); ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. № 257 (ქვემოთ: ქუთ. მუზ. საბ.); ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (XIX ს. I ნახევრი), თბ., 1966, გვ. 85, 93, № 1, 7 (ქვემოთ: მასალები...).

კვიდრო, მეფის ან მთავრისაგან ნაწყალობევი თუ მათგან დამოუკიდებლად შეძენილი. ჩანს, ასეთი დაყოფა ლიხთ-იმერეთის საუფლისწულოებში უკვე აღარ არსებობს. უფლისწულისათვის მას მნიშვნელობა დაკარგული აქვს. ჩვეულებრივი გარიგების დროს ყურადღება მას არ ექცევა. არც ვახტანგის სამართლიდან და არც დასავლურ ქართული დოკუმენტების მონაცემებიდან არ ჩანს, რომ უფლისწული ამ მხრივ (საუფლისწულო ქონების განკარგულების მხრივ) შეზღუდული იყოს. პირიქით, ლიხთ-იმერული დოკუმენტური მასალების მიხედვით, უფლისწული, როგორც ზემოთ ითქვა, ჰყიდის, სწირავს ეკლესიას, წყალობად იძლევა თავის ყმა-მამულს, ათავისუფლებს თავის გლეხს გამოსაღებისაგან (ნაწილობრივ თუ მთლიანად), და ამას აკეთებს სრულიად დამოუკიდებლად, მეფის სანქციის გარეშე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ საუფლისწულო ქონება იგივე სათავისთავო საკუთრებაა. საკუთრების უფლების თვალსაზრისით საუფლისწულოსა და სათავისთავოს შორის არავითარი სხვაობა არ არის.

ასეა ეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღმოსავლეთ საქართველოშიც XVIII საუკუნეში, ციხესიმაგრისა და ეკლესია-მონასტრების გამოკლებით, რომელიც სამეფო სახლის საერთო საკუთრებად რჩებოდა[58].

ოღონდ აქ ერთ საკითხზე უნდა შევჩერდეთ:

აღმოსავლეთ საქართველოში საუფლისწულო ეწოდებოდა არა მხოლოდ მეფის შვილთა სამფლობელოს, არამედ თავადიშვილების ცალკეული ოჯახისათვის მიჩენილ უძრავ-მოძრავ ქონებასაც აღმოსავლურ ქართული დოკუმენტები „საუფლისწულოს“ ეძახიან[59]. ასევე ეძახიან მას ქართლის სათავადოთა მკვლევრებიც[60].

დასავლეთ საქართველოს საბუთებში კი თავადიშვილის ქონების აღსანიშნავად ტერმინი „საუფლისწულო“ არ გვხვდება. თავადიშვილის სამფლობელო აქ „ოჯახად“ ან „შესახვედრად“ იწოდება[61].

---

58 უფლისწულის მიერ თავის წილიდან მიღებული შემოსავლით მისივე საუფლისწულოში აშენებული და შემკული ეკლესია კი მისი სრული საკუთრება იყო და მასზე სხვას არავის „ჯელი“ არ მოუწვდებოდა (იხ. ზემოთ).

59 იხ. გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის (XVII—XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 122—123, საბ. № 10, 11, 12, 13, 14, 15 და სხვ.

60 იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ერთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). სახელგამი, (1955, გვ. 271—175; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ქართული ფეოდალური ერთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1953, გვ. 139—141; მ ი ს ი ვ ე, სათავადოთა საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1970, გვ. 24.

61 ო. ს ო ხ ე ლ ი ა, მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართვე-

ლიხთ-იმერეთის სათავადოთა საბუთებში, როგორც ცნობილია, საკუთრების ორგვარ ფორმას ვხვდებით: „საერთო-განუყოფელს“ ანუ საგვარეულოს და სახლიკაცთა ანუ თავადიშვილთა პირად-საოჯახო, „სათავისთავო“ საკუთრებას. პირველი თავადური გვარის საერთო საკუთრება იყო და სათავადოს უფროსი განაგებდა. თავადიშვილი მას ხელს ვერ ახლებდა. მეორე კი თავადიშვილებს ჰქონდათ მათ სრულ განკარგულებაში[62].

ასე, მაგალითად: აბაშიძეთა სათავადო სახლის წევრის ლევან აბაშიძის სათავისთავო ანუ საკუთარი მამულია „ფოფხაძისეული მამული მახათაურზე“, რომელიც მან 1736 წლის 25 აგვისტოს მიყიდა ანუკ: ბატონიშვილს[63].

ასევე თავადიშვილის სვიმონ წერეთლის სათავისთავო მამული იყო „პარტახი გაბრიჭიძისეული... მიწა-წყალი“, რომელსაც აგრეთვე ყიდის წერეთელი XVIII საუკუნის 40-იან წლებში[64].

ჩვენ არ ვიცით დასახელებული თავადიშვილები ყიდიან მათ მიერ პირადად შეძენილ (ნასყიდს, ნამზითვს, ნაშოვარს), თუ თავადური სახლის საერთო ქონებიდან მათთვის წილად გამოყოფილ სათავადიშვილო მამულს. მაგრამ რაკი ამაზე საგანგებოდ არაა მითითებული, ცხადია, მათ ორივეზე თანაბარი უფლება აქვთ. ე. ი. ის ქონებაც, რომელიც სათავადოში სათავადიშვილოდ არის დადებული, თავის იურიდიულ ბუნებით იგივე სათავისთავო საკუთრებაა.

ასეა ეს აღმოსავლეთ საქართველოს სათავადოებშიც.

ე. წ. „საუფლისწულო“ საკუთრება, რომლის არსებობაზე აქ სათავადონ მკვლევრები — დ. გვრიტიშვილი და გ. ჯამბურია მიუთითებენ[65], საკუთრების რაიმე განსხვავებული ფორმა არ არის: პირველის მიერ აწერილი საუფლისწულო თავადიშვილთა პირად-საოჯახო საკუთრებისაგან არ განსხვავდება. ხოლო გ. ჯამბურიას მიერ მითითებული განსხვავების არსებობა (ის, რომ თავადიშვილის საუფლისწულო მისი მფლობელის განკარგულებაში არ არის), არ მტკიცდება. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს თვით დ. გვრიტიშვილის მიერ ამ საკითხთან

ლობის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 193—195, საბ. № 23.

62 იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), თბ., 1966, გვ. 104, 197—198.

63 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 62, საბ. № 61.

64 იქვე, გვ. 82—83, საბ. № 89.

65 იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 271—275; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 139—141.

დაკავშირებით დამოწმებული მასალები და გ. ჯამბურიას მიერ გამოქვეყნებული ქართლის სათავადოების დოკუმენტები[66].

1756 წლის 12 იანვარს, როგორც დ. გვრიტიშვილი შენიშნავს, საამილახოროში თავადიშვილებს — მინბაშ რევაზსა და უზბაშს ნიკოლოზს „საუფლისწულოები გამოუყვეს“ ორჯოშანი და ავაზანი „მისის მიწა-წყლითა და სამძღვრითა... რომ ამათი ფარდი ყველას სახლისკაცებს უჭირავს“. ამის შემდეგ მათ ერთმანეთს შორის დათქვეს: „თუ ვინ იცის ბოლოსაც იყოს და გაყრა (საერთო ქონების განაწილება, ო. ს.) მოგვიჯდეს, ეს საუფლისწულოები არცერთი ბარათში აღარ უნდა ჩავარდეს. ავაშენებთ თუ წავაჯდენთ, ერთმანეთის საუფლისწულოებთან ჯელი აღარ გვექნებაო“[67].

ან კიდევ ქსნის ერისთავების 1812 წლის სახლისკაცობის რიგში ნათქვამია: „ყველამ თავის საუფლისწულო თავისის ნებისაებრ უნდა მოვიხმაროთო“[68].

მოტანილი ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ თავადიშვილის საუფლისწულო სახლიკაცთა საერთო ქონება არ არის. იგი ამ ქონებიდან გამოთიშულია. საერთო-საგვარეულო ქონების განაწილების დროს არც ერთი საუფლისწულო წილის ბარათში არ ჩაიგდება ანუ არ ნაწილდება. თავადიშვილი მას „თავისის ნებისაებრ ხმარობს“, სახლიკაცებს მასთან „ჯელი“ აღარ აქვთ.

არც სათავადოს უფროსს ჰქონდა ხელი საუფლისწულოსთან.

ამის შესახებ 1749 წლის 7 მაისს თეიმურაზ II-ის მიერ გაჩენილ ორბელიშვილების სახლის რიგში ვკითხულობთ: „საუფლისწულო სოფლები ვის როგორ სჭერია მამა-პაპათ განწესებით, იმავე წესითა და რიგით ეჭიროსთ. საუფლისწულოში უფროსი (იგულისხმება სათავადოს უფროსი, ო. ს.) ნურც იასაულს შეგზავნის და ნურც სამართალს იქსო“[69].

---

66 იხ. დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 271—275; გ. ჯამბურია, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 111—142. იხ. და შდრ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 149—151.

აღსანიშნავია, რომ საუფლისწულო საკუთრების შესახებ დ. გვრიტიშვილისა და გ. ჯამბურიას თვალსაზრისს იზიარებს ნ. ასათიანი. იგიც საუფლისწულოს საქართველოში ფეოდალური მიწათმფლობელობის ცალკე ფორმად თვლის (იხ. მისი სტატია — „საუფლისწულო“, ქსე, ტომი 9, გვ. 148).

67 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 273. დ. გვრიტიშვილის მიერ აქ დამოწმებული საბუთი გამოქვეყნებულია (იხ გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 128—129, № 15).

68 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 271; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 141, № 27.

69 იხ. გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 124, № 11.

ეს განმეორებულია უფრო გვიან, 1780 წელსაც მოსამართლეთა მიერ გაჩენილ ციციშვილთა სახლიკაცობის რიგშიც: „საუფლისწულოს კაცს სახლის უფროსი ნურასა თხოვს და ნურც სამსახურს უბრძანებს, ძველს განაჩენშიაც ასე უწერიათო“, მითითებულია აღნიშნულ დოკუმენტში[70].

მოგვეპოვება სხვა საბუთიც, საიდანაც პირდაპირ ჩანს, რომ საუფლისწულო ყმა-მამული აღმოსავლეთ საქართველოს სათავადოებში თავადიშვილის პირად განკარგულებაშია და მოხელესაც (მოურავს) თვითონ ნიშნავს იქ. მაგალითად, 1797 წლის 1 სექტემბერს ბარძიმ ამილახორის შვილი ასეთ წყალობის წიგნს აძლევს თავის აზნაურ კუპატაძეს:

„ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს საუფლისწულოს ყმასა და ყმის შვილს კუპატაძეს თევდორეს და გიორგის და მომავალთა სახლისა თქვენისათა: — ასე რომე ჟამთა ვითარებისაგან და ჩვენის მოუცლელობისაგან აქა-იქ ცხოვრებდით და თქვენს სამკვიდრო მამულზე არ იდეგით. მოხვედით და გვეაჯენით თქვენის სამკვიდრო მამულისა და ადგილის ბოძებას და ბინის მოცემას. ჩვენც... გაგიახლეთ წიგნითა ამით თქვენი მამა-პაპის მამული..., რისიც მქონებელი ყოფილხართ სასახლისა, წისქვილისა, მიწისა“.

მაგრამ კუპატაძის „ზოგი მიწა და ზოგი საწისქვილო“ ადგილი ბარძიმს ადრე „დაგირავებული და გაყიდული“ ჰქონია და აძლევს რა იგი დანაკლისის შესავსებად ხსენებულ ყმას „ბეითალმან მიწებს“, მის სამსახურს ასე განსაზღვრავს:

ერთი მსახური უნდა გვაახლოთ. სხვა მზისა და წვიმის მეტი, ჩვენგან არა მოგადგება რა სამსახურის თხოვნა. როგორც შენნი ამხანაგნი აზნაურნი იმსახურებოდნენ, შენც ისე უნდა გვმსახუროო“[71].

გარდა ამისა, ზემოდასახელებულ კუპატაძეებს წყალობა უყო ბარძიმ ამილახორის შვილმა და თავის საუფლისწულოს მოურაობა უბოძა:

„ჩვენის ყმების საუფლისწულოების მოურაობა ფხვენისს, თამარაშენს, წორბის. რაც ამ სოფლებში მსახლობელნი გლეხნი ჩვენი ყმანი არიან, და ან რაც დასახლდება, და ან რაც საკომლოები გვაქვს ამ სოფლებში, შენთვის გვიბოძებია სამოურავოდ, როგორც საამილახოროში მოურავები მოურაობენ, შენც ისე ერთგულად უნდა შემოუარო ამათ და მათგან კომლზე ერთ კოკა ღვინოს, დღესასწაულს დღეს ძღვენს, სართველოს ძღვენს, ერთ დღეს მკას, ერთ დღეს ბარვას იმსა-

---

70 გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 133, № 19.

71 იქვე, გვ. 137, № 23.

ხურებდე; ქალი გათხოვდეს, საჩექმეს გამოართმევდე. ჩვენგანაც, ჩვენის შემოსავლიდამ, შენის სახელოდამ იქიდამ ათისთავს აიღებდე... ჩვენგან ეს წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმა ჩვენ სამსახურსა და ერთგულობაშიო"[72].

ეს საბუთი ასე სრულად იმიტომ მოვიტანეთ, რომ ის მრავალმხრივ საინტერესო და ბევრის მთქმელია:

1. ირკვევა, რომ თავადიშვილი თავის საუფლისწულოში სათავადოს უფროსისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს. თავადიშვილის ნებაზეა დამოკიდებული მის საუფლისწულო ყმა-მამულს უბოძებს ვინმეს, გაყიდის, დააგირავებს თუ სახელოდ გასცემს. ამას იგი არც არავის ეკითხება და არც არავისი დამტკიცება სჭირდება[73].

2. თავადიშვილი თავის საუფლისწულოში თვითონ ნიშნავს თავის მოხელეს (მოურავს თუ სხვას) და თვითონ განსაზღვრავს მის სარგოს. ასევე თვითონ აწესებს იგი თავის ყმის „სამსახურს" და თვითონვე ათავისუფლებს მას ამა თუ იმ ვალდებულებისაგან.

ასეთი პრეროგატივები თავადიშვილს მხოლოდ სათავისთავო ქონების მიმართ შეიძლებოდა ჰქონოდა. გამოდის, რომ მისი საუფლისწულო სათავადოში სწორედ ასეთი ქონება იყო.

ამგვარად, აღნიშნული წყალობის წიგნი და ზემოთ მოტანილ სხვა წყაროთა ერთად აღებული მონაცემები უეჭველს ხდიან, რომ თავადიშვილის უძრავ-მოძრავი საუფლისწულო ქონება აღმოსავლეთ საქართველოს სათავადოებში[74], მიუხედავად იმისა, რომ თავადური სახლის საერთო ქონების ნაწილია, თავისი იურიდიული ხასიათით სათავისთავო ქონებაა. ამდენად, ამ სათავადოების მკვლევართა მიერ საუფლისწულო საკუთრების სათავისთავოსაგან განსხვავებულ ცალკე ფორმად გამოყოფა და იქ (აღმოსავლეთ საქართველოს სათავადოებში) საკუთრების სამი ფორმის არსებობაზე ლაპარაკი, რბილად რომ ვთქვათ, მართებული არ არის.

---

72 იხ. გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 137—138, № 23

73 ამასვე აღიარებს დ. გვრიტიშვილიც (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 271—273). მაგრამ მიუხედავად ამისა, საკვირველია, რომ თავადიშვილის საუფლისწულო ქონებას სთავადოში იგი სათავისთავოსაგან განსხვავებულ საკუთრების ფორმად თვლის (იხ. იქვე).

74 მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ქართლის სამეფოს სათავადოები. კახეთის სამეფოს საფეოდალოები ამ მხრივ ცალკე შესწავლას მოითხოვს (იხ. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI—XVII სუკ. კახეთის სმაეფოში, თსუ-ის შრომები, 77, 1959, გვ. 27—56; ზ. ხ ი დ უ რ ე ლ ი, კახეთის სათავადოების თავისებურება. წიგნში: ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა IV რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1984, გვ. 151—156).

ყოველივე ზემოთქმულს ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სათავადოთა პრობლემის კვლევის ფუძემდებელი საქართველოში ნ. ბერძენიშვილი სათავადოში საკუთრების მხოლოდ ორ ფორმას ხედავს: „личную (домашнюю, семейную) собственность... („сакутари", „сатавистао")... и общую фамильную собственность („сахасо")[75].

საკუთრების ფორმა, საკუთრების უფლება განისაზღვრება არა იმით, თუ ვინ ფლობს ქონებას — მეფე, უფლისწული, თავადი, თავადიშვილი თუ გლეხი, არამედ იმით, თუ როგორ ფლობენ მას — სარგებლობა-მფლობელობის თუ განკარგულების (განსხვისებისა და სხვ.) უფლებით. როგორც ზემოთ ვნახეთ, მეფის შვილის თუ თავადიშვილის უფლება საუფლისწულო ყმა-მამულზე არ განსხვავდება სათავისთავო საკუთრების უფლებისაგან. ორთავეს მასზე (საუფლისწულო ყმა-მამულზე) განკარგულების უფლება აქვს და, მაშასადამე, ის მათი სათავისთავო საკუთრებაა[76].

თუ მეფის შვილი ან თავადის შვილი წინათ საუფლისწულოს მხოლოდ დროებით და სარგებლობის უფლებით ფლობდა, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას, როგორც აღინიშნა, ქამთამსველლობაში ფეოდალური საკუთრების ბუნებაში ცვლილება შეაქვს: ხდება უფლისწულის მფლობელობის უფლების ევოლუცია. საუფლისწულოდ გამოყოფილი ყმა-მამული ბოლოს და ბოლოს უფლისწულის სრულ საკუთრებად იქცევა, „ყოვლის კაცისაგან უცილებელი..., მიზეზ შემოუღებელი"[77]. და სამკვიდრო-სათავისთავო ქონება ხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუფლისწულო, რამდენადაც ცალკე სამფლობელოა და, როგორც ზემოთ ითქვა და ქვემოთაც ვნახავთ, თავის მმართველობის აპარატი აქვს, თავისებური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია.

დასავლეთ საქართველოს საუფლისწულოებში მეფის თუ მთავრის

---

[75] იხ. Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 102.

[76] აღსანიშნავია, რომ 1985 წლის 3 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების სხდომაზე მოხსენება წაიკითხა უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გ. ძიძიგურმა თემაზე: „საკუთრებისა და ექსპლოატაციის ფორმები დასავლეთ საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში". ამ მოხსენებაში იგი საუფლისწულო საკუთრებას „სათავადოს ფარგლებში" საერთო-საგვარეულოსა და სათავისთავო საკუთრებისაგან განსხვავებულ საკუთრების ფორმად თვლის.

[77] იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1912, გვ. 569, № 587.

შვილები საგადასახადო-ადმინისტრაციული და შეზღუდული სასამართლო იმუნიტეტით სარგებლობდნენ (იხ. ქვემოთ).

აქ უნდა ითქვას შემდეგიც: ამ ბოლო ხანში (1986 წ.) სათავადოებში საკუთრების ფორმების საკითხს შეეხო დ. გოგოლაძე და სავსებით მართებულად მიუთითა იქ საკუთრების მხოლოდ ორი ფორმის არსებობაზე და საუფლისწულოსა და სათავისთავო საკუთრების იგივეობაზე[78]. მაგრამ მან რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა იმაზე მითითება, რომ ასეთი თვალსაზრისი ადრეც იყო გამოთქმული[79], რითაც მკითხველს აფიქრებინებს, რომ ეს თვალსაზრისი დ. გოგოლაძის მიერ გამოითქვა პირველად.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მკვლევარი იმავე სტატიაში მთლად მართებულად არ განსაზღვრავს სახასო საკუთრების შინაარსს[80] და არაფერს ამბობს სათავადოში საკუთრების უფლების ტრანსფორმაციაზე, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საკითხია და აქ ახლა მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

*
* *

იმერეთის სამეფოს საბოლოოდ ჩამოყალიბების (XV საუკუნის მიწურული) შემდეგდროინდელ ლიხთ იმერელ ბაგრატიონთა გვარის შტოს ყველაზე ადრინდელი წარმომადგენლები არიან დ ა ვ ი თ და ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი, ძენი ალექსანდრე II-ისა[81].

XVI საუკუნის დამდეგს ისინი უკვე გვხვდებიან ისტორიის სარბიელზე[82]. დავითი მხოლოდ ერთხელ, 1510 წელს იხსენიება[83]. მის ძმას ვახტანგს კი უფრო ხანგრძლივად ვხედავთ. ერთხანს მას მეტად ცუდი განწყობილება ჰქონდა თავის უფროს ძმასთან — მეფე ბაგრატ III-სთან: „იკლო რაჲმე“ ვახტანგმა ბაგრატისაგან, შემოიკრიბა მრავალ-

---

78 იხ. დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, სათავადოს ფეოდალური საკუთრების ფორმების საკითხისათვის, წიგნში: ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაკვ. V, „მეცნიერება“, 1986, გვ. 39—44.

79 გამოთქმული იყო ზოგადად ნ. ბერძენიშვილის მიერ 1938 წ. (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 102). და შემდგომ კონკრეტულად — დასავლეთ საქართველოს სათავადოების მიმართ, ამ სათავადოების მასალების დაკვირვების საფუძველზე ო. სოსელიას მიერ 1966 წელს (იხ. მისი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), თბ., 1966, გვ. 197—198).

80 იხ. დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 39—44.

81 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 809.

82 იხ. იქვე.

83 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 809.

რიცხოვანი „წარჩინებულნი და აზნაურნი“ და 1512 წელს „წარვიდა ქართლს“ დავით მეფესთან. ვახტანგი უთუოდ მეფობას ეცილებოდა ბაგრატს. უკანასკნელი მოულოდნელად თავს დაესხა მოხისს დაბანაკებულ უფლისწულს. „იყო ბრძოლა ძლიერი“ იმავე წელს. ვახტანგი დამარცხდა. ამის შემდეგ დავით ქართლის მეფის „შუამდგომლობით“ ძმებმა „ზავ-ჰყვეს“. ვახტანგი, ბაგრატთან ერთად, იმერეთში ჩამოვიდა და ამიერიდან მათ შორის მშვიდობა სუფევდა[84]. უფლისწული მეფის ყოველგვარი დავალების ერთგული შემსრულებელი გახდა. მისი ჩაგონებით ვახტანგმა მოხერხებულად უნდობლობა დათესა („ჰყო ზაკვა“) მეფის მოქიშპე დადიანსა და გურიელს შორის და ისინი ერთმანეთს ჩამოაშორა[85].

ვახტანგ ბატონიშვილი უკანასკნელად იხსენიება ცოცხლებში 1548—1561 წლებს შუა[86]. ჰქონდა თუ არა მას და მის ძმას ზემოხსენებულ დავითს საუფლისწულო ადგილ-მამული, წყაროებიდან არ ჩანს.

ამ ვახტანგის შვილიშვილი („ძის ძე“) იყო ხოსრო ბატონიშვილი, რომელიც 1568 წელს იანეთში „ღალატად დაესხა თავს“ ბაგრატ III-ის მემკვიდრეს მეფე გიორგი II-ს. იანეთთან ბრძოლაში ხოსროს მოკავშირენი იყვნენ ლევან I დადიანი, ძლიერი თავადი ვარაზ ჭილაძე „ლიპარტიანით, ოდიშრით“. აქაც „იქმნა ბრძოლა“ ძლიერი, მაგრამ ხოსრო და მისი მოკავშირეები სასტიკად დამარცხდნენ და „ივლტოდნენ“[87]. რა ბედი ეწია ამის შემდეგ ხოსრო ბატონიშვილს, არ ვიცით.

XVI საუკუნის შუა წლებში ვხედავთ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე I ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს, რომელიც იყო ძე ბაგრატ III-ისა და უმცროსი ძმა მეფის გიორგი II-ის[88]. ბაგრატ III-ს, გიორგისა და კონსტანტინეს გარდა, ჰყავდა კიდევ მესამე ვაჟი — „თაპმურაზ“[89].

გიორგი II-ის ზეობაში (1565—1587 წწ.) კონსტანტინეს საუფლისწულო მიწა-წყალი არ გააჩნია. იგი მისი მოპოვებისათვის იბრძვის. იმერეთის სამეფოში, საერთოდ, უფლისწულისათვის წილის გამო-

---

[84] ვ ა ხ უ შ ტ ი აღწერა..., გვ. 810—814.

[85] იქვე, გვ. 814. იხ. და შდრ. ბ ე რ ი ე ვ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 300.

[86] იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 813—814.

[87] იქვე, გვ. 815—816.

[88] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 814. აღსანიშნავია, რომ ბერი ევნატაშვილის ცნობით, კონსტანტინე ბატონიშვილი იყო გიორგი მეფის ძე და ძმა ლეონ (ლევან) მეფისა (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 375). მაგრამ ვახუშტის ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს.

[89] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 8.

ყოფა მეფესა და უფლისწულს შორის დიდი ბრძოლის პირობებში ხდება. უფლისწულთა განცალკევება აქ იმერთა მეფის სურვილზე არაა მთლად დამოკიდებული. ასეა ეს როგორც ადრე, ისე გვიან, სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის დროსაც (იხ. ქვემოთ).

გიორგი II-ის უფროსი შვილი ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე 1558 წ. გარდაიცვალა[90]. მისი მომდევნო ბაგრატიც 1578 წელს მოკვდა[91]. დარჩა მეფეს მხოლოდ ერთადერთი მცირეწლოვანი (1573 წელს დაბადებული) ვაჟი ლევანი. ტახტზე ასვლისას მას მეტოქეები რომ არ ყოლოდა, მამამ წინასწარ (1583 წელს) ციხეში გამოკეტა თავის ძმა კონსტანტინე მისი შვილი როსტომით[92].

გიორგი II გარდაიცვალა 1587 წელს[93] და ამავე წელს მეფედ აკურთხეს მისი ძე ლევანი. მან გაათავისუფლა თავის ბიძა და ბიძაშვილი პატიმრობიდან[94]. კონსტანტინემ ისარგებლა მეფის მცირეწლოვნობით და „დაიპყრა... რიონის აღმოსავლეთისა კერძონი". მის ხელში გადავადა ამ დროს „სკანდა, კაცხი და სრულიად არგვეთი"[95].

კონსტანტინემ მხოლოდ მცირე ხანს შეძლო ამ ტერიტორიის შენარჩუნება. აღნიშნულ წელსვე ლევან მეფემ „მიუხუნა" მას ეს ადგილები თავიანთი ციხეებით. მაგრამ ამ ადგილების ხელახლა მიტაცების შიშმა მეფე აიძულა იქვე მიეჩინა კონსტანტინესათვის „საუფლისწულო". ასე, 1587 წელს სამეფო სახლის უმცროს შტოსათვის გამოყოფილ იქნა საუფლისწულო ტერიტორია იმერეთის სამეფოში[96].

რა სოფლებს მოიცავდა მაშინ ეს ტერიტორია, წყაროებში კონკრეტულად ნაჩვენები არ არის. ჩანს მხოლოდ, რომ საუფლისწულოდ თავიდანვე არგვეთის (ზემო იმერეთი) ერთი ნაწილი იყო განკუთვნილი.

კონსტანტინე ბატონიშვილი 1587—1588 წლებს შუა გარდაიცვა-

---

90 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 815.

91 იხ. იქვე, გვ. 817.

92 იქვე, გვ. 816—817, 819.

93 გიორგი II-ის უკანასკნელი სიგელი გაცემულია 1587 წელს, მისი მეფობის „ინდიკტიონსა... მეოცდაორესა" (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 18—19, სად. № 4). იგი, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, გამეფდა 1565 წელს. აქედან გამომდინარე 22 ინდიკტიონი მისი მეფობისა უდრის 1587 წელს (1565+22=1587-ს). ამიტომ გიორგი II-ის ზეობის დასასრულად 1587 წელი უნდა ჩაითვალოს. ამის მიხედვით უნდა შესწორდეს შ. ბურჯანაძის ზემომითითებულ პუბლიკაციაში სად. № 4-ის თარიღიც.

94 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 820.

95 იქვე. იხ. აგრეთვე, გვ. 903 (1587 წლის ქვეშ).

96 იქვე, გვ. 820, 903 (1587 წლის ქვეშ).

ლა[97]. ლევან მეფე კი 1590 წელს ტყვედ ჩაუვარდა მამია დადიანს, რომელმაც შხეფის ციხეში ჩაკეტა იგი და იმავე წელს იქვე მოკვდა[98]. ლევანს ძე არ დარჩენია[99]. ამის შემდეგ მეფობა იმერეთის ბაგრატიონთა უმცროს შტოს წარმომადგენლებზე გადავიდა. აღნიშნულ წელსვე მეფედ აკურთხეს როსტომ I ბატონიშვილი ძე კონსტანტინე I ბატონიშვილისა[100].

მაგრამ ტახტს მალე სხვა პრეტენდენტი გამოუჩნდა ბაგრატიონთა იმავე უმცროს შტოდან: როსტომს გიორგი გურიელმა ტახტის თავისი კანდიდატი ბაგრატ თეიმურაზის ძე ბატონიშვილი დაუპირისპირა, რომელიც იყო მეფე ბაგრატ III-ის უმცროსი ძმის, ზემოხსენებული ვახტანგის, შვილიშვილი[101]. ერთხანს როსტომი გადააგდეს კიდეც ტახტიდან და ბაგრატი გაამეფეს[102]. ეს იმერეთის სამეფოში გურიელის გავლენის გავრცელებას ნიშნავდა, რაც დადიანის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ოდიშის მთავარმა მანუჩარ დადიანმა როსტომს დაუჭირა მხარი. მისი დახმარებით 1590 წელსვე როსტომმა დაიბრუნა მეფობა და სიკვდილამდე (1605 წ.) შეინარჩუნა ის[103].

ზემოთ აღნიშნულ წელს ჩანს პირველად გ ი ო რ გ ი I ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. იგი იყო კონსტანტინე I ბატონიშვილის უკანონო შვილი, „ძმა როსტომ მეფისა, ნაშობი მჯევლისაგან“[104]. როსტომს მემკვიდრე არ დარჩენია. სხვაც „არღარავინ“ ყოფილა იმერეთში „ტომი მეფეთა“, ამიტომ იმერეთის მეფედ იმავე 1605 წელს გიორგი I ბატონიშვილი დაუსვამთ[105], რომელიც მეფობაში გიორგი III იყო.

---

97 კონსტანტინე I ბატონიშვილის გარდაცვალებაზე ვახუშტი 1587—1588 წლებს შუა მომხდარ ამბებთან მოგვითხრობს (იხ. მისი, აღწერა..., გვ. 820).

98 იხ. იქვე, გვ. 821, 903 (1590 წლის ქვეშ). ბერი ეგნატაშვილი ლევან მეფის გარდაცვალებას 1592 წლის ქვეშ უჩვენებს (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 376).

99 ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 376.

100 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 821, 903 (1590 წლის ქვეშ). შდრ. ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 376.

101 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 821, 903 (1590 წლის ქვეშ). აღსანიშნავია, რომ ბაგრატ ბატონიშვილის წარმომავლობის შესახებ ვახუშტისაგან განსხვავებულ ცნობას იძლევა ბერი ეგნატაშვილი. უკანასკნელის გადმოცემით, ბაგრატი ლევან მეფის ძმისწული იყო (იხ. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1959, გვ. 376). ასევე წარმოდგენილი ბაგრატი ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტშიც (იხ. იქვე, გვ. 532).

102 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 821, 903 (1590 წლის ქვეშ).

103 იქვე, გვ. 822—823, 903 (1590, 1605 წლების ქვეშ).

104 იქვე, გვ. 824.

105 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 824. იხ. აგრეთვე, გვ. 903 (1605 წლის ქვეშ), შდრ. ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 380, ახალი ქართლის ცხოვრება,

XVII საუკუნის პირველ ნახევარში გვხვდებიან მ ა მ უ კ ა (იგივე შამია)[106], რ ო ს ტ ო მ II და ბ ე რ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ებ ი. ესენი იყვნენ ძენი 1605 წელს გამეფებული გიორგი III-ისა (ბატონიშვილობაში — გიორგი I). მათი უფროსი ძმა იყო ალექსანდრე III, რომელიც მეფობდა იმერეთში 1639—1660 წლებში[107].

1648 წლის ახლო ხანს მამუკა I ბატონიშვილი ტყვედ ჩაუვარდა ლევან II დადიანს. დადიანმა მას „თვალები დაწვა". მამუკა ტყვეობაში გარდაიცვალა ოდიშს 1654 წელს[108].

მისი ძმა ბერი მხოლოდ ერთხელ იხსენიება მამის (გიორგი III-ის) გარდაცვალების ჟამს — 1639 წელს[109].

ა რ ჩ ი ლ I ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. მოხსენიებულია 1675—1685 წლებში[110]. ჩანს, რომ იმერეთის ბატონიშვილია, მაგრამ მისი წინაპრები ჩვენთვის უცნობია.

აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევრის, მომდევნო საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის იმერეთის სამეფო სახლის უმცროს შტოდან მომდინარე უფლისწულთა სია ასე წარმოგვიდგება:[111].

გ ი ო რ გ ი II ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, იმერთა მეფის ბაგრატ IV-ის ძე. უმცროსი ძმა მეფის ალექსანდრე IV-ისა. დაიბადა 1676 წელს თამარ დედოფლისაგან. გარდაიცვალა 1677—1678 წლების ახლო ხანს[112].

მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 532.

106 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 20, № 6; გვ. 21—22, № 8, შდრ. იქვე, გვ. 22, 24, № 9. 11.

107 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 829, 905—906 (1639. 1654, 1660 წლების ქვეშ); ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 20, 21—22, 24. № 6, 8, 9. 11.

108 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 830—832. 905 (1654 წლის ქვეშ); ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. გამოც. ს. კაკაბაძისა. საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 261.

მამუკა I ბატონიშვილის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ფარსადან გორგიჯანიძის დასახელებული „ისტორია", გვ. 246—247.

109 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 829.

110 იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 430—431, № 600.

111 სიაში არ შეგვაქვს ალექსანდრე ხოლომონ I-ის ძის გარდა, იმერეთის სამეფო სახლის უფროსი შტოს — ტახტის მემკვიდრე უფლისწულთა ხხვა წარმომადგენლები, რადგან ისინი განხილულ უნდა იქნენ როგორც მეფეები. ხოლო უმცროს შტოდან გამოსულ მეფედ დასმული უფლისწულების გამეფების შემდეგდროინდელ მოღვაწეობას, როგორც წესი, არ ვეხებით.

112 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 842—843, 907 (1676 წლის ქვეშ).

გ ი ო რ გ ი III ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ალექსანდრე IV-ის მეორე ვაჟი, „ნაშობი დიდებულის ქალისაგან“ „უქორწინოდ“[113]. უმცროსი ძმა სვიმონ მეფისა. პირველად იხსენიება მასთან ერთად, 1691 წელს[114].

როცა ქართლის მეფის გიორგი XI-ის დახმარებით 1690—1691 წლებში იმერეთში მისი ძმა არჩილი გამეფდა და ალექსანდრე IV ტახტიდან გადააგდეს, უკანასკნელის ძენი სვიმონ და გიორგი ბატონიშვილები ქართლის მეფემ წამოიყვანა და ქსნის ერისთავს დავითს „მიაბარა“[115]. ამის შემდეგ გიორგი III ერთხანს ერეკლე I-ის კარზე ჩანს ქართლში[116]. 1701 წლიდან იკ დასახლებული ბატონიშვილი ქართლიდან წაიყვანა ისაკ ახალციხის ფაშამ და „იზრდებოდა“ მასთან[117].

ამასობაში არგვეთის თავადი გიორგი აბაშიძე ისე განდიდდა, რომ „არღარა ეგდენ მორჩილებდა ფაშასა“ და არც „ქრთამს“ უგზავნიდა მას იმერეთიდან. ამიტომ თურქებმა დალაშქრეს იმერეთი და მეფედ აქ 1703 წელს გიორგი ბატონიშვილი დასვეს. მაგრამ გიორგი მხოლოდ სახელითღა იყო მეფე. იმერეთში კვლავ აბაშიძე ბატონობდა[118].

ეს გიორგი III ბატონიშვილი იყო მეფობაში გიორგი VI, რომელიც არაერთხელ ჩამოაგდეს ტახტიდან თავადებმა და, ბოლოს, 1720 წლის 27 თებერვალს მოკლეს „ნადიმსა ზედა“ სვიმონ აბაშიძის „მსახურებმა“[119].

მ ა მ უ კ ა II ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ვხვდებით 1715—1720, 1720—1738, 1720—1752, 1727, 1732, 1734, 1739, 1741, 1746, 1754, 1754—1769, 1755, 1756 წლებში[120]. იგი იყო მეორე ვაჟი მეფის გიორ-

---

113 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 855—856.
114 იქვე, გვ. 855.
115 იქვე, გვ. 853—855.
116 იქვე, გვ. 863.
117 იხ. იქვე.
118 იქვე, გვ. 863—866.
119 იქვე, გვ. 866—880, 910 (1720 წლის ქვეშ).
120 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 43, № 44; გვ. 63—64, № 63; გვ. 67, №68; გვ. 78, № 83; გვ. 94—95, № 102; გვ. 98, № 106; გვ. 122—123, № 134; საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 227(2), საბ. № 51, 56, 81 (ქვემოთ: სსცია); ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 13806; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფილისი, 1921, გვ. 5,8 (ქვემოთ: დას. საქ. საეკლ. საბ); პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 50—51; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 885, 888; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები დას. საქართველოს სოციალური და ეკონომიურ ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, წ. III, ტფილისი, 1928, გვ. 61.

გი VI-ისა (თამარ დედოფლისაგან), უძცროსი ძმა ალექსანდრე V-ისა და ბიძა სოლომონ I-ისა[121].

მამუკას თანამეცხედრე იყო ბეჟან დადიანის ასული დარეჯანი. ყავდა მასთან ერთი ვაჟი თეიმურაზ[122].

1732—1734 წლებში მამუკა არაერთხელ გამოსულა თავის ძმის ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ. 1746 წელს კი მამუკამ, ზურაბ აბაშიძისა და სხვა თავადების მხარდაჭერით, მთლად გადააყენა ტახტიდან ალექსანდრე V და თვითონ დაჯდა მეფედ. აღნიშნული წლის 16 ივნისის ერთ დოკუმენტში მამუკა თავის თავს იმერეთის მეფედ ასახელებს[123].

მამუკა ბატონიშვილი იმ აჯანყებაშიც ერია, რომელიც თავადებმა სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოაწყეს მისი გამეფების პირველსავე წელს[124]. მაგრამ გამარჯვებულმა მეფემ 1753 წელს ყმა-მამული ჩამოართვა უფლისწულს და იმერეთიდან გააძევა იგი. მომდევნო წელს სოლომონმა შეირიგა მამუკა და საუფლისწულოც დაუბრუნა მას[125].

1772 წელს მამუკა ცოცხალი არ არის. აღნიშნულ წელს იმერეთში მყოფი გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი მას ამ დროს ცოცხალ უფლისწულთა შორის არ იხსენიებს[126]. იგი დასახელებული წლის ახლო ხანს უნდა იყოს გარდაცვლილი.

გ ი ო რ გ ი IV ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. იმერთა მეფის გიორგი VI-ისა ყველაზე უმცროსი ვაჟი, ნაშობი გურიელის ასულ თამარ//კოჟიბროლა დედოფლისაგან, უმცროსი ძმა ალექსანდრე V-ის და მამუკა II ბატონიშვილის, ბიძა სოლომონ I-ის და უკანასკნელის მეტოქე თეიმურაზ ბატონიშვილის[127] (იხ. ქვემოთ თეიმურაზ II), მამა მეფე დავით II-ისა (იხ. ქვემოთ დავით III ბატონიშვილი).

მოხსენიებულია 1727, 1736, 1741, 1746, 1752—1768, 1752—

---

121 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 43, № 44, გვ. 63—64, № 63, გვ. 67, №68.

122 იხ. იქვე, გვ. 78, № 83; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 13806; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 5, 8.

123 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 885—888.

124 იხ. შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.) თსუ-ს შრომები, XLI, თბ., 1950, გვ. 73.

125 შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 73—75; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 914 (1753 წლის ქვეშ); ფ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისანი, გვ. 211.

126 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 169, 205.

127 სსცია, ფ. 227(2), № 51; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 98, № 106; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 878, 891.

1775, 1754, 1754—1769, 1755, 1770, 1771, 1772, წლების დოკუმენტებში[128].

1741 წელს გიორგი ბატონიშვილმა წაართვა ტახტი თავის უფროს ძმას ალექსანდრეს და ერთხანს თავად მეფობდა. მაგრამ მისი მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ალექსანდრემ იმავე წელს შეძლო ტახტის დაბრუნება[129].

გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს გიორგი ბატონიშვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და პატიმრად იჯდა კვარას ციხეში (რაჭას)[130]. მისივე ცნობით, გიორგის ძმა იყო თეიმურაზ ბატონიშვილი[131]. მაგრამ ეს ცნობა მცდარია. სინამდვილეში გიორგი თეიმურაზის ბიძაა[132] (იხ. ქვემოთ თეიმურაზ II) გიორგი ბატონიშვილი გარდაიცვალა 1775 წლის 14 მაისს, დაკრძალულია იგი მღვიმის მონასტერში[133].

დ ა ვ ი თ//ნ ა რ ი ნ — დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე V-ის მეორე ვაჟიშვილი, ძმა მეფის სოლომონ I-ის, ბაგრატის, იესეს (იოსების), არჩილის დ გიორგი ბატონიშვილებისა. ჩანს 1727, 1744, 1747, 1748, 1749 წლების საბუთებში[134].

მისი „გამდელი“ უნდა იყოს „მხევალი ღ(ვ)თისა“ ვინმე „სილდასტან“[135].

1772 წელს ნარინ-დავითი ცოცხალი არ არის. ალექსანდრე V-ის

---

[128] ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 4346; სსცია. ფ. 227(2), № 51; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 63—64, № 63, გვ. 78, №,83, გვ. 98, № 106, გვ. 117, № 128; გვ. 123, № 134; გვ. 124, № 136; გვ. 134, № 145; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 5. 45; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. H კოლექცია, IV, თბ., 1950. გვ. 210—211(24); ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 177; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 912 (1741 წლის ქვეშ).

[129] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 891, 912 (1741 წლის ქვეშ).

[130] იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 169.

[131] იქვე.

[132] გიულდენშტედტის ეს შეცდომა შენიშნული და შესწორებულია მისი „მოგზაურობის“ გამომცემლის მიერ (იხ. იქვე, გვ. 358, საძიებელში: „გიორგი 169“).

[133] შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 148 (1775 წლის 14 მაისის ქვეშ) (ქვემოთ: ახალციხური ქრონიკები. გამომცემლის დაუსახელებლად).

[134] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. H კოლექცია, ტ. IV, გვ. 210—211 (24); ქუთ. მუზ. საბ. № 157,175, 161; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 73, № 76, გვ. 80, № 85; ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 61.

[135] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 76.

ძეთა დასახელებისას გიულდენშტედტი აღნიშნულ წელს ამ ბატონიშვილს ცოცხალთა შორის არ იხსენიებს[136].

ი ე ს ე//ი ო ს ე ბ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე V-ის მესამე ვაჟი, ძმა მეფის სოლომონის, ნარინ-დავითის, ბაგრატის, არჩილის და გიორგი ბატონიშვილებისა[137]. პირველად ვხედავთ, მამასთან და ძმებთან ერთად, 1744 წლის ერთ წყალობის წიგნში[138].

1745 წლიდან იესე გენათელ მიტროპოლიტად იჯდა, ხოლო 1769 წლის 10 მაისიდან, გენათლობასთან ერთად, მან დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ხარისხი მიიღო[139].

მისი „გამდელი" იყო გუნცაძის ასული ელენე[140].

ჯერ კიდევ გენათელ მიტროპოლიტობის დროს, 1760 წელს იოსებ ბატონიშვილს გელათის ღვთისმშობლის დიდ ტაძარში აუშენებია „სამღვდელმთავრო ტახტი", რომლის სახურავის კარნიზზე მოთავსებული წარწერა მისი აღმშენებლის ვინაობას გვამცნობს[141].

ამავე ტაძრის ჩრდილოეთის სვეტზე კიდევ „სამხრეთით, ლურჯ ფონზე გამოსახულია ზემოხსენებული იოსები საეპისკოპოზო ტანსაცმელში"[142].

გარდაიცვალა იგი 1776 წლის 13 მაისს ქუთაისს, მწვანეყვავილაში. დასაფლავებულია „გელათს მიწაში"[143].

ბ ა გ რ ა ტ II[144] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე V-ის მეოთხე ვაჟი, ძმა მეფის სოლომონ I-ის, ნარინ-დავითის, იესეს (იოსების), არჩილის და გიორგი ბატონიშვილებისა[145].

მოხსენიებულია 1744, 1747, 1748, 1749 წლების დოკუმენტებში[146]. იგი ცხოვრობდა „როგორც იმერელი თავადი" თავის მამულში, ზემო იმერეთში. უკანასკნელად ვხედავთ მას 1772 წლის ზაფხულში გიულდენშტედტის იმერეთში ყოფნის დროს[147]. ბაგრატი გარდაცვლილი უნდა იყოს აღნიშნული წლის ახლო ხანს.

---

136 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 205.

137 ქუთ. მუზ. საბ., № 157.

138 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 73, № 76.

139 იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 137, 139.

140 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 157.

141 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, გელათი (გზამკვლევი), ქუთაისი, 1958, გვ. 18.

142 იხ. იქვე.

143 იხ. ახალციხური ქრონიკები, გვ. 151 (1776 წლის 13 მაისის ქვეშ).

144 I ბაგრატ ბატონიშვილი არის თეიმურაზ I ბატონიშვილის ძე (იხ. ზემოთ).

145 იხ. ქუთ. მუზ. საბ., № 775, 161.

146 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 73, 80, № 76, 85; ქუთ. მუზ. საბ., № 157, 775.

147 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 205.

როსტომ III ბატონიშვილი, იმერთა მეფის გიორგი VI-ის მეოთხე ვაჟი, უმცროსი ძმა მეფე ალექსანდრე V-ის, მამუკა II-ის და გიორგი IV ბატონიშვილებისა[148]. გვხვდება 1746 წლის 16 ივნისის ერთ საბუთში[149].

თეიმურაზ II[150] ბატონიშვილი, მამუკა II ბატონიშვილის ძე (იხ. ზემოთ მამუკა II), სოლომონ I-ის ბიძაშვილი, როსტომ რაჭის ერისთავის სიძე — მისი ასულის ანას ქმარი[151], ოტია დადიანის (1728—1757 წწ.) დისწული[152].

დასახელებულია 1746, 1750, 1755, 1763, 1766, 1767, 1768, 1772, 1783 წლების საბუთებში[153].

სოლომონ I-ის პოლიტიკით უკმაყოფილო თეიმურაზი ჯერ კიდევ 1763 წელს ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა და მეფობის მაძიებელი თურქებს ტყვეებით ვაჭრობის აღდგენას პირდებოდა, თუ მას იმერეთის ტახტზე დასვამდნენ[154].

1766 წელს თეიმურაზმა დადიანის, როსტომ რაჭის ერისთავის, მათი მომხრე თავადებისა და ოსმალთა დახმარებით ტახტიდან ჩამო-

---

148 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 13806.

149 იხ. იქვე.

150 I თეიმურაზ ბატონიშვილი არის ბაგრატ I ბატონიშვილის მამა თეიმურაზი (იხ. ზემოთ).

151 ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, გვ. 169, № 1; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 78, № 83; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 169, 205; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, под ред. А. А. Цагарели, СПб., 1891, с. 31 (ქვემოთ: Грамоты).

152 თეიმურაზის დედა დარეჯანი (იხ. ზემოთ მამუკა II ბატონიშვილთან) ბეჟან დადიანის ასული და ოტიას და იყო. აქედან ცხადია, რომ თეიმურაზი ოტია დადიანის დისწულია (ადრე ჩვენს ხელთ არსებულ წყაროთა მცდარი მონაცემების გამო, ოტია დადიანთან და როსტომ რაჭის ერისთავთან თეიმურაზ II ბატონიშვილის ნათესაობის მხრივ, შეცდომაა დაშვებული ჩვენი „ნარკვევების" I წიგნში (თბილისი, 1973). იხ. და შდრ., გვ. 114).

153 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 8; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 78, № 83, გვ. 110—111, № 120; ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 169, № 1; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოც. თ. ლომოურისა, 1941, გვ. 10, 53; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 169, 205; ЦГВИА СССР, ф. 52, оп. I/194, св. 109, д. 286, ч. II, лл. 40—41 (უკანასკნელ წყაროდან ამონაწერი გაგვაცნო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერმა თანამშრომელმა ზ. ცქიტიშვილმა, რასაც მადლობით] ავღნიშნავთ).

154 АВПР МИД СССР, ф. „Сношения России с Турцией", д. 339, лл. 53, 54, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებაში დაცული პირი — საქ. № 12, გვ. I; საქ. № 15. გვ. 2.

აგდო სოლომონ I და თავად გამეფდა. თეიმურაზი მეფობდა 1763 წლამდე. აღნიშნულ წელს სოლომონმა დაამარცხა მოწინააღმდეგეები ჩხართან და თავისი ხელისუფლება კვლავ აღადგინა. ტახტის მეტოქე ბატონიშვილს მეფე სასტიკად გაუსწორდა: თვალები დათხარა და მოდინახის ციხეში ჩაკეტა[155] ეს ციხე სოლომონის ერთგულ ზემო იმერელ თავად წერეთლებს ეკუთვნოდათ.

1772 წელს გიულდენშტედტი თეიმურაზს ცოცხლებში იხსენიებს[156]. ცოცხალი ჩ..ნს იგი 1783 წელსაც[157]. ცდება უთუოდ იოანე ხუცესის ქრონიკა, რომელიც თეიმურაზის გარდაცვალების 1772 წლის 30 სექტემბერს და დასაფლავებას 5 ოქტომბერს უჩვენებს[158]. ცდებიან აგრეთვე დავით და ბაგრატ ბატონიშვილები, როცა მის გარდაცვალების თარიღად 1767 წელს დებენ[159].

როსტომ IV ბატონიშვილი. მოწმეთა შორის გვხვდება 1746 წლისა და XVIII საუკუნის 40-იანი წლების უთარიღო საბუთებში[160]. ვისი შვილი იყო ეს როსტომი, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება. მაგრამ, ვფიქრობთ, იგი გიორგი IV ბატონიშვილის (იხ. ზემოთ) ძეა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მამუკა II ბატონიშვილისა და მეფის 1746 წლის 16 ივნისის წყალობის წიგნი, სადაც იგი, დედოფლისა და თავის მემკვიდრის თეიმურაზის შემდეგ, იხსენიებს ძმას გიორგის და ბატონიშვილს როსტომს: — „ძმამან ჩვენმან ბატონმან გიორგიმ და ბატონიშვილმან როსტომ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისაო“[161]. ამ კონტექსტში როსტომი გიორგის შვილად არის საგულისხმებელი. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ როსტომ ბატონიშვილი მამუკა II ბატონიშვილის (იხ. ზემოთ) ძმისწული ყოფილა.

---

155 იხ. იქვე, იხ. აგრეთვე მეფე სოლომონ I-ის და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII ს. მეორე ნახევარში. იტალიელი მწერლის მონსინიორე ლეონის ჩანაწერების ნაწყვეტი, თარგმნილი ბ. გიორგაძის მიერ, გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაურის), 1959 წ., 14, 16 აგვისტო, № 95, 96. შდრ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 10, 53.

156 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 205.

157 იხ. ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 1/194, св. 109, д. 286, ч. II, лл. 40 — 41.

158 იხ. დ შდრ. ახალციხური ქრონიკები, გვ. 138 (1772 წლის 30 სექტემბრისა დ 5 ოქტომბრის ქვეშ).

159 იხ. და შდრ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 10, 53.

160 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 78, № 83, გვ. 82, № 87, 88.

161 იხ. იქვე, გვ. 78, № 83.

ა რ ჩ ი ლ II ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე V-ის მეხუთე ვაჟიშვილი, ძმა მეფე სოლომონ I-ის, ნარინ-დავითის, იესეს (იოსების), ბაგრატის და გიორგი ბატონიშვილებისა[162]. იხსენიება 1747, 1748, 1752—1775, 1753, 1755, 1760, 1762, 1769, 1770, 1772 წლების დოკუმენტებში[163].

დაქორწინებული იყო ერეკლე II-ის ასულ ელენე ბატონიშვილზე. ჰყავდა ერთი ვაჟი დავითი, რომელიც გამეფების შემდეგ სოლომონ II-ედ იწოდა[164] და ერთი ასული მარიამ (იხ. ქვემოთ მარიამ III ბატონიშვილი).

არჩილი ცხოვრობდა როგორც „იმერელი თავადი" თავის მამულში (ზემო იმერეთს). მისი რეზიდენცია იყო საზანოსა და კაცხს. მისი აზნაურები იყვნენ მესხები, ავალიანები, ასათიანები[165].

არჩილის საუფლისწულოს გამოყოფა სოლომონ I-ის სურვილის წინააღმდეგ რთულ საშინაო და საგარეო პირობებში მოხდა[166]. ეს მოხდა უთუოდ იმ დროს, როცა მეფემ თავის მეტოქე ბიძაშვილი თეიმურაზი ციხეში გამოკეტა (1768 წ.) და თურქი აგრესორებისა და რაჭის ერისთავის როსტომის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდებოდა (1768—1769 წწ.). არჩილმა ამ ბრძოლაში სოლომონს დიდი სამსახური გაუწია[167]. ამ სამსახურის სანაცვლოდ, როგორც ჩანს, მეფემ მას საუფლისწულო გამოუყო, მაგრამ არჩილი ამით არ დაკმაყოფილდა. 1772 წელს მან მეფეს კვლავ მოსთხოვა მამულები და ციხეები. სოლომონმა გადაჭრით უარყო მისი მოთხოვნა. ამ ნიადაგზე მათ შორის ერთხანს მტრობა ჩამოვარდა. არჩილი საიდუმლოდ ახალციხის ფაშასა და დადიანს დაუკავშირდა: პირველს თურქეთის ქვეშევრდომობაში მიღე-

---

162 ქუთ. მუზ. საბ. № 157.

163 ქუთ. მუზ. საბ. № 775; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 80, № 85, გვ. 95—96, № 103, გვ. 104—105, № 114, გვ. 121, 122, 124, 125, № 132, 133, 136. 138; გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. V, (1928), ტფილისი, 1930, გვ. 189: Грамоты..., т. I, с. 361—362.

164 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 167; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 185.

165 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 167; ახალციხური ქრონიკები, გვ. 149. (1775 წლის 6 ოქტომბრის ქვეშ); ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, „რაინდები", მისივე წიგნში: მოთხრობები, ლეგენდები, ზღაპრები, საბლიტგამი, 1958, გვ. 140—141 (1779 წლის მიწურულს, რუხის ომის დროს გადმოცემით ამ ომის მონაწილე არჩილ ბატონიშვილის რაზმში არიან მისი აზნაურები: მესხები, ავალიანები, ასათიანები. იხ. იქვე).

166 ამ მხრივ საინტერესოა კაპიტან ლეოვის 1772 წლის ცნობები. იხ. Грамоты..., I, с. 361—362.

167 იხ. იქვე.

ბა სთხოვა, მეორეს თავის ერთგულება-მეგობრობა შესთავაზა. მაგრამ სოლომონმა გაიგო ეს და არჩილს თავის განზრახვაზე უარი ათქმევინა, თანაც ერთგულებაზე შემოიფიცა იგი[168]. მაგრამ თურქეთის ქვეშევრდომობაში შესვლის ცდა იოსებ კათალიკოსმა არ აპატია არჩილს და შეაჩვენა უფლისწული.

არჩილი გარდაიცვალა 1775 წლის 6 ოქტომბერს კაცხს. მოასვენეს გელათს 8 ოქტომბერს. მაგრამ ეკლესიაში „არ დაფლეს", რადგან, როგორც ითქვა, შეჩვენებული იყო კათალიკოსისაგან, ვითარცა „ურწმუნო". ამიტომ ნაცვლად ეკლესიისა დამარხულ იქნა „სანეხვეში"[169].

აღნიშნულ წელსვე (უთუოდ არჩილის სიკვდილის შემდეგ) არის შეწირული ჭელიშის უდაბნოს ეკლესიისათვის ვერცხლის ბარძიმი, რომლის მხედრულ წარწერაში შემწირველი ღვთისმშობელს არჩილ ბატონიშვილისათვის „დღესა მას საშინელსა განკითხვისასა" „წყალობით მოხედვას" თხოვს[170].

გ ი ო რ გ ი V ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე V-ის მეექვსე ვაჟი, ყველაზე უმცროსი ძმა მეფე სოლომონ I-ის, ნარინ-დავითის, იესეს (იოსების), ბაგრატის და არჩილ ბატონიშვილებისა[171]. ვხედავთ, მამასა და ძმებთან ერთად, 1748, 1749 წლების წყალობის წიგნებში[172].

დ ა ვ ი თ III[173] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი (შემდგომ მეფე დავით II), ძე გიორგი IV ბატონიშვილისა (იხ. ზემოთ), სოლომონ I-ის ბიძაშვილი[174]. დაიბადა 1755 წელს[175]. ბატონიშვილად იხსენიება 1774, 1784, 1791 წლების დოკუმენტებში[176].

---

168 Грамоты..., I, с. 361—363. შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 126.

169 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 8691; ახალციხური ქრონიკები, გვ. 149 (1775 წლის 6, 8 ოქტომბრის ქვეშ).

170 გ. ბ ო ბ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

171 ქუთ. მუზ. სამ. № 157.

172 იხ. იქვე, სამ. №№775, 161.

173 I დავით ბატონიშვილი იყო იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე, რომელიც იხსენიება 1510 წელს, მეორე — დავით (ნარინ-დავით) ალექსანდრე V-ის ვაჟი (იხ. ზემოთ).

174 იხ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

175 ბუტკოვის ცნობით, დავითი გამეფებისას — 1784 წელს 29 წლის ყოფილა, აქედან ცხადია, რომ იგი დაბადებულია 1755 წელს (იხ. П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. II, СПб., 1869, с. 136).

176 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, გვ. 216, № III; დას. საქ. საეკლ. სამ., II, გვ. 48—49, 81—82.

ბატონიშვილობაშიევ შეირთო ანა („ანახანუმ“, „ანნა მათევენა“) ორბელიან-ყაფლანიშვილის ასული[177]. ჰყავდა მასთან ერთი ვაჟი — კონსტანტინე (იხ. ქვემოთ კონსტანტინე II ბატონიშვილი) და სამი ასული — მზეხათუნ (II), ანასტასია და თამარი[178]. ჰყავდა აგრეთვე უკანონო შვილები — როსტომ (V) და ატატო (იხ. ქვემოთ).

დავითი თანაუგრძნობდა იმ შეთქმულებას, რომელიც სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოეწყო 1778 წელს სახლთუხუცეს დავით აბაშიძისა და თამაზ მესხის ინიციატივით. ამიტომ სოლომონმა ბატონიშვილი ერთხანს იმერეთიდან გააძევა და ერეკლე II-ს აფარებდა თავს. შემდგომ მეფემ შეირიგა უფლისწული, იმერეთში ცხოვრების ნება მისცა და საუფლისწულო მამულებიც დაუბრუნა მას[179].

დავითი იმერეთის მეფედ იჯდა 1784—1789 წლებში და მცირე ხნით 1790 წელსაც. სოლომონ II ტახტს ეცილებოდა შემდეგაც. მისგან დევნილი ახალციხის საფაშოში გადაიხვეწა. ახალციხეშივე გარდაიცვალა ყვავილით 1795 წლის 11 იანვარს ვინმე ქრისტესიას სახლში. ჩამოასვენეს იგი იმერეთს და დაკრძალეს ჯრუჭის მონასტერში[180].

ალექსანდრე II[181] ბატონიშვილი, სოლომონ I-ის ერთადერთი ვაჟიშვილი, ნაშობი მისი მეორე თანამეცხედრის დადიანის

---

177 დან. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 81; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 1280; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, ისტორიული დოკუმენტები, წ. I, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები, ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1953, გვ. 147, № 123, გვ. 152, № 126 (ქვემოთ: საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები გამომცემლის დაუსახელებლად).

178 **П. Гнилосаров, О паре Соломоне II и бывшем при нем управлении, Кавказский календарь, 1859, с. 428.**

179 შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის, 1784—1789 წწ., ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 81; მისივე, იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, ხელნაწ. ინსტ. მოამბე, III, 1961, გვ. 131—132; **П. Бутков, Материалы..., ч. II, с. 136.**

180 ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 185—187; ახალციხური ქრონიკები, გვ. 168, 175, 176 (1790 წლის 8, 19 სექტემბრის, 1794 წლის 30 სექტემბრისა და 1795 წლის 11 იანვრის ქვეშ). შდრ. შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1809 წლებში. ხელნაწ. ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962, გვ. 242, 246.

181 I ალექსანდრე ბატონიშვილი არის იმერთა მეფის გიორგი II-ის უფროსი შვილი ალექსანდრე, რომელიც ბატონიშვილობაშივე გარდაიცვალა 1558 წელს (იხ. ზემოთ).

ვიმეორებთ, სათვალავში არ შეგვაქვს ტახტის მემკვიდრე, ე. ი. სამეფო სახლის უფროსი შტოს წარმომადგენელი ამ სახელის ან სხვა სახელის მატარებელი მეფედ დასმული უფლისწულები.

ასულ მარიამ დედოფლისაგან 1760 წელს[182]. იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის შვილიშვილი, მარიამ II-ისა და დარეჯან II ბატონიშვილების (იხ. ქვემოთ) ძმა. პირველად იხსენიება აღნიშნული წლის 8 სექტემბერს მისი მამის წყალობის წიგნში[183]. ამის შემდეგ განუწყვეტლივ ვხედავთ მას სიკვდილამდე სხვადასხვა წყაროში.

გიულდენშტედტის დახასიათებით, ალექსანდრე „შავგვრემანი, ტანადი, მშვენიერი ყმაწვილი“ ყოფილა, „ძალიან ცოცხალი, სათნო და მოსიყვარულე სახის გამომეტყველებისა“[184]. მამას იგი თავის „ყველაზე უერთგულეს“ თავად გიორგი წულუკიძისათვის მიუბარებია: ის წვრთნიდა და დაყვებოდა ბატონიშვილს ყველგან[185].

მეტად მღელვარე და ტრეული იყო ალექსანდრეს პირადი ცხოვრება: ახალგაზრდა უფლისწულს გატაცებით უყვარდა ვინმე ყღენტის ქალი მარიამი, რომლის სილამაზით მოხიბლულს მისი ცოლად შერთვა უნდოდა და ჰყავდა კიდეც მასთან ერთი უკანონო შვილი გიორგი. მაგრამ სოლომონმა თურმე ძალით ჩამოაშორა ბატონიშვილი ამ ქალს. ქალმა „ეს ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა“[186]. ამის შემდეგ ალექსანდრეს პირველი კანონიერი ცოლი იყო ერეკლე II-ის ძის გიორგი ბატონიშვილის (შემდგომ ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII) ასული[187]. მასზე ალექსანდრე დაქორწინდა თბილისში 1777 წლის 3 იანვარს[188]. ეს ქალი მას იმერეთში არ ჩამოუყვანია. თავად კი „დაქორწინებული“ მოვიდა ქუთაისს იმავე წლის 19 იანვარს[189] და აქ ამ ქალის სიცოცხლეში, აღნიშნულ წელსვე თუ მომდევნო 1778 წლის დამდეგს „შეირთო ცოლად ასული ევგენი აბაშიძისა“[190].

უკანასკნელი წლის აპრილში ალექსანდრემ მონაწილეობა მიიღო თავის მამის სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოწყობილ თავადურ შე-

---

182 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 205.

183 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, გვ. 169—170, № 2.

184 გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. III, 205.

185 იხ. იქვე, გვ. 111.

186 Н. Д у б р о в и н, История войны и владычества русских на Кавказе, т. III, СПб., 1886, с. 464 — 466; შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789 — 1802 წლებში, ხელნაწ. ინსტ. მოამბე. IV, 1962, გვ. 251.

187 სახელი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ იხსენიება.

188 იხ. ახალციხური ქრონიკები, გვ. 153 (1777 წლის 3 იანვრის ქვეშ).

189 იხ. იქვე, 1777 წლის 19 იანვრის ქვეშ.

190 მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა..., გამოც. მ. ჯანაშვილისა, ტფილისი, 1905 (ყდაზე — 1906), გვ. 27.

თქმულებაში, რომლის ინიციატორები, როგორც ზემოთ აღინიშნა, იყვნენ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, თამაზ მესხი და რომელშიც ერია აგრეთვე ალექსანდრეს სიმამრი ქართველი ევგენ აბაშიძე და სხვები. შეთქმულების საბაბი იყო სოლომონის შეუღლება ქაჯაიას ქვრივ წულუკიძის ასულ გულქანთან, რაც მოხდა უფლისწულის დედის მარიამ დედოფლის გარდაცვალებისთანავე 1778 წელს. ამის შემდეგ „ალექსანდრე ქვემხედველ ექმნა“ თურმე მამას „დედინაცვლის უგვარობისათვის“[191].

შეთქმულების დამარცხების შემდეგ დასახელებულ წელსვე ალექსანდრე იმერეთიდან გაიქცა და ერეკლე II-ეს მიანდო. ერეკლემ შეარიგა იგი სოლომონს და იმერეთში დააბრუნა. თავადების გავლენის ქვეშ მოქცეული ურჩი უფლისწული მეფემ იმით დასაჯა, რომ გაყარა აჯანყების მონაწილე ევგენ აბაშიძის ქალს და 1779 წელს მესამეჯერ დააქორწინა თავის ერთგულ თავად ბერი წულუკიძის ასულ დარეჯანთან[192]. თვით სოლომონის მესამე ცოლი გულქანი იყო აგრეთვე ბერი წულუკიძის და.

„განტევებისათვის ცოლისა და უჯეროისა ქორწინებისათვის“ ბატონიშვილი ეკლესიამ შეაჩვენა („კრულ ჰყო“)[193]. ამის შემდგომ ალექსანდრეს დიდხანს არ უცოცხლია. გარდაიცვალა იგი 1780 წლის ოქტომბერს[194]. სოლომონ I-ს უნდოდა შვილი შესაფერი პატივით დაეკრძალა ეკლესიის შიგნით, მაგრამ „სამღვდელოთა კრებათა არა აუფლეს მეფესა“ ნაკურთხი მიწა, რადგან უფლისწული, როგორც ითქვა, ეკლესიისგან შეჩვენებული იყო. მხოლოდ „ერთისა მღვდლისა წინ გაძღოლითა დაფლეს იგი გარეგან ეკლესიისა“ გელათს[195].

დ ა ვ ი თ IV ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი (გამეფების შემდგომ სოლომონ II). არჩილ II ბატონიშვილის ძე, სოლომონ I-ის ძმისწული, ერეკლე

---

191 იხ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 241, კომენტარები 441, 442; იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 28, 1950, გვ. 87.

192 იხ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის..., გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 26—27; იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 86—87; შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, ხელნაწ. ინსტ. მოამბე, III, 1961, გვ. 131—132.

193 ხელნაწ. ინსტ., ფ.IId, № 8691; მასალები საქართველოს ისტორიისათვის.., გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 27.

194 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, თბ., 1957, გვ. 146 (მინაწერი 3).

195 მასალები საქართველოს ისტორიისათვის..., გამოც. მ. ჯანაშვილისა გვ. 27.

მეორის შვილიშვილი. დაიბადა 1772 წელს[196]. სამი წლისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა (იხ. ზემოთ არჩილ II ბატონიშვილი). რამდენიმე ხნის შემდგომ დედა მეორედ გათხოვდა ჭიზიყის მოურავ ანდრონიკაშვილზე და პატარა დავითი იზრდებოდა მასთან ქართლ-კახეთის სამეფოში გაიოზ არქიმანდრიტის ზედამხედველობით[197].

1784 წელს 12 წლის ბატონიშვილი იმერეთში დაბრუნდა. იმერთა მეფემ დავით გიორგის ძემ აქ მას საუფლისწულო გამოუყო კაცხსა და მის მიდამოებში (ზემო იმერეთს). მას, ჯერ კიდევ მცირეწლოვანს, აღმზრდელ-მზრუნველად დაენიშნა თავადი ბეჟან ავალიშვილი, რომელსაც დავითი შემდგომ, მეფობაშიც ყოველთვის ბიძიას ეძახდა[198].

დავით არჩილის ძე, ვითარცა „ს(რულია)დ ლიხთ-იმერეთის უფლისწული“ პირველად, თუ არ ვცდებით, 1786 წლის I ოქტომბრის დოკუმენტში იხსენიება[199].

1789 წელს იგი კაცია II დადიანის ასულსა და გრიგოლ დადიანის დაზე — მარიამზე დაქორწინდა. ეს მოხდა ლეჩხუმში, დადიანთა „სასახლესა მურს“. აქ „უკურთხეს გვირგვინი და ქნეს ქორწილი“[200]. ეს ქორწინება იყო დავითის გამეფების გარანტია: დადიანის დახმარებით დავითმა დაამარცხა მეფე დავით გიორგის ძე „მათხოჯის ქვეშ“ ბრძოლაში, საიდანაც იგი ახალციხეში ივლტოდა, ხოლო დავით ბატონიშვილი აღნიშნული წლის II ივლისს იმერეთის მეფედ გამოაცხადეს.

---

196 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1, 167, 203, 205. გიულდენშტედტი 1772 წელს „ცოცხლად“ მყოფ იმერეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებს შორის ასახელებს „თავად არჩილის ვაჟს“, ე. ი. დავითს (იხ. იქვე, გვ. 205), რაც უთუოდ მის დაბადების აღნიშნულ წელს გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში ასე გვესმის გერმანელი მოგზაურის ეს ცნობა ჩვენ და ასევე ესმის იმერეთის ისტორიის ცნობილ მკვლევარს შ. ბურჯანაძესაც (იხ. მისი, იმერეთის საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში, ხელნაწ. ინსტ. მოამე, IV, 1962, 237).

ერთი რუსული წყარო დავით არჩილის ძის დაბადებას 1773 წლის ქვეშ უჩვენებს (იხ. Н. К. Имеретинский, Багратиды в России, ч. II. Имеретия, СПб., 1885 (ხელნაწერი), ხელნაწ. ინსტ., ფ. Ros № 736, გვ. 45, სქოლიო) ქვემოთ: Багратиды в России ავტორის დაუსახელებლად). მაგრამ ეს ცნობა მცდარია, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, გიულდენშტედტის იმერეთში ყოფნის დროს—1772 წელს დავითი უკვე დაბადებული იყო.

197 Грамоты..., Т. II, вып. II, под ред. А. А. Цагарели, СПб., 1909, с. 72; შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში, ხელნაწ. ინსტ. მოამბე, IV, 1962, გვ. 237.

198 А. Е. Соколов, Путешествие мое в Имеретию..., М., 1874, с. 35; შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 237

199 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2623.

200 ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

სოლომონ II-ს სახელით[201]. ეს სახელი მას სოლომონ I-ის პატივსაცემად შეარქვეს[202].

სოლომონ II იმ პერიოდში მეფობდა (1789—1810 წწ.), როცა იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების საკითხი წყდებოდა. იგი რუსეთთან კავშირის მომხრე იყო, მაგრამ მხოლოდ 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე, ე. ი. შინაგანი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. მეფის რუსეთის მთავრობა ამას არ ჯერდებოდა. მას იმერეთის სამეფოს გაუქმება და იქ უშუალოდ რუსული მმართველობის დამყარება უნდოდა. სოლომონი სწორედ ამის წინააღმდეგ იბრძოდა და ამ ბრძოლას შეეწირა იგი.

1810 წლის 21 თებერვალს იმპერატორის სახელით ქუთაისში გამოცხადდა საქართველოს მთავარსარდლის გენერალ ტორმასოვის ბრძანება სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენებისა და იმერეთში რუსული მმართველობის დამყარების შესახებ[203].

რუსთა რაზმებისაგან დევნილ-შევიწროვებული მეფე ახლა ტორმასოვთან მოსალაპარაკებლად მის შიერ საგანგებოდ მოვლენილმა მოხელემ მოგილევსკიმ და იმერეთის მმართველმა სიმონოვიჩმა მთავარსარდალთან შეხვედრაზე დაითანხმეს. სოლომონმა საჯაროდ ფიცი ჩამოართვა მათ, რომ არ შეიპყრობდნენ, მეფური პატივით მიიღებდნენ და ტორმასოვთან ქართლის საზღვარზე მოლაპარაკების შემდეგ ამავე პატივით უკან გამოისტუმრებდნენ. აღნიშნული წლის მარტის შიწურულს მეფე მრავალრიცხოვანი ამალით ქართლს გაემგზავრა. ტორმასოვმა ანგარიში არ გაუწია დადებულ ფიცს. მეფე სოფ. დირბში დააპატიმრეს და ასე ჩაიყვანეს თბილისში იმავე წლის 1 აპრილს[204]. აქედან მას რუსეთში გადასახლებას უპირებდნენ და „დაუყენეს ყარაულნი, რათა არა ივლტოდეს სადმე“[205].

ამ გაწსაცდელისგან მეფე შისმა ერთგულმა თავადებმა იხსნეს. სარდალ ქაიხოსრო წერეთლის ინიციატივით მოეწყო მეფის გაპარვა

---

201 ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 185.

202 ს. კაკაბაძე. საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფილისი, 1922, გვ. 231.

203 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, под ред. А. П. Берже, том IV, Тифлис, 1870, с. 233 (ქვემოთ: Акты...); მ ა მ ი ა დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში..., თბ., 1957, გვ. 191.

204 Акты, Т. IV, с. 248 — 250; დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა გვ. 104; მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ, გვ. 192.

205 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 201; დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 104.

თბილისიდან ახალციხის საფაშოში (1810 წლის 10 მაისს) და იმერეთის აჯანყება მეფის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ამავე წლის ზაფხულში. მაგრამ აჯანყება მარცხით დამთავრდა. სოლომონი ოსმალეთს გადაიხვეწა. მას თან გაყვნენ ემიგრაციაში და სიკვდილამდე ახლდნენ მისთვის თავდადებული თავადები. ქაიხოსრო, როსტომ, ბერი, სვიმონ, კიდევ სვიმონ წერეთლები, როსტომ ნიჟარაძე და სხვები[206]. თურქეთს შეხიზნული მეფის ადგილსამყოფი ხან ახალციხე იყო, ხან არზრუმ-ბაიბურთი და ტრაპიზონი[207]

დამარცხების შემდეგაც არ შეუწყვეტია სოლომონ II-ს იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლა. მან სცადა კავშირის დამყარება საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტთან, „რომელიც თავის მხრივ რუსეთის საწინააღმდეგო ძალებს ეძებდა ახლო და შუა აღმოსავლეთში“[208].

ამ მიზნით სოლომონმა 1810 წელსვე წარავლინა ახალციხიდან კონსტანტინოპოლში თავისი ელჩი სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, რომელიც თან ახლდა მას ემიგრაციაში. ქაიხოსრომ თურქეთში საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულს გადასცა სოლომონის წერილი ნაპოლეონისადმი (1810 წლის 21 ოქტომბრის თარიღით), რომლითაც მას მეფე თხოვდა რუსთაგან „განთავისუფლებას... ძალითა ანუ მშვიდობითა“ და მფარველობაში მიღებას[209]. მაგრამ მეფის ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

მრავალტანჯული მეფე სოლომონ II გარდაიცვალა 42 წლის ასაკში, 1815 წლის 7 თებერვალს ტრაპიზონს. დასაფლავებულია იქვე წმ. გრიგოლის სახელობის მართლმადიდებელ ბერძენთა ყოფილ კათედრალური ტაძრის ეზოში[210]. საფლავზე აგებული იყო არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული ეკვდერი[211]. ეს ეკვდერი საგანგებოდ დაათვა-

---

206 იხ. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, გვ. 126 (ქვემოთ: ნარკვევები...).

სოლომონ II-ს თან ახლდა აგრეთვე თავის „მოძღვარი-მღვდელი“ იესე ყანჩაშვილი (იხ. Акты, т. V, с. IV).

207 იხ. მ. გონიკიშვილი, იმერეთი XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979, გვ. 196 (სქოლიო).

208 იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 15.

209 იქვე, გვ. 32; ო. სოსელია, ნარკვევები..., II, გვ. 127.

210 Акты, т. V, с. III—IV; მ. გონიკიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 199, შენიშვნა 189.

211 ტრაპიზონში ამჟამად არც წმ. გრიგოლის ტაძარი არსებობს და არც სოლომონის ეკვდერი. ორივე ერთად დაანგრიეს თურქებმა 1922 წლის ახლო ხანს (იხ. მ. გონიკიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 200 (სქოლიო). უფრო დაწვრილებით

ლიერა 1912 წელს ტრაპიზონში ჩასულმა პ. შუბინსკიმ. მანვე აღწერა იგი, გადაიღო ფოტოსურათიც და ყოველივე ერთად გამოაქვეყნა მომდევნო წელს[212].

სოლომონის ეკვდერს სანამ თურქები დაანგრევდნენ (იხ. აქვე შენიშვნა 211), ჰქონდა შემდეგი ქართული წარწერები:

„განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისცა ვითხოვ შენდობასა. თებერვლის ზ (7, ო. ს.) ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე“ (1815).

ქვემოთ ნუსხა-ხუცური დამწერლობით:

„საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა; სრცხუენოდენ და კდემებოდენ, რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა“.

„მომიხსენეთ, მე, ძმანო საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ“.

ძეგლს შიგნით, საფლავის ქვაზე მხედრულით:

„საფლავსა ამას შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ. წელი ჩყიე“ (1815)[213].

სოლომონ II-ის ტყვეობიდან გაქცევისა და ახალციხის საფაშოში გადასვლისთანავე (1810 წლის 10 მაისი) მისი თანამეცხედრე მარიამ დედოფალი და აგრეთვე და მარიამი დააპატიმრა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ფოთის ციხეში მოათავსა, რომ მიწერ-მოწერა არ ჰქონოდათ თურქეთში გაქცეულ მეფესთან. ხოლო 1811 წლიდან ორივე გადაიყვანეს და „დაასადგურეს ვორონეჟის ქალაქსა პყრობილად“[214].

სოლომონ II-ის ეკვდერის შესახებ იხ. მ. გ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი: „იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ეკვდერი ტრაპიზონში“, „ძეგლის მეგობარი“, № 36, 1974, გვ. 68—71).

212 იხ. **П. Шубинский, Гробница имеретинского царя Соломона в Трапезунде, Исторический вестник, I, CXXXII (апрель), 1913.** ამ ნაშრომში ჩართული სოლომონ მეფის ეკვდრის ფოტოს პირი გადმოღებული და გამოქვეყნებული აქვს მ. გონიკიშვილს (იხ. მისი, იმერეთი XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 198; მ ი ს ი ვ ე, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ეკვდერი ტრაპიზონში, „ძეგლის მეგობარი“, № 36, 1974, გვ. 69).

213 **იხ. Акты, т. V, с. III — IV;** პ. შ უ ბ ი ნ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 275—282; მ. გ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი, იმერეთი..., გვ. 199, შენიშვნა 189; მ ი ს ი ვ ე. იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ეკვდერი ტრაპიზონში „ძეგლის მეგობარი“, № 36, 1974, გვ. 70.

214 დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 37, 112; მ. გ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი, იმერეთი..., გვ. 196—197.

აქედან შემდგომ დედოფალი მოსკოვს წაიყვანეს და ერთხანს იქ ცხოვრობდა.

შეიტყო თუ არა დედოფალმა სოლომონის სიკვდილი, იმავე 1815 წელს თხოვნით მიმართა იმერეთის მმართველს გენერალ სიმონოვიჩს, რომ დაეკმაყოფილებინა მისი „უკანასკნელი თხოვნა“, ნება მიეცა მისთვის სამშობლოში ჩამოსვლისა, რათა „უდანაშაულო“ მეფის ნეშტი ტრაპიზონიდან, თავის ხარჯით, ჩამოესვენებინა იმერეთში და აქ გელათის მიწისთვის მიებარებინა[215]. მაგრამ ამაზე მას უარი განუცხადეს. ამასობაში დედოფალი 1817 წელს მოსკოვიდან პეტერბურგს გადაიყვანეს, სადაც დარჩა სიკვდილამდე. გარდაიცვალა იგი 1841 წლის 18 მარტს. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში[216].

მეფის და მარიამ კი, მისივე თხოვნით, ვორონეჟიდან საქართველოში დაბრუნდა (იხ. ქვემოთ, მარიამ III ბატონიშვილი).

გ ი ო რ გ ი VI ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, სოლომონ I-ის შვილიშვილი და ნაშვილები, მისი ძის ალექსანდრე II ბატონიშვილის უკანონო შვილი, დაბადებული 1778 წელს აზნაურ ჟღენტის ქალის მარიამისაგან, გაზრდილი სოლომონ I-ის თანამეცხედრის გულქან დედოფლის მიერ. ცოლად ყავდა გურიის ერისთავის როსტომის ასული, ეფთვიმე გენათელ ეპისკოპოზის ძმისწული დარეჯან[217].

იხსენიება 1796, 1806, 1807 წლებში[218].

1797—1806 წლებში გიორგი ბატონიშვილი, როგორც ტახტის პრეტენდენტი[219], სოლომონ II-ს მუხურის ციხეში ყავდა დამწყვდეული. 1806 წელს (9 წლის პატიმრობის შემდგომ) ანდრია ბუცხრიკიძემ „შეჩენითა რუსთა“ უფლისწული ციხიდან გამოიპარა და მიჰგვარა მათ „მდგომთ ქუთაისს“. აქედან იგი გაგზავნეს თბილისში გრაფ

---

[215] Акты, т. V, с. 486—487.

[216] იხ. Багратиды в России, с. 47; Акты, т. IV, с. 331, 338, 340; მ. გ ო ნ ი ა ე ბ ი შ ვ ი ლ ი, იმერეთი..., გვ. 197

[217] იხ. ხელნაწ. ინ-ტ., ფ. Hd, № 8691; იქვე. ფ. Qd, № 8611; ს ს ს ი ა. ფ. 226 (1), № 3226; Н. Д у б р о в и н, История войны..., III, с. 466; Акты, III, с. 127; პ. გ ნ ი ლ ო ს ა ბ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 427; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980, გვ. 171—172, 191—192 (ქვემოთ: მასალები); შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში, ხელნაწ. ინსტ. მოამბე, IV, 1962, გვ. 251.

[218] დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 66—67, 99.

[219] ეფთვიმე გენათელსა და იმერეთის ზოგ სხვა თავადს სოლომონ II-ის ტახტიდან ჩამოგდება და გიორგი ბატონიშვილის გამეფება უნდოდათ. შეითქვნენ კიდეც ისინი 1796 ან 1797 წელს, მაგრამ სოლომონმა შეთქმულება ჩააქრო თავის

გუდოვიჩთან, ხოლო უკანასკნელმა იგი 1807 წელს „წარავლინა როსიად“[220].

გიორგი გარდაიცვალა ამავე წლის 20 ნოემბერს ყვავილით პეტერბურგს. დასაფლავებულია იქვე, ნეველის ლავრაში[221]. მას დარჩა ორი ვაჟი — ალექსანდრე და დიმიტრი. გიორგის ქვრივი დარეჯანი 1811 წელს თავის შვილებით პეტერბურგს გაგზავნეს. რუსეთში დარეჯანი „იწოდებოდა დედოფლად“ („ცარევნა“). გარდაიცვალა იგი 1816 წელს, დაკრძალულია პეტერბურგს[222].

გიორგის მემკვიდრეებმა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ნებისამებრ გვარად ბაგრატიონ-იმერეტინსკი მიიღეს[223]. ამიერიდან გიორგი VI ბატონიშვილის შტოს წარმომადგენლები თავად ბაგრატიონ-იმერეტინსკად იწოდებოდნენ.

დ ა ვ ი თ V ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ბაგრატ II ბატონიშვილის (მეფე ალექსანდრე V-ის ძის) ძე, სოლომონ I-ის ძმისწული. დაიბადა 1781 წელს[224]. ცხოვრობდა მუდმივად არგვეთში. ცოლად ყავდა ვახტანგ ერისთავის ასული დარეჯან. ამ დავითისაგან მომდინარეობენ „ბაგრატიონ-დავიდოვები“ („Багратион-Давидовы“).

დავითი იხსენიება 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყების მონაწილეთა შორის. მოკლულ იქნა ამ აჯანყების დროს, 1820 წელს. მისი ქონება სახაზინოდ გამოცხადდა[225]. დარჩა მას სამი ვაჟი — ბერი (ბერიკა), თეიმურაზ, ნიკოლოზ და სამი ასული — მარიამი, მზეხათუნ, კატერინა (იხ. ქვემოთ).

მ ა მ უ კ ა III ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ვისი შვილია არ ჩანს. ვხედავთ 1787, 1796 წლების საბუთებში[226]. სოლომონ II-ის თანამედროვეა და,

---

ერთგული თავადების დახმარებით (იხ. შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 250—251).

220 დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 99—100; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., გვ. 171—172, 191—192.

221 იხ. იქვე.

222 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 166—167; პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 427; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., გვ. 171—172, 191.

223 პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 427; Багратиды в России, с. 66; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., გვ. 171—172, 191—192.

224 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 208; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., გვ. 202.

225 პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 427; Н. Б. Махарадзе, Восстание в Имерети 1819 — 1820 гг., Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. III, 1942, с. 155.

226 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 5087; ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორო მოამბე, 5, 1950, გვ. 240, № 4.

მასთან კარგად განწყობილებაშია. მეფე მას „საყვარელ ძმას“ ეძახის. უკანასკნელ წელს აძლევს მას „გიორგი აბაშიძის შვილის ბერიჟასოულ... სასახლეს და მის საწილო... ყოვლისფერს“, წყალფოხეთს და საზანოს კიდევ — ორ კომლ კაცს: გურულსა და ჭუმბურიძეს, ვარდისგორას — აგრეთვე ორ კომლ კაცს შეყრილაძეს[227].

კონსტანტინე II ბატონიშვილი („ცარევიჩი“) პირმშო შვილი მეფის დავით II გიორგის ძისა და ანა დედოფლისა, დაიბადა 1789 წლის 4 ივლისს[228]. გვხვდება სხვადასხვა წყაროში 1790, 1791, 1792, 1803, 1805, 1807, 1808, 1809, 1810, 1814, 1816, 1819, 1821, 1824, 1825 წლებში[229] და შემდეგაც სიკვდილამდე (იხ. ქვემოთ).

ჰყავდა სამი კანონიერი და: მზეხათუნ, ანასტასია, თამარი. ერთიც უკანონო — ატატო (იხ. ქვემოთ) და ერთი უკანონო ძმაც — როსტომი (იხ. ქვემოთ როსტომ V), რომელიც აგრეთვე ბატონიშვილად იწოდებოდა. მას კონსტანტინეს კარზე სახლთუხუცესის სახელო ეჭირა[230].

1792—1803 წლებში კონსტანტინე ბატონიშვილი სოლომონ II-ს მუხურის ციხეში (რაჭას) ჰყავდა ჩაკეტილი[231]. სამი წლის ყოფილა კონსტანტინე, როცა მამამ იგი ერთგულების საწინდრად სოლომონს მისცა და დავითის მიერ კვლავ მეფობის ხელყოფის გამო სოლომონმა უფლისწული ციხეში ჩასვა. ამით მან დავითის მომხრე თავადებს იმერეთის ტახტის კანონიერი პრეტენდენტი ჩამოაშორა.

---

227 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 5087.

228 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. II. თბ., 1958, გვ. 337; შდრ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 63.

კონსტანტინე ბატონიშვილის დაბადების თარიღად ვ. ბერძნიშვილი 1793 წელს უჩვენებს (იხ. მისი, მასალები..., II, თბ., 1983, გვ. 70).

229 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ; Hd, № 1280, 6044, 8382, 11579; ქუთ. მუზ. საბ., № 115, 145, 881; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 99, 159; ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილ დედოფლის ანას მიმართ..., ს. კაკაბაძის პუბლიკაცია, მისივე რედაქციით (ხელნაწერის ეფლებით), თბ., 1959, გვ. 2—3, 5—6, 11—12, 19, 21, 23—24, 27—28, 45, 52, 61—62, 67, 69, 72, 74, 83—84; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 63; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 118, № 100.

230 ქუთ. მუზ. საბ. № 115, 644; Багратиды в России, с. 47 (სქოლიო); ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში; თბ., 1960, გვ. 58, № 64.

231 Акты, т. II, с. 348 — 349, 701; Багратиды в России, с. 48; პ. გნილოსარავი, დასახ. ნაშრ., გვ. 428; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 63, 81—82.

1803 წელს რუსეთის მთავრობის მოთხოვნით სოლომონმა გაათავისუფლა კონსტანტინე პატიმრობიდან და მომდევნო წლის 7 მაისს იგი იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ცნო[232]. ამისათვის რუსთ ხელმწიფემ სოლომონს ალმასებით შემკული ალექსანდრე ნეველის ორდენი უბოძა[233].

რუსეთის მთავრობა კონსტანტინეს განთავისუფლებით იმიტომ იყო დაინტერესებული, რომ უფლისწული საჭირო შემთხვევაში „ძლიერი რუსეთის ხელში იქნებოდა მრისხანე ძალა, რომელიც სოლომონ II-ეს ტახტს დააკარგვინებდა“[234].

1803 წელს კონსტანტინე ბრონევსკიმ თბილისს ჩამოიყვანა, საიდანაც იგი რუსეთს უნდა გაეგზავნათ. დრომდე კი ციციანოვმა ბატონიშვილი მის ბიძას — თამაზ ორბელიანს ჩააბარა. ხოლო საზაფხულოდ კონსტანტინე სოფ. ლამისყანას გაუშვეს[235]. აქედან ის 1804 წლის 12 ივნისს, როგორც ერთ წყაროშია ნათქვამი, „ახალგაზრდა. მგზნებარე, სამშობლოს სიყვარულით გატაცებული, გამოიქცა“ და „თავის ოდინდელ მტერს, მისი მამის დამღუპველ“ სოლომონ II-ეს მიენდო[236].

ბოლოს, როცა იმერეთის სამეფოს გაუქმება გარდაუვალი გახდა, ანა დედოფლისა და რუს მოხელეთა ზემოქმედებით კონსტანტინე 1809 წელს თბილისში გამოცხადდა და რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე ფიცი მიიღო[237]. 1810 წელს კი, იმერეთის აჯანყებისა და სოლომონის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ, იგი დედასთან ერთად გაგზავნეს პეტერბურგს[238]. დედა და შვილი ერთხანს იქ ცხოვრობდნენ, შემდეგ დამკვიდრდნენ მოსკოვში.

ანა დედოფალს ჯერ კიდევ 1809 წელს დაენიშნა პენსია 10.000

---

232 იხ. Багратиды в России, с. 48; პ. გნილოსარეი, დასახ. ნაშრ., გვ. 428; მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II, 1983, გვ. 70—71, მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო..., გვ. 159—160.

233 მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II, 1983, გვ. 71.

234 მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო..., გვ. 159.

235 მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II, 1983, გვ. 70—71.

236 Багратиды в России, с. 49—50.

კონსტანტინე ბატონიშვილის საქმეში რუსეთის მთავრობის ჩარევის, მის განთავისუფლებაზე სოლომონ II-ის თანხმობის, მიზეზებსა და მიზნების შესახებ ვრცლად იხ. მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159—160, იხ. აგრეთვე, Акты, II, с. 379 (კონსტანტინეს წერილი პ. ციციანოვს).

237 Багратиды в России, с. 49.

238 პ. გნილოსარეი, დასახ. ნაშრ., გვ. 428, Багратиды в России, с. 49.

მანეთი წლიურად. გარდაიცვალა ის მოსკოვს 1832 წლის 4 ივნისს 62 წლის ასაკში. დაკრძალულია დონის მონასტერში[239].

კონსტანტინესაც ეძლეოდა პენსია ჯერ (1810 წლიდან) 6000 მანეთი ასიგნაციით, ხოლო 1812 წლიდან — 10.000 მანეთი[240]. მაგრამ დედის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე ძალზე ღარიბულად ცხოვრობდა. იგი ვალებიდან ვერ გამოდიოდა. ამას ყურადღება მიაქცია მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა სერგი სტროგანოვმა. მისი წყალობით უფლისწულის გასაჭირი იმპერატორს მოხსენდა. მან კონსტანტინეს, მისი შვილებისა და საერთოდ ბაგრატიონების მდგომარეობა მნიშვნელოვნად „შეამსუბუქა"[241].

კონსტანტინე ბატონიშვილმა რუსეთში სამხედრო განათლება მიიღო. ხელმწიფის კარზე იგი დიდი პატივით სარგებლობდა. იმპერატორის საზეიმო გამოსვლებში მის კორტეჟში კონსტანტინეს ოლდენბურგის პრინცების შემდეგ ეჭირა ადგილი. უფლისწული ჩარიცხული იყო კაზაკთა ლეიბ გვარდიის პოლკში როტმისტრად, ითვლებოდა ფლიგელ-ადიუტანტად და, ისე როგორც სხვა უფლისწულებს, მასაც ჰქონდა ანას პირველი ხარისხის ორდენი[242].

მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1812 წლის სამამულო ომში. ბოროდინოსთან თავგანწირული ბრძოლით დიდად ისახელა თავი და მიიღო „Владимир с бантом"[243].

კონსტანტინე იყო შესანიშნავი გარეგნობის: მაღალი, ტანადი, კუპრივით შავი ხვეული თმა, სწორი სახე, თლილი ნაკვთები ვაჟკაცური სილამაზით, დიდი მეტყველი შავი თვალები, პატარა ბაკენბარდები და იმდროინდელი მოდის მიხედვით ზევით აგრეხილი ულვაშები... ამასთან იგი იყო იშვიათი მხედარი და მამაცი მეომარი[244].

კონსტანტინეს პირველი ცოლი იყო „დიდებული თავადის" გიორგი აბაშიძის ასული ანასტასია[245]. ეს ქალი მას სოლომონ II-ემ შერთო, როცა კონსტანტინე ჯერ კიდევ 12 წლისა იყო. ჯვარი დასწერეს ვახანის ეკლესიაში. ჰყავდათ ორი ვაჟი — დავითი და გიორგი[246]. რუ-

---

239 Багратиды в России, с. 49, 54.

240 ვ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., II, 1983, გვ. 71.

241 Багратиды в России, с. 72—73.

242 იხ. იქვე, გვ. 55.

243 იქვე, გვ. 56.

244 იქვე, გვ. 56—57.

245 იხ. ქუთ. მუზ. საბ., № 115, 164, შდრ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1688.

246 Багратиды в России, с. 58; ო. ს ო ს ე ლ ი ა, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 57—58, № 64.

სეთში წასვლისას უფლისწულმა ცოლ-შვილი საქართველოში დატოვა, რადგან ცოლთან უკმაყოფილება ჰქონდა. იგი განქორწინების ნებას ითხოვდა, მაგრამ უარი ეთქვა[247].

ანასტასია რუსეთის მთავრობას ქმართან ჩასვლის ნებართვას თხოვდა. ამის ნება მიეცა მას 1814 წლის 14 მარტს. აღნიშნულ წელსვე იგი ერთი ვაჟით — გიორგით ჩავიდა პეტერბურგს. მეორე შვილი — დავითი თბილისში ყოფნის დროს, 1810—1814 წლებში მოუკვდა. თვით ანასტასია გარდაიცვალა 1831 წლის 15 სექტემბერს[248]. მისი სიკვდილის შემდეგ კონსტანტინემ შეირთო მეორე ცოლი — პორტუგალიის გენერალური კონსულის დენის ლოპესის ასული ანა. მასთანაც ჰყავდა ორი ვაჟი — კონსტანტინე და ნიკოლოზი[249]. ბოლოს, მესამედ კიდევ ერთხელ დაქორწინდა კონსტანტინე ეკატერინე სერგის ასულ სტრახოვასთან, რომელთანაც შეეძინა ერთი ვაჟი — ალექსანდრე[250].

XIX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს კონსტანტინე ბატონიშვილი მეთაურობდა არმიის ბრიგადას. შემდგომ იყო კავალერიაში. აღნიშნული საუკუნის 30-იან წლებში გადადგა სამსახურიდან გენერალ-მაიორის ჩინით. გარდაიცვალა იგი 1844 წლის 3 მაისს მოსკოვში. დასაფლავებულია მირქმის ეკლესიაში[251].

კონსტანტინეს მემკვიდრეები იყვნენ პირველნი, რომელნიც, რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტის 1833 წლის 1 აპრილის დადგენილებით, თავად იმერეტინსკებად იწოდებოდნენ. მათ ჰქონდათ ტიტული „უგანათლებულესი თავადისა“ („Светлейший князь Имеретинский“). თვით კონსტანტინე კი, როგორც მეფის შვილი, ინარჩუნებდა ბატონიშვილის (Царевич) ტიტულს.[252] ხოლო სოლომონ I-ის შვილიშვილის გიორგი VI ბატონიშვილის შტო, როგორც ზემოთ ითქვა, თავად

---

247 პ. გ ნ ი ლ ო ს ა ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 428.

248 იხ. Акты, т. V, с. 472 — 473; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., II. 1983, გვ. 71.

249 Багратиды в России, с. 58; პ. გ ნ ი ლ ო ს ა ო ვ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 428.

250 Багратиды в России, с. 58.

251 იხ. იქვე. ბ. ესაძის ნაშრომშიც (Летопись Грузии, в. I, Тифлис, 1913, с. 361) კონსტანტინეს გარდაცვალების თარიღად 1844 წლის 3 მაისია ნაჩვენები. ამ ნაშრომზე დაყრდნობით მის გარდაცვალებას მ. ბერძნიშვილიც 3 მაისის ქვეშ უჩვენებს (იხ. მისი, მასალები..., II, 1983, გვ. 71).

252 იხ. Багратиды в России, с. 58; მ. ბერძნიშვილი, მასალები... 1980, გვ. 171.

ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარს ატარებდა (князь Багратион-Имеретинский)*.

ალექსანდრე III ბატონიშვილი (შემდგომ ბაგრატიონ-იმერეტინსკი), გიორგი VI ბატონიშვილის (იხ. ზემოთ) ძე, ალექსანდრე II ბატონიშვილის შვილიშვილი, სოლომონ I-ის შვილიშვილის შვილი. დაიბადა 1796 წელს. ჰყავდა ერთი ძმა დიმიტრი. ორივეს ერთად ვხედავთ 1810 წლის 7 მაისის შეწირულების წიგნში[253].

ძმები ალექსანდრე და დიმიტრი, ვითარცა ტახტის მოსალოდნელი მეტოქეები, სოლომონ II-ს ციხეში ჰყავდა ჩაკეტილი. მაგრამ მათი ერთგული მსახურების — ივანე აბულაძისა და მათე ჩიტაუს („Читау?") დახმარებით ციხიდან გაიქცნენ[254] და შემდეგ დედასთან ერთად რუსეთში გაგზავნეს (იხ. ზემოთ გიორგი VI ბატონიშვილი). აქ ისინი იზრდებოდნენ პაჟთა კორპუსში. იქიდან ალექსანდრე გამოუშვეს „კორნეტად" და 1811 წელს ჩარიცხეს ლეიბგვარდიის ულანთა პოლკში. 1840-იან წლების დასაწყისში იგი უკვე გენერალ-ადიუტანტი იყო და მეთაურობდა კავალერიის დივიზიას. ცოლ-შვილი არ ჰყავდა[255]. მთელი თავისი ქონება (82. 738 მან.) მან „ანდერძით ძმისწულებსა და სხვა ნათესავებს დაუტოვა"; ქონების ნაწილიდან კი 1308 მან. შეწირა „იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის ტაძარს თავისიანების მოსახსენიებლად (სოლომონ I-ის, მისი ცოლის გულქანის, ვაჟის ალექსანდრეს, შვილიშვილის გიორგის და გიორგის შვილების)". 300 მან. მოწამეთას — დავით და კონსტანტინეს მონასტერს მიართვა; 1750 მან. ქუთაისის ციხეში ვალებისათვის დაპატიმრებულთა გამოსასყიდად განაწესა[256].

ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი გარდაიცვალა 1862 წელს. დაკრძალულია ლაზარევის სასაფლაოზე[257].

---

* ჩვენი ნაშრომი უკვე დაწერილი იყო, როცა გამოქვეყნდა მ. გონიკიშვილის წიგნი „ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში" („მეცნიერება", თბილისი, 1986). მასში ავტორი ვრცლად განიხილავს კონსტანტინე დავითის ძის, მისი მემკვიდრეებისა და იმერეთის ზოგი სხვა ბატონიშვილის მოღვაწეობას (იხ. 129—140, 232—264).

253 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 166—167: Багратиды в России, с. 61; მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

254 Багратиды в России, с. 60.

255 იხ. იქვე, გვ. 60—61, 63.

256 მ. ბერძნიშვილი, მასალები..., 1980, გვ. 172.

257 იქვე (ნ. იმერეტინსკის ცნობით, ეს ალექსანდრე დიმიტრის ძე გარდაცვალა 1881 წელს იტალიაში), იხ. მისი, Багратиды в России, с. 66. მაგრამ მ. ბერძნი-

როსტომ V ბატონიშვილი, უკანონო შვილი მეფე დავით II გიორგის ძისა, კონსტანტინე II ბატონიშვილის ძმა[258]. გვხვდება 1797, 1805, 1807, 1808, 1809, 1811, 1820 წლების დოკუმენტებში[259].

როსტომის თანამეცხედრე იყო მხეიძის ქალი ელისაბედი. ჰყავდა სამი ვაჟი — ვახტანგ (II), სიმონ, ტარიელ და სამი ასული — მზეხათუნ (III), ირინე და პახუა[260].

როსტომი, როგორც უკანონო შვილი, მამის მემკვიდრეობის უფლებას მოკლებული იყო[261]. იგი ვასალურად ემსახურებოდა თავის ძმას კონსტანტინეს. მის კარზე, როგორც ზემოთ ითქვა, სახლთუხუცესის თანამდებობა ეკავა[262].

როსტომ ბატონიშვილი მონაწილეობას ღებულობდა 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყებაში. უკანასკნელ წელს იგი დაპატიმრეს და ყარაულის ქვეშ იმყოფებოდა ქუთაისში[263]. აქედან, როგორც ჩანს, ის თურქეთში გაიქცა და იქ ჰაიდარბეგთა („Хайдар-бег") სახელგანთქმული თურქული გვარის მამამთავარი გახდა[264].

ვახტანგ II[265] ბატონიშვილი, მეფე დავით II გიორგის

შვილის ზემოდასახელებულ „მასალებში" მოტანილი ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს. იხ. გვ. 172.

258 იხ. სსცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № 241, ფურც. 172; Багратиды в России, с. 47 (სქოლიო).

259 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd № 6296, 8382; ქუთ. მუზ. საბ., № 115, 145, 881; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 153, 159; ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 158; ო. სოსელია, კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 57—58, № 64.

260 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 6001, 6296; ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122 (შენიშვნა I), 156, 158, შდრ. სსცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქ. № 241, ფურც. 271.

261 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გამოც. თინა ენუქიძისა, თბ., 1955, მუხ. 110.

262 ქუთ. მუზ. საბ., № 115, 644; ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 58, № 64.

263 ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

264 Багратиды в России, с. 47 (სქოლიო).

აღსანიშნავია, რომ ყოფილა კიდევ სხვა იმერელი ბაგრატიონი როსტომი, რომელიც თურმე 1829 წლის შემდეგ სოლომონ II-ის ქვრივ მარიამ დედოფლის კარზე ცხოვრობდა პეტერბურგში და სამშობლოში დაბრუნება ეკრძალებოდა (იხ. მ. ბერძნიშვილი, მასალები..., 1980, გვ. 171). მაგრამ ამ როსტომის შესახებ მ. ბერძნიშვილის დასახელებული „მასალების" მონაცემებს გარდა (იხ. იქვე) სხვა რაიმე დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

265 I ვახტანგ ბატონიშვილი არის მეფე ალექსანდრე II-ის ძე და მეფე ბაგრატ III-ის ძმა, რომელიც უკანასკნელად იხსენიება 1548—1561 წლებს შუა.

ძის შვილიშვილი, მისი უკანონო შვილის როსტომ V-ის (იხ. ზემოთ) ძე[266]. ჩანს 1797, 1819, 1820, 1822, 1835 წლებში[267].

ვახტანგის მეუღლე იყო ლორთქიფანიძის ქალი დონა. ჰყავდა ასული ანასტასია[268].

ვახტანგიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი ახალციხის საფაშოში გაიქცა. ლტოლვილ ბატონიშვილს რუსეთის მთავრობამ ყმა-მამული ჩამოართვა და სახაზინოდ ჩარიცხა[269]. ახალციხეში ვახტანგი შეხვდა აჯანყების მეთაურს — ივანე აბაშიძეს. „რომელიმე მიზეზისათვის“ მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. ვახტანგმა „შეუჩინა“ ივანეს კაცი და მოაკვლევინა იგი 1822 წელს[270].

ამის შემდგომ 1835 წელს ვახტანგი კონსტანტინოპოლშია. იქიდან თავის ძმასთან — ტარიელთან ერთად პარიზში წავიდა. მიწერ-მოწერა ჰქონდა აკად. მარი ბროსესთან, რომელიც მის პოლიტიკურ ზრახვებს თითქოს თანაუგრძნობდა[271].

ვახტანგს „სურდა საქართველოს გამოყვანა რუსეთის ცარიზმის ბატონობიდან“. ამაზე მას მიმოწერა ჰქონია აბას მირზასთან[272].

დ ი მ ი ტ რ ი I ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი (ბაგრატიონ-იმერეტინსკი), გიორგი VI ბატონიშვილის (იხ. ზემოთ) ძე, ალექსანდრე II ბატონიშვილის შვილიშვილი, სოლომონ I-ის შვილიშვილის შვილი, ალექსანდრე III ბატონიშვილის (იხ. ზემოთ) ძმა[273]. დაიბადა 1799 წელს[274] ვხედავთ ძმასთან ერთად, 1810 წლის 7 მაისის შეწირულების წიგნში[275].

1811 წლიდან იზრდებოდა პაჟთა კორპუსში. იყო ლეიბ-გვარდიის გროდნოს ულანთა პოლკის მეთაური. ჰქონდა გენერალ-მაიორის ჩინი. 1842 წელს დაქორწინდა გრაფ ვალერიან სტროინოვსკის ასულ ოლგაზე. ჰყავდა ორი ვაჟი — ალექსანდრე (IV) და დიმიტრი (II). ეს უკანასკნელი მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა და ახალგაზრდობაში გარ-

266 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6001, 6296; სსცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქ. № 241, ფურც. 271; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება გვ. 208.

267 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd №№ 6001, 2696; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 212; Акты, т. VIII, с. 962; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 147, 156.

268 იხ. ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

269 იქვე. იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 122 (შენიშვნიანად).

270 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

271 Акты, т. VIII, с. 962; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 122, შენიშვნა 1.

272 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 244—245, კომენტარი 510.

273 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 166—167.

274 იხ. მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., 1980, გვ. 172.

275 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 166—167.

დაიცვალა უცოლოდ[276]. თვით დიმიტრი I კი გარდაიცვალა 1844 წელს[277].

აღსანიშნავია ერთი ეპიზოდი დიმიტრი I-ის ცხოვრებიდან. ერთხელ, როცა დიდი თავადი („Великий [Князь“) მიხეილ პავლეს ძე დიმიტრის პოლკს ათვალიერებდა, არ მოეწონა და დაუყვირა მას: „Князь Багратион я у вас полк назад возьму“. დიმიტრიმ მკვახედ უპასუხა: „Не вы дали, не вы возьмёте“-ო. დიდი თავადი ასეთ პასუხს არ მოელოდა, უცბად მოლბა და ბაგრატიონს, მიმართა: „Полноте князь, я погорячился да и вы не остались в долг“. მოჰხვია ხელი დიმიტრის—შეგვიგდეთო! და ეს ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა*.

დავით VI ბატონიშვილი, კონსტანტინე II ბატონიშვილის („ცარევიჩ“) ძე, ნაშობი მისი პირველი ცოლის აბაშიძის ასულ ანასტასიასაგან, იმერთა მეფის დავით II გიორგის ძის შვილიშვილი, გიორგი VII ბატონიშვილის (იხ. ქვემოთ) ძმა. იხსენიება ძმასთან ერთად მისი დედის 1811 წლის შეწირულების წიგნში[278].

გიორგი VII ბატონიშვილი, კონსტანტინე II ბატონიშვილის ძე (შეეძინა მისი პირველი ცოლის ანასტასიასაგან), დავით VI ბატონიშვილის ძმა (იხ. ზემოთ). გვხვდება ძმასთან ერთად თავის დედის 1811 წლის შეწირულების წიგნში[279].

ტარიელ ბატონიშვილი, დავით II იმერთა მეფის შვილიშვილი, მისი უკანონო შვილის როსტომ V-ის ძე, ვახტანგ II ბატონიშვილის ძმა. ჩანს 1820, 1835 წლებში. ძმასთან (ვახტანგ II-სთან) ერთად მონაწილეობდა 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყებაში. მასთან ერთად გაიქცა ახალციხეში. 1835 წელს იმყოფებოდა კონსტანტინოპოლსა და პარიზში[280].

სიმონ ბატონიშვილი, მეფე დავით II გიორგის ძის შვილიშვილი, მისი უკანონო შვილის როსტომ V-ის ძე, ძმა ვახტანგ II-ის და ტარიელ ბატონიშვილებისა. ვხედავთ 1820 წელს[281].

---

276 Багратиды в России, с. 66. მ. ბერძნიშვილი, მასალები..., 1980, გვ. 172.

277 Багратиды в России, с. 65. დიმიტრი გიორგის ძის გარდაცვალება მ. ბერძნიშვილის ზემოდასახელებულ „მასალებში“ 1845 წლის ქვეშ არის ნაჩვენები (იხ. იქვე).

* Багратиды в России, с. 64.

278 ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., ტ. 57, № 64.

279 იხ. იქვე.

280 იხ. ხსენია, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქ. № 241, ფურც. 271; ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122 (შენიშვნა I), 156.

281 ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

თ ე ი მ ურ ა ზ III ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დავით V ბატონიშვილის (იხ. ზემოთ), სოლომონ I-ის ძმის ბაგრატ II ბატონიშვილის შვილიშვილი. ჰყავდა ძმები — ბერიკა (ბერი), ნიკოლოზ, დები: მარიამ (IV), მზეხათუნ (IV) და კატერინა (იხ. ქვემოთ). იხსენიება მათთან ერთად 1820 წელს[282].

1841 წელს თეიმურაზი პორუჩიკის ჩინს ატარებს, მაგრამ თავადის უფლება და ბაგრატიონის გვარი ჩამორთმეული აქვს. ამავე წლის აგვისტოში კი მას თავადის ტიტულიც დაუბრუნეს და ბაგრატიონის გვარიც[283].

ნ ი კ ო ლ ო ზ I ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დავით V ბატონიშვილის ძე, სოლომონ პირველის ძმის ბაგრატ II-ის შვილიშვილი. გვხვდება ძმებთან (თეიმურაზ III, ბერიკა // ბერი) და დებთან (მარიამ IV, მზეხათუნ IV, კატერინა) ერთად 1820 წელს[284].

ბ ე რ ი კ ა // ბ ე რ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დავით V ბატონიშვილის ძე. ზემოხსენებულ თეიმურაზ III-ის, ნიკოლოზ I-ისა და მარიამ, მზეხათუნ, კატერინას ძმა. ვხედავთ მათთან ერთად 1820 წელს[285].

ნ ი კ ო ლ ო ზ II ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი (უგანათლებულესი თავადი იმერეტინსკი), კონსტანტინე II-ის ძე მეორე ცოლისაგან, მეფე დავით II გიორგის ძის შვილიშვილი. ღვიძლი ძმა კონსტანტინე III-ის, მამით ძმა — დავით VI-ის, გიორგი VII-ისა (იხ. ზემოთ) და ალექსანდრე VI-ის (იხ. ქვემოთ).

დაიბადა 1830 წელს ქ. ნარვაში. იზრდებოდა პაჟთა კორპუსში. შემდგომ მსახურობდა პრეობრაჟენსკის პოლკში. დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია. ერთხანს იყო ბილენსკის მაზრის მხედართმთავარი. 60-იანი წლების მიწურულს ვილნოს გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს, ხოლო შემდეგ, 1874 წლამდე, იგი კვლავ სამხედრო სამსახურშია[286]. ჰქონდა გენერალ-მაიორის ჩინი. ცოლად ჰყავდა გენერალ ზუროვის ქალი მარიამი[287].

---

282 იხ. სსცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქ. № 241, ფურც. 271; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

283 ვ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., 1980, გვ. 170.

284 ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

285 სსცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქ. № 241, ფურც. 271; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

286 იხ. ვ. კ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი, ნიკოლოზ იმერეტინსკის „Багратиды в России", საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970, გვ. 188 (შენიშვნა I).

287 Багратиды в России. с. 65.

აღნიშნულ წელსა და 1886 წელს შუა მან თავი დაანება სამხედრო სამსახურს და ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო. ეს ნიკოლოზ იმერეტინსკი არის ჩვენს მიერ მრავალჯერ დამოწმებული ხელნაწერი ნაშრომის „Багратиды в России“-ს ავტორი, რომელიც მას 1885 წელს დაუმთავრებია პეტერბურგში. გარდაიცვალა იგი 1894 წელს[288].

ალექსანდრე V ბატონიშვილი (თავადი ბაგრატიონ-იმერეტინსკი), დიმიტრი II-ის[289] ძე, გიორგი VI ბატონიშვილის შვილიშვილი, ალექსანდრე II სოლომონ I-ის ძე ბატონიშვილის შვილიშვილის შვილი. დაიბადა 1843 წელს. აღიზარდა კადეტთა კორპუსში. 1861 წელს კორნეტია ნარვის ჰუსართა პოლკში. 1879 წელს პოდპოლკოვნიკის ჩინი აქვს. დაქორწინებული იყო ლიდია ალექსის ასულ როზანოვაზე, რომელიც იყო ქ. უფის ქალთა გიმნაზიის გამგე. ჰყავდა ქალ-ვაჟი — ალექსანდრე (VI) და ოლგა. თვით ალექსანდრე V გარდაიცვალა 1880 წელს შვეიცარიაში[290].

კონსტანტინე III ბატონიშვილი (უგანათლებულესი თავადი იმერეტინსკი), კონსტანტინე II-ის უფროსი ვაჟი მეორე ცოლისაგან, მეფე დავით II გიორგის ძის შვილიშვილი. იზრდებოდა გვარდიის იუნკერთა სკოლაში. დამთავრების შემდგომ, 1846 წელს ჩარიცხეს ერთ-ერთი არმიის ულანთა პოლკში. მიაღწია მხოლოდ „შტაბ-როტმისტრის“ ჩინს და სამსახურიდან გადადგა. გარდაიცვალა მოსკოვში 1885 წლის 15 დეკემბერს[291].

ალექსანდრე VII[292] ბატონიშვილი (უგანათლებულესი თავადი იმერეტინსკი), კონსტანტინე II ბატონიშვილის ვაჟი მესამე ცოლისგან, დავით მეფის შვილიშვილი. აღიზარდა პაჟთა კორპუსში. 1855 წელს ირიცხებოდა „გვარდიის ცხენოსან-პიონერთა დივიზიონში“. სურვილი ჰქონდა ემსახურა კავკასიაში. მეფისნაცვალი თავადი ბარიატინსკი ადიუტანტობას პირდებოდა, მაგრამ ურჩევდა წინასწარ ემსახურა ჯარის მწყობრში. ამიტომ ალექსანდრე ცხენოსან-პიონერთა დივიზიიდან არმიის ქვეით პოლკში გადავიდა. ბარიატინსკის დაპირება მაინც არ შესრულდა. იმედგაცრუებული ბატონიშვილი სამსახურიდან გადადგა და საზღვარგარეთ გაემგზავრა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა და კვლავ ცხენოსან-პიონერთა დივიზიაში დაიწყო სამსა-

---

288 ამ ნიკოლოზ იმერენტინსკისა და მისი თხზულების „Багратиды в России“-ს შესახებ ვრცლად იხ. მ. გონიკიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 188—193.

289 I დიმიტრი არის გიორგი VI ბატონიშვილის ძე (იხ. ზემოთ).

290 მ. ბერძნიშვილი, მასალები.., 1980, გვ. 172.

291 იხ. Багратиды в России, с. 58. იხ. იქვე სქოლიოც.

292 VI ალექსანდრე იყო ალექსანდრე V-ის შვილი (იხ. ზემოთ მასთან).

ხური. ამასთან შევიდა გენერალური შტაბის აკადემიაში, რომელიც 1862 წელს ბრწყინვალედ დაამთავრა პირველ თანრიგზე. ამის შემდგომ იგი სწრაფად წინაურდება; აღნიშნული წლიდან გენერალურ შტაბშია, 1864 წელს ფლიგელ-ადიუტანტია, 1969 წელს — იმპერატორის ამალის გენერალ-მაიორი და ვარშავის სამხედრო ოლქის გენერალ-გუბერნატორია. 1877 წელს არის გენერალ-ადიუტანტი და მეორე ქვეითი დივიზიის კომანდირი. ამაზე ადრე თუ გვიან იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი.

დიდად ისახელა თავი ალექსანდრემ რუსეთ-თურქეთის ომის დროს „ლოვჩასა და პლევნასთან ბრძოლებში“ 1877 წელს. იგი იყო სახელგანთქმული რუსი გენერლის სკობელევის თანამებრძოლი ამხანაგი და მეგობარი („боевой товарищ и друг“). ჰქონდა ჯილდოები „წმ. გიორგი IV და III ხარისხისა“ და „ოქროს საჭურველი“ („Золотое оружие“).

1881 წლიდან იყო სასამართლოს მთავარი სამმართველოს უფროსი („Начальник Главного судебного Управления“) და მთავარი სამხედრო პროკურორი.

აღნიშნულ წელს ალექსანდრე კონსტანტინოპოლში წარავლინეს, როგორც რუსეთის საგანგებო ელჩი[293]. იგი გარდაიცვალა 1900 წელს. მისი სიკვდილით შეწყდა „უგანათლებულესი თავადი იმერეტინსკების“ შტო[294].

*
* *

უფლისწულები ანუ ბატონიშვილები თავიანთ ყმა-მამულებს ფლობდნენ, რომელსაც საუფლისწულო ან საბატონიშვილო ეწოდებოდა. იმერეთის სამეფოში საუფლისწულოს სახელით ცნობილი იყო ის მიწა-წყალი, რომელიც სამეფო სახლის უმცროს შტოს ეკუთვნოდა.

საუფლისწულო ადგილ-მამული აქ სამეფო სახლის უფროს შტოს წარმომადგენელს — ტახტის მემკვიდრესაც ეძლეოდა[295], მაგრამ მისი გამეფების შემდეგ მისი ნაუფლისწულევი მის დომენში შედიოდა.

სამეფო სახლის უმცროს შტოთა წარმომადგენლები პატრონად,

---

293 იხ. Багратиды в России, с. 58 — 59; მ. გონიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 189 (შენიშვნა 3).

294 მ. ბერძნიშვილი, მასალები..., 1980, გვ. 171 (შენიშვნა 9).

295 მაგალითად, სოლომონ I-ის ძე ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი საუფლისწულო ყმა-მამულს ფლობდა სოფ ილემსა და სხვაგანაც (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ.Hd, №, 8612); ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, გვ. 246, № 40, გვ. 249, № 60.

უფლისწულად, ბატონიშვილად, უფლისწულ-ბატონიშვილად ან მეფის ძედ იწოდებოდნენ. მაგალითად, იმერთა მეფე ბაგრატ III თავის უმცროს ვაჟს კონსტანტინეს „პატრონს“ ეძახის[296]. ხოლო გვიან, XVIII საუკუნეში მამუკა II (მეფე გიორგი VI-ის მეორე ვაჟი, ალექსანდრე V-ის უმცროსი ძმა) ზოგჯერ „ბატონიშვილად არის დასახელებული, ზოგჯერ — უფლისწულად ლიხთ-იმერეთისა“ და ზოგჯერ კიდევ — „მეფის ძედ“[297].

ასევე კონსტანტინე დავითის ძეც ხან „ბატონიშვილად“, ხან „მეფის ძედ“, ხან „ყოვლისა“ ან „სრულიად საიმერეთოს უფლისწულად“ ან კიდევ „მეფის ძე-უფლისწულ-ბატონიშვილად“ იხსენიება[298].

სოლომონ I-ის უმცროსი ძმა არჩილიც „ლიხთ-იმერეთის უფლისწულბატონ-ბატონიშვილად“ იწოდება[299].

ამგვარადვე იწოდებოდა გამეფებამდე უფროსი შტოს წარმომადგენელი — ტახტის შემკვიდრეც[300].

ბატონიშვილის შვილსაც ბატონიშვილს ეძახდნენ[301].

უფლისწულის სამფლობელოს, როგორც ითქვა, „საუფლისწულო“ ან „საბატონიშვილო“ ერქვა[302].

იმერეთის სამეფოში საუფლისწულოს გამოყოფა, როგორც ზემოთ ვნახეთ, XVI საუკუნის მიწურულს მოხდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და სამეფო სახლის უმცროს შტოს შორის მძაფრი ბრძოლის პირობებში.

„სრულიად“ იმერთა უფლისწულებს (მამუკა II-ს, გიორგი IV-ს, მათ შტოსა და სხვებს) ვრცელი ტერიტორია ეჭირათ. ეს ტერიტორიაც არგვეთში (ზემო იმერეთში) მდებარეობდა.

საუფლისწულოდ ითვლებოდა აქ მდინარე ჯრუჭის მარჯვენა ნაპირი ყვირილა-ჯრუჭის შესართავიდან ჯრუჭის მონასტრამდე[303]. ადგი-

---

296 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 745.

297 სსცია, ფ. 227(2), № 51, 56, 81; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, I. გვ. 95, № 102, გვ. 98, № 106, გვ. 122—123, № 134.

298 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6044, 8382, 11579; სსცია, ფ. 226(1), № 3339; ქუთ. მუზ. საბ. № 115, 644, 881.

299 ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა, I, გვ. 121—122, № 132, 133.

300 იხ., მაგალითად, სოლომონ I-ის 1766 წლის წყალობის წიგნი, სადაც იგი თავის ძეს ტახტის შემკვიდრეს ალექსანდრეს „ბატონიშვილად“ ასახელებს (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, I, გვ. 111, № 121). იხ. აგრეთვე გიორგი VI-ის 1715—1720 წლების წყალობის წიგნი, რომელშიც მისი პირმშო ძე ალექსანდრე ბატონიშვილადაა დასახელებული (იქვე, გვ. 50, № 44).

301 მაგალითად, როსტომ ბატონიშვილის ძე ვახტანგი თავის თავს „ბატონიშვილს“ ეძახის (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6001). ასევე („царевич“-ს) ეძახიან მას სხვებიც (იხ. ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 156).

302 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2001, 9666; ფ. Sd, № 1629.

303 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 9666.

ლობრივი მოსახლეობა ამ ტერიტორიას დღესაც „საუფლისწულოს“ ეძახის.

XVIII საუკუნის 30—70 წლებში ზემო იმერეთში თავიანთი საუფლისწულოები ჰქონდათ იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის უმცროს ძმებს — მამუკა II-სა და გიორგი IV-ს, შემდგომ კი — მათ მემკვიდრეებს.

გიორგი IV ბატონიშვილის საუფლისწულო მოიცავდა სოფ. პატარაციხეს, მღვიმევს ანუ მღვიმეს[304] თავისი მონასტრით[305] (სადაც დასაფლავებულია იგი) და მდ. ყვირილა-საძალის ხევ-ძირულაზე მდებარე სოფლების[306] ნაწილს.

აღნიშნულ მდინარეებთან მდებარე სოფლების „უმეტესობა“, 1772 წლის ცნობით, ეკუთვნოდა თავად წერეთლებს[307], „დანარჩენი კი —

---

304 პატარა-ციხე და მღვიმევი//მღვიმე მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 301).

305 უფლისწულების მეზობელი ძლიერი თავადები — წერეთლები და აბაშიძეები ხშირად ახერხებდნენ საუფლისწულო სოფლების მიტაცებას. ასევე უფლისწულებიც ეუფლებოდნენ ზოგჯერ წერეთლებისა და აბაშიძეების სოფლებს. ამიტომაც, რომ ერთსა და იმავე სოფელს დროის ერთ მონაკვეთში უფლისწულის ხელში ვხედავთ, ხოლო დროის მეორე მონაკვეთში — წერეთლის ან აბაშიძის ხელში. მაგალითად, სოფ. ზოდი XVII—XVIII საუკუნეებში წერეთლებს ჰქონდათ. XIX საუკუნის დამდეგს კი ის ერთხანს კონსტანტინე ბატონიშვილს ეპირა. ასევე მღვიმევი//მღვიმე მისი მონასტრით XVIII საუკუნესა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ხან უფლისწულს უკავია, ხან კი — წერეთლებს. მღვიმევი და ჯრუჭი მათი მონასტრებით ალბოლოდ მაინც წერეთლებმა შეინარჩუნეს (იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., I, გვ. 157—166; II, გვ. 84—87. იხ იქვე შენიშვნებიც).

ზემოაღნიშნული გარემოების გამო ზოგიერთი სოფელი წერეთლიანთ სოფლების სიაშიც არის შეტანილი და უფლისწულისა და აბაშიძეებისაშიც. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ნაჩვენებია რა დროიდან შედის ესა თუ ის სოფელი ამა თუ იმ საუფლისწულოში ან სათავადოში (იხ. იქვე).

306 გიულდენშტედტის სიით ამ მდინარეებთან მდებარე სოფლები შემდეგია: 1. შალაური, 2. გორისა, 3. მერჯევი, 4. არგვეთი, 5. ჭორვილა, 6. სავანე, 7. იმაწმინდა (ივანეწმინდა), 8. საირხე, 9. კალვათა, 10. ითხვისი, 11. შუქრუთი, 12. ქორეთი, 13. ბაინეკი, 14. დარბაისები, 15. მერევი, 16. გუნდაეთი, 17, პერევისა, 18. წინსოფელი, 19. ჭილოვანი, 20. სკინდორი, 21. მორძგვეთი, 22. რკვია, 23. ბოსლევი, 24. თაალუეთი, 25. ცხრუკვეთი, 26. სვეირი, 27. მოდინახე, 28. ცეცქი, 19. მანდეთი, 30. ჩხილაური (ჩხოროული), 31. მეჩხეთური, 32. ნიგოზეთი, 33. წყალშავი, 34. უსახელო, 35. ქვედა ბერეთისა, 36. ზედა ბერეთისა, 37. ლიჩი, 38. ღოდორა, 39. გოლისი, 40. მოძვი, 41. ჯალაურთა, 42. გარგვენაული (ჯარგვენაური), 43. კოლბაური (კორბოული), 44. ჯოყოვეთი, 45. ავალიშვილები, 46. საკურწე, 47. დარკვეთი. 48. ზოდი, 49. ახალციხე, 50. პატარაციხე, 51. წირქვალი, 52. ხალიფაური, 53. მღვიმე//მღვიმევი (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 301).

307 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 301. წერეთლების სოფლების სია. იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., II, გვ. 84—88.

მეფეს (ე. ი. სოლომონ პირველს), მეფის ბიძას გიორგი IV ბატონიშვილსა და ძმას, არჩილს[308].

მამუკა II ბატონიშვილის საუფლისწულო უნდა ყოფილიყო დასახელებულ მდინარეთა ხეობაში მდებარე სოფლების ნაწილი (უფრო კონკრეტულად ქვემოთ).

XVIII საუკუნის 30-იან წლებში მამუკა II-ს, თავის საუფლისწულო მიწა-წყლის გარდა, ერთხანს „საჭილაო-სამიქელაო“ და „საჩიჯავაძოც“ ეჭირა[309]. პირველი ორი მას მისცა მისმა ძმამ მეფე ალექსანდრე V-მ, ხოლო მესამე-საჩიჯავაძო (საჩინო) თვითონ „დაიპყრო“[310].

1738 წლის ერთ საბუთში იხსენიება მამუკა ბატონიშვილის ყმა დათუნა ახვლედიანი[311], რომელიც ვანის (საჩინოს) მკვიდრი აზნაურია. ე. ი. მამუკას აქ თავისი აზნაურიც ჰყავს. მაგრამ მის მიერ საჭილაო-სამიქელაო-საჩიჯავაძოს ფლობა მხოლოდ დროებითი იყო. ამ ადგილებს ყამთა მსვლელობაში ისევ მათი ძველი მფლობელები (ჭილაძე-მიქელაძე-ჩიჯავაძეები) დაეპატრონენ[312].

ალექსანდრე V-ის მიერ იმერეთის სამეფოს სანაპირო ადგილების (საჭილაო-სამიქელაოს) თავის მეტოქე ძმისთვის — მამუკასათვის გადაცემა ერთგვარი დიპლომატიური ხერხი უნდა იყოს, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ოდიშის მთავრის მძლავრობისაგან იმერეთის სამეფოს სასაზღვრო ხაზის დაცვაში მამუკას გამოყენებას, მეორე მხრივ, ჭალაძე-მიქელაძეებთან მის გადამტერებას და ამით მისი მომხრე თავადთა ჯგუფის დასუსტებას.

მამუკა ბატონიშვილმა ერთხანს თავად წერეთლების სოფელი რწმანიც მიიტაცა და იქ თავისთვის „კოშკი ააშენა“. მაგრამ მეფე ალექსანდრემ 1720—1738 წლებში ჩამოართვა მას რწმანი და ისევ წერეთლებს დაუბრუნა მათი „სამკვიდრო“ სოფელი[313].

თავის საუფლისწულო ჰქონდა არგვეთში (ზემო იმერეთი) სოლომონ I-ის უმცროს ძმას არჩილ ბატონიშვილს. არჩილის საუფლისწულოს გამოყოფა, როგორც ზემოთ ითქვა, სოლომონის სურვილის წინააღმდეგ რთულ საშინაო და საგარეო პირობებში მოხდა. 1772 წელს არჩილ ბატონიშვილი საკმაოდ ვრცელ მიწა-წყალს ფლობდა ზემო იმერეთში[314]. ეს იყო ნაწილობრივ თუ მთლიანად ის ტერიტორია, რომე-

---

308 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 301.

309 იხ. ვახუშტი, აღწერა..., გვ. 888—889; ო. სოსელია, მასალები ეკონომიკური ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 119, № 100.

310 იხ. იქვე.

311 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6117.

312 იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., I, გვ. 52—68, 271—285; II, გვ. 7—22.

313 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, I, გვ. 67, № 68.

314 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 167, 299, 301.

ლიც ადრე მამუკა II ბატონიშვილს და მის მემკვიდრე თეიმურაზს ჰქონდათ. ამის თქმის საფუძველს იძლევა 1784 წლის 12 მაისის ერთი ცნობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ ერეკლე II დავით იმერთა მეფისაგან მოითხოვს: „დაუბრუნოს დავით არჩილის ძეს მისი მამულები“, „მისცეს მას ყველა ის მამული, რომელიც ჰქონდა მამუკა ბატონიშვილს“[315]. აქედან ირკვევა ორი რამ: 1. მეფე დავით გიორგის ძეს ერეკლე II-ის შვილიშვილ მცირეწლოვან დავით არჩილის ძისთვის მამულები წაურთმევია; 2. ეს მამულები წინათ მამუკა ბატონიშვილს „ჰქონია“.

მამუკას მამულები უფლისწულ დავითს ერგებოდა უთუოდ იმიტომ, რომ მას მისი მამა არჩილი ფლობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერეკლე II დავით ბატონიშვილისათვის მამუკასეულ მამულებს ხელს ვერ დაადებდა.

არჩილ ბატონიშვილის საუფლისწულოში კი შედიოდა: სოფ. საზანო, სადაც იყო მისი რეზიდენცია, კაცხი ციხითა და მონასტრით[316] (აქაც ჰქონდა მას მეორე ადგილსამყოფი) და მდ. ყვირილა-საძალისხევ-ძირულასთან მდებარე სოფლების ნაწილი. მასვე ეკუთვნოდა აგრეთვე მდ. ზუსას და ბუჯის ხეობის ზოგიერთი სოფელი[317].

როგორც ზემოთ გაირკვა, არჩილს მამუკასეული ადგილები ეკავა. მაშასადამე, მამუკა II-ის საუფლისწულოც ზემოხსენებულ ადგილებს, ე. ი. სოფ. საზანოს, კაცხს, და ყვირილა-საძალისხევ-ძირულასთან მდებარე სოფლების ნაწილს და ზუსასა და ბუჯის ხეობის ზოგიერთ სოფელს მოიცავდა.

რაც შეეხება დავით არჩილის ძეს, მას მამის სამფლობელო მთლიანად არასოდეს არ ჰქონია. მეფე დავით გიორგის ძემ 1784 წელსვე, ერეკლე II-ის მოთხოვნით, მისცა ბატონიშვილს საუფლისწულოდ კაცხი[318], მაგრამ ეს იყო მხოლოდ მცირე ნაწილი მამუკასეული იმ

---

315 იხ. ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ), მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1940, გვ. 44.

316 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 167, 299 (შენიშვნა 6).

თავად აბაშიძეების საგვარეულო სოფ. კაცხი მისი ციხითა და მონასტრით სოლომონ I-მა ჩამოართვა მათ 1753 წელს და თავის სახასო მამულად გამოაცხადა (ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., I, გვ. 157, შენიშვნა 16; გვ. 165, შენიშვნა 61; გვ. 183, შენიშვნა 175). შემდეგ, როგორც ჩანს, ეს სოფელი მისი ყველაფრით მეფეს არჩილ ბატონიშვილისათვის საუფლისწულოდ მიუცია. ასევე სოფ. საზანოც ხრეხილის ომამდე (1757 წ.) თავად აბაშიძეებისა იყო (იხ. იქვე, გვ. 158, შენიშვნა 23) და შემდგომ გახდა ის საუფლისწულოდ.

317 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 167, 301.

318 იხ. სსცია. ფ. 226 (I), № 3312. კაცხი რომ დავით არჩილის ძის საუფლისწულო იყო, ეს ჩანს აგრეთვე მისი 1804 წლის 3 ოქტომბრის სიგელიდან, რომლი-

საუფლისწულოსი, რომელიც დავითის მამას არჩილს ეჭირა. 1785 წელს კი მეფემ ერთხანს ისიც ჩამოართვა აჯანყებულ უფლისწულს[319]. მაგრამ შემდგომ კვლავ დაუბრუნა.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში სოლომონ I-ის ძმას ბაგრატსაც თავის საუფლისწულო ჰქონდა არგვეთში (ზემო იმერეთი)[320], მაგრამ სახელდობრ სად, წყაროებიდან არ ჩანს. ასევე თავიანთი საუფლისწულოები უნდა ჰქონოდათ სოლომონის სხვა ძმებსაც — ნარინ-დავითს, იოსებს (იესეს) და გიორგის. მაგრამ ამაზე ჩვენთვის ცნობილ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება.

1772 წელს ქუთაისს ქვემოთ, რიონის მარცხენა ნაპირზე მდგარა „პატარა დანგრეული ციხე კახნიაური", რომელიც „უფლისწულის საჯდომი" ყოფილა[321]. მაგრამ რომელი უფლისწულისა, არ ვიცით. შეიძლება აქ იყო მამუკა II ბატონიშვილის „საჯდომი".

ის საუფლისწულო, რომელიც გიორგი IV ბატონიშვილს ეჭირა (სოფ. პატარა-ციხე, მღვიმევი (მღვიმე) თავის მონასტრით და მდ. ყვირილა-საძალისხევ-ძირულასთან მდებარე სოფლების ნაწილი), მის მემკვიდრეს დავითს ჰქონდა ბატონიშვილობაში, როცა მას და სოლომონ პირველს შორის დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული იყო[322].

XIX საუკუნის დამდეგს კი კონსტანტინე II ბატონიშვილმა დაიმკვიდრა თავის მამა-პაპათა საუფლისწულო. კონსტანტინეს საუფლისწულოში შედიოდა შემდეგი სოფლები:

1. წირქვალი[323] (აქ იყო უფლისწულის რეზიდენცია და აქვე ჰქონდა მას თავის სამღებრო)[324], 2. ზოდი, 3. ღვანკითი, 4. დარკვეთი, 5. მღვიმევი // მღვიმე თავის მონასტრით (აქაც უფლისწულს სამღებრო

თაც იგი მის ამ „საუფლისწულო" სოფელს „საკალმახე წყლით კაცხურათი" აძლევს სოლომონ ლიონიძეს (იხ. საქართველოს სიძველენი, III, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1910, გვ. 569, № 587).

319 ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

320 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 205.

321 იხ. იქვე, გვ. 143.

322 დავით გიორგის ძე ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ერთხანს (1790 წლის მეორე ნახევარში) სოლომონ II-მაც მისცა საუფლისწულო მამული (იხ. ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 186).

323 სხვადასხვა დროს სოფ. წირქვალის მფლობელთა შესახებ იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., II, გვ. 87, შენიშვნა 33.

324 ხელნაწ. ინსტ.. ფ. Sd, № 1429; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, კალმასობა დასავლეთ საქართველოს შესახებ, საისტორიო კრებული, IV, 1929. გვ. 62—63.

„ქარხანა“ ჰქონდა მოწყობილი)[325], 6. რუფოთი, 7. რგანი[326], 8. ჩხარი, 9. სვირი[327].

მდ. ყვირილა-საძალისხევ-ძირულასთან მდებარე სოფლების ერთი ნაწილი, რომელიც, გიულდენშტედტის ცნობით, კონსტანტინეს პაპას გიორგი IV ბატონიშვილს ეკუთვნოდა (იხ. ზემოთ), ძირითადად უთუოდ ამ სოფლებს მოიცავდა.

კონსტანტინე ბატონიშვილის პეტერბურგს წარგზავნის შემდეგ (1810 წ.) მისი საუფლისწულო მის მეუღლეს, „მეფის რძალს“ ანასტასიას ეკავა. მაგრამ 1814 წელს ეს უკანასკნელიც თავის ერთი ვაჟით, გიორგით პეტერბურგსვე წარავლინეს, ხოლო კონსტანტინეს საუფლისწულო სახაზინოდ ჩაირიცხა[328].

სანამ ეს მოხდებოდა, კონსტანტინე ბატონიშვილი მრავალრიცხოვან ყმას ფლობდა. მის ყმათა საერთო რაოდენობა ჩვენთვის ცნობილი არ არის*. ვიცით მხოლოდ, რომ კონსტანტინეს ყმა-გლეხები იყვნენ: ბაბულაძეები, ალხაიშვილები, კამკაძეები, შაქაძეები, სოხიაშვილები, მიქაბაძეები, ნიკოლაძეები, ფოჩხიძეები, ნადირაძეები, ჯუღელები, კვეტანაძეები, გიორგაძეები, კაპანაძეები, გოგაშვილები, გებრაძეები (თუ ღებრაძეები?), ლომინაშვილები, ცახაძეები და სხვ[329].

---

325 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 36.

326 Багратиды в России, с. 42. ნ. იმერეტინსკის ცნობით, კონსტანტინე ბატონიშვილის საუფლისწულოში შედიოდა აგრეთვე სოფელი „Чамкотаджеби“ (იხ. იქვე), მაგრამ სახელი რუსულ წყაროში დამახინჯებული უნდა იყოს.

327 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6044; ფ. Sd, № 1429, 1610, 1629; ქუთ. მუზ. საბ. № 115, 644. სვირი, ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „საეკლესიო იყო, უმთავრესად, და სამეფო“ (იხ. მისი, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს, მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 3). გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს სვირი მართლა სამეფო სოფელია (იხ. მისი, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 165). მაგრამ შემდეგ, როგორც ზემოდასახელებული დოკუმენტებიდან ჩანს, ის საუფლისწულოა. საუფლისწულოა ეს სოფელი XIX საუკუნის დამდეგსაც. 1812—1815 წლებიდან კი სვირი, ისე როგორც კონსტანტინე ბატონიშვილის სხვა სოფლები, სახაზინოდ ჩაირიცხა.

328 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1688; ვ. ბერძენიშვილი, მასალები..., II, გვ. 71.

* ცნობილია, რომ 1810 წლის პირველ ნახევარში სოლომონ II- მ ჩამოართვა რა ზურაბ წერეთელს 300 კომლი კაცი, კონსტანტინე ბატონიშვილს უბოძა. მაგრამ ამით არ განისაზღვრებოდა მის ყმათა საერთო რაოდენობა, რომელთაც მალე კვლავ წერეთელი დაეუფლა.

329 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 8382; ქუთ. მუზ. საბ. № 145, 262, 881, 966, 986; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 48, 81—82, 159; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. IV, თბ., 1950, გვ. 129—130 (6), (7); ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, გვ. 200, № 1, 2, 3, 4, 5, გვ. 201, № 8, გვ. 202, № 12, 15,

კონსტანტინეს აზნაურები იყვნენ: გამყრელიძეები, ჭუმბურიძეები, აბაშიძეები, ლოლაძეები[330].

უფლისწულებს ჰყავდათ აგრეთვე საუფლისწულო თავადებიც, რომელთაც უფლისწულის კარზე საპატიო სახელოები ეჭირათ და რომელნიც ახლდნენ მათ მგზავრობის დროს თუ სხვა შემთხვევებში. მაგალითად, კონსტანტინე II ბატონიშვილის ვასალი, მისი „მარად კეთილწარმატების მცდელი ყმა“ იყო თავადი ბეჟან წერეთელი[331]. ამავე ბატონიშვილის ვასალი იყო აგრეთვე თავადი დავით აბაშიძე[332].

მეფის მიერ უფლისწულისათვის საყმოდ გამოყოფილი თავადები, მეორე ან მესამე ხარისხის თავადთა რიგებიდან უნდა ყოფილიყვნენ. თავადური გვარის მეთაური — პირველი ხარისხის ანუ დიდებული თავადი თავის ღირსებით თვით უტოლდებოდა თითქმის უფლისწულს და მას (დიდებულ თავადს), ისე როგორც ბატონიშვილს, მეფის გარდა სხვა სიუზერენი არ ჰყავდა.

უფლისწული თავის საუფლისწულოს მოხელეთა საშუალებით განაგებდა. დავით გიორგის ძე ბატონიშვილის გამეფებამდელ, 1784 წლის 16 თებერვლის ერთ დოკუმენტში წარმოდგენილია მისი სახლთუხუცესი ზაალ აბაშიძე, მოურავი გიორგი ჭუმბურიძე და „მდივან-მღვდელი“ სვიმეონი[333].

უფრო მრავალფეროვანია დავითის ძის კონსტანტინე II ბატონიშვილის საუფლისწულოს სამოხელეო აპარატი. ამ აპარატში ვხედავთ: სახლთუხუცესს, ბოქაულთუხუცესს, მოურავს, მდივანს, ზინდარს, მოხელეს ანუ ხელოსანს, მესაურეს, მეღვინეს, მეჯინიბეს, ხაბაზ-მზარეულს და ბაზიარს[334].

სახლთუხუცესის თანამდებობა კონსტანტინეს კარზე, როგორც ზე-

გვ. 203. № 17, გვ. 204, № 25, გვ. 224—225, № 169, 170, 175; ო. სოსელია, შასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 57, № 64.

330 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 8382; ფ. Sd, № 1332; ქუთ. მუზ. საბ. №№ 115, 145, 644.

331 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 6044, 10172.

332 ქუთ. მუზ. საბ.№ 644.

333 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 81—82.

334 იქვე, გვ. 159; ქუთ. მუზ. საბ. №№ 115, 644; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 8382, 10172; ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 57, № 64.

აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეს მამის დავით გიორგის ძის კარზე გამეფებამდე (ე. ი. ბატონიშვილობის დროინდელ) 1784 წლის 16 თებერვლის დოკუმენტში, როგორც ზემოთ ვნახეთ, წარმოდგენილია მხოლოდ მისი სახლთუხუცესი ზაალ აბაშიძე, მოურავი გიორგი ჭუმბურიძე და „მდივან-მღვდელი“ სვიმეონი (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 81—82).

მოთაც აღვნიშნეთ, მის უკანონო ძმას როსტომ ბატონიშვილს ეჭირა[335], ბოქაულთუხუცესისა — ჯერ (1807 წელს) თავად ბეჟან წერეთელს[336] შემდგომ (1809 წელს) — თავად დავით აბაშიძეს[337].

1808 წელს ზემოხსენებული ბეჟან წერეთელი კონსტანტინე ბატონიშვილმა სვირის მოურავად დანიშნა[338].

კონსტანტინეს საუფლისწულოში მოურავებად იყვნენ აგრეთვე მისი აზნაურები: ბეჟან, ოტია, ქაიხოსრო გამყრელიძეები და ქაიხოსრო ჭუმბურიძე[339].

სასულიერო სფეროს მსახურთაგან კონსტანტინეს საბატონიშვილოში იხსენიება არქიმანდრიტი[340], წინამძღვარი[341], დეკანოზი, კარის მწირველი მღვდელი, რომელსაც მდივნობაც აქვს შეთავსებული, „მოძღვართმღვდელი“ და მთავარ-დიაკონი[342].

კონსტანტინეს საბატონიშვილოში ჩანს აგრეთვე მისი „კარისა... დარბაზის ერნი“[343]. ამ ერში იგულისხმებიან ბატონიშვილის სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მოურავები, თავადები, აზნაურები და მაღალი სასულიერო ხელისუფალნი (არქიმანდრიტი, წინამძღვარი, დეკანოზი)[344].

აქვე აღსანიშნავია, რომ, გარდა კონსტანტინეს „დარბაზის ერისა“, 1760 წლის 13 ოქტომბრის განჩინების წიგნში გვხვდებიან აგრეთვე არჩილ ბატონიშვილის (სოლომონ I-ის ძმის) „დარბაზის ბჭენი, მოსამართლენი“[345]. ხოლო 1770 წლის ერთ საბუთში კი „გამრიგედ“ მოხსენიებულია ამავე ბატონიშვილის „სულ მთლათ ჯარი და დარბაზის ერნი“[346].

---

335 ქუთ. მუზ. საბ. №№ 115, 644; ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 58, № 64.

336 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 10172.

337 ქუთ. მუზ. საბ. № 115, 644.

338 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6044.

339 იქვე, № 8382; ქუთ. მუზ. საბ. №№ 115. 644; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 159; ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 58, № 64.

340 მღვიმის//მღვიმევის მონასტრისა (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 8382; ქუთ. მუზ. საბ. № 115)

341 მღვიმის // მღვიმევის მონასტრისა (ქუთ. მუზ. საბ. № 115).

342 იხ იქვე იხ. აგრეთვე იქვე, №№ 145, 644, 881; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 8382; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 159.

343 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 6044, 8382; ქუთ. მუზ. საბ. № 115; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 159.

344 იხ. იქვე.

345 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 476, № 379.

346 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ, 125, № 138.

რაკი საუფლისწულოში „დარბაზის ერნი“ იყვნენ, ცხადია, იქ დარბაზიც არსებობდა. ეს იყო უთუოდ უმაღლესი სათათბირო დაწესებულება, რომლის წევრები უფლისწულის მოწვევით იკრიბებოდნენ. დარბაზობა საუფლისწულოში, ალბათ, საპატიო სტუმართა მიღების, უფლისწულის ყმათა შორის უთანხმოება-დავის განხილვის, მეზობელ სამფლობელოებთან ურთიერთობის თუ სხვა რომელიმე საქმის მოგვარების ან რაიმე ზეიმის შემთხვევაში იმართებოდა.

დარბაზის წევრთა სხდომის მოწვევა უფლისწულის ნებაზე იყო დამოკიდებული.

ახლა თუ საუფლისწულოს სამოხელეო აპარატს სათავადოს ამავე აპარატს შევადარებთ, მათ შორის დიდ სხვაობას ვერ ვნახავთ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საუფლისწულოში სამოხელეო აპარატი უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე სათავადოში. ცალკეული სათავადოს სამოხელეო აპარატი ბევრად უფრო მარტივია[347].

რაც შეეხება სხვა მხრივ, საუფლისწულოსა და სათავადოს შორის არის სხვაობა. ეს სხვაობა, პირველ რიგში, მათი წარმოქმნა-ჩამოყალიბების გზებშია: საუფლისწულო სამეფო სახლის საერთო ქონების გაყოფის საფუძველზე იქმნება, სათავადო კი თავადურ სახლის წევრთა ქონების გაერთიანების ნიადაგზე ყალიბდება.

არის კიდევ სხვაობა საუფლისწულოსა და სათავადოს შორის მათი შინაგანი აღნაგობის თვალსაზრისით: სათავადოს აქვს ე. წ. „სახლის რიგი“ — თავის შინაგანი წყობილების ძირითადი საფუძველი, შედგენილი სახლის „უფროსის“ დიდებული თავადისა და სახლის წევრთა მიერ შეთანხმებით, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სათავადოს უფროსისა და სახლიკაცთა უფლება-მოვალეობა და ხორციელდება სათავადოს მმართველობა[348].

მაგრამ სანამ საუფლისწულოსა და სათავადოს ერთმანეთთან შედარებას დავასრულებდეთ, აქ ერთ საკითხზე უნდა შევჩერდეთ: რა ნიშნით უნდა განისაზღვროს სათავადოს რაობა, რა არის მისი დამახასიათებელი არსებითი ნიშანი?

ამ საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში თუმცა არაერთი მკვლე-

---

347 დასავლეთ საქართველოს სათავადოების სამოხელეო აპარატის შესახებ იხ. და შდრ. ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), გვ. 202—214.

348 იხ. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 136—138; მისივე, მასალები საქართველოს სათავადოების ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 109—142; ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 195—202.

ვარი შეხებია და ამ მხრივ ბევრი რამ გარკვეულიცაა[349], მაგრამ რამდენიმე ხნის წინათ მასზე დავა დაიწყო. გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი: ერთი გ. ჯამბურიასი, მეორე — ნ. ასათიანისა და შ. ხანთაძის.

გ. ჯამბურიას თვალსაზრისით, „სათავადო, უპირველეს ყოვლისა, არის თავადის მამული, სულ ერთია ის იქნება გაყოფილი თუ გაუყოფელი, დიდი თუ მცირე. მისი განმსაზღვრელი სპეციფიკური ნიშანია მიწის საკუთრების ფორმა, მიწის საკუთრების ხასიათი...“[350]. ეს, როგორც მკვლევრის შემდგომი მსჯელობიდან ჩანს, იმას ნიშნავს, რომ „თავადის საკუთრება... ფაქტიურად უპირობო და შეუზღუდავია“[351]. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, თავადს ფაქტიურად აქვს მეფისგან ნაწყალობევი მამულის განკარგულების (გასხვისებისა და სხვ). უფლება.

დიახ, ეს ასეა. სწორია ისიც, რომ სწორედ ეს უფლება განასხვავებს სათავადოს საქართველოს ერთიანობის ხანის დიდებული აზნაურის სამფლობელოსაგან[352]. მაგრამ ეს ერთი, თუნდაც „სპეციფიკური ნიშანი“, არ შეიძლება სათავადოს განმსაზღვრელ ნიშნად ჩაითვალოს. თავადის სამფლობელო მაშინაა სათავადო, როცა ეს „სპეციფიკური ნიშანი“ (ფაქტიურად უპირობო საკუთრების უფლება) უჩნდება და ერწყმის თავადური სახლის საერთო გაუყოფელ მიწა-წყალს. ისე ამა თუ იმ თავადის ცალკეული მამული, თუგინდ იმუნიტეტის მქონეც, „დიდი თუ მცირე“, არ შეიძლება სათავადოდ მივიჩნიოთ.

უპირველეს ყოვლისა, „ყოველი სათავადო არის ფეოდალთა ცალკე ორგანიზაცია გარკვეულ ტერიტორიაზე“[353]. იგი თავადური სახლის ერთობლივი, საერთო საგვარეულო მამულების კრებულია, რომლის მიმართ თავადს აქვს ფაქტობრივად საკუთრების უფლება, აქვს იმუნიტეტი და რომელსაც ახასიათებს გვარის გაუყრელობაზე დამყარებული სტრუქტურულ-ორგანიზაციული თავისებურება: „სახლის რიგი“, სათავადოს სათავეში მდგომი „უფროსის“ — დიდებული თავადის ხელისუფლება და მისი განსაკუთრებული ღირსება-პატივი. ასე რომ არ იყოს, ყოველი თავადის ცალკე მამული სათავადო რომ იყოს,

---

349 იხ. Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 71—110. ამ საკითხზე სხვა მკვლევართა ნაშრომების დასახელება აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

350 იხ. გ. ჯამბურია, სათავადოთა საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970, გვ. 7.

351 იხ. იქვე, გვ. 10.

352 იქვე, გვ. 8—9.

353 იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

მაშინ ფეოდალურ საქართველოში იმდენი სათავადო უნდა არსებულიყო, რამდენიც თავადი იყო. მაგალითად, XVII საუკუნეში იმერეთის სამეფოში 100 თავადი ითვლებოდა[354]. მაგრამ სინამდვილეში აღნიშნულ საუკუნესა და შემდეგ აქ (რაჭა-ლეჩხუმის ჩათვლით) მხოლოდ 14 სათავადო ჩანს.

ცხადია, თავადებს სათავადოთა დაშლის შემდეგაც[355] ჰქონდათ სწორედ ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად საკუთარი მამულები. მაგრამ ეს იყო ახლა ადრინდელ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ფეოდალი-მემამულის (помещик-ის) მამული და არა სათავადო.

რაც შეეხება გ. ჯამბურიას მითითებას იმაზე, რომ „რაც არ უნდა გაიყაროს და შემცირდეს თავადის მამული, ის მაინც არ კარგავს თავის წოდებას...“[356] — ეს მართალია. გაყრის შემთხვევაში თავადი ინარჩუნებს თავის წოდებას. მაგრამ თავადური გვარის გაყრა და თავადის ყმა-მამულის ოდენობა, როგორც თვით მკვლევარი აღნიშნავს, განსაზღვრავს თუ რომელი კატეგორიისაა ესა თუ ის თავადი[357]. ამას კი უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასარკვევად·არის თუ არა თავადის მამული სათავადო.

უნდა გვახსოვდეს, რომ დიდებული ანუ პირველი კატეგორიის თავადი მხოლოდ გაუყრელ გვარშია, რომლის სისხლის ფასი ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანია[358]. ხოლო გაყრილი სახლის თავადი პირველ კატეგორიას არ ეკუთვნის. იგი „დიდებულის ქვემოთი, შუა“ თავადია და მისი სისხლი მხოლოდ შვიდას სამოცდარვა თუმანი ღირს[359]. განსხვავება მათი სისხლის ღირებულებაში, როგორც ვხედავთ, კოლოსალურია.

ამგვარად, გვარის გაყრის შემთხვევაში თავადი კი რჩება თავის წოდებაში, მაგრამ კარგავს დიდებული თავადის პრივილეგიებს და გადადის დაბალ. „შუა“ თავადის კატეგორიაში. ეს სოციალური მომენტი სრულებით არ არის „სულ ერთი“ სათავადოს ნიშნის განსაზღვრისათვის[360], რასაც, თავის მხრივ, ეკონომიკური მომენტი (თავადური სახლის ერთიანი მამულის დაქუცმაცება) უდევს საფუძვლად, ასეთ

---

354 იხ. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

355 სათავადოთა დაშლა დასავლეთ საქართველოში იწყება XIX საუკუნის დამდეგიდან (რუსული მმართველობის დაწყებიდან).

356 იხ. გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

357 იხ. იქვე.

358 იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოც., თბ., 1955, მ. მ. 26, 35.

359 იხ. იქვე, მ. 27.

360 გ. ჯამბურია კი მას (თავადური სახლის გაყრას და მის შედეგს) „სულ ერთად“ თვლის სათავადოს განსაზღვრისათვის (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 7).

„შუა“ თუ მესამე ხარისხის თავადის მამული ერთი გვარის თავადთა გაერთიანებული მამულების კრებული კი არ არის, რომელსაც თავისებური წყობილება ახასიათებს, არამედ უბრალოდ ცალკეული თავადის მამულია, რომელიც თუმცა თავის ერთი ნიშნით (საკუთრების ხასიათით) ჰგავს სათავადოს, მაგრამ სტრუქტურულ-ორგანიზაციულად არსებითად განსხვავდება მისგან[361].

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სათავადოს ქმნის მისი ერთობ ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი, შერწყმული ერთმანეთთან და არა მხოლოდ „მიწის საკუთრების ხასიათი“. ამიტომ სათავადოს რაობისა და მისი განმსაზღვრელი ნიშნების შესახებ ჩვენ ვიზიარებთ მეორე თვალსაზრისს, წამოყენებულს ნ. ასათიანისა და შ. ხანთაძის მიერ: რომ „სათავადო და სათავადოთა სისტემა, როგორც გარკვეულ ეპოქასა და საზოგადოებრივ ვითარებაში წარმოქმნილი ფეოდალური ორგანიზაცია, უნდა დახასიათდეს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ნიშნების ერთობლიობით“[362]. ეს დებულება თუმცა ძალზე ზოგადია, მაგრამ, ჩვენი აზრით, სავსებით სწორია.

აქ იმასაც დავძენთ, რომ სათავადო ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროებში იყო ტერიტორიულად, სამხედრო-ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად ცენტრისაგან განცალკევებული ფეოდალური ერთეული, რომელიც ფაქტობრივად უკონტროლოდ და საკმაოდ დიდი მოცულობით ფლობდა საჯარო ხელისუფლების პრეროგატივებს.

დავუბრუნდეთ ახლა კვლავ საუფლისწულოსა და სათავადოს შორის მსგავსება-სხვაობაზე მსჯელობას: სახლიკაცთაგან არჩეულ-დასმული სათავადოს უფროსი „სახლის რიგითაა“ რამდენადმე შეზღუდული[363]. უფლისწული კი თავის საუფლისწულოში ამ მხრივ შეუზღუდავია.

უფლისწულს „სახლის რიგი“ არა აქვს, არც ჭირდება ეს მას, რადგან სამეფო სახლის უმცროს შტოთა წევრები კი არ ერთიანდებიან, არამედ ერთმანეთს სცილდებიან, საუფლისწულოებს ცალ-ცალკე ქმნიან.

უფლისწულთა ინტერესები არ მოითხოვს გაუყრელობას იმიტომ, რომ სამეფო სახლიდან გამოყოფა მათ ღირსებაზე უარყოფით გავლენას სრულებითაც არ ახდენს. სულ სხვაა თავადური სახლი, რომლის

---

361 დასავლეთ საქართველოს სათავადოს წყობილება-ორგანიზაციის ზოგადი დახასიათება იხ. ო. სოსელიას ზემოდასახელებულ ნაშრომში, გვ. 170—202.

362 იხ. ნ. ასათიანი, შ. ხანთაძე, სათავადოთა სისტემის რაობისათვის ფეოდალურ საქართველოში, თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრის IV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1971, გვ. 12.

363 იხ. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 201.

გაყრას სახლის ღირსების დამდაბლება მოსდევს. უფლისწულის განცალკევებას კი, პირიქით, მისი პოლიტიკური უფლებების გაფართოება მოყვება: უფლისწული მის წილხვედრ საუფლისწულოს სახით ფეოდალური სენიორიის მფლობელი ხდება, რომელიც გარკვეული დროიდან (XV ს.) მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადის. მაგალითად, XIX საუკუნის დამდეგს ლიხთ-იმერეთის უფლისწული კონსტანტინე თავის საუფლისწულოს „მკვიდრად მპყრობელია“[364].

უფლისწულის სიკვდილის შემდეგ საუფლისწულო ყმა-მამულს მისი მემკვიდრეები უნდოდათ იყოფდნენ, უნდოდათ — არა. სათავადოს უფროსის სიკვდილის შემთხვევაში კი მისი სახლიკაცები ახალ უფროსს ირჩევდნენ და მიწა-წყალი საერთო რჩებოდა, თუ სახლი არ გაიყრებოდა.

უფლისწულებს, ისე როგორც დიდებულ თავადებს, სენიორული უფლებები ჰქონდათ, მაგრამ, ამასთან ერთად, ისინი (უფლისწულები) სხვა განსაკუთრებული უფლებითაც სარგებლობდნენ. ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: 1. მეფის წყალობის, შეწირულების თუ სხვა სიგელებში, როგორც წესი, სამეფო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელი უფლისწულები დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის შემდეგ იხსენიებოდნენ[365], რაც ფორმალურად მეფის ხელისუფლებაში უფლისწულის თანამოზიარეობას ნიშნავდა; 2. უფლისწულებს ჰყავდათ ვასალებად თავადები. თავადს კი ყმად თავადი არ ყოლია; 3. უფლისწულებს ჰქონდათ კიდევ სხვა უპირატესობაც: დიდებული თავადის სისხლი, როგორც აღინიშნა, ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი ღირდა, ხოლო უფლისწულის სისხლის ღირებულება, ისე როგორც მეფისა და კათალიკოსის, განსაზღვრული არ არის. „მეფისა, კათალიკოზისა და უფლისწულის“ სისხლზე „არ დაგვიწერია რაო“, ნათქვამია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში[366]. ეს იმას ნიშნავს, რომ მეფისა და კათალიკოსის თანაბრად უფლისწულის სისხლიც ყოველგვარ ღირებულებაზე მაღლაა, ის ფასდაუდებელია.

აღნიშნულ სხვაობებთან ერთად საუფლისწულოსა და სათავადოს შორის იყო არსებითი ხასიათის მსგავსებაც. ეს მსგავსება იმაში მდგომარეობდა, რომ ორივე სენიორია და მემკვიდრეობითი სამფლობელო იყო, ოღონდ პირველი — რომელიმე ცალკეული უფლისწულის, მეორე კი — ერთობლივ მთელი თავადური სახლის. ამასთან, უფლის-

---

364 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 644

365 იხ., მაგალითად: ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 20, № 6, გვ. 22, №№ 8, 9, გვ. 24, № 11, გვ. 73, № 76, გვ. 80, №85 და სხვ.

366 იხ. მუზ. 33

წულებსაც და თავადებსაც ჰქონდათ ერთნაირი, ფაქტობრივად შეუზღუდავი საკუთრების უფლება. ასევე ერთნაირად სარგებლობდა საუფლისწულო და სათავადო ადმინისტრაციული, საგადასახადო და ნაწილობრივ სასამართლო იმუნიტეტით[367]. ე. ი. საუფლისწულო, ისე როგორც სათავადო, ცენტრთან მეტად სუსტად დამოკიდებული ფეოდალური ერთეული იყო.

საუფლისწულო თავის თავადურ-სენიორული ბუნებით, როგორც ზემოთაც ითქვა, ცენტრიდან მსრბოლ ძალას წარმოადგენდა და ამ ძალის ინტერესებს ემსახურებოდა. უფლისწულები ხშირად გამოდიოდნენ მეფის მეტოქეებად, უკავშირდებოდნენ მის შინაგან თუ გარეშე მტრებს და მათი დახმარებით ზოგჯერ ტახტის მიტაცებასაც ახერხებდნენ. საამისო ფაქტები მრავლადაა როგორც წინამდებარე ნაშრომში, ისე დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში.

*

* *

რამდენიმე სიტყვა ბატონიშვილ ქალებზე იმერეთის სამეფოში.

ფეოდალურ საქართველოში ქალის მდგომარეობას თუმცა ბევრი თავისებურება ახასიათებს, აქ ქალს, ფეოდალიზმის განვითარების თავისებურ პირობებში, ბევრი ისეთი უფლება შერჩა, რომელიც სხვა ქვეყნის ქალს არ გააჩნდა, მაგრამ აქაც ფეოდალურმა წყობილებამ მის მდგომარეობას მაინც თავის დაღი დააჩნია. შეიზღუდა ქალის ეკონომიკური, პიროვნული და საჯარო უფლებები. ამის გამოვლინებაა ის, რომ ბატონიშვილი ქალები ქართველ მეფე-მთავართა წყალობის, შე-

---

367 საუფლისწულოს დასავლეთ საქართველოში რომ ადმინისტრაციული იმუნიტეტი ჰქონდა, ეს ჩანს იქიდან, რომ მას ჰქონდა მმართველობის საკუთარი აპარატი (იხ. ზემოთ), რომელშიც მეფის მოხელეები არ ერეოდნენ. უფლისწული თვითონ ნიშნავდა თავის მოხელეს (იხ., მაგალითად, ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6044) და თვითონვე განსაზღვრავდა მის ფუნქციებს.

რაც შეეხება საგადასახადო იმუნიტეტს, საბუთებზე დაკვირვება გვარწმუნებს რომ უფლისწულთა ყმები სამეფო და სამთავრო გამოსაღებებისაგან თავისუფალი იყვნენ. ჩვენ არც ერთი შემთხვევა არ ვიცით, რომ რომელიმე უფლისწულის ყმას აქ რაიმე სამეფო ან სამთავრო გადასახადი მართებდეს.

სასამართლო იმუნიტეტის შესახებ უნდა ითქვას, რომ უფლისწულს ჰქონდა თავის ყმაზე გასამართლებისა და დასჯის უფლება. მაგრამ, ისე როგორც თავადის, უფლისწულის იურისდიქციიდანაც ამოღებული იყო სისხლისა და სამოქალაქო სამართლის დიდი საქმეები და მას მეფე თუ მთავარი, სამეფო თუ სამთავრო დარბაზი ან მეფის თუ მთავრის მდივანბეგი არჩევდა (იხ. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, გვ. 224, მ. 19—3; ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 188—192). ამ მხრივ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის განსხვავება არ იყო.

წირულებისა და სხვ. სიგელებში, როგორც წესი, არ იხსენიებიან[368]. ამიტომაც მათზე ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით. შევეცდებით ზოგიერთი წყაროს მონაცემების საფუძველზე იმერეთის სამეფოს ბატონიშვილ ქალთა ერთგვარი სია მაინც წარმოვადგინოთ. ოღონდ აქვე უნდა ითქვას, რომ მას სრულყოფილის პრეტენზია არ ექნება.

ხვარამზე ბატონიშვილი, იმერთა მეფის გიორგი III-ის[369] (1605—1639 წწ.) ასული. 1619—1626 წლებში დანიშნულ იქნა დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შვილის ავთანდილის საცოლედ[370].

დარეჯან I ბატონიშვილი, ბაგრატ IV-ის ასული, ნაშობი მუხრან-ბატონის ქალის თამარ დედოფლისაგან. ალექსანდრე IV-ის და. მამიდა მეფის გიორგი VI-ისა.

1677 წელს ბაგრატმა იგი გიორგი III გურიელს მიათხოვა[371]. მაგრამ 1681—1682 წლებში გურიელმა „განუტევა“ დარეჯანი და შეირთო თავისი სიდედრი თამარი (დარეჯანის დედა)[372]. ხოლო დარეჯანი 1683 წელს არგვეთის დიდ თავად პაატა აბაშიძეზე დაქორწინდა[373]. პაატა როკითის ომში (1684 წელს ვახუშტის ქრონოლოგიით) მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა იმავე 1684 თუ მის მომდევნო წელს. დარეჯანი კი 1684—1685 წლებში მესამედ პაპუნა II რაჭის ერისთავზე გათხოვდა[374].

მარიამ I ბატონიშვილი, ბაგრატ IV-ის ასული, ზემოხსენებულ დარეჯან I-ის და. მეორე მამიდა გიორგი VI-ისა. 1703 წლის ახლო ხანში იგი იესე კაციას ძე ჩიქვანის (გიორგი ლიპარტიანის ძმის) თანამეცხედრეა. 1709 წელს ის რაჭის ერისთავმა შოშიტა III-ე შეირთო. მარიამი გარდაიცვალა 1726 წელს ან მის ახლო ხანს[375].

როდამ ბატონიშვილი (შემდეგ გურიის დედოფალი), იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის ასული, სოლომონ I-ის და, მამია IV გურიელის თანამეცხედრე[376]. გურიელს მიათხოვეს 1732 წელს. უშვი-

---

368 ბატონიშვილ ქალებში, ცხადია, დედოფლები არ იგულისხმებიან. ისინი მეფე-მთავართა სიგელებში ხშირად მათთან ერთად მოიხსენებიან.

369 ბატონიშვილობაში გიორგი I.

370 იხ. დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 22, № 9.

371 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 842, 907 (1677 წლის ქვეშ).

372 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 846.

373 იქვე, გვ. 847.

374 იხ. იქვე, გვ. 847—848 (პაატა აბაშიძის გარდაცვალებაზე ვახუშტი ბატონიშვილი 1984—1985 წლებს შუა მომხდარ ამბებთან მოგვითხრობს. იხ. იქვე, გვ. 847—849).

375 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 866, 869, 884.

376 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. II.

ლო იყო[377]. ვხედავთ 1760 წლის 10 თებერვლის ერთ შეწირულების წიგნში[378]. 1769 წელს იგი ავადაა და თავის „მოსარჩენად“ ბიჭვინთის ღვთისმშობელს სწირავს ძმებს — იობ და ნიკოლოზ ტუსკიებს „მათი ცოლ-შვილით, ყმითა და მოსამსახურითურთ“[379]. გურიის დედოფლის ავადმყოფობის შემდგომი მსვლელობა ჩვენთვის უცნობია. მაგრამ რადგან მაშია IV გურიელის თანამეცხედრედ შემდეგ თავდგირიძის ქალი გვხვდება[380], უნდა ვიფიქროთ, რომ როდამი აღნიშნულ წელს ან მის ახლო ხანს გარდაიცვალა.

დ ა რ ე ჯ ა ნ II ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, სოლომონ I-ის ასული. გათხოვილი იყო ქართლელ ქაიხოსრო პაატას ძე აბაშიძეზე. გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს დარეჯანი პაატას „დანიშნული“ იყო[381]. მათი ქორწინება აღნიშნულ წელს ან მის ახლო ხანს არის სავარაუდებელი. ჰყავდა ორი ვაჟი: სვიმონ და იოანე (ივანე). პირველი 1798 წლისთვის უკვე მკვდარია, მეორე — ივანე კი, როგორც ცნობილია, იყო 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყების ერთი მთავარი მეთაური-თაგანი. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი ახალციხის საფაშოში გაიქცა და აქვე მოკლეს 1822 წელს[382]. აღნიშნულ აჯანყებას, ჩანს, თვით დარეჯანიც თანაუგრძნობდა. უთუოდ ამიტომ გადაასახლა იგი 1820 წელს პენზაში მეფის რუსეთის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ. რამდენიმე ხნის შემდეგ მას მოსკოვში ცხოვრების ნება მიეცა და სარჩოდ 6000 მანეთი დაენიშნა წლიურად ასიგნაციით. დარეჯანი საქართველოში დაბრუნების ნებას თხოულობდა, მაგრამ მაშინ (1826 წელს) რუსეთ-ირანის ომი იყო და მისი თხოვნის დაკმაყოფილება ომის დამთავრების შემდგომი დროისთვის გადაიდო. ამასობაში უკვე ხანში შესული (70 წლის) მეფის ასული გარდაიცვალა მოსკოვში 1827 წლის I თებერვალს[383].

ე ლ ე ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, გიორგი IV ბატონიშვილის (იხ. ზემოთ) ასული, რაჭის ერისთავის გიორგი როსტომის ძის თანამეცხედრე, ანტონ რაჭის ერისთავისა და ლევანის დედა. გვხვდება 1787 წელს მის მიერ ბარაკონის (რაჭა) ეკლესიის ღვთისმშობლისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში[384].

---

377 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 911 (1732 წლის ქვეშ); Акты, II, с. 546.

378 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 11.

379 იხ. იქვე, გვ. 40—41.

380 Акты, т. II, с. 546.

381 იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 127.

382 იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., I, გვ. 198.

383 იხ. Акты, т. VI, ч. I. с. 617—618; т. VII, с. 389.

384 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 1320. სხვა ელენე უნდა იყოს 1736 წლის ივნისის

მ ა რ ი ა მ II ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, სოლომონ I-ის ასული, ქსნის ერისთავის ძის პოდპოლკოვნიკ ელიზბარის მეუღლე. დარეჯან II-ის და. ჰყავდა სამი ვაჟი: იოანე, ზურაბ და დიმიტრი[385]. გათხოვებისას თავის ასულს მამამ მზითვად მისცა სვერის ციხე მისი მიდამოებით[386] მაგრამ სოლომონ II რომ გამეფდა (1789 წ.), ეს ციხე ჩამოართვა მას და ამზითვა თავის დას აგრეთვე მარიამს (იხ. ქვემოთ, მარიამ III ბატონიშვილი), რომელიც მალხაზ (მელქისედეკ) ანდრონიკაშვილზე იყო დაქორწინებული[387]. ხოლო სოლომონ I-ის ასულ მარიამს და მის მეუღლეს ელიზბარს სვერის სანაცვლოდ სოფ. უხუფი უბოძა[388].

მალხაზი 1810 წელს ოსმალეთში ლტოლვილ სოლომონ II-ს გაჰყვა ემიგრაციაში. ემიგრირებული თავადის ქონება სახაზინოდ გამოცხადდა. ელიზბარმა კი დასახელებულ სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსთა სარდლობას დიდად უერთგულა. ამ ერთგულებისათვის რუსეთის მთავრობამ მარიამის ნამზითვი სვერის ციხე მის ქმარს ელიზბარს დაუბრუნა.

1825 წლის 25 აგვისტოს მარიამი ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ ავადმყოფია და „მოახლოებული სიკვდილის" მოლოდინშია[389]. იგი უთუოდ აღნიშნულ წელს ან მის ახლო ხანს გარდაიცვალა.

თ ა მ ა რ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დავით II იმერთა მეფის ასული, სიმონ გურიის ერისთავის მეუღლე[390]. ცხოვრობდა დაახლოებით XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და მომდევნო საუკუნის პირველი მესამედის შუა ხანში.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა I ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დავით II იმერთა მეფის ასული. 1795 წლის წინარე ხანს დაქორწინდა პორუჩიკ თავად დავით

ერთ დოკუმენტში დასახელებული ელენე ბატონიშვილი, რომელსაც კაცია და ოთარ შახარობლიშვილებმა თავიანთი თავი „ნასყიდობით მიართვეს" (იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 467, № 662). მაგრამ მისი წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია.

385 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 6751, 10222; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. IV, თბ., 1954, გვ. 336 (15. საბუთი ა.).

386 ეს მოხდა 1757 წელს, ხრესილის ომის შემდეგ (იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., I, გვ. 163).

387 იხ. იქვე.

388 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6751.

389 იხ. იქვე, № 10222; ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., I, გვ. 163—164.

390 პ. გ ნ ე ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 428. დ. ბაქრაძის მიერ შედგენილ გურიის ერისთავთა სიაში სიმონ ერისთავის თანამეცხედრის დავით იმერთა მეფის ასულის სახელად მარიამი არის ნაჩვენები (იხ. მისი, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878, с. 219. ქვემოთ: АПГА). ჩვენ ამ შემთხვევაში პ. გნელოსაროვის ცნობა უფრო სწორად გვეჩვენება.

სვიმონის ძე აგიაშვილზე. ჰყავდა მასთან ერთი ვაჟი — სვიმონი (სიკო).

ანასტასიას მამა ისე გარდაიცვალა (1795 წლის 11 იანვარს), რომ „აღარ დასცალდა“ თავის ასულისათვის „სამზითვად გლეხის და მამულის მიცემა“. ამიტომ სოლომონ II-მ „ამზითვა“ მას 1802 წელს მისი მამის (დავით II-ის) „სამკვიდრო კაცები ჩხარს“[391].

1818 წლის 11 ოქტომბერს ანასტასია ცოცხალი არ არის. მისი დედა ანა დედოფალი ამ დროს მას განსვენებულად იხსენიებს[392].

მ ზ ე ხ ა თ უ ნ I ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, გიორგი ბატონიშვილის ასული, დავით II იმერთა მეფის და, „ზემო მხარის (ზემო იმერეთის) სარდლის პაპუნა (IV) ქაიხოსროს ძე წერეთლის თანამეცხედრე. ესვა ორი ვაჟი — ქაიხოსრო (VII) და როსტომი[393].

ამ მზეხათუნ ბატონიშვილს ვხედავთ 1804 წლის დოკუმენტში. აღნიშნულ წელს იგი შეწირულების წიგნს აძლევს მღვიმევის მონასტერს[394].

მ ზ ე ხ ა თ უ ნ (ნათლობით — ელისაბედ) II ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დავით II იმერთა მეფის ასული, სვიმონ ზურაბის ძე წერეთლის მეუღლე, მზეხათუნ I-ის ძმისწული. ჰყავდა ერთი ვაჟი — სვიმონი.

მამის ტახტიდან გადაგდების შემდეგ (1789 წ.) პატარა მზეხათუნ იზრდებოდა სოლომონ II-ის „უმაღლესსა პალატაში“. მანვე მიათხოვა იგი 1803 წლის 20 თებერვალს თავის ერთგულ თავადს სვიმონ წერეთელს, რომელიც იყო თურმე „სიჭაბუკესა შინა რაინდი ჩინებული“, და ამზითვა მას „წირქვალი საბატონიშვილო... ჯრუჭულასა „და ჭიათურას შუა“ შიგ მოსახლე აზნაურებითა და გლეხებით[395].

მზეხათუნ II გარდაიცვალა 1829 წლის 2 თებერვალს. დასაფლავებულია ჯრუჭის მონასტერში — თავად წერეთლების საგვარეულო საძვალეში. მისი მეუღლე სვიმონი ცოცხალი ჩანს 1853 წელსაც[396].

ზემოხსენებული თამარ ბატონიშვილი, ანასტასია I და მზეხათუნ II დები იყვნენ. მათი ძმა იყო კონსტანტინე II ბატონიშვილი.

ა ტ ა ტ ო ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, მეფე დავით II-ის უკანონო შვილი, კონსტანტინე II ბატონიშვილის მამით და, აგრეთვე მამით და მზეხათუნ II, ანასტასია I და თამარ ბატონიშვილებისა. ატატო, რო-

---

391 პ. გ ნ ი ლ ო ს ა ბ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 428; ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., I, გვ. 240.

392 ქუთ. მუზ. საბ. № 983.

393 ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., II, გვ. 140.

394 ქუთ. მუზ. საბ. № 36.

395 ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., II, გვ. 143—144.

396 იხ. იქვე.

გორც „მეფე დავითის ასული“, იხსენიება თავის ძმის კონსტანტინე II ბატონიშვილის 1805 წლის შეწირულების წიგნში[397].

მ ა რ ი ა მ III ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, არჩილ ბატონიშვილის ასული, სოლომონ II-ის და, ერეკლე II-ის შვილიშვილი (მისი ასულის ელენესაგან). გათხოვილი იყო ქიზიყის მოურავის ძეზე ეშიკაღასბაშ მალხაზ (მელქისედექ) ანდრონიკაშვილზე[398]. ვხედავთ მეუღლესთან და თავის ერთ შვილთან იოანესთან ერთად 1806 წლის პირველი სექტემბრის ერთ წყალობის წიგნში[399]. ჰქონდა „მამული“ (უთუოდ ნამზითვი) სოფ. ბოსლევში (იმერეთს).

მისი ძმის, მეფე სოლომონ II-ის რუსთა სარდლობის მიერ დაპატიმრებისა და 1810 წლის 10 მაისს თბილისიდან ახალციხის საფაშოში გაქცევის შემდეგ მარიამი (სოლომონის თანამეცხედრე აგრეთვე მარიამ დედოფალთან ერთად) ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ფოთის ციხეში მოათავსა[400].1811 წელს კი ორივე ერთად რუსეთს გადაასახლეს და „დაასადგურეს ვორონეჟსა ქალაქსა პყრობილად“[401]. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფის და მარიამი გაათავისუფლეს და მისი თხოვნით ვორონეჟიდან საქართველოში დააბრუნეს[402]. მისი ქმარი მალხაზი, როგორც ზემოთ ითქვა, თურქეთს იმყოფებოდა ემიგრაციაში (იხ. ზემოთ მარიამ II).

ბ ა რ ბ ა რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, არჩილ ბატონიშვილის ასული, მეფე სოლომონ II-ისა და მარიამ III ბატონიშვილის და, ერეკლე II-ის შვილიშვილი. შეუღლებული იყო იმერეთის „პირველ თავად“ დავით წულუკიძესთან[403].

გვხვდება 1808 წელს მის მიერ ნიკორწმინდის ეკლესიისათვის შეწირულების წიგნში. ამ დროს ბარბარე უკვე გათხოვილია და შვილებიცა ჰყავს. გათხოვების შემდეგ მას, როგორც ჩანს, დიდხანს არ უცოცხლია[404].

---

397 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. IV, გვ. 130 (7).

398 ო. ს ო ს ე ლ ი ა, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის, გვ. 40, № 38; Акты, т. VI, ч. I, с. 601—602.

399 იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 40, № 38.

400 ვ. გ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი, იმერეთი XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე. გვ. 196—197.

401 დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 37, 112.

402 ვ. გ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

403 ვ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 428; ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., II, გვ. 74.

404 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 162; ვ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 428; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 93.

პახუა, მზეხათუნ III, ირინე ბატონიშვილები, იმერთა მეფის დავით II-ის შვილიშვილნი, მისი უკანონო შვილის როსტომ V ბატონიშვილის ასულნი, კონსტანტინე II ბატონიშვილის ძმისწულნი. ჰყავდათ ძმები: ვახტანგ (II), სიმონ, ტარიელი. იხსენიებიან მათთან ერთად 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყების მასალებში[405]. ამ აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდა მათი მამა (იხ. ზემოთ, როსტომ V ბატონიშვილი).

ანასტასია II ბატონიშვილი, მეფე დავით II-ის შვილიშვილის ვახტანგ II-ის ასული. ეს ვახტანგი კი დასახელებული მეფის უკანონო შვილის როსტომ V-ის შვილი იყო. ე. ი. ანასტასია ამ უკანასკნელის შვილიშვილია, ხოლო დავით მეფის შვილიშვილის შვილი. ჩანს 1820 წელს[406].

კატერინა, მარიამ IV, მზეხათუნ IV ბატონიშვილები, დავით V ბატონიშვილის (იხ. ზემოთ) ასულნი, სოლომონ I-ის ძმის ბაგრატ II ბატონიშვილის შვილიშვილები. მათი ძმებია ბერიკა, თეიმურაზ III, ნიკოლოზ ბატონიშვილები. ვხედავთ ექვსივეს ერთად 1820 წელს[407].

2. საუფლისწულოები გურიის სამთავროში

გურიის სამთავრო სახლის საშუალო და უმცროს შტოთა წევრები უფლისწულებად, ბატონიშვილებად ან გურიელის ძეებად იწოდებოდნენ[1]. ასევე იწოდებოდნენ გამთავრებამდე უფროსი შტოს წარმომად-

---

405 ხელნაწ. ინსტ.. ფ. № 6001, 6226; ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156, 158. იხ. აგრეთვე იქვე. გვ. 122 (შენიშვნა I).

406 ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

407 იხ. იქვე, გვ. 155.

* გურიის სამთავროს საუფლისწულოები ანუ საბატონიშვილოები მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილი აქვს ქ. ჩხატარაიშვილს (იხ. მისი საკანდიდატო დისერტაცია: გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები), ხელნაწერი, 1963, გვ. 403—407. ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში). მთლიანი სურათის წარმოსადგენად ჩვენ აქ აღნიშნულ საუფლისწულოებსაც მიმოვიხილავთ მოკლედ. უმთავრესად ქ. ჩხატარაიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით.

[1] იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, №№ 11419, 13897, ფ. Ad, № 1198; ქუთ. მუზ. საბ. № 797; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 56—57, № 39; АПГА, с. 305, 321—322, 327; Акты, II, с. 539.

გენლებიც[2]. ზოგჯერ კიდევ ბატონიშვილი „ბატონიშვილ-გურიელის ძედ“ ან „გურიელის ძე-ბატონიშვილად იხსენიებოდა[3].

XIX საუკუნის დამდეგიდან კი გურიის ბატონიშვილები გურიელებადაც იწოდებიან[4]. ამიერიდან სიტყვა „გურიელი“ იხმარება როგორც გურიის მთავრის წოდების, ისე მის სახლის წევრთა გვარის აღსანიშნავად[5].

ა). პირველი, ყველაზე ადრინდელი საუფლისწულო ანუ საბატონიშვილო გურიის სამთავროში კახაბერის საუფლისწულო უნდა იყოს. გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის (1809—1826 წწ.) ცნობით, რომელიც უთუოდ ზეპირგადმოცემიდან მომდინარეობს, ის მხარე, რომელსაც მის დროს კახაბერს ეძახდნენ და დღესაც ეს სახელი ჰქვია, ძველად გურიის ერთი უფლისწულის წილი ყოფილა. ამ უფლისწულს სახელად კახაბერი რქმევია და ამის გამო მისი წილხდომილი მამულიც კახაბერად წოდებულა[6].

გურიის ერისთავთა თუ მთავართა სახლში გვხვდება ორი კახაბერი: პირველი — XIV საუკუნის შუა წლებში, მეორე — XV საუკუნის მეორე ნახევარში[7]. რომელი კახაბერი იგულისხმება მამია გურიელის ცნობაში, არ ჩანს. მაგრამ რომელიც არ უნდა იყოს ის, XIV—XV საუკუნეებში, გურიისა და სხვა კუთხის ერისთავთ-ერისთავთა ვამთავრების ხანგრძლივი პროცესის პირობებში, როცა მათ (ერისთავთ-ერისთავებს) მთავრის ძირითადი პრეროგატივები უკვე მოპოვებული ჰქონდათ, შეიძლებოდა გურიელის სამფლობელოში საუფლისწულო ჩამოყალიბებულიყო. ამიტომ ძველად (XIV—XV საუკუნეებში) აქ კახაბერის საუფლისწულოს არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე, ზემოაღნიშნული ცნობის გარდა, არც ნარატიულ და არც დოკუმენტურ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება, მაინც რეალური ფაქტი უნდა იყოს[8].

---

[2] იხ., მაგალითად, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 137, № 147.

[3] იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 11419; საქ. სახ. მუზ. ის. დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 57, № 39.

[4] ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, №№ 35, 47, 48. Акты, т. VI, ч. I, с. 681.

[5] იხ. Е. Мелешко, Отрывки из путевых заметок о Гурии, газ. „Кавказ“, № 8, 1849 г.

[6] იხ. Акты, т. II, с. 539.

[7] იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო..., გვ. 348.

[8] უნდა აღინიშნოს, რომ მამია V გურიელის ზემომოტანილი ცნობის სანდოობაში ქ. ჩხატარაიშვილის დაეჭვება მთლად მართებული არ არის (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 401). მართალია, ეს ცნობა ზეპირგადმოცემიდან მოდის, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ ფაქტს რამდენადმე აზვიადებდეს, ან სათანადო სისრულით ვერ ასახავდეს, ან

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, კახაბერის საუფლისწულოს არსებობა სავსებით დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ XVIII საუკუნის დამდეგამდე, აღნიშნული საუკუნის დამდეგს კახაბერი და მისი მიმდგომი ადგილები თურქეთმა მიიტაცა.

ბ) ვახტანგ II გიორგი II გურიელის ძის საბატონიშვილო ჩანს XVII საუკუნის დამდეგიდან. იგი მოიცავდა „ე. წ. საშემოქმედლოს ტერიტორიის ნაწილს, მდ. მეუეის ხეობას". შემდგომ ხანში კი ეს ტერიტორია მთლიანად შემოქმედელ ეპისკოპოსს უჭირავს[9]. ხოლო XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან — გურიელის ძეს ქაიხოსრო IV-ს (იხ. ქვემოთ).

გ). ლევან I მამია III გურიელის ძის საბატონიშვილოს არსებობა სავარაუდებელია XVIII საუკუნის დამდეგიდან. მასში შედიოდა გურიის სამთავროს ჩრდილოეთი მხარე[10].

დ). გიორგი V გიორგი IV გურიელის ძის საბატონიშვილო XVIII საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა და იარსება 1776 წლამდე ინტერვალებით. მის მფლობელობაში იყო სოფ. ჩოჩხათი, მამათი და კონჭკათი[11].

ე). ვახტანგ III გიორგი V გურიელის ძეს საბატონიშვილო ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, 1788 წელს გამოუყვეს. ეს იყო მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერიტორია[12]. ამ ტერიტორიიდან მიეცა საუფლისწულოები ვახტანგის ორ უმცროს ძმას — ლევანს და დავითსაც. მაგრამ, რადგან ისინი მცირეწლოვანნი იყვნენ და ვახტანგთან იზრდებოდნენ, მათ წილხდომილ ყმა-მამულსაც თავდაპირველად ვახტანგი ფლობდა[13].

XVIII საუკუნის დასასრულს მან ერთხანს საჯუმათლო ადგილ-მამულიც მიიტაცა, მაგრამ მალე, 1797 წლის პირველ ივლისს ეს ადგილ-მამული თავის „აღთქმისამებრ" კვლავ ჯუმათის ეკლესიას დაუბრუნა[14].

ვახტანგის საუფლისწულოში 500 კომლი ყმა-გლეხი და აზნაური ითვლებოდა[15].

კიდევ ზუსტ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ვერ ათავსებდეს. მაგრამ ზეპირგადმოცემას უმეტეს შემთხვევაში რეალური საფუძველი აქვს. მასში ჰეშმარიტების მარცვალი მეტ-ნაკლებად დაცულია. ამიტომ მას ანგარიში უნდა გაეწიოს.

9 იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 403—405.

10 იხ. იქვე, გვ. 405.

11 იხ. იქვე.

12 Акты, т. II, с. 541—542, 546—547.

13 იხ. იქვე, გვ. 546—547.

14 Дм. Бакрадзе, АПГА, с. 317—318.

15 Акты, т. III, с. 187—188.

XIX საუკუნის დამდეგს შინაპოლიტიკურ ბრძოლაში ვახტანგმა არაერთხელ დაკარგა თავისი საუფლისწულო მამული. მაგრამ 1809 წელს რუს მოხელეთა მხარდაჭერით მან მაინც საბოლოოდ დაიმტკიცა ის[16].

ვახტანგის პირველი თანამეცხედრე იყო იმერთა მეფის დავით გიორგის ძის სიდედრი[17]. მეორე — ზაალ ორბელიანის ასული მარიამ[18]. პირველ ცოლთან შვილი არ ჰყოლია. მეორესთან კი ჰყავდა ორი ვაჟი: დავით (დათა) და კონსტანტინე. უკანასკნელი მცირეწლოვნობაში გარდაიცვალა 1812 წლის შემდგომ წლებში[19].

ვახტანგის რეზიდენცია იყო სოფ. ლესაში, იქ, სადაც შემდეგ მის ვაჟს დავით // დათა გურიელს (პოეტ მამია გურიელის მამას) ჰქონდა ვრცელი ეზო, სასახლეები, კარის ეკლესია და მრავალი სხვა ნაგებობა[20].

როდის გარდაიცვალა ვახტანგი არ ვიცით. დაკრძალულია იგი და მისი მეორე ცოლი მარიამი ჯუმათის ეკლესიაში[21].

გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1828 წლის მიწურული ფაქტობრივად, ფორმალურად კი — 1830 წელი) ვახტანგის მემკვიდრე დავითი თურქეთს გადახვეწილ სოფიო დედოფალს გაყვა ემიგრაციაში. იქ ბატონიშვილი სხვადასხვა ქალაქში (ერთხანს სტამბოლში) ცხოვრობდა. მისი საუფლისწულო ხაზინას ეჭირა. მხოლოდ 1832 წლის ამნისტიის შემდეგ დაბრუნდა იგი გურიაში და დაიბრუნა თავისი ადგილ-მამულიც[22]. აქ მალე „მისი სახლი შეიქმნა... ერთი უპირველესთაგანი მთელს დასავლეთ საქართველოში“[23]. ი. მეუნარგიას ჩანაწერების მიხედვით, ლესაში დავით ბატონიშვილის კარ-მიდამო ასე იყო „დაწყობილი“:

„ეზოში იდგა სასახლის ეკლესია. რომელშიც კვირა-უქმე დღეს წირვა-ლოცვას ასრულებდა კარის ეკლესიის მღვდელი იოსებ გიგინეიშვილი..., ეკლესიის მოშორებით იდგა დავითის სადგომი სახლი, ძვე-

---

16 იქვე; Акты, т. II, с. 546 — 547; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 406.

17 იხ. „ივერია“, 1902, № 177.

18 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd. № 10280: ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. მამია გურიელი (ფაზელი), მისივე წიგნში: ქართული მწერლები. I, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1954, გვ. 343, შდრ. ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 362, შენიშვნა 3.

19 Дм. Б а к р а д з е, АПГА, с. 312, 337.

20 ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 341.

21 Дм. Б а к р а д з е, АПГА, с. 337.

22 ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა. დასა. ნაშრ., გვ. 340.

23 იხ. იქვე.

ლებური დიდი ოდა... იმის გვერდით — სასტუმრო „სააზნაურო სახლი“, რომელშიც „შიგ ცხენი გაჭენდებოდა“. დანარჩენი შენობიდან „მეტი ყურადღების ღირსი იყო საჯინიბო, რომელშიც ება მისრეთის (ეგვიპტის, ო. ს.) ფაშისაგან გამოგზავნილი მშვენიერი არაბული მერანი“.

დავითის სასახლეს განაგებდა სახლთუხუცესი. მის ხელქვეით იყვნენ: მსახურთუხუცესი, ფარეშთუფროსი, მესტუმრე, მწდე, მოლარე, მეჯინიბე, ბაზიერი, ყურძუალები, ქეშიკები, მოახლეები, გამდელები და ერთიც სასახლის დალაქი[24].

„დარბაზის ერს“ შეადგენდნენ თავადი გუგუნავები და თავდგირიძეები. „ყარისკაცნი და აზნაურნი“ იყვნენ: ჭყონიები, გიგინეიშვილები, თავართქილაძეები. კობახიძეები.

„სასახლეში სტუმრობა გამოულეველი იყო“. აქ იმდენი კაცი ტრიალებდა, რომ „დღეში ორი ძროხა იკვლოდა და ძლივს ყოფნიდა“.

დავით ბატონიშვილს 80 კომლი აზნაური ჰყავდა. „მისი მიწები ზღვამდის აღწევდნენ 17 ვერსის სიგრძეზე“. ამას გარდა მთელი გურიის სანაპირო მისი იყო და ნავების ბაჟის შემოსავალი გრიგოლეთსა და მალთაყვაში[25].

დავითი შესანიშნავი „ცხენოსანი“ ყოფილა. ი. მეუნარგიას მირიან ჭყონიასაგან გაუგონია, რომ „ხონთქარს“ (ოსმალეთის სულთანს) დავითზე უთქვამს თურმე: „იმისთანა ცხენოსანი კაცის მნახველი არა ვარო“. იმავე მირიანის გადმოცემით, დავითის „ჯირითი ას საჟენზე მიდიოდა“. „ლესას ჭიშკრიდან რომ გაისროდა ჯირითს, ეზოს ბოლოს დიდ ოდას გადაავლებდა“[26].

დავითის თანამეცხედრე იყო „დიდი ნიკო“ დადიანის ასული ეკატერინე (შინაურობაში — ბათუ). ჰყავდა, ზემოხსენებულ მამიას გარდა, ოთხი ვაჟი: ჯამბაკურ, ვახტანგ, ტელემაკ, ვარდენ და ორი ასული: ივდითი და მაკა[27].

დავითი გარდაიცვალა 1856 წლის 19 ნოემბერს 54 წლის ასაკში. მისი მეუღლე ეკატერინე — 1884 წელს. დაკრძალულია ორივე ჯუმათის მონასტერში[28].

---

[24] იქვე, გვ. 341.

[25] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 342.

[26] იხ. იქვე, გვ. 341 (შენიშვნები).

[27] იქვე, გვ. 342—343. აღსანიშნავია, რომ დ. ბაქრაძის მიერ შედგენილ გურიელთა გენეალოგიურ სიაში დავით // დათას მეოთხე ვაჟის (ტელემაკის) სახელად ალექსანდრეა ნაჩვენები (იხ. Дм. Б а к р а д з е, АПГА, с. 337).

[28] იქვე, გვ. 343; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 337.

3). ქაიხსრო IV გიორგი V გურიელის ძეს საბატონიშვილო XVIII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგამდე არ ჰქონდა. იგი სასულიერო სფეროში მოღვაწეობისათვის იყო განწესებული და იზრდებოდა იმერეთს გენათელ ეპისკოპოსთან[29]. როცა ქაიხსროს ძმებს (სვიმონ, ვახტანგ III, ლევან, დავითი) მამის სიცოცხლის უკანასკნელ 1788 წელს საბატონიშვილო მამულები გამოუყვეს (იხ. ზემოთ), ქაიხსრო მომავალი მთავრის სვიმონის კარზე დატოვეს და მასთან უნდა ეცხოვრა. მაგრამ გარდაიცვალა თუ არა სვიმონი (1792 წ.), ქაიხსრომ თავი მიანება სასულიერო უწყებას და საერო ცხოვრებას დაუბრუნდა[30]. ამ დროიდან იგი თავად დაეუფლა საბატონიშვილო ყმა-მამულს. მან, ვითარცა შემოქმედელ ეპისკოპოსის კათედრის დასაკავებლად მომზადებულმა, 1794 წლიდან ხელთ იგდო საშემოქმედლოს ტერიტორია.

ქაიხსროს საბატონიშვილოში შემდეგი სოფლები შედიოდა: 1. შემოქმედი (მისი ციხესიმაგრით), 2. უჩხუბი, 3. ფატარი, 4. გოგიეთი, 5. გორისფერდი, 6. წითელმთა, 7. კარისყური, 8. გომებისკარი, 9. გომი[31].

მასვე ეკუთვნოდა აგრეთვე „მდ. ბეუჯის ზემო წელში აჭარა-გურიის ქედის ტყეები და საძოვრები". ჰყავდა ყმები ოზურგეთშიც[32].

ქაიხსროს რეზიდენცია თავდაპირველად იყო უჩუბს. შემდგომ — შემოქმედში[33].

1820 წელს გურიის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, რომელსაც იდეურად ქაიხსრო ხელმძღვანელობდა, მის საბატონიშვილოში შემავალი შემოქმედის ციხე, საქართველოს მთავარმართებლის ერმოლოვის ბრძანებით, აღნიშნულ წელსვე ძირამდე დაანგრიეს. ქაიხსრო თურქეთს ივლტოდა. მისი ყმა-მამული სახაზინოდ გამოცხადდა. ერთხანს ეს ყმა-მამული რუსეთის მთავრობამ გურიის მთავარს მამია V-ს მისცა. მაგრამ 1828 წელს (სოფიო გურიის დედოფლის ოსმალეთში გაქცევის შემდგომ) კვლავ სახაზინოდ ჩაირიცხა. რამდენიმე ხნის მერე, 1835 წელს, იმავე მთავრობამ ქაიხსროს მიწა-წყალი მის მემკვიდ-

---

[29] Акты, т. II, с. 546—547.

[30] Акты, т. II, с. 541—542, 546—547.

[31] Дм. Бакрадзе, АПГА, с. 114; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 233—404.

[32] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 404.

[33] იხ. იქვე.

რეებს — მალაქიასა და დიმიტრის დაუბრუნა[34]. უკანასკნელნი „გაუ-ყოფლად“ ფლობდნენ მას XIX საუკუნის შუა წლებამდე[35].

ქაიხოსროს პირველი ცოლი იყო თავად როსტომ ნაკაშიძის ასული მაკიჯასპი. მაგრამ ქაიხოსრომ მიატოვა იგი და შეირთო გურიის ერისთავის ქაიხოსროს ქალი ელისაბედი. ჰყავდა ორი ვაჟი: ზემო-ხსენებული მალაქია და დიმიტრი და ორი ასული — პელაგია და დეს-პინე. მათგან პირველი (პელაგია) გათხოვილი იყო გენერალ-მაიორ თავად ნესტორ წერეთელზე.

ქაიხოსრო IV გარდაიცვალა 1829 წლის 25 სექტემბერს თურქეთ-ში. მისი მეუღლე ელისაბედი — 1844 წლის 6 მაისს თბილისში. უკა-ნასკნელი დასაფლავებულია შემოქმედის მონასტერში (გურია)[36].

ბ). ლევან II გიორგი V გურიელის ძის საბატონიშვილო გამოეყო მისი უფროსი ძმის ვახტანგ III-ის საუფლისწულოს XVIII საუკუნის ბოლო წლებში. 1799 წელს ლევანი უკვე თვითონ განაგებდა თავის წილ ყმა-მამულს. მის მფლობელობაში იყო სოფ. ჩოჩხათი (ნაწილობ-რივ), ბაილეთი ციხესიმაგრით და კონჭკათი[37].

თ). დავით გიორგი V გურიელის ძის საბატონიშვილოც აგრეთვე მისი უფროსი ძმის ვახტანგ III-ის სამფლობელოს გაემიჯნა XIX საუ-კუნის დამდეგს. დავითს ეკუთვნოდა სოფ. ჩიბათი „შიგ მსახლობელი ჰყონიებით“ და ჩოჩხათის ნაწილი[38]. ერთხანს დავითმაც მიიტაცა მის საბატონიშვილოსთან ახლოს მდებარე ზოგიერთი საჯუმათლო მამული იქ მოსახლე ყმა-გლეხებით. მაგრამ 1817 წელს ეს ყმა-მამული, ნებით თუ უნებლიეთ, მანაც ისევ ჯუმათის ეკლესიას დაუბრუნა[39].

ამ დავითმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1820 წლის გურიის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი ოსმალეთში გადაიხ-ვეწა და იქ იყო ემიგრაციაში. მისი საბატონიშვილო კი სახაზინოდ გა-მოცხადდა. მაგრამ შემდეგ, XIX საუკუნის 30-იან წლებში, მისი ყმა-მამული რუსეთის მთავრობამ მის ძეს გიორგის დაუბრუნა[40].

---

34 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. IV, თბ., 1954, გვ. 389; ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 208; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 287, 404.

35 ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 404.

36 იხ. იქვე, გვ. 297, 362; Дм. Бакрадзе, АПГА, с. 337; ო. სოსელია, ნარკვევები..., II, გვ. 173—174.

37 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 13897; Дм. Бакрадзе, АПГА, с. 269, 327—328; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ.. გვ. 407.

38 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 11419; ფ. Ad, № 119; Дм. Бакрадзе, АПГА, с. 327.

39 Дм. Бакрадзе, АПГА, с. 327.

40 ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 208; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 407.

აღსანიშნავია, რომ ბატონიშვილებს გურიის სამთავროშიც ჰქონდათ თავიანთი მმართველობის აპარატი. მაგალითად, XVIII საუკუნის მიწურულსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ქაიხოსრო IV გურიელის ძის საბატონიშვილოში ვხედავთ მოურავს, მოხელეებს ანუ ხელოსნებს და მეღვინეებს. ხოლო უფრო გვიან (XIX საუკუნის პირველ ნახევარში) მისი ძის მალაქიას კარზე — სახლთუხუცესსაც[41].

ქაიხოსროს ძმის დავითის საბატონიშვილოში კი მხოლოდ ხელოსანი და მეღვინე ჩანან[42]. მაგრამ ეს ჩვენი საბუთების ხარვეზით უნდა აიხსნას, თორემ საბატონიშვილოებში აქ, საერთოდ, სხვა მოხელეებიც იყვნენ. ეს დასტურდება ვახტანგ III-ის მემკვიდრის დავით ბატონიშვილის კარის „დაწყობილების“ შესახებ ი. მეუნარგიას მიერ ჩაწერილი ზეპმოყვანილი ცნობებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ გურიის მთავართა სიგელებშიც, მთავრის, დედოფლისა და ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილის შემდეგ, იხსენიებიან სხვა ბატონიშვილებიც[43]. ეს კი ფორმალურად მთავრის ხელისუფლებაში მათი თანამონაწილეობის აღიარება იყო.

გურიის სამთავროშიც ბატონიშვილები ჩანს, ფლობდნენ თავიანთ წილხდომილ ყმა-გლეხებს. ჰყავდათ ვასალებად აზნაურები და თავადებიც[44]. ჰქონდათ საგადასახადო და სხვა იმუნიტეტი. საერთოდ, ბატონიშვილები აქაც ისეთივე პატივითა და უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროში.

გურიის მთავრებსა და ბატონიშვილებს შორისაც ხშირად იყო ბრძოლა ხელისუფლებისა თუ ყმა-მამულის გამო. ამ ბრძოლაში არაერთხელ მოუპოვებია გამარჯვება ამა თუ იმ ბატონიშვილს (მალაქიას, გიორგის, ვახტანგ III-ს), გადაუყენებია ესა თუ ის მთავარი და გურიელობა მიუტაცია. საამისო ფაქტები მრავლადაა გურიის სამთავროს პოლიტიკურ ისტორიაშიც[45].

---

41 ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 405.

42 ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, № 28.

43 იხ., მაგალითად, დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 15—16, 70; II, გვ. 70; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა.., I, გვ. 147, № 155.

44 იხ. ზემოთ ვახტანგ III-ისა და მისი ძის დავით // დათა ბატონიშვილის საუფლისწულო.

45 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Ad, № 1198; ფ. Sd, № 1808; ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 188; ვახუშტი, აღწერა.., გვ. 377—878; Грамоты, I, с. 354—355; პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გამოც. ე. ცაგარეიშვილისა, გვ. 237—239; ო. სოსელია, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 128—129, 139—140.

3. საუფლისწულოები ოდიშის სამთავროში

ა) სალიპარტიანო

სალიპარტიანო ოდიშის მთავართა ჯერ პირველი დინასტიის — ვარდანიძეთა თუ საღირიძეთა გვარის[1] უმცროსი შტოს საუფლისწულო იყო, ხოლო შემდეგ, XVIII საუკუნის დამდეგიდან — მეორე ჩიქვანთა ახალი დინასტიის უმცროსი შტოს წარმომადგენლისა.

სალიპარტიანოს ეძახდნენ ტერიტორიას, დაწყებულს ჭყონდიდიდან უნაგირამდე. უნაგირას მთა ერქვა იმ ტყიან „მცირე მთას", რომელიც მდინარე ტეხურის დასავლეთის „კიდურს" მისდევდა რიონიდან „კავკასამდე"[2].

ს. მაკალათიას აზრით, სალიპარტიანო ეწოდებოდა ოდიშის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს და იგი მდებარეობდა მდ. ტეხურის ორსავე ნაპირას... რაც დაახლოებით შეიცავს დღევანდელ გეგეჭკორის რაიონს"[3].

სალიპარტიანოსა და მისი საზღვრების შესახებ წყაროთა მონაცემები და სხვადასხვა მკვლევრის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი განიხილა რა თ. ბერაძემ, დასაბუთებულად აღნიშნა: სალიპარტიანო თავდაპირველად იყო ვრცელი სამფლობელო. შემდეგ „ამ სახელის ქვეშ ცნობილი ტერიტორია თანდათან ვიწროვდება და XIX საუკ. დასასრულისათვის ტოპონიმი სალიპარტიანო მდინარე ტეხურის ზემო წელზე მდებარე ოციოდე სოფელს შეიცავდა"[4].

სალიპარტიანო თავიდან, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, ლიპარტიანთა გვარის მფლობელობაში ყოფილა. შეიძლება ეს ტერიტორია ერთ დროს საერისთავო იყო და ერისთავებად აქ ლიპარტიანთა გვარის წარმომადგენლები იჯდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის, რომ იოანე ბატონიშვილს სალიპარტიანო საერისთავოდ აქვს წარმოდგენილი[5]. როდის დაკარგეს ლიპარტიანებმა თავიანთი მიწა-

---

[1] დადიანთა პირველი დინასტიის წარმომავლობის შესახებ იხ. თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III, თბ., 1967, გვ. 150—157; ილ. ანთელავა, დადიანთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის, „მნათობი", 1981, № 8, გვ. 169—170.

[2] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 777.

[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941. გვ. 113, შენიშვნა 1.

[4] თ. ბერაძე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 129—130.

[5] იხ. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა..., ხელნაწ. ინსტ., ფ. S № 3729, გვ. 63 (65), 95 (97), (გამოქვეყნებულია 1884 წ. „ივერიის" დამატებაში № 4, 5—6, 7—8, 9—10, 11—12). (ქვემოთ: შემოკლებით აღწერა... ავტორის დაუსახელებლად).

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ იგივე ბატონიშვილი ქართლის აზნაურთა

წყალი, ცნობილი არ არის. სავარაუდებელია ეს მოხდა XIII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ, როცა ცენტრალური ხელისუფლების ძლიერება შეირყა და ოდიშის ერისთავთ-ერისთავმა დადიანმა მეფისაგან დროებით სახელოდ ჩაბარებული ქვეყანა „თავისად“ გაიმკვიდრა.

შეიძლება დადიანებმა სამამულო ბრძოლის პირობებში წარიტაცეს ლიპარტიანთა სამფლობელო და თვით ეს გვარიც ამოწყვიტეს[6]. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის, რომ ლიპარტიანთა წარჩინებული გვარი (ასეთი უნდა ყოფილიყო სალიპარტიანოს მფლობელთა საგვარეულო) არც ერთ წყაროში არ გვხვდება. მაგრამ სალიპარტიანოს კი დადიანთა ხელში გადასვლის შემდეგაც დღემდე თავისი ძველი სახელი შერჩა, რაც ოდესღაც ლიპარტიანთა გვარის ძლიერებისა და ამ კუთხის მისადმი კუთვნილების უტყუარი მოწმობაა.

ეს უტყუარი მოწმობაა აგრეთვე იმისაც, რომ ლიპარტიანები აქ უძველესი დროიდან მკვიდრობდნენ. ცდება უდავოდ სარგის კაკაბაძე, როცა სოფ. ობჩის (იმერეთი) ეკლესიის წარწერების ლიპარტიანებს[7] ადგილობრივ ლიპარტიანებად თვლის, რომელნიც, მისი აზრით, ობჩიდან ოდიშს გადასახლდნენ 1590 წლის ახლო ხანს. აქ ისინი „მიღებულ იქნენ ერთ-ერთ უპირველეს თავადად“ და მათგან მომდინარეობენ ოდიშის ლიპარტიანები[8].

მაგრამ ეს რომ ასე არ არის, სხვა რომ არა იყოს რა, ჩანს იმ ფაქტიდან, რომ ოდიშში ლიპარტიანებს XVI საუკუნის მიწურულზე ბევრად ადრე — XV საუკუნეში ვხედავთ[9]. ამასთან ობჩის ეკლესიის აღმშენებელი გიორგი ლიპარტიანი და ძე მისი ვამეყი, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად უკვე გარკვეულია, ოდიშის ლიპარტიანები არიან[10]. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ობჩის ეკლესიის წარწერებში დასახელებული გიორგი ლიპარტიანი და ლევან II

„ლიპარიტ-ისშვილთა“ გვარს სალიპარტიანოს უკავშირებს („ადგილისა გამო იწოდნენ ლიპარიტ-ისშვილებადო“) და ამ გვარს ორბელიანთა მონათესავედ“ თვლის (იხ. იქვე).

6 იხ. თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

7 წარწერა ასომთავრულია. მასში ვკითხულობთ: „ამა ეკლესიისა აღმამშენებელსა გ-გის ლიპარტიანსა შო-ნდოს ღ-რნ.. მეუღლესა მისსა თაჯი ყოფილსა თებრონიას შეუნდნოს... ღ-თნ:.. ძე მათი ვამეყი“ (პუბლიკაცია ეკუთვნის სარგის კაკაბაძეს. იხ. მისი წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიკული მასალის შესახებ, საისტორიო კრებული, წ. IV, თბ., 1929, გვ. 109).

8 იხ. იქვე, გვ. 110—111.

9 იხ. ე. თაყაიშვილი, ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, „ივერია“, 1891, № 213; თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 117—118.

10 თ. ბერაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 117—118.

დადიანის დროს (1611—1657 წწ.) ოდიშის სამთავრო"ში მოღვაწე მისი ბიძა და რეგენტი გიორგი ლიპარტიანი ერთი და იგივე პირია და არა სხვადასხვა, როგორც ეს სარგის კაკაბაძეს მიაჩნია[11].

აქ ერთი საკითხიც მოითხოვს განმარტებას:

მიუხედავად იმისა, რომ ლიპარტიანთა წარჩინებული გვარი, როგორც ითქვა, დადიანებთან ბრძოლას გადაყვა, მაინც იხსენიება წყაროებში ოდიშის სამთავროში ლიპარტიანი და „ლიპარტიანობა" XV—XVIII საუკუნეებში. ლიპარტიანია აქ როგორც დადიანთა პირველი დინასტიის — ვარდანიძე-საღირიძეთა გვარის წევრია, ისე მეორე — ჩიქვანთა დინასტიის წევრიც, თუ მას სალიპარტიანო უჭირავს.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ორი სხვადასხვა გვარის წევრი ლიპარტიანად იწოდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ლიპარტიანი გვარის სახელი არ არის. სინამდვილეში ეს ესეცაა. დღეისათვის ქართულ საისტორიო ლიტერატურაში გარკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ ოდიშის სამთავროს ისტორიის გარკვეული მონაკვეთიდან ლიპარტიანი და „ლიპარტიანობა გვარის გამომხატველი ცნება" კი არ იყო, არამედ „სამეგრელოს მთავრის უმაღლესი მოხელის ტიტულს" თუ ერთგვარ წოდებულებას „წარმოადგენდა"[12]. ეს სრული უეჭველობით დაამტკიცა თ. ბერაძემ[13].

გვიანდელი, XVIII საუკუნის ცნობებით, სალიპარტიანო საუფლისწულო მამული იყო და, როგორც წესი, ოდიშის სამთავრო სახლის უმცროს შტოს ეძლეოდა (იხ. ქვემოთ). ასევე უნდა ყოფილიყო ეს ადრეც. უფლისწული, რომელიც სალიპარტიანოს მიიღებდა, ლიპარტიანი ხდებოდა და ამიერიდან ლიპარტიანად ან „ბატონიშვილ-ლიპარტიანად" იწოდებოდა. იხსენიება, მაგალითად, „დადიანის ძმა" ლიპარტიანი ან „ძე დიდისა... დადიანისა" ლიპარტიანი ან კიდევ „დადიანის სახლისკაცი ლიპარტიანი"[14].

ლიპარტიანის ტიტულად გადაქცევა, ლიპარტიანთა ძველი ფეოდალური გვარის ოდინდელი დიდი პოლიტიკური გავლენის გამოძახილი უნდა იყოს და მათი სამფლობელო სალიპარტიანოს განსაკუთრებული ეკონომიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობით უნდა იყოს შეპირობებული.

---

[11] იქვე. შდრ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 110—111.

[12] თ. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

[13] იხ. იქვე, გვ. 118—126.

[14] დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 172; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფილისი, 1897, გვ. 471 (ქვემოთ: ქრონიკები); ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. III, ტფილისი, 1913—1914, გვ. 218.

სალიპარტიანოს სწორედ ასეთი მნიშვნელობის გამო ცდილობდნენ დადიანობისათვის მებრძოლი ჩიქვანები ამ კუთხის ხელში ჩაგდებას და სწორედ ამის მიღწევამ გაუადვილა მათ ოდიშის სამთავროში გადადიანება.

ლიპარტიანების (მეგრული ფორმით — ლიპარტია) ძლიერების გამოძახილი უნდა იყოს აგრეთვე ზემო სამეგრელოს ზეპირსიტყვაობაში დღემდე შემორჩენილი გამოთქმა, როცა ყოვლად უსაშველო საქმეზე ან უკურნებელი სენით შეპყრობილ მომაკვდავ ვინმეზე იტყვიან: „ამას არ უშველის არავითარი ლიპარტია“ („თეს ვახვარ მუთუნი ლიპარტია“). მათ დიდებაზე მეტყველებს კიდევ იმავე მეგრულ ხალხურ პოეზიაში ლიპარტიას მეფის ტოლსწორად მოხსენიება:

„მეფე გეგუთშია და ლიპარტია — მაღლაკში“...

(მაფა გეგუთის რე დო ლიპარტია — მაღლაკის“...)*.

ოდიშში ჩიქვანთა დინასტიის გამთავრებამდე იხსენიებიან შემდეგი ლიპარტიანები:

1. შამადავლა ლიპარტიანი, რომელიც ყველაზე ადრინდელი, ისტორიულად ცნობილი ლიპარტიანია და რომელიც მოღვაწეობდა XV საუკუნეში[15];

2. გიორგი I ლიპარტიანი, ძმა მანუჩარისა და ბიძა ლევან II დადიანისა, გვხვდება XVII საუკუნის პირველ მესამედში;

3. ვამეყ გიორგი I-ის ძე ლიპარტიანი — აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარში;

4. გიორგი II ლიპარტიანი (ვამეყის ძმა) — ვამეყის გადადიანების (1658 წ.) შემდგომ, XVII საუკუნის 60-იან თუ 70-იანი წლების დამდეგს[16].

ჩიქვანთა საგვარეულოს მძლავრობისა და მერე დადიანობის პერიოდში ცნობილი არიან მათი გვარის შემდეგი ლიპარტიანები:

1. კაცია ლიპარტიანი — 1673 წელს;

2. მისი ძე გიორგი III ლიპარტიანი — 1681—1714 წლებში;

3. შამანდალე ლიპარტიანი, გიორგი III ლიპარტიანის ძე და ძმა ბეჟან დადიანისა — 1714—1728 წლებში;

---

* კალისტრატე სამეშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით), თბ., 1979, გვ. 128.

[15] ე. თაყაიშვილი, ნიმუშები სამეგრელოს სიველ-გუჯრებისა, „ივერია“, 1891, № 213.

[16] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15—16; ო. სოსელია, ნარკვევები..., I, გვ. 311—312.

4. გიორგი IV ლიპარტიანი — 1732—1752—1754 წლებში. ეს გიორგი არის უკანასკნელი ლიპარტიანი. ამიერიდან სამთავრო სახლის არც ერთი შტოს წარმომადგენელი ლიპარტიანის ტიტულით აღარ იხსენიება[17].

1799 წლის მიწურულს თუ მომდევნო წლის დასაწყისს, გრიგოლ დადიანმა სალიპარტიანო ერთხანს თავის ძმას მანუჩარს მისცა[18]. მაგრამ იგი „დადიანის ძედ“ იწოდებოდა და არა ლიპარტიანად[19].

ამავე ხანში კიდევ სალიპარტიანო დადიანთა სამეფო სახლის სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა შორის დანაწილდა და, როგორც ერთი მთლიანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, გაუქმდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან სალიპარტიანოს ერთი ნაწილი მთავრის სახასო მამული ჩანს და სამოურავო აქვთ თავად დგებუაძეებს: ჯერ ჯოღორიას და შემდგომ — მის ძმას ავთანდილს. ყოველივე ზემოთქმულთანაა დაკავშირებული ლიპარტიანის ტიტულის თუ წოდებულების გაქრობაც.

მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, სალიპარტიანო იყო განუყოფელი საუფლისწულო, რომელსაც მისი მფლობელი ბატონიშვილ-ლიპარტიანი განაგებდა. საამისოდ მას თავისი მოხელეები ჰყავდა. მაგალითად, 1615—1620 წლების ახლო ხანში გიორგი I ლიპარტიანის სამოხელეო აპარატში ვხედავთ მოურავს და კარის მესტუმრეს[20]. სასულიერო სფეროს მოხელეთაგან კიდევ — წინამძღვარს[21]. წინამძღვრად სალიპარტიანოში ყოფილა ვინმე ზებედე, მოურავად — „სეხნია ნეუსაძე“ და კარის მესტუმრედ — ივანე რევია[22]. მაგრამ დასახელებულთა გარდა, მას სხვა მოხელეებიც ჰყოლია. ეს ჩანს აღნიშნული წლების ახლო ხანის მისი შეწირულების წიგნიდან. იმოწმებს რა აქ იგი ზემოხსენებულ მოხელეებს, დასძენს: „და სხუანი კარისა ჩუენისა ჯელის მქონებელნიო“[23]. აქედან ცხადია, რომ ლიპარტიანის კარზე ყოფილან სხვა მოხელეებიც, მაგრამ კონკრეტულად არ იხსენიებიან.

სალიპარტიანო, როგორც ზემოთ ითქვა, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მაგრამ სახელდობრ რა სოფლები შედიოდა მასში თავდაპირველად, წყაროებიდან არ ჩანს. გვიანდელი (1872 წლის) ცნობით, სალიპარტიანოში სულ 16 სოფელი ირიცხება: 1. სალხინო, 2. ლეცავე, 3. ჟინოთა, 4. თამაკონი, 5. თარგამოული, 6. ღალი, 7. ნობელევი,

---

17 ო. სოსელია, ნარკვევები..., I, გვ. 312—313.

18 ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 190.

19 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 257.

20 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 172.

21 იხ. იქვე.

22 იქვე.

23 იხ. იქვე.

8. ეწერი, 9. ვახა, 10. ოჩე, 11. წაჩხურუ, 12. ნამიკოლოვო, 13. კიწია, 14. დოშაყე, 15. გურძემი, 16. ლეძაძამე[24].

ამას უნდა დაემატოს კიდევ სამი სოფელი: ნაგვაზაუ, ბონბოთი // ბომბოთი, ტარჩული // ტარჩელი, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში სალიპარტიანოში შედიოდა[25]. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, მაინც არ იქნება ძველი დროიდან სალიპარტიანოს საზღვრებში შემავალი სოფლების სრული სია.

სალიპარტიანოს ცენტრი თავდაპირველად, ვიდრე ჩიქვანთა საგვარეულო გადადიანდებოდა (1704 წელს ოფიციალურად), იყო სოფ. ნოქალაქევთან ახლოს, ტარჩულში[26]. აქ იყო გიორგი I ლიპარტიანის რეზიდენცია: სასახლე და კარის ეკლესია.

სად იყო ლიპარტიანის ციხესიმაგრე, პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ, ვფიქრობთ, ის იყო ნოქალაქევში[27]. ასეთი ვარაუდი მით უფრო მისაღებია, რომ ნოქალაქევის ციხესთან ახლოს, ტარჩულში იყო ლიპარტიანის სასახლე და კარის ეკლესია.

ლიპარტიანის უნდა ყოფილიყო აგრეთვე თამაკონის ციხესიმაგრეც, რომელიც მისი სამფლობელოს ტერიტორიაში შედიოდა[28].

პირდაპირი ცნობა არც იმის შესახებ გვაქვს, თუ სად იმარხებოდნენ ლიპარტიანები. მაგრამ არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით, დადიანთა პირველი დინასტიის ლიპარტიანების საძვალე წალენჯიხის ეკლესიაში იყო. აქ ლევან II დადიანის ეკვდრის სამხრეთის კარის მარჯვნივ დახატულია: „ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ძმა ჯელმწიფისა მანუჩარისა...[29]. ეს გიორგი ზემოხსენებული გიორგი I ლიპარტიანია. აღნიშნულ ადგილას მისი დახატვა იმას უნდა გულისხმობდეს, რომ მისი ჯაფლავი იქვე ან სადმე ახლოს იყო.

ჩიქვანთა დინასტიის ლიპარტიანების საძვალე კი ჭყონდიდის (მარტვილის) მონასტერში იყო[30]. ამ ლიპარტიანების რეზიდენციაც სხვა-

---

24 შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თსუ-ს შრომები, ტ. 113, 1965, გვ. 284. შდრ. მ. კოლხიდელი, გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, ტფილისი, 1926, გვ. 36.

25 იხ. დას. საქ. საეკლ. სბ., II, გვ. 172; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 55—56 (მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერა); თ. ბერაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 128—129.

26 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 55—56; თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 128—129.

27 იხ. შ. ჯღარკავა, დასახ. ნაშრ., გვ. 290.

28 იხ. იქვე,. გვ. 290—291.

29 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 218.

30 იხ. იქვე, გვ. 122—123.

გან — სალხინოში ყოფილა[31], ხოლო ციხესიმაგრე ჰქონიათ შხეფში[32].

დადიანთა როგორც პირველი, ისე მეორე დინასტიის ლიპარტიანები მრავალრიცხოვანი ყმა-გლეხისა და აზნაურის მფლობელნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათი ყმების საერთო რაოდენობა ჩვენთვის ცნობილი არ არის. არც ის ვიცით სისრულით რა გვარისა იყვნენ ლიპარტიანების გლეხები და აზნაურები. ჩანს მხოლოდ, რომ ლიპარტიანის ყმა-გლეხები იყვნენ ნაჭყებიები და გახარიები, აზნაურები კი — „ნეუსაძეები" და რევიები[33].

აზნაურებს გარდა, ლიპარტიან-დადიანისძეთა ვასალები იყვნენ აგრეთვე თავადებიც. მაგალითად, მანუჩარ კაცია II-ის ძე ბატონიშვილი, რომელიც ერთხანს სალიპარტიანოს ფლობდა, თავადი ვახტა ჩიჩუას თავის „ძმასა და ყმას" ეძახის და აძლევს მას ერთ კომლ გლეხს მისი ადგილ-მამულით[34]. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩიჩუათა გვარის ყველა თავადი ლიპარტიანის ყმა იყო. არა, ჩიჩუათა საგვარეულოდან ლიპარტიანის ყმად ითვლებოდა მხოლოდ ის, ვინც სალიპარტიანოს მფლობელისათვის, სამთავრო სახლის წევრ ბატონიშვილისათვის მთავრის მიერ წილად იყო გამოყოფილი. ლიპარტიანებს გარდა, ასეთი თავადები ოდიშის სხვა ბატონიშვილებსაც ჰყავდათ. საბატონიშვილო თავადები მეორეხარისხოვან თავადთა რიგს ეკუთვნოდნენ.

სალიპარტიანო, ისე როგორც ოდიშის სამთავროს სხვა საბატონიშვილოები, საგადასახადო, ადმინისტრაციული და, ნაწილობრივ, საასამართლო შეუვალობით სარგებლობდა.

ბ) „სამანჩო"

სალიპარტიანოს გარდა, ოდიშის სამთავროში მეტ-ნაკლებად მსხვილ საუფლისწულოს წარმოადგენდა „სამანჩო". ასეთი სახელი მას ეწოდა მისი პირველი მფლობელის მანუჩარ ბატონიშვილის სახელის გამო, რომელიც მეგრულ მეტყველებაში „მანუჩად" გამოითქმის.

---

31 იონა მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედ., თბ., 1939, გვ. 61; შ. ჯღარკავა, დასახ. ნაშრ., გვ. 290—291.

32 ჩიქვანთა გვარის ლიპარტიანების სამფლობელოსა და ოდიშის სხვა საუფლისწულოთა შესახებ ცნობები მოგვაწოდა ქ. ზუგდიდის მცხოვრებმა, აწ განსვენებულმა, 82 წლის გვანჯი ალექსის ძე ჩიქვანმა. გაუგონია მამა-პაპათაგან. ჩავიწერეთ 1959 წლის სექტემბერს სოფ. სარაქონში (ჩხოროწყუს რაიონი).

33 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 257; დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 172.

34 ქუთ. მუზ. საბ. № 217.

სამანჩო ეწოდებოდა მდინარე ხობის-წყლის ზემო წელზე მდებარე ტერიტორიას, რომელიც მოიცავდა სოფ. მოიდანახეს, ჯუმითს, ხაბუმეს და ჭოღას[35]. ადგილობრივი მოსახლეობის უფროსი თაობა ამ ტერიტორიას დღესაც სამანჩოს ეძახის. მანუჩარის მფლობელობაში იყო აგრეთვე სოფ. ქოყო[36] და სოფ. მუხურის ნაწილიც[37].

XVIII საუკუნის შუა წლებიდან ოდიშის სამთავროში გვხვდება სამი მანუჩარ ბატონიშვილი:

ერთი — კაცია მეორე დადიანის (1757—1788 წწ.) ბიძა. მაშასადამე, ოტია დადიანის ძმა და ბეჟან დადიანის შვილი[38].

მეორე — ამ მანუჩარის შვილი მანუჩარ („მანუჩარ მანუჩარის ძე", ბეჟანის ძის ძე"), ე. ი. ბეჟან დადიანის შვილიშვილი, ოტია დადიანის ძე, კაცია II-ის ძმა და გრიგოლ დადიანის ბიძა;[39]

მესამე — კაცია II-ის შვილი და ოდიშის მთავრის გრიგოლის უმცროსი ძმა.

ეს მანუჩარი XVIII საუკუნის მიწურულს მთავრობას ეცილებოდა თავის უფროს ძმას გრიგოლს. იმერთა მეფის სოლომონ II-ის დახმარებით წაართვა კიდეც მას სამთავრო და 1791—1796 წლებში თვითონ იჯდა დადიანად. მაგრამ 1797 წელს გრიგოლმა აღადგინა თავისი ხელისუფლება ოდიშში და რამდენიმე ხნის შემდეგ მანუჩარს საუფლისწულოდ ერთხანს სალიპარტიანოს ნაწილი მისცა, რომელიც მას ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში (1757—1788 წწ.) ეჭირა[40].

დავუბრუნდეთ ახლა კვლავ იმ სამ მანუჩარს. დასახელებული სამი მანუჩარიდან სამანჩოს მფლობელი უნდა ყოფილიყო რომელიმე ერთი. მაგრამ სახელდობრ რომელი?

ირკვევა, რომ სამანჩოს მფლობელი იყო კაცია II-ის ძე და გრიგოლის ძმა მესამე მანუჩარი. ეს ჩანს 1846 წლის 3 მარტს მის მიერ

---

35 ზემოხსენებული გვანჯი ალექსის ძე ჩიქვანის ცნობა.

36 იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, I, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით, თბ., 1954, გვ. 296. ამჟამად ასეთი სახელწოდების სოფელი სამეგრელოში არ არსებობს. მაგრამ ძველად ქოყოს ეძახდნენ თურმე სოფ. თაიას (ჩხოროწყუს რაიონი) ერთ უბანს (ცნობა მოგვაწოდა გიორგი (გრიშა) წახნაგია-ციალაძემ, 83 წლისა, სოფ. ჭოღას (ჩხოროწყუს რაიონი) ყოფილი მკვიდრი, ახლა თბილისში, კამოს ქ. № 2-ში მცხოვრები (ჩაიწერეთ აქვე 1984 წლის 18 ნოემბერს).

37 მანჩა ჯალაღანიას ცნობა სოფ. ჯუმითის (ჩხოროწყუს რაიონი) მცხოვრები, 80 წლის (ჩაიწერეთ იქვე 1960 წლის აგვისტოში).

38 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 32, 34, 177.

39 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 9; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, I, გვ. 154, № 159.

40 იხ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 186—191; ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 61.

ძინი „კაცი“ ქაქუჩასა და სხვა ქარჩავებისათვის მიცემული წყალობის წიგნიდან. ამ წიგნში ქარჩავებისათვის ბოძებულ ადგილს იგი ასე შემოსაზღვრავს:

„ბაკისქური დამშრალი ღელეს დაბლა და ხოპი წლის აქეთ, და ქვემოთ საზღვარი გოგია შელიას ნაპურალი რომ არის იმის იქეთ, ვოყურდღელეს (— საყურდღელეს, ო. ს.) რომ ეძახიან იმას შუა, ვოყურდელეს აქეთ მომიცემია და გიბედნიეროს ღმერთმაო“. ამტკიცებს და ხელს აწერს „წერილსა ამას... მთავრის დადიანის კაციას ძე მანუჩარ“[41].

აქ შემოსაზღვრული ადგილი სწორედ იმ ტერიტორიის ნაწილია, რომელიც ხობის-წყლის ზემო წელზე მდებარეობს და რომელსაც სამანჩო ეწოდებოდა. რაკი სამანჩოს ნაწილის განკარგულების (ბოძების) უფლება ამ მანუჩარს აქვს და იქ მკვიდრი გლეხები ქარჩავებიც მისი ყმებია, უეჭველია ერთობ სამანჩოც მასვე ეკუთვნის. ამგვარად, სამანჩოს თავდაპირველი მფლობელი მესამე მანუჩარია და მისგან აქვს მიღებული ამ კუთხეს ეს სახელი.

დასახელებულ მანუჩარს, როგორც აღინიშნა, ერთხანს სალიპარტიანოს ნაწილი ეჭირა. მაგრამ გრიგოლ დადიანის სიცოცხლის ბოლო წლებში თუ მისი სიკვდილის (1804 წ.) შემდგომ ჩამოერთვა ის და საბოლოოდ მას ზემოჩამოთვლილი სოფლები მიეცა. მისი შთამომავლობა (ხაბუმელი და მოიდანახელი ბატონიშვილ-დადიანის ძეები) შემდეგ სწორედ სამანჩოს ფლობდა.

რაც შეეხება პირველი და მეორე მანუჩარის (მანუჩარ ბეჟანის ძისა და მისი ძის მანუჩარის) საუფლისწულოს ადგილმდებარეობა-მოცულობა, ჩვენთვის უცნობია.

სამანჩოს მფლობელი მანუჩარის თანამეცხედრე იყო ზურაბ შარვაშიძის ასული ელისაბედი[42]. ჰყავდა ხუთი ვაჟი: კაცია, ზურაბ, ბეჟან, ლევან და გიორგი[43].

ამ მანუჩარის და შემდგომ მისი მემკვიდრეების რეზიდენცია იყო სოფ. მოიდანახესა და ხაბუმეში. ორივე სოფელში ჰქონდათ სასახლე და კარის ეკლესია[44]. სასახლე ჰქონდა მანუჩარს აგრეთვე სოფ. ქოყოშიც[45].

---

41 ქუთ. მუზ. საბ. № 639/2.

42 იხ. ქუთ. მუზ. საბ. №639/2. ნიკო დადიანის ცნობით, მანუჩარის თანამეცხედრის შარვაშიძის ასულის სახელი რუსუდანია (იხ. მისი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 81). მაგრამ ეს ცნობა მცდარი უნდა იყოს. თვით მანუჩარი თავის მეუღლეს, შარვაშიძის ასულს, ელისაბედს ეძახის (იხ. ქუთ. მუზ. საბ., № 639/2) და მას უფრო დაეჯერება. ოღონდ გამორიცხული არ არის მეორე სახელად მას რუსუდანი ჰრქმეოდა.

43 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 257, 639/2.

44 გვანჯი ალექსის ძე ჩიქვანის ცნობა.

45 იხ. ი ო ნ ა მ ე ფ უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, I, გვ. 296.

სად იყო მანუჩარ ბატონიშვილის საძვალე, გადაჭრით თქმა ძნელია. მაგრამ, ვფიქრობთ, ის იყო წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში. ამ ეკლესიის სამხრეთის შტოს შუა ნაწილის ეკვდერი, სადაც დასაფლავებულია „მთავრის დადიანის ძე მანუჩარი“ და საისტორიო ლიტერატურაში ცნობილია „მანუჩარ დადიანის ეკვდრად“[46], შეიძლება სამანჩოს პირველი მფლობელის მანუჩარ კაცია II-ის ძის ეკვდერი იყოს. ხოლო გვიანდელი ხანის სხვა მოიდანახელი და ხაბუმელი ბატონიშვილ-დადიანის ძეების ანუ (როგორც XIX საუკუნის დამდეგიდან იწოდებოდნენ) დადიანების სასაფლაო მოიდანახისა დ ხაბუმის ეკლესიებში იყო.

სამანჩოს მფლობელს თავისი ციხესიმაგრეც უნდა ჰქონოდა, მაგრამ სად — ვერ დავადგინეთ.

მანუჩარისა და მის მემკვიდრეთა ყმა გლეხები იყვნენ: ქარჩავები, პაპასკირები, წახნაგიები, მარკოზიები, გვარამიები, ლაგვილავები, ნაჭყებიები, ღურწკაიები, დარსალიები, შენგელიები, გაბედავები, უბირიები, დიხამინჯიები, ჩალიგავები, გულუები, გელანტიები, ბაძაღუები, გაბელიები, ჩარჩხალიები, გახარიები, ჩაგუნავები, ვახანიები, ჯალაღანიები, რამდენიმე კომლი კვარაცხელია და სხვ[47].

მათი აზნაურები იყვნენ: ჩიქვანები, შელიები (ჯუმითის)[48]. ჰყავდათ ვასალურ დამოკიდებულებაში თავადი ვახტა ჩიჩუა*. მათივე ვასალებადაა სავარაუდებელი ნაჯაგოელი თავადი შელიაც.

ამ მანუჩარის შთამომავლობიდან მომდინარეობდნენ მერმინდელი მოიდახახელი და ხაბუმელი ბატონიშვილ-დადიანები.

ოქტომბრის რევოლუციამდე ხაბუმეში ბატონიშვილ-დადიანთა დაახლოებით 10 ოჯახი ცხოვრობდა[49].

გ. ტარიელ ბატონიშვილის საუფლისწულო

ტარიელ // ტაია იყო კაცია II-ის შვილი, გრიგოლ დადიანის უმცროსი ძმა და ლევან V-ის ბიძა. იმერთა მეფის სოლომონ II-ის ჩაგო-

---

46 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 219.

47 ქუთ. მუზ. საბ. № 257, 640, 759; მერი ნიკოლოზის ასულ დადიანის ცნობა (მანუჩარ კაცია II-ის ძე ბატონიშვილის მემკვიდრეთა შტოდან. 80 წლისა, სოფ. ხაბუმეს ყოფილი მკვიდრი, ამჟამად თბილისში, ოქროყანის ქ. № 13-ში მცხოვრები. ჩავიწერეთ აქვე 1984 წლის 18 ნოემბერს) და აგრეთვე ზემოდასახელებულ გვანჯი ალექსის ძე ჩიქვანის, მანჩა ჯალაღანიას, გიორგი ფილიპეს ძე წახნაგია-ციალაძის ცნობები.

48 ქუთ. მუზ. საბ. № 759; ზემოხსენებულ პირთა ცნობები.

* იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 257.

49 მერი ნიკოლოზის ასულ დადიანის ცნობა.

ნებითა და დახმარებით ტარიელიც აუმხედრდა ერთხანს გრიგოლს, გადააყენა იგი მთავრობიდან და 1802 წელს თავად დაჯდა დადიანად. მაგრამ გრიგოლმა ამავე წელს დაიბრუნა დადიანობა. ტარიელი კი ჩვეულებრივ ბატონიშვილად დარჩა.

ჰქონდა თუ არა მას გრიგოლის დადიანობაში (1788—1804 წწ.) გამოყოფილი საუფლისწულო მიწა-წყალი, არ ვიცით. ჩანს მხოლოდ, რომ 1811 წლის 18 აგვისტოს ტარიელი ოდიშის სამთავროში არ არის. დაუტოვებია მას თავის „თანამშობელი ქვეყანა“ და დიდხანს („ესოდენსა ჟამს“) სადღაც იმყოფება. ეტყობა, იგი თავის ძმისწულს ლევან დადიანს არ ენდობოდა და არც მის ხელისუფლებას ცნობდა. უკანასკნელი ფიცით არწმუნებს „უგანათლებულეს... სასურველ ბიძას“, თუ იგი აღიარებს „ღირსებისამებრ“ მის (ლევანის) მთავრობას, „უვნებელ“ იქნება მისგან[50].

ზემოაღნიშნული თარიღით შედგენილ „დარწმუნების წერილით“ (რომელსაც იმერეთის მმართველი გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი ემოწმება), ლევან V ატყობინებს რა ბიძას, რომ გამოუყო მას მისი „ხვედრი“ მამული, თხოვს: „ინებოს... მობრძანდეს“ და ჩაიბაროს ის[51]. როგორც ამ წერილიდან ვგებულობთ, ტარიელ ბატონიშვილის საუფლისწულოდ „ჩინებული“ მამული ოთხ სოფელს მოიცავდა: 1. წალენჯიხას, 2. მაზანდარას, 3. ობუჯსა და 4. ჯაღირას („თვინიერ საჯაიას სამკვიდრებლისა“)[51] ეს სოფლები ერთმანეთთან იყო წაწყობილი და ერთ მთლიან საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ქმნიდა.

ლევან დადიანისაგან მოწვევის მიღების შემდგომ ტარიელი უთუოდ დაბრუნდა ოდიშის სამთავროში და დაეუფლა თავის წილხდომილ ყმა-მამულს.

ტარიელ ბატონიშვილისა და მის მემკვიდრეთა რეზიდენცია იყო წალენჯიხაში. აქ, ჭანის წყლის მარცხენა ნაპირზე, მაღალი გორაკის დავაკებაზე, მაცხოვრის ეკლესიის ჩრდილოეთით იყო მათი სასახლე, საძვალე კიდევ აღნიშნულ ეკლესიაში ჰქონდათ[52].

მათ ეკუთვნოდათ ერთი ციხე-კოშკი, აგებული სოფ. ობუჯ-ჯაღი-

---

50 ქუთ. მუზ. საბ. № 761.

51 იქვე.

52 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 209; აკაკი ანდრიას ძე შანავას ცნობა (საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი, 74 წლისა მცხოვრები წალენჯიხში, კომკავშირის ქ. № 25-ში. ჩაწერილი მის მიერვე იქვე, 1984 წლის 24 ნოემბერს).

რას საზღვარზე, პატარა მდინარე კინისკურისა და ჭანის წყლის შესა-ერთავთან[53].

ტარიელისა და მის შთამომავალთა ყმა-გლეხები იყვნენ: ეფსიები, სარიები, სახოკიები, კანკიები, არახამიები, აბულაძეები, კალანდიები, მებონიები, ხარჩილავები, ქებურიები, მიქაიები, ზოგიერთი სალია და სხვ[54].

მათი აზნაურები იყვნენ: ქუჩულორიები, ჟვანიები, გვაჯავები, თვალთვაძეები (თვართვაია) და შენგელაიები[55].

ლევანის დადიანობაში ტარიელ ბატონიშვილს ერთხანს (1832 წელს) სამურზაყანოს ოლქის მმართველის თანამდებობა ეჭირა, ხოლო დავით დადიანის დროს (1840—1853 წწ.) იგი სუჯუნის მაზრის „მდივანბეგი" (უფროსი) იყო[56]. ჰყავდა ორი ვაჟი: გრიგოლი, რომელიც წყაროებში ტარიელის ძეობით იხსენიება და მოწმედ გვხვდება ქუჩული ქუჩულორიას მიერ გაცემულ 1842 წლის 25 სექტემბრის „ნასყიდობის წერილში"[57]. მეორე — დუტუ. მისი მამის სახელი ჩვენთვის ცნობილ მასალებში თუმცა მოხსენიებული არაა, მაგრამ სინამდვილეში იგი ტარიელის ძეა. ეს ჩანს წალენჯიხის ეკლესიის აღმოსავლეთის ეკვდერში 1863 წელს დახატული ფრესკის მხედრული წარწერიდან, რომელიც ასე იკითხება: „მთავრის დადიანის კაციას ძის ძე დუტუ დადიანი"[58]. ე. ი. დუტუს მამა კაციას ძეა. მთავრის კაციას ძე კი სწორედ ტარიელი იყო[59]. აქედან ცხადია, დუტუ ტარიელის შვილია.

---

53 ეს ციხე-კოშკი დღესაც დაცულია.

54 აკაკი ანდრიას ძე შანავას ცნობა. მის ცნობას ემთხვევა ეგნატე ჯათუს ძე ბელქანიას ცნობა (სოფ. ჯგალის (წალენჯიხის რაიონი) მკვიდრი, 101 წლისა. ჩაგვიწერეთ იქვე 1960 წლის აგვისტოში).

55 აკაკი ანდრიას ძე შანავასა და ეგნატე ჯათუთის ძე ბელქანიას ცნობები.

56 ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დადიანთა ფონდი, № 313; ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. სამეგრელოს ხამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 114.

57 ქუთ. მუზ. საბ. № 1139. იხ. აგრეთვე **ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ.,** გვ. 66; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ ნაშრ., გვ. 209.

58 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 221.

59 მთავრის კაციას ძე იყო ტარიელის ძმა მანუჩარიც. ხომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამ უკანასკნელის შვილი იყო „მთავრის დადიანის ძის ძე" დუტუ! მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის, რომ მანუჩარის შვილებში დუტუ არ გვხვდება (იხ. ზემოთ, „სამანჩო"). ტარიელის არც მეორე ძმის გრიგოლის შვილებში ერია დუტუ. დაბოლოს, წალენჯიხის ეკლესიის ეკვდერის კედელზე ამ გვიანდელ ხანაში (1863 წ.) სწორედ უფრო წალენჯიხის მფლობელ ტარიელის შვილი უნდა დაეხატათ, ვიდრე რომელიმე სხვა დადიანისა.

აღსანიშნავია, რომ ი. მეუნარგია იხსენიებს ერთ „დუტუ მანუჩარის ძე დადიანს (ბიძაშვილს მთავრის ლევანისა)", რომელიც მოღვაწეობდა 1804—1840 წლებში (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 177). თუ იგი მართლა ლევანის ბიძაშვილია, კაციას II-ის

დუტუს თანამეცხედრე იყო სვანეთის მთავრის დადეშქელიანის ასული მარიამი. ჰყავდა ვაჟი — გიორგი, რომელიც გარდაცვლილა 15 წლის ასაკში, ჯერ კიდევ მშობლების სიცოცხლეში, 1863 წლის 20 ოქტომბრის ახლო ხანს. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ რიცხვში იგი ცოცხალი არ არის.

დუტუ ბატონიშვილს გიორგიზე უმცროსი შვილი თუ შვილებიც ჰყოლია, რადგან მას თავის „პირმშო ძეს“ ეძახის[60].

დავითის დადიანობაში (1840—1853 წწ.) დუტუ იყო „სასახლეში მთავრის საკუთარი მხლებლების... რიგის კაცების“ შემადგენლობაში და ერთხანს კიდევ ზუგდიდის მაზრის უფროსი[61].

დუტუს ძმა გრიგოლი კი ამავე ხანში „რიგის კაცების“ უფროსი იყო. 1847 წელს, სამეგრელოში ბროსეს მოგზაურობის დროს, გრიგოლ ტარიელის ძე ცოცხალია და ცხოვრობს წალენჯიხის სასახლეში[62]. მისი შთამომავლობის შესახებ ცნობა არ მოგვეპოვება.

წალენჯიხის მკვიდრ ბატონიშვილ-დადიანთა შტოდან გვიანდელ ხანაში ცნობილი იყო პლატონ დადიანი[63].

დ) გ ი ო რ გ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო

ოდიშის სამთავრო სახლის უმცროს შტოს წარმომადგენელთა შორის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოირჩევა დადიანის ძე გიორგი. იგი იყო ბეჟან დადიანის შვილიშვილი, ოტია დადიანის შვილი, კაცია II-ის უმცროსი ძმა და გრიგოლ დადიანის ბიძა.

კაცია II თავის სიგელებში არაერთხელ იხსენიებს გიორგის, როგორც თავის „სასურველ“ ან კიდევ „საყვარელ და საწყურ“ ძმას“[64].

გიორგი დიდად დაახლოებული იყო თავის ძმისწულთან ოდიშის მთავარ გრიგოლთან. მისი საიმედო მრჩეველი, სამთავროს „საქმის გამგებელი“ და ერთგული მხარდამჭერი სწორედ ეს ბიძა იყო. ამავე დროს

ძე უნდა იყოს. მაგრამ ეს წყაროებით არ დასტურდება. ამიტომ არ არის ზუსტი ი. მეუნარგია, როცა ამ დუტუს ლევანის ბიძაშვილად ასახელებს.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იყო აგრეთვე სხვა დუტუ დადიანიც, რომელსაც ეხედავთ 1859 წლის 8 ივნისს თავის ძმასთან ტარიელთან ერთად (იხ. სსცია, ფ. 226(1). № 5255). მაგრამ იგი ალექსის ძეა (იხ. იქვე) და ზემოხსენებულ არც ერთ დუტუსთან კავშირი არა აქვს.

60 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 221.

61 ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 65—66, 114.

62 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

63 აკაკი ანდრიას ძე შანავას ცნობა.

64 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 177.

იგი იყო გრიგოლის მემკვიდრის, მომავალი მთავრის ლევან V-ის აღმზრდელ-მწვრთნელიც[65].

გიორგი ბატონიშვილმა დიდი ამაგი დასდო თავის ძმისწულს გრიგოლს იმ პოლიტიკური ბრძოლის ჟამს, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმერთა მეფე სოლომონ II-სა და მის მიმდგომ გრიგოლის მეტოქე ძმას მანუჩარსა და გრიგოლს შორის XVIII საუკუნის მიწურულში. ბიძამ არაერთხელ გადაარჩინა ამ დროს ძმისწული განსაცდელს[66].

აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი ბატონიშვილი იყო რუხის ომის (1779 წ.) აქტიური მონაწილე. ამ ომის დამსწრე და თვითმხილველი მგოსანი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) გიორგის შესაშური მამაცობით აღტაცებული ამ ისტორიული ომისადმი მიძღვნილ თავის ოდაში („რუხის ბრძოლა") წერს:

„...გიორგისგან განახლეჩითა კაცთა იდგა სისხლის ტლაპნი,
და მისძახდიან: „თქვენცა იცით, ასე გვრწვთნიდენ მამა-პაპნი!"...
„შური შემჭამს გიორგისი, ძმისა დადიანის ძისი:
თუცა — ვკადრებ — ტანად მქისი, საქმით, ღმერთო, შესატყვისი,
მარდი, სწრაფი, მკვრელი ხმლისი, გამკვეთიცა ალმასისი,
და სახით ამო, საწადისი და სახელით მხედრობს ისი!"[67].

სამთავრო კარზე გიორგი დადიანის ძეს ოდიშის სარდლის სახელო ეჭირა[68] და ღირსეული პატივითა და გავლენით სარგებლობდა.

იგი შეუღლებული იყო აბაშიძის ასულ მარიამთან. ჰყავდა ერთი ვაჟი — ნიკოლოზ (რომელიც შემდგომ „დიდ ნიკოდ" იწოდა) და ორი ასული: ნინა და თამარი[69].

გიორგი ბატონიშვილს საუფლისწულო მიწა-წყალი, უნდა ვიფიქროთ, მისმა უფროსმა ძმამ კაცია II-მ გამოუყო. ყოველ შემთხვევაში, მის დადიანობაში (1757—1788 წწ.) გიორგის ხელშია: სოფ. ნოჯიხევი[70]

---

65 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 188—190. იხ. აგრეთვე, იქვე: შ. ბურჯანაძის გამოკვლევა, გვ. 8.

66 იხ. იქვე, გვ. 188—189.

67 იხ. ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (ბ ე ს ი კ ი), რუხის ბრძოლა, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედ., გამოცემა მესამე, ფედერაცია, გვ. 34—35, სტროფები 41, 42.

68 იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, შედგენილი სოლ. ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით, თბ., 1957, გვ. 284—285 (სოლ. ცაიშვილის კომენტარი).

69 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 7. იხ. იქვე შენიშვნა I (შ. ბურჯანაძის გამოკვლევა).

70 სამეგრელოში რამდენიმე ნოჯიხევია. ასეთი სახელწოდების სოფელი არის ხობის, სენაკის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონებში. რომელი მათგანი ეკუთვნოდა გიორგი ბატონიშვილს, გადაჭრით თქმა ძნელია. მაგრამ, ეფიქრობთ, უფრო — გეგე-

(სადაც მას ჰქონდა სასახლე). ნოღა[71] — „სასახლე-პალატით“, ციხესიმაგრით; კურხუ აგრეთვე „სასახლით“ (აქ იყო მისი საზაფხულო რეზიდენცია), ჭკადუაში (აქაც ჰქონდა მას სასახლე), რიყე (საზამთრო ადგილსამყოფი), ნაფიჩხუ და ოჩხომური[72].

ზემოაღნიშნულ სოფლებს გარდა, 1768—1772 წლებში კაცია II-ისგანვე ძიიღო გიორგი ბატონიშვილმა თავად „დეისმა ქოჩაქიძისსოულობა სასახლე, ადგილ-მამული“ და 9 კომლი გლეხი[73].

უფრო გვიან კიდევ ამ კაციას მემკვიდრემ გრიგოლ დადიანმა, გამთავრების მომდეგნო 1789 წლის 4 იანვარს „სასურველ ბიძას გიორგის“ უბოძა, მისი „შეუორგულებელი სიყვარულისა“ და „კეთილმოქმედების“ გამო „გიორგი ახვლედიანისეული ინჩხურს სასახლე... მისის ადგილ-მამულით..., ერთი აზნაური დგებუაძე სეხნიელა თავისის ქონებით და სამი მისი კომლი კაცით; მეორე აზნაურიშვილი ქართველიშვილი“ ორი კომლი „კაცით“; შვიდი კომლი გლეხი „ყველა თავის სახლ-კარით, ცოლ-შვილით... მამულ-ადგილით“ და კიდევ სამი „ზიარი“ მამული[74].

გიორგი ბატონიშვილი ერმრავალი ფეოდალი ჩანს. მაგრამ მის ყმათა საერთო რაოდენობა წყაროებში ნაჩვენები არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ მისი ყმა-გლეხები იყვნენ: გეგიები, ბერაიები, ფუტკარაიები, უჩავები, ქაცარავები, ჩქუფოიები, მჭედლიშვილები, ხვიჩიები, სურგულაიები, სორდიები, გულუები, სვანიძეები, ახალაიები, პაპავები, ჰერტაიები, ჩიტაიები, ფონიები, ესართიები, გაბისონიები და სხვ[75].

მისი აზნაურები იყვნენ: დგებუაძეები, ქართველიშვილები, ფიჩხაიები, გობეჩიები, გერსამიები, ზოდელავები, ალშიბაიები, ჩიქვანები[76].

ჭკორის რაიონისა, რადგან აქვე იყო მისი ციხესიმაგრე ნოღაც (იხ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 188).

71 სოფ. ნოღა ციხითურთ თავდაპირველად თავად ჯაიანებს ეკუთვნოდათ. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დადიანმა წაართვა იგი ჯაიანებს და ერთხანს მას ეპყრა. შემდგომ, აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარში, ამ სოფელს და ციხესიმაგრესაც სამთავრო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელ ჯერ გიორგი ბატონიშვილისა და მერე მისი მემკვიდრის დიდი ნიკოს ხელში ვხედავთ (იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., I, გვ. 295).

72 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 188; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 165 (შენიშვნა I), 240—241; გვანჯი ალექსის ძე ჩიქოვანის ცნობა.

73 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 158, № 163.

74 ქუთ. მუზ. საბ. № 1143.

75 ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, №№ 7973, 8331; ქუთ. მუზ. საბ. № 1143; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 158, № 163; გვანჯი ალექსის ძე ჩიქვანის ცნობა.

76 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, №№ 6821, 7973; ქუთ. მუზ. საბ. № 1143; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 241; გვანჯი ალექსის ძე ჩიქვანის ცნობა.

გიორგი დადიანის ძე გარდაიცვალა ზოგიშს (ლეჩხუმი) 1799 წლის 15 დეკემბერს. დაკრძალულია მარტვილის (ჭყონდიდის) მონასტერში, სადაც იყო მისი მამა-პაპათა საძვალე[77].

გიორგის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი სამფლობელო მისი მემკვიდრის ნიკო // ნიკოლოზ ბატონიშვილის ხელში გადავიდა.

ნიკო დაიბადა 1780—1792 წლებს შუა[78] სოფ. ჭკადუაშის სასახლეში[79]. იგი იყო თავის „დროის შესაფერისად განსწავლული და განათლებული“ პიროვნება[80]. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება მას, ისე როგორც ბიძამისს ანტონ ჭყონდიდელ მიტროპოლიტს[81] მიღებული უნდა ჰქონოდა მარტვილის მონასტერში ამ მონასტრის „რჩეული ბერებისა“ და კათოლიკური სარწმუნოების მქადაგებელი „ფრანგი“ მისიონერი ბერების ხელმძღვანელობით[82].

ნიკომ ჩინებულად იცოდა საეკლესიო მწერლობა, „ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა, დიპლომატია“. იგი კარგი მცოდნე იყო ქართულ-რუსულ-აფხაზური და თურქული ენებისა[83]. თურქული ენის ცოდნა მის დროს (XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ მესამედში) და ადრეც „მეტად საჭირო“ იყო ლიხთ-იმერეთში „ყველა დარბაისელი“ პირისთვის[84].

ნიკო ბატონიშვილს სამთავრო კარზე მაღალი სახელოები ეკავა. იგი იყო ოდიშის სარდალი და მსაჯულთუხუცესი. მასვე ჰქონდა მინდობილი ლეჩხუმის სარდალ-მოურაობაც. ოდიშის სარდლისა და მსაჯულთუხუცესის თანამდებობები მან მამის გარდაცვალებისთანავე

---

77 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 189—190.

78 იხ. შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე, ნიკო დადიანის ცხოვრება და მოღვაწეობა (გამოკვლევა), მის მიერ გამოცემულ წიგნში: ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 7, შდრ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 285, შენიშვნა I (სოლ. ციაშვილის კომენტარი).

79 გვანჯი ჩიქვანის ცნობა.

80 იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 284 (სოლ. ციაშვილის კომენტარი).

81 ანტონი ოტია დადიანის ძე იყო. ოდიშის მთავარი კაცია II, ნიკოს მამა გიორგი, ანტონ, ნიკოლოზ და გრიგოლ ბატონიშვილები ძმები იყვნენ. ე. ი. ოტიას ხუთი ვაჟი ჰყავდა.

82 იხ. ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი. თ. ჟორდანიას წინასიტყვაობით, ქუთაისი, 1898, გვ. V—VII.

83 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 284 (სოლ. ციაშვილის კომენტარი).

84 იხ. თ. ჟორდანიას წინასიტყვაობა წიგნში: ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი, ქუთაისი, 1898, გვ. V.

(1799 წ) მიიღო და ჰქონდა სიკვდილამდე (1834 წ.)[85], ხოლო ლეჩხუმის სარდალ-მოურავად იხსენიება იგი 1812, 1819, 1821, 1827 წლების საბუთებში. ეს სახელოც ეჭირა მას სიკვდილამდე[86].

გრიგოლ დადიანის სიკვდილის შემდეგ (1804 წლის 23 ოქტომბერი) მისი მემკვიდრის ლევანის მცირეწლოვანების გამო სამთავროს მისი დედა ნინო დედოფალი მართავდა. რუსეთის მთავრობამ მის დაშხმარედ, როგორც ცნობილია, ოთხი კაცისაგან შემდგარი დროებითი საბჭო დააარსა. ამ. საბჭოს წევრი იყო ნიკო ბატონიშვილი[87].

ნიკო იყო აგრეთვე „პირველი" წევრი ოდიშის სამთავროს იმ დეპუტაციისა, რომელიც „სამეგრელოს საქმეთა გამო" ნინო დედოფალმა 1805 წელს რუსეთის იმპერატორის კარზე წარგზავნა პერეტბურგს. ნიკოს გარდა ამ დეპუტაციაში შედიოდნენ: ბეჟან მანუჩარის ძე „დაღიანოვი" და კარის დეკანოზი იოანე სიმეონის ძე იოსელიანი[88].

დეპუტატები ერთ წელს დარჩნენ რუსეთში და დაბრუნდნენ იქიდან დიდად დაჯილდოებულნი. მაშინ ებოძა ნიკოს პოლკოვნიკობა, წმინდა ანას ორდენი „პირველი კლასისა", სხვა ძვირფასი საჩუქარი და „თეთრი მრავალი"[89].

ნიკო ბატონიშვილი რუსული ორიენტაციისა იყო. იგი ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც სწამდათ, რომ საქართველოს მშვიდობისა და პროგრესის მიღწევა შეეძლო მხოლოდ რუსეთის მფარველობაში შესვლის გზით[90]. ამიტომაც ერთგულებდა იგი რუსეთს. მან დიდი სამსახური გაუწია მის ადგილობრივ

---

85 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 284—285 (სოლ. ცაიშვილის კომენტარი).

ნიკოს სიკვდილის შემდეგ (1834 წ.) მსაჯულთხუცესის თანამდებობა ჰქონდა მეორე ნიკო ბატონიშვილს, შხეფელს (იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., I, გვ. 325, შენიშვნა 95).

86 ქუთ. მუზ. საბ. №№ 757, 790, 1137, 1330.

ნიკო ბატონიშვილის სიკვდილის შემდეგ (1834 წ.) ოდიშისა და ლეჩხუმის სარდლის თანამდებობაზე არავინ არ გვხვდება. აღნიშნული წლიდან ეს თანამდებობა ქრება, ოღონდ გარკვეულ პერიოდამდე რჩება ოდიშის სამთავროში მოურავებისა და აგრეთვე ლეჩხუმის მოურავის თანამდებობა (იხ. მ. დ უ მ ბ ა ძ ე, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში, მიმომხილველი, I, 1949, გვ. 26—28).

87 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 92. ნიკო ბატონიშვილის გარდა, აღნიშნულ საბჭოში შედიოდნენ: ბესარიონ ჭყონდიდელი, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ბერი გელოვანი (იხ. იქვე).

88 იხ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 194.

89 იხ. იქვე, გვ. 195—196.

90 იხ. შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

ხელისუფლებას ლიხთ-იმერეთში რუსული პოლიტიკის გატარების საქმეში. ამისათვისაც მიიღო ნიკო ბატონიშვილმა „მრავალნი პატივნი ხელმწიფისაგან“: 1819—1820 წლებში იმპერატორმა უბოძა მას „სიკვდილამდი პენსია“, რომელიც წლიურად შეადგენდა 500 მანეთს ვერცხლით და 1821 წელს კიდევ — ჩინი გენერალ-მაიორისა[91].

ასეთი პატივის მქონე და განსწავლული ბატონიშვილი ფეოდალური არისტოკრატიისა და ხალხის წინაშე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამიტომაც შეარქვა ხალხმა მას „დიდი ნიკო“. ამითვე განასხვავებდნენ მას მის უშცროს თანამედროვე მისივე სახელისა და აგრეთვე მამის სახელის მატარებელ მეორე, შხეფელი ნიკო გიორგის ძე ბატონიშვილისაგან[92].

თვით დიდი ნიკო კი მეორე, შხეფელი ნიკოსაგან განსასხვავებლად, თავის თავს ეძახდა „პირველს“. თავის „ქართველთ ცხოვრების“ სათაურში და წინასიტყვაობის ბოლოს იგი თავს ასე გვაცნობს: „ნიკოლაი გიორგის ძე დადიანოვი პირველი“[93]. ასევე იხსენიება ის უფრო მეტად ისტორიულ დოკუმენტებშიც[94]. ხოლო მეორე ნიკო ამ სათვალავით დასახელებულია პირველი ნიკოს მიერ მის „დღიურში“. ამგვარადვეა იგი დასახელებული საბუთებშიც: „ნიკოლაი გიორგის ძე დადიანოვი მეორე“[95].

ამასთანავე, ხშირად დიდი ნიკო „ბატონიშვილად“ და „დადიანის ძის ძედ“ არის მოხსენიებული. XIX საუკუნემდე ოდიშის სამთავროში, როგორც წესი, დადიანად იწოდებოდა მხოლოდ ის, ვინც მთავრად იჯდა, ხოლო მთავრის შვილებს და ძმებს დადიანის ძე ბატონიშვილ'ს ეძახდნენ, მათ შვილებს კი — „დადიანის ძის ძეს“ ან „ბატონიშვილს“ ან ორივეს ერთად. იხსენიებიან, მაგალითად: „დადიანის ძის ძე ბატონიშვილი ნიკოლოზ“, „ბეჟან დადიანის ძის ძე მანუჩარ მანუჩას ძე ბატონიშვილი“, ან კიდევ — „დადიანი კაციას ძის ძე დუტუ დადიანი“[96]. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამგვარად დასახელებული ბატონიშვი-

---

91 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 128; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 208, 211; შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 18, შენიშვნა I.

92 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 92; კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო და სვანეთი (1854—1861), მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 4; შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

93 იხ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 63.

94 იხ. მაგალითად, ქუთ. მუზ. საბ. №№ 751—1, 1088, 1330; ხელნაწ. ინსტ. ფ. Qd, № 6821.

95 იხ. შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

96 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 9; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 221; ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 93, № 7.

ლი კი არ იყო მთავრის შვილი, არამედ მთავრის შვილი მისი მამა იყო. აქედან გამომდინარე, ნიკო ბატონიშვილიც დადიანის ძის ძედ ითქმოდა. მაგრამ აღნიშნული საუკუნის დამდეგიდან ეს წესი თანდათან ირღვევა და სამთავრო სახლის შთამომავალი ყველა დადიანად იწოდება. ე. ი. ოდიშის მთავრის წოდებულების აღმნიშვნელი სიტყვა „დადიანი", ისე როგორც გურიელი, გვარად იქცევა.

როგორც გრიგოლის მთავრობის ბოლო ხანში (1799—1804 წწ.), ისე ლევან V-ის დადიანობაში, დიდი ნიკო იყო „სამეგრელოს პოლიტიკის მთავარი ხელმძღვანელი", ლევანის „მარჯვენა ხელი... მისი ვეზირი", რომელიც „მრავალი წლის განმავლობაში დამოუკიდებლად და უკონტროლოდ განაგებდა ქვეყანას"[97].

მთავრის „მარჯვენა ხელი" იყო ნიკო არა მხოლოდ მის პრაქტიკულ საქმიანობაში. არამედ იგი იყო მისი თეორიული მოძღვარიც. ხედავდა რა უწესრიგობას ოდიშის სამთავროს მართვა-გამგეობაში, მან 1818 წელს ლევან დადიანს წარუდგინა მმართველობის ახალი პროექტი, რომელსაც „დასტურ-ლამა" უწოდა[98]. მასში ჩამოყალიბებულია მართვის ისეთი „წესდებულება", რომელიც არსებულთან შედარებით „უმჯობესს" და „საქებელ სისტემას" წარმოადგენდა.

„დასტურ-ლამა" ნიკო დადიანის შეხედულებათა დამახასიათებელ მეტად ძვირფას მასალას იძლევა. მასში მოცემულია არაერთი ისეთი აზრი, რომელიც მისი ავტორის განათლებისა და მსოფლმხედველობის მაღალ ლონეს გვიჩვენებს. სწორი იყო უეჭველად იონა მეუნარგია, როცა იგი „დასტურ-ლამას" წინასიტყვაობაში ხაზს უსვამდა: ნიკო დადიანი „თავის დროისათვის... არის ერთი საუკეთესო სწავლული და მწერალთაგანი მთელს საქართველოში"[99]. ამიტომაცაა უთუოდ, რომ ლევან V დადიანი თავის „უამზრდელად" ამ ნიკო დადიანს ასახელებს[100].

ნიკო დადიანი მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა. იგი ისტორიკოსიცაა. მწერალიც, პოლიტიკოს-დიპლომატიც და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეც[101]. მაგრამ ასეთი ფართო პლანით მისი

---

97 იხ. კ ბ ო ტ ო ზ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76; ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი ძველები, II. გვ. 93; გ ი ო რ გ ი შ ა ვ ა ფ ა ძ ე, ლირიკა. ეპოსი. დრამა. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946, გვ. 37 (ს. ჯანაშიას ნარკვევი).

98 იხ. ნ ი კ ო ლ ო ზ დ ა დ ი ა ნ ი, დასტურ-ლამა, ტფილისი, 1897. იხ. იქვე, იონა მეუნარგიას „ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი", გვ. 3—8.

99 იხ. იქვე, გვ. 7.

100 ქუთ. მუზ. საბ. № 1330.

101 ნიკო დადიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა მეტ-ნაკლები სისრულით განხილულია შ. ბურჯანაძის ზემომითითებულ ნაშრომში (ნიკო დადიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. წიგნში: ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 7—60), რომლი-

მოღვაწეობის განხილვა ჩვენი კვლევის საგანს სცილდება. აქ ჩვენ მას წარმოვაჩენთ მხოლოდ როგორც გარკვეული საუფლისწულო ტერიტორიის მფლობელ ბატონიშვილს და სურათის სისრულისათვის გაკვრით ვეხებით მისი მოღვაწეობის ზოგ სხვა მხარეს.

ნიკოს საუფლისწულო ოდიშის სამთავროში წარმოადგენდა კულტურისა და განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. აქ კურზუსა და ნოღას მის „საუფლოსა სასახლესა პალატსა... შინა“ გაჩაღებული იყო „საფილოსოფოსოთა... სამეცნოთა და საეკლესიოთა მწერლობა“. ამ საქმის „მოსამსახურედ“ ნიკო დადიანს ჰყოლია სპეციალური პირი ვინმე „გიორგის ძე მდივანი გიორგი“[102].

ნიკოს, როგორც მისი „ქართველთ ცხოვრების“ წინასიტყვაობიდან ირკვევა, თავის სამფლობელოში დაუარსებია „კერძო სასწავლებელი“ (ეს იყო პირველი „არაოფიციალური სკოლა“ ოდიშის სამთავროში)[103], ჰყოლია „მოწაფენი“, რომელნიც იწვრთნებოდნენ და „გაბრწყინდენ“ კიდეც მისი „მოძღვრებათა... ქვეშე სიბრძნის მოყვარებისა და ფილოსოფიისა სწავლითა“[104].

აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკო დადიანს 1811 წელს განუახლებია და შეუმკია ამ დროისათვის „ყ(ოვლა)დ შეუმკობელი და დარღვეული“ კორცხელის ეკლესია[105] და 1824 წლის ივნისში კიდევ დაუწყია „ახალდაბის“ ეკლესიის შენება, რომელიც უთუოდ სადღაც მის საუფლისწულო ტერიტორიაზე იყო[106].

ნიკო ბატონიშვილის პირველი თანამეცხედრე იყო როსტომ გუ-

თაც ჩვენ ვსარგებლობთ. ნიკო დადიანის მოღვაწეობას ეხებიან აგრეთვე იონა მეუნარგია (ქართველი მწერლები, II, გვ. 92—96), კ. ბოროზდინი (დასახ. ნაშრ., გვ. 4 ,76), ს. ჯანაშია (დასახ. ნაშრ., გვ. 36—40), მ. დუმბაძე (სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია..., მიმომხილველი, I, 1949, გვ. 19—20) და ო. ოსელია, რომელმაც სპეციალური სტატია მიუძღვნა ნიკოლოზ დადიანის „დასტურ-ლამას“ (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების „მოამბე“, I, 1962, გვ. 220—223).

102 იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 170—171, ანდერძი I.

103 პირველი ოფიციალური სკოლა ოდიშის სამთავროში გაიხსნა ლევან დადიანის დროს, 1830 წელს. ეს იყო მარტვილის სასულიერო სასწავლებელი (იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 135).

104 იხ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 63; შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 25—26.

105 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

106 ზუგდიდის ისტ.-ეთნ. მუზეუმი, ხელნაწერი წიგნების ფ., სია 3, № 887 (ნიკო დადიანის დღიური, 1824 წლის 4 ივნისის ქვეშ), შდრ. შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 11—12.

რიის ერისთავის ასული მარიამი[107]. მისი გარდაცვალების შემდეგ შეირთო მან თავად სალარუფუ მარშანიას ასული ეკატერინე[108]. ჰყავდა 5 ვაჟი: გიორგი[109], ბესარიონ, ალექსანდრე[110], პეტრე, პავლე[111] და ორი ასული — ეკატერინე (არაოფიციალურად — ბათუ) და კესარია[112].

ეკატერინე გათხოვილი იყო დავით გურიელზე. ის იყო დედაცნობილი პოეტის მამია გურიელისა[113]. ხოლო კესარიას მეუღლე იყო აბეუის ანუ „შუა სოფლის" (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) მფლობელი ალი-ბეგ (ქრისტიანობაში — ალექსანდრე) შარვაშიძე[114].

ნიკოს შვილიშვილი (მისი ძის გიორგის ასული) ალექსანდრა, რომელსაც შინაურობაში ცუცუს ეძახდნენ, იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძის თანამეცხედრე და დედა პოეტი გიორგი შარვაშიძისა[115].

ნიკოს მეორე შვილიშვილი, ზემოხსენებული გიორგის მეორე ქალიშვილი, ცოლად ჰყავდა მთავრის ლევან V დადიანის ძეს ბოქაულთუხუცესს კონსტანტინეს[116].

---

107 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 8331.

108 იხ. იქვე, № 6821; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

109 გიორგი იყო ნიკო დადიანის „პირმშო" შვილი, ნაშობი მისი პირველი ცოლის ერისთავის ასულ მარიამისაგან. იხსენიება დედ-მამასთან ერთად 1802 წლის 7 ივნისის დოკუმენტში (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 7973).

110 ალექსანდრეს დიდი ნიკო დადიანის შვილებს შორის არ იხსენიებს არც იონა მეუნარგია, არც ე. თაყაიშვილი და არც ს. ჯანაშია. არ იცნობს ალექსანდრეს ნიკოს „ოჯახის თავგადასავლის" „კარგი" მცოდნე მალაქია ჩაჩიბაია. არ იხსენიება ალექსანდრე ნიკოს ძეებთან მის ეპიტაფიაშიც, რომელიც 1834 წლის 25 თებერვლის შემდეგაა დაწერილი (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 128). მაგრამ თვით ნიკო დადიანი თავის აზნაურ პეპუიასა და სხვა ალშიბაიებისათვის ბოძებულ 1829 წლის 19 თებერვლის წყალობის წიგნში თავის ძეებს ასე ჩამოთვლის: „გიორგი, ბესარიონ, ალექსანდრე, პეტრე და პავლე" (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd. № 6821). აქედან ცხადია, რომ ჰყოლია მას მეხუთე ვაჟი ალექსანდრე, რომელიც უთუოდ მამის სიცოცხლეში (1829 წლის 19 მაისსა და 1834 წლის 25 თებერვალს შუა) გარდაცვლილა. ზემომითითებული დოკუმენტი შ. ბურჯანაძემ გამოავლინა და მანვე პირველად შენიშნა, რომ ნიკოს ჰყავდა მეხუთე ვაჟი ალექსანდრე (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 9).

111 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 6821.

112 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, I, გვ. 342; II, გვ. 96.

113 იქვე, I, გვ. 342, 343.

114 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 209; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

115 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, გვ. 96; იხ. იქვე სოლ-ცაიშვილის შენიშვნა 3; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

116 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, გვ. 96.

დიდი ნიკო დადიანი გარდაიცვალა 1834 წლის 25 თებერვალს. დაკრძალულია მარტვილის მონასტრის სამხრეთის ეკვდერში[117].

ნიკოს სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელო მის ძეთა შორის დანაწილდა. ნიკოს ძეთაგან „შესანიშნავნი კაცნი“ იყვნენ: გიორგი, ბესარიონ და პეტრე დადიანები, რომელთაც, კ. ბოროზდინის გადმოცემით, ოდიშის მთავარი დავით დადიანი „სამ მუშკეტერს“ ეძახდა[118].

სწორედ ეს „სამი მუშკეტერი“ მეთაურობდა ოდიშის სამთავროს მაღალი არისტოკრატიის ჯგუფს, რომელიც დავით დადიანის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო. გიორგი, ბესარიონი და პეტრე ყოველთვის ოპოზიციაში იყვნენ მთავართან: „ყოველი საერთო საქვეყნო ღონისძიება მთავრისა“ მათი „დაწუნების საგნად ხდებოდა..., ნიკოს შვილები და მათი აგენტები დავითის მოქმედების შესახებ ათას რასმე ცუდს იგონებდნენ, რომ ამით ხალხი მის წინააღმდეგ უფრო აემხედრებინათ“. ამავე დროს ეს სამი ძმა „საოცარის მოხერხებით თამაშობდა თავმდაბალი“ და „უსაზღვროდ ერთგული“ „კარისკაცის როლს“[119].

ნიკოს უფროსი ვაჟი გიორგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში დაწინაურდა. ამ „მამაცური ქცევისათვის“, რომელიც მან 1821 წელს აფხაზეთში პოლკოვნიკ გორჩაკოვის ექსპედიციის დროს წარმოაჩინა, პოდპორუჩიკის ჩინი მიიღო[120].

გიორგი, ისე როგორც სხვა შვილები, ჭკვიანი, მშვენიერი გარეგნობისა და „დახვეწილი ზრდილობისა“ ყოფილა[121]. მაგრამ დადიანთა გვარში, საერთოდ. „ყველაზე საინტერესო“, კ. ბოროზდინის თქმით, სამეგრელოში მისი მოღვაწეობის დროს (1854—1867 წწ.) იყო თურმე გიორგის ძმა პეტრე ბატონიშვილი. იგი სამეგრელოს უზენაესი სასამართლოს წევრი თუ „მსაჯულთუხუცესი“ იყო[122]. მისი „ტანისამოსი, ქცევა-სიარული. ყოველი მიმოხვრა და სიტყვა-პასუხი... ერთმანეთთან იყო შეხამებული... ეს კაცი არამც თუ წარმოსადეგი, ლამაზიც იყო. რომელ მეფესთანაც უნდა ყოფილიყო სასახლეში, პეტრეს ყველგან შენიშნავდნენ. დიდკაცურ ქცევასა და თავის დაჭერაში ვერავინ შეედრებოდა... ქართული მწერლობისა და საღმრთო წერილის ზედმი-

---

117 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 128.

118 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76, 244—245; ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

119 იხ. კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

120 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 211.

121 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 40 (ს. ჯანაშია აქ დიმ. ყიფიანის მოხსენებით სარგებლობს. იხ. იქვე).

122 იხ. კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 244; ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 118, 124.

წევნით მცოდნედ ითვლებოდა"[123]. ამასთან, იგი „განთქმული იყო თავისი მუსიკალურობითა და გონებამახვილობით"[124]. ამიტომაც იყო, რომ 1856 წლის ივლისში, როცა სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე პეტერბურგს მიიწვიეს ალექსანდრე II-ის კორონაციაზე დასასწრებლად, დედოფლის ამალაში „პირველი ადგილი" პეტრე ნიკოლოზის ძე ბატონიშვილს ეკავა[125].

პეტრეს თავის ქცევითა და „მშვენიერი გარეგნობით" ქუთაისის გუბერნიისა და სამეგრელოს მმართველი 1855—1858 წლებში ნ. კოლუბიაკინიც მოუხიბლავს და უკანასკნელს იგი (პეტრე) თავადთა „საბჭოს" წარმომადგენლად დაუნიშნია[126].

ზემოხსენებულთა გარდა, დიდი ნიკოს „შთამომავლობიდან საზოგადოებრივ ასპარეზზე" მოღვაწეობდნენ და „შესანიშნავნი" იყვნენ მისი შვილიშვილები: პოეტი მამია გურიელი[127], აგრეთვე პოეტი და დრამატურგი გიორგი შარვაშიძე[128], დავით და კოწია გიორგის ძენი დადიანები ორივე „მოლექსე"[129], ლევან პეტრეს ძე დადიანი, ესეც „ლექსთა მთხზველი"[130], ნიკო ბესარიონის ძე დადიანი „ზუგდიდის ბაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი"[131] და გრიგოლ ალი-ბეგ // ალექსანდრეს ძე შარვაშიძე, გენერალი[132].

კ. ბოროზდინის ცნობით, რომელსაც იგი სამეგრელოს 1860 წლის კამერალური აღწერის მიხედვით იძლევა, მთელს ოდიშში ამ დროს 215 კომლი ბატონიშვილი ცხოვრობდა[133]. გარდა დიდი ნიკოს შთამომავლებისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ამ 215 კომლიდან „შეძლებით" გამოირჩეოდნენ ნიკოლოზ II. ელიზბარ და არჩილ ბატონიშვილები[134].

---

123 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 244—245.

124 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, გვ. 190, შენიშვნა I.

125 იხ. იქვე, გვ. 190.

126 კ. ბ ო რ ო ზ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

127 1836—1890 წწ. დიდი ნიკო დადიანის ასულ ეკატერინეს (ბათუს) ვაჟი (იხ. ზემოთ).

128 1846—1918 წწ.: დიდი ნიკო დადიანის ძის გიორგის ასულ ალექსანდრას (ცუცუს) ვაჟი (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 36, 67, შენიშვნა 2).

129 დავით — 1831—1907 წწ., კოწია — 1847—1903 წწ. „მათი ლექსები და პოემები იბეჭდებოდა „დროებაში", „ივერიაში", „მოამბეში" და სხვ." (იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, გვ. 96, შენიშვნა 4).

130 იხ. იქვე, გვ. 96. შენიშვნა 5.

131 იქვე, გვ. 96, იხ. აგრეთვე იქვე, სოლ. ცაიშვილის შენიშვნა 6.

132 იქვე, გვ. 96. იხ. აგრეთვე იქვე, სოლ. ცაიშვილის შენიშვნა 7.

133 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 261—262.

134 აქ ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ რამდენიმე ბატონიშვილ-დადიანს, რომელიც ცნობილი იყო, უმთავრესად, როგორც „შეძლებული" ფეოდალი და არა ყველა XIX

ე) ნ ი კ ო ლ ო ზ II ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო

ნიკოლოზ II გიორგის ძე ბატონიშვილი (შხეფელი), შვილიშვილი ნიკოლოზ ოტია დადიანის ძე ბატონიშვილისა, ბიძაშვილის შვილი ნიკოლოზ I (დიდი ნიკო) დადიანისა[135]. „სრულიად სამეგრელოს სარდალ-ბოქაულთუხუცესი". დიდი ნიკოს გარდაცვალების შემდგომ (1834 წ.) აგრეთვე მსაჯულთუხუცესიც, რუსეთის არმიის ჯერ კაპიტანი, შემდეგ — მაიორი და კავალერი[136]. უფროსი ძმა ელიზბარ, ვამეყ და კაცია ბატონიშვილებისა[137].

ნიკოლოზის მუდმივი ადგილსამყოფი იყო სოფ. ქვაშიხორში[138]. აქ ჰქონდა მას ორსართულიანი სასახლე, რომელიც მდინარე ტეხურაზე „გამოდიოდა". ფლობდა აგრეთვე სოფ. შხეფსა და მის მიდამოებს, სადაც იყო „დადიანების ძველებური ციხის" ნანგრევები[139].

მის კუთვნილებაში იყო 500 კომლი ყმა-გლეხი და აზნაური[140].

ჰყავდა მხოლოდ ერთი ასული მენიკი (მარიამი), სილამაზით განთქმული, გათხოვილი აფხაზეთის მთავარ მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძეზე. მაგრამ მიხეილმა, „რომლისათვის კანონი და სამართალი არ არსებობდა", მალე გაანება თავი მენიკს და შეირთო დიდი ნიკო დადიანის შვილიშვილი, ზემოხსენებული გიორგი ბატონიშვილის ასული ალექსანდრა (ცუცუ)[141].

ნიკოლოზ II ბატონიშვილი გარდაიცვალა 1847 წლის 20 იანვარს[142].

ვ) ე ლ ი ზ ბ ა რ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო

ელიზბარ გიორგის ძე ბატონიშვილი, ნიკოლოზ II შხეფელის უმცროსი ძმა[143]. ცხოვრობდა სოფ. ახალხორში[144], თავისი ძმის ნიკო-

---

საუკუნის დადიანს, რომელთაგან ზოგი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობითაც იყო გამოჩენილი.

135 იხ. შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

136 იხ. იქვე.

137 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 237, 240.

138 იხ. იქვე, გვ. 106, 237. კ. ბოროზდინის გადმოცემით, სოფ. ქვაშიხორი მდებარეობდა მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე, მთაგორიანი ზოლის ძირას, დაბა სენაკიდან (ახლანდელი ქალაქი სენაკი) „ერთიოდ ვერსის სიშორეზე" (იხ. იქვე). ამჟამად ასეთი სახელწოდების სოფელი სამეგრელოში არ არსებობს.

139 იხ. იქვე, გვ. 106—107; შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

140 იხ. კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

141 იხ. იქვე, გვ. 137—138.

142 იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, გვ. 345.

143 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 237.

144 ასეთი სახელწოდების სოფელი ახლა სამეგრელოში არ ჩანს.

ლოზის რეზიდენციის ქვაშიხორის მეზობლად, დაბა სენაკის (ახლა ქ. სენაკი) მახლობლად[145]. მასაც ორსართულიანი სასახლე ჰქონდა და იგიც 500 კომლს ყმა- გლეხსა და აზნაურს ფლობდა[146].

კ. ბოროზდინის ცნობით, ელიზბარი „სათავეში ედგა" თავადთა ერთ-ერთ იმ პოლიტიკურ დაჯგუფებას, რომელიც რუსოფილურად იყო განწყობილი და სამეგრელოში მთავრის ხელისუფლების გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება სურდა[147]. ამ მხრივ კ. ბოროზდინის ცნობა სინამდვილეს გამოხატავს: ელიზბარ დადიანი რომ მართლა მთავრის ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა შორის იყო, ეს კარგად ჩანს დავით დადიანის „საიდუმლო ბარათიდან", რომელიც მან 1853 წლის 27 ივნისს (გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე) გაუგზავნა თავის ძმას გრიგოლს[148].

ელიზბარ ბატონიშვილი დაქორწინებული იყო თავად წულუკიძის ქალ სოფიოზე. ჰყავდა რამდენიმე ძე და ასული[149].

ელიზბარი გარდაიცვალა 1865 წლის 8 დეკემბერს 70 წლის ასაკში (აქედან ცხადია, რომ ის დაბადებულა 1795 წელს). დაკრძალულია მარტვილის მონასტერში[150].

ამ ელიზბარის შთამომავალი, უფრო ზუსტად, შვილისშვილი იყო კოკი იგივე ნიკოლოზ დადიანი. კოკის მამა ნიკოლოზ ელიზბარის ძე ბატონიშვილ-დადიანი იყო ერევნის პოლკის ოფიცერი, დედა თამარი — აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძის ასული და და გიორგი შარვაშიძისა.

კოკი დაიბადა 1879 წლის 19 თებერვალს სოფ. მწყემში[151]. არისტოკრატიულ ოჯახში აღზრდილმა, განათლებულმა და შესანიშნავი გარეგნობის კოკიმ ადრევე მიიპყრო თანამედროვე საზოგადოებრიობის ყურადღება. 1900—1917 წლებში იგი ექვსჯერ იქნა ზედიზედ არჩეული სენაკის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად („მარშლად"). საინტერესოა მისი პუბლიცისტური წერილები, მიმართული რუსი მო-

---

145 კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 237.

146 იხ. იქვე.

147 იხ. იქვე, გვ. 76—77.

148 იხ. იონა მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 79—80. აღსანიშნავია, რომ ს. მაკალათიაც (კ. ბოროზდინის დამოწმებით) ელიზბარ დადიანს „რუსოფილურად" განწყობილ თავადთა ერთ-ერთი ჯგუფის მეთაურად თვლის (იხ. მისი, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 160).

149 კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 237; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 128.

150 იხ. ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

151 ახლანდელი აბაშის რაიონი, აბაშასთან ახლოს.

ხელის ვოსტორგოვის წინააღმდეგ, რომელნიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „პეტერბურგსკაია ვედომოსტ“-ის 1904 წლის იანვარ-თებერვლის ნომრებში...

კოკი დადიანი გარდაიცვალა 1939 წლის აპრილს პარიზში 60 წლის ასაკში. დაკრძალულია იქვე სანტ-უანის სასაფლაოზე[152]. მისი ასულიდ სხვათა შორის, ამჟამად ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ბაბო (ბარბალე) დადიან-მასხარაშვილი.

ზ) არჩილ ბატონიშვილის საუფლისწულო

არჩილ დავითის ძე ბატონიშვილი, შვილიშვილი მანუჩარ ბატონიშვილისა[153] (ბეჟანის ძისა?)[154]. მამასთან ერთად იხსენიება 1804 წლის 11 აპრილს[155]. ცალკე კიდევ — 1823, 1826 წლების დოკუმენტებში[156].

არჩილ ლევან V დადიანის „დაახლოებული მრჩეველი“ ყოფილა. მომდევნო მთავარი „დავითი და მისი ოჯახიც დიდს პატივს სცემდა არჩილს“[157]. იგი იყო ერთხანს დავითის მცირეწლოვანი მემკვიდრის ნიკოლოზ დადიანის (შემდგომ — მინგრელსკი) ყმა-მამულის მმართველი. ასეა დასახელებული არჩილი 1862 წლის 10 იანვრის ერთ საბუთში[158].

არჩილის რეზიდენცია იყო ნოქალაქევში. აქ ჰქონდა სასახლე კარის ეკლესიითა და „ვრცელი ეზოთი“. მის სასახლეში 80 სული მოსამსახურე იყო. ჰყავდა 400 კომლი ყმა-გლეხი და აზნაური[159].

სამეგრელოში კ. ბოროზდინის ყოფნის დროს (1854—1867 წწ.) არჩილ ბატონიშვილი 70 წლისა ყოფილა, მაგრამ „ჯერ ისევ მხნე“. მას მეტისმეტად ლამაზსა და „ზრდილს“, „თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა“. ასეთი გარეგნობისა და თვისებების გამო გენერალ ნ. კოლუბიაკინს ის ძალიან მოსწონდა თურმე და „ფრანგების მარკიზს ეძახდა“[160]. უკანასკნელმა არჩილს „სამეგრელოს სამმართველო საბ-

---

152 ვსარგებლობთ კოკი დადიანის ჩანაწერებით („მოგონებანი“) და სხვა მასალებით, რომლებიც ინახება მისი ასულის ბაბო (ბარბალე) დადიან-მასხარაშვილის ოჯახში (თბილისი, შ. დადიანის ქ. № 14). ეს მასალები მან თავაზიანად მოგვაწოდა, რასაც მადლობით აღვნიშნავთ.

153 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1264.

154 იყო მანუჩარ ბეჟანის ძე და მანუჩარ ოტიას ძე (იხ. ზემოთ „სამანჩო“).

155 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1264.

156 იხ. იქვე, № 1189; ც. ქირია, შ. სარია, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 101, № 17.

157 კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 241.

158 ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბუთების ფ., № 2970/86.

159 კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 241—243.

160 იხ. იქვე, გვ. 241.

ჭოს“ წევრად შეყვანა შესთავაზა. მაგრამ მას მადლობა მოუხსენებია მისთვის და მოხუცებულობის მიზეზით აღნიშნულ „საბჭოში“ მონაწილეობის მიღებაზე უარი განუცხადებია[161].

თ) გ რ ი გ ო ლ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო

ბატონიშვილებს შორის ოდიშის უკანასკნელი მთავრის დავითის კარზე ყველაზე მეტი გავლენით და ნდობით მისი მომდევნო ძმა გრიგოლ ლევან V-ის ძე სარგებლობდა. იგი დაიბადა 1814 წლის 6 ოქტომბერს. „დაბადებიდან რვა წლის განმავლობაში სამეგრელოს ჩვეულებისამებრ“ გრიგოლი ძიძასთან იზრდებოდა სოფელ ქოყოში[162], მანუჩარ კაცია II დადიანის ძის სასახლეში. ეს ის მანუჩარი იყო, რომელიც 1791—1796 წლებში დადიანად იჯდა, შემდგომ „სამანჩოს“ ფლობდა და, რომელიც გრიგოლს პაპად ეკუთვნოდა (მისი პაპის ძმა იყო). ზრდიდა მას მანუჩარ ბატონიშვილის თანამეცხედრე შარვაშიძის ასული ელისაბედი[163].

ქართული წერა-კითხვა გრიგოლს ასწავლა ვინმე „პეტრე ბერმა გურულმა“. ქოყოდან წამოსვლის შემდგომ, მამის მიერ თავიდანვე სამხედრო სამსახურისთვის განწესებული ბატონიშვილი, გაგზავნეს ქუთაისს. აქ შვიდი — რვა წლის განმავლობაში მისი მასწავლებელი იყო გენერალი გესსე.

1827 წელს გრიგოლი ჩაირიცხა „სასახლის პაჟად“ და უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგს. მაგრამ მომდევნო წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი და მას მოუხდა ამ ომში მონაწილეობის მიღება. ომის დამთავრების შემდეგ (1829 წ.) კავკასიის კორპუსის მთავარსარდალმა პასკევიჩმა დადიანის ძეს ლეიბ-გვარდიის ყაზახთა პოლკის ოფიცრობა „მიულოცა“ და მისივე მამასთან — ლევან დადიანთან გაგზავნა სამსახურში[164].

ლევანმა თავის „სასურველ ძეს“ გრიგოლს ჯერ კიდევ 1828 წლის 9 დეკემბერს უბოძა უძეოდ გადასული ბერი ქაიხოსროს ძე გელოვანის „ყოველივე საცხოვრებელი, ყმა და მამული, სასახლეები... მისი დანაშთომი... ლეჩხუმს თუ სვანეთს.. უკლისად საშვილიშვილოდ.. ყოვლის კაცის უცილებლად“[165].

---

161 იქვე, გვ. 241—242.

162 იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, გრიგოლ დადიანი (ცოლხიდელი), მისივე წიგნში: ქართველი მწერლები, I, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით, თბ., 1954, გვ. 296.

163 იხ. იქვე.

164 იქვე, გვ. 297—299.

165 იხ. ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები..., გვ. 104—105, № 22.

ბერი გელოვანის სოფელი ლეჩხუმში იყო სურმუში. ზემოჩამოთვლილი მისი ყმა-მამული და სასახლეებიც იქვე იყო. ასე რომ, გრიგოლმა აღნიშნულ წელს მიიღო ეს სოფელი. შემდეგ მისი ერთ-ერთი რეზიდენცია იყო სწორედ ლეჩხუმს სურმუშში[166].

უფრო გვიან, 1832 წლის 16 სექტემბერს კიდევ იმავე მთავარმა „მამობრივითა... კურთხევითა“ უწყალობა გრიგოლ ბატონიშვილს კვლავ „ლეჩხუმის პროვინციასა ქალაქსა... ლაილაშს“ მცხოვრები ვაჭარი „ისრაელი“ არონა შაფათაშვილი „თავისი ცოლ-შვილითა... საცხოვრებლითა და სამდგომარო ალაგითა“, რაც მას ეკუთვნოდა „ყოვლითურთ“[167].

1843 წელს გრიგოლ დადიანი პეტერბურგს გაგზავნეს. აქ იგი განაწესეს ლეიბ-გვარდიის გრენადერთა პოლკში. ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდნენ საქართველოს სამეფო და სამთავრო სახლთა წევრები და მაღალი არისტოკრატიის სხვა წარმომადგენლები: გრიგოლის პაპიდა იმერთა მეფის სოლომონ II-ის თანამეცხედრე მარიამ დედოფალი, გრიგოლისვე ბებია ოდიშის დედოფალი ნინო; ბატონიშვილები: ფარნაოზ, თეიმურაზ, მიხეილ, ბაგრატ; გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V-ის ძე დავით მისი დით ტერეზიათი და სხვ. გრიგოლი მათ საზოგადოებაში ტრიალებდა, ხვდებოდა მათ შორის საუკეთესო მწიგნობრებს. უფრო სრულად ეუფლებოდა ქართულ მწერლობას და განაგრძობდა „ქართული ლექსების წერას, რომელიც მას პატარაობიდანვე დაეწყო“. პეტერბურგში დაუწერია მას „რამდენიმე იგავარაკი და თავისი ვრცელი პოემა „რუხის ბრძოლა“, გამოქვეყნებული იოანე ვეგეჭკორის ფსევდონიმით[168]. მწერლობაში იგი ცნობილი იყო აგრეთვე „კოლხიდელის“ ფსევდონიმითაც.

ათი წელი დარჩა გრიგოლ ბატონიშვილი გრენადერთა პოლკში. 1844 წელს გადაიყვანეს ის ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში და ამავე წელს პოლკოვნიკის ჩინი მისცეს. მომდევნო, 1845 წლის 25 იანვარს იგი დაქორწინდა მამია V გურიელის ასულ ტერეზიაზე, რომელიც პატარაობიდან სმოლნის მონასტერში იზრდებოდა და ამ დროს უკვე იმპერატრიცის ფრეილინად იყო ჩარიცხული. მინიჭებული ჰქონდა ამასთან „უგანათლებულესობის ტიტული“. ჯვარი დასწერა მათ რუსთ „ხელმწიფის მოძღვარმა ბაჟანოვმა სასახლის პატარა ეკლესიაში“. ჯვარის წერას ესწრებოდა თვით იმპერატორი ნიკოლოზ I.

---

166 იხ. იონა მეუნარგია, დასახ. ნაშრ., გვ. 330.
167 ც. ქირია, შ. სარია, მასალები..., გვ. 108, № 27.
168 იონა მეუნარგია, დასახ. ნაშრ., გვ. 301—302.

ორი წლის შემდგომ, 1847 წელს გრიგოლი თავის მეუღლით პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა. აქ იგი დროებით ჩაირიცხა კავკასიის კორპუსში. მაგრამ სამსახური მას მაინც პრეობრაჟენსკის პოლკში „ეთვლებოდა“, ხოლო ფაქტიურად თავის ძმასთან ოდიშის მთავარ დავით დადიანთან მსახურობდა (უკანასკნელის თხოვნით ამის ნება მისცა გრიგოლს კავკასიის მეფის ნაცვალმა ვორონცოვმა). გრიგოლი დამკვიდრდა ოდიშში. რეზიდენცია ჰქონდა ზუგდიდს. ასრულებდა თავისი ძმის დავალებებს და „იყო მისი უმთავრესი ვეზირი, რომლის რჩევას“ მთავარი „დიდად უჯერებდა“[169].

1849 წლის 1 იანვარს დავით დადიანმა თავის „საყვარელ ძმას გრიგოლს“ საბატონიშვილოდ უბოძა სოფ. ლია და ფახულიანი (ამჟამად წალენჯიხის რაიონი) „თავის შემავალის ადგილით, ყმითა და მამულით“[170].

სოფ. ლიას მისი ყმა-გლეხები იყვნენ: ბერიშვილები, ქარდავები და უთუოდ სხვებიც. მისივე ყმა-გლეხები იყვნენ აგრეთვე პაჭკორიები[171]. აღსანიშნავია, რომ ამ გლეხების ყოველწლიური საბატონო ნატურით გამოსაღები იყო კომლის თავზე „მოსართმევი სადილი ძროხებით“. მათი თხოვნით გრიგოლმა 1851, 1858 წლებში ამ გამოსაღების ფულადი კომუტაცია დააწესა. ამის შემდგომ კომლის თავზე ზოგი გლეხი იხდიდა თითო თუმანს, ზოგი — 20 მანეთს, ზოგი კიდევ — 25 მანეთს[172].

დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1853 წ. 30 აგვისტო)., როგორც ცნობილია, მისი მემკვიდრის ნიკოლოზის მცირეწლოვანების გამო რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს სამთავროს დროებით მმართველად დავითის ქვრივი ეკატერინე დედოფალი დაამტკიცა, ხოლო მის „შემწედ“ დანიშნა მთავრის ძმები: გრიგოლი, კონსტანტინე და „ყოვლად სამღვდელო ჭყონდიდელი ზაქარია“[173]. მაგრამ გრიგოლის როლი სამეგრელოს დროებით მმართველობაში მეტად უმნიშვნელო იყო. საქმე ისაა, რომ გრიგოლსა და დედოფალს შორის უკმაყოფი-

---

169 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 303—307.

170 ც. ქ ი რ ი ა. შ. ს ა რ ი ა, მასალები..., გვ. 114—115, № 36.

171 იხ. იქვე, გვ. 115—117, № 38, 40, 41.

172 იხ. იქვე.

173 იხ. Акты, X. с.262; ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, გვ. 178. აღსანიშნავია, რომ ი. მეუნარგიას ამავე სახელწოდებით გამოქვეყნებული ნაშრომის I ტომში ოდიშის სამთავროს დროებითი მმართველობის წევრად ჭყონდიდელი ზაქარიას ნაცვლად „სამეგრელოს ეპისკოპოსი თეოფანე“ არის დასახელებული (იხ. გვ. 307).

ლება გაჩნდა: უკანასკნელი მას უნდობლობით უყურებდა. გრიგოლს კიდევ დედოფლის პოლიტიკა „სრულებით არ მოსწონდა...“[174].

ყირიმის ომის დროს (1853—1856 წწ.), რომლის ასპარეზი ოდიშის სამთავროც გახდა, გრიგოლი ომის დაწყებისთანავე ჩაირიცხა „გურიის რაზმში“[175] (ასე ეწოდებოდა ლიხთ-იმერეთში „განლაგებულ რუსთა ჯარს“)[176]. ამასთან, იგი იყო გურია-სამეგრელოს „მილიციის“ უფროსი და 1855—1856 წლებში არაერთხელ ჰქონია შეტაკება ოდიშში დაბანაკებულ ომერ-ფაშას ლაშქართან[177].

1856 წელს ომი დამთავრდა, მაგრამ თურქთა ლაშქრობას ოდიშის სამთავროს საშინაო მდგომარეობის გართულება მოყვა. მომდევნო წელს დაიწყო სამეგრელოში გლეხთა გრანდიოზული აჯანყება, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო. დროებითი მმართველობა საკუთარი ღონისძიებით აჯანყების ჩაქრობას ვერ ახერხებდა. ამ ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა რუსეთის მთავრობამ. გააუქმა ეს მმართველობა და სამთავროს გამგებლობა უშუალოდ რუსი მოხელეების ხელში გადავიდა. ასე ჩამოაშორეს გრიგოლ დადიანი 1857 წლის მიწურულს ოდიშის სამთავროს საქმეებს და იძულებული გახადეს თბილისს წასულიყო და იქ განეგრძო სამსახური სხვა სარბიელზე[178].

აღნიშნული წლის დასასრულსვე კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ გრიგოლი „დანიშნა ბრიგადის უფროსად კავკასიის გრენადერის დივიზიაში“. იბრძოდა იგი თავისი ბრიგადით შამილის წინააღმდეგ დაღესტანში. დაღესტნის ომის დამთავრების შემდეგ (1859 წ.) გრიგოლი დაინიშნა „მთავარსარდლის განსაკუთრებულ მინდობილობათა აღმასრულებლად“ და ცხოვრობდა თბილისში ათ თუ თორმეტ წელს[179].

1871 წლის 24 მარტს გარდაიცვალა მისი მეუღლე ტერეზია გურიელის ასული 44 წლის ასაკში[180]. ამის შემდეგ გრიგოლი დამკვიდრდა ქუთაისს. ჰქონდა აქ ორსართულიანი სასახლე ბალახვანის ქუჩაზე, ჰყავდა მრავალრიცხოვანი მოსამსახურე („მეჯინიბე, კურძუალი, მოლარე, ფარეში, დენშჩიკი, მზარეულთუხუცესი, მზარეული, კიდევ მზარეული, ბიჭი, კიდევ ბიჭი, კიდევ ერთი ბიჭი, მრეცხავი, კიდევ

---

174 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, გრიგოლ დადიანი (ცოლხიდელი), ქართველი მწერლები, I, გვ. 317, 327.

175 იქვე, გვ. 310.

176 იხ. მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო..., გვ. 300.

177 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 309—316.

178 იქვე, გვ. 327—328.

179 იქვე, გვ. 329—330.

180 იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

მრეცხავი, ერთიც მკერავი... და ერთიც... ხელზე მოსამსახურე“ ბიჭი)[181]. რეზიდენცია ჰქონდა აგრეთვე ლეჩხუმს საკუთარ სოფელ სურმუშში, სადაც იგი ატარებდა წელიწადში ოთხ—ხუთ თვეს[182].

მეფის რუსეთის ხანგრძლივი ერთგული სამსახურისათვის გრიგოლ დადიანი სხვადასხვა დროს (1828—1878 წლებში) დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით: ალექსანდრე ნეველისა ბრილიანტით, თეთრი არწივისა, წმ. ვლადიმერის მეორე და მესამე ხარისხის, წმ. ანასი და წმ. სტანისლავის პირველი ხარისხისა. ამასთანავე, იგი დაჯილდოებული იყო აგრეთვე მრავალი მედლითაც[183].

გენერალ-მაიორის ხარისხი მან ჯერ კიდევ 1854 წელს მიიღო, ხოლო 1880 წლის 11 მარტს, საოფიცრო სამსახურის 50 წლისთავზე ებოძა მას გენერალ-ადიუტანტობა[184].

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ დადიანმა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი კოლოსალური ქონება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უანდერძა. აქედან მისი ანდერძის თანახმად ამ საზოგადოებამ დააარსა მისი სახელობის ერთი მუდმივი პრემია (300 მან. ოდენობით) ქართულ ენაზე დაწერილი საუკეთესო თხზულებისათვის[185].

იგი გარდაიცვალა 1901 წლის 24 დეკემბერს. დაკრძალულია დადიანთა საგვარეულო სასაფლაოზე მარტვილის მონასტერში[186].

ი) კონსტანტინე ბატონიშვილის საუფლისწულო

კონსტანტინე (შინაურობაში წიწა) იყო ლევან V დადიანის ყველაზე უმცროსი ვაჟი. ასევე უმცროსი ძმა ოდიშის უკანასკნელი მთავრის დავითის და ზემოხსენებული გრიგოლისა. დაიბადა 1819 წელს. იზრდებოდა პეტერბურგს პაჟთა კორპუსში. ჰქონდა ჯერ როტმისტრისა და შემდგომ მაიორის ჩინი და, ისე როგორც გრიგოლს, „უგანათლებულესი“ თავადის ტიტული. XIX საუკუნის 50—60-იან წლებიდან იყო გენერალ-მაიორი და რუსთ ხელმწიფის ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი. ყირიმის ომის დროს (1853—1856 წწ.) კონსტანტინე „სა-

---

181 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 330.

182 იხ. იქვე.

183 იქვე.

184 იქვე, გვ. 329.

185 იქვე, გვ. 486 (სოლ. ცაიშვილის შენიშვნები და კომენტარები.

186 იქვე. იხ. აგრეთვე ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 128. გრიგოლ დადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცლად იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 295—338.

მეგრელოს მილიციით“ წარმატებით იბრძოდა ომერ-ფაშას ლაშქრის წინააღმდეგ.

1847 წლიდან სამთავრო კარზე კონსტანტინეს ეჭირა ბოქაულთ-უხუცესის თანამდებობა[187]. ეს თანამდებობა ჰქონდა მას სამთავროს გაუქმებამდე. დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1853 წ. 30 აგვისტო) კონსტანტინე იყო, როგორც ზემოთ ითქვა, სამთავროს დროებითი მმართველობის წევრი, ხოლო 1856 წელს, როცა ეკატერინე დედოფალი პეტერბურგს გაემგზავრა, კონსტანტინე ასრულებდა ოდიშის სამთავროს დროებითი მმართველის მოვალეობას[188].

კონსტანტინე დაქორწინებული იყო დიდი ნიკო დადიანის შვილიშვილზე — გიორგი ბატონიშვილის ასულ მაიაზე. ჰყავდა ორი ვაჟი: გრიშა (გრიგოლ) და უჩა.

კონსტანტინეს საბატონიშვილო იყო სოფ. ხიბულა და ჭაქვინჯი თავის ციხითურთ. ფლობდა იგი ყმა-მამულს აგრეთვე სოფ. კირცხს, ხეთას, ზენსა და ლეჩხუმის პროვინციაში. სასახლე ჰქონდა ხიბულაში და აქ იყო მისი რეზიდენცია.

კონსტანტინეს ყმა-გლეხები იყვნენ: კიტიები, კოხიები, ქარცხიები, ქანთარიები, ჯიქიები, ლაშხიები და სხვ.

მისი აზნაურები იყვნენ ფიჩხაიები, კობახიები და სხვ.

გარდაიცვალა იგი 1889 წელს. დაკრძალულია ცაიშის კათედრალურ ეკლესიაში[189].

კონსტანტინეს უფროსი ვაჟი ზემოხსენებული გრიშა (გრიგოლი) იყო ერთხანს (XX საუკუნის დამდეგს) ზუგდიდის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. 1903 წლის „კავკასიის კალენდარში“ იგი ამ მაზრის თავადაზნაურთა „предводитель“-ად არის დასახელებული*.

სხვათა შორის, კონსტანტინეს შთამომავალია (შვილიშვილის შვილი) აშქამად ცნობილი ქართველი ჟურნალისტი აგული დადიანი.

---

187 ბოქაულთუხუცესი ოდიშის სამთავროში იყო საპოლიციო აპარატის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფალი.

188 იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 300—301; მისივე, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 93, 160, 170—171; მ. დ უ მ ბ ა ძ ე, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია..., „მიმომხილველი“, I., 1949, გვ. 27; გვანჯი ჩიქვანის ცნობები.

189 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, გვ. 96; მ ი ს ი ვ ე, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 93; გვანჯი ჩიქვანის ცნობები. იხ. აგრეთვე, ფ უ ცუ დ გ ე ბ უ ა ძ ე-ფ უ ლ ა რ ი ა, ოქროს ბეჭედი, მეორე, გამოც., აფხაზეთის სახელგამი, 1954, გვ. 293—294, 297, 312 და შ.

* იხ. Кавказский календарь на 1903 г., с. 160. (ადრესკალენდრის განუ.).

*
* *

გვიანდელი ცნობით, ოდიშის სამთავროში ყველა საუფლისწულოს თავისი დამოუკიდებელი მმართველობის აპარატი ჰქონდა. ყველა ბატონიშვილს ჰქონდა „საკუთარი სასახლის ეკლესია", ჰყავდა „თავის მღვდელი, მდივანი, მოურავი ვინმე აზნაურთაგანი და ზოგჯერ ექიმიც". ბატონიშვილების სასახლეებში „ურიცხვი მოსამსახურე იყო, ყველას მიჩენილი ჰქონდა თავთავისი საქმე და მამის სამსახური" შვილსა და შვილიშვილზე გადადიოდა[190].

ზემოჩამოთვლილთა გარდა, ბატონიშვილებს ჰყავდათ სხვა მოხელეებიც. მაგალითად, 1816 წელს ვხედავთ დიდი ნიკო დადიანის სახლთუხუცესს პაატა აბაშიძეს, ხელოსანს — გაბრიელა ხარებავას, საეკლესიო მსახურთაგან კი „კარის მწირველ ბერს" ვინმე დოსითეოსს და „მოძღვარ-კარის მღვდელს — მიხეილ ასათიანს[191]. იხსენიება აგრეთვე იმავე ნიკო ბატონიშვილის „დარბაზი" და „დარბაზის ურნი დიდნი და მცირენი"[192].

დავით დადიანის გამთავრებამდე (1840 წ.) საბატონიშვილოები ოდიშში, ისე როგორც სათავადოები, საგადასახადო, ადმინისტრაციული და ნაწილობრივ სასამართლო იმუნიტეტით სარგებლობდნენ[193]. დავითმა სცადა იმუნიტეტის გაუქმება ოდიშის საბატონიშვილოებსა და სათავადოებში და თუმცა მან ბატონიშვილებისა და თავადების უფლება ამ მხრივ რამდენადმე შეზღუდა, მაგრამ საგადასახადო თუ სხვა იმუნიტეტი მათ მეტ-ნაკლებად მაინც შეინარჩუნეს რუსული მმართველობის დამყარებამდე. დავით დადიანის ადმინისტრაციას ძალიან უჭირდა ბატონიშვილების სამფლობელოებში შესვლა. აქ მას „ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდნენ"[194]. რომელიმე ურჩი ბატონიშვილის ან თავადის წინააღმდეგ „ხელის აღმართვა... არც ისე ადვილი საქმე იყო". მას მხარში ამოუდგებოდნენ მისი მომხრე თავადები და მთავრის აღმა-

---

190 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 242.

191 ხელნაწ. ინსტ., ფ.Ad, № 1074.

192 იხ. იქვე.

193 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 759; ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი წიგნების ფ. მე-3, სია № 887 (ნიკო დადიანის დღიური, გვ. 27, 1825 წლის 17 ივნისის ქვეშ); კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76, 103. იხ. აგრეთვე ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან..., გვ. 179—192.

194 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

სრულებელ ხელისუფალთა ღონისძიება მათთან საქმის მოწესრიგებაში „უძლური“ ხდებოდა[195].

ბატონიშვილებს ჰყავდათ არა მხოლოდ ყმა-გლეხები და აზნაურები, არამედ მათთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ თავადებიც. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ მანუჩარ კაციას II-ის ძე ბატონიშვილის ვასალი იყო ვახტა ჩიჩუა, ხოლო დიდი ნიკო ბატონიშვილის 1802 წლის 7 ივნისის წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ მისი „პირველი ყმაა“ თავადი გიორგი ჩიჩუა[196].

ისე როგორც იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროში, ოდიშის სამთავროშიც მთავრის წყალობის თუ სხვა სიგელებში დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის შემდეგ სხვა უფლისწულებიც იხსენიებოდნენ[197]. ეს, როგორც ზემოთაც ითქვა, მთავრის ხელისუფლებაში უფლისწულის მონაწილეობა-თანაზიარობის ფორმალური აღიარება იყო. ფაქტიურად კიდევ აქ ზოგი უფლისწული არათუ მონაწილეობდა მთავრის ხელისუფლებაში, არამედ მის მთლიანად მიტაცებასაც ახერხებდა.

დასავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის სისტემის დაკარგებასთან დაკავშირებით საუფლისწულო, როგორც სენიორია, ადმინისტრაციულად გაუქმდა. ყოველგვარ შეუვალობას მოკლებული ბატონიშვილები, ისე როგორც თავადები, მხოლოდ ფეოდალ-მეძამულეებად დარჩნენ.

---

195 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

196 ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 8331.

197 იხ., მაგალითად, ოტია დადიანის 1748, 1750—1757 წლების შეწირულების წიგნები (უკანასკნელი თარიღი შესწორებულია ჩვენს მიერ. იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 10, ლეგენდა) და კაციას II დადიანის 1777 წლის შეწირულების წიგნი (დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 10; 176; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 154. № 159).

თავი II

სათავადოები

I. ასათიანთა სათავადო

ლიხთ-იმერეთის თავადურ საგვარეულოთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ასათიანთა გვარი. იოანე ბატონიშვილის ცნობით, რომლის წყარო უთუოდ ისტორიული გადმოცემაა, ასათიანები იყვნენ „ასათიშვილები“ და „ვაჩნაძიანთ გუარისანი არიან ხორნაბუჯელნი“[1].

თვით ვაჩნაძეთა გვარის წარმომავლობა, მისივე ცნობით, უცხო ქვეყნებსა და მამიკონიანთა გვარს უკავშირდება, რაც, ჩვენი აზრით, რეალურ საფუძველს მოკლებულია: ეს სხვა წყაროებით არ დასტურდება.

სინამდვილეს უნდა ასახავდეს ბატონიშვილის ცნობის მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც ვაჩნაძეთა წინაპრად ტაოელი „კარიჭისძეა“ დასახელებული. ამ კარიჭისძის მემკვიდრეა „ვაჩა“, რომლის შთამომავლობას ეწოდა ვაჩნაძე. იგი „დაეშენა ხორნაბუჯსა შინა, რომელსა ეწოდების აწ ჭოეთი“. მისი შვილები „მამეული სახელების“ გამო თურმე „სხუა გუარისა“ გახდნენ: ბებურის შვილები ბებურიშვილად იწოდნენ, ასათის შვილები — ასათიშვილებად და სხვ[2]. ჩვენთვის საინტერესო ასათიანები, ამგვარად, ვაჩნაძეთა გვარის იმ შტოდან მომდინარეობენ, რომლის მამამთავარი „ასათი“ იყო და თავდაპირველი საცხოვრისი ჰქონდათ ხორნაბუჯს (თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ ჰერეთში).

ასათიანის ასათიშვილობა ეჭვს არ იწვევს. გვარსახელი ასათიანი უთუოდ პირის სახელი ასათისაგან არის ნაწარმოები.

ასათი ისტორიულ წყაროებში პირველად იხსენიება ჯერ კიდევ XII საუკუნის 70-იან წლებში. მაგრამ ამ დროს იგი ცოცხალი არ არის.

---

[1] იხ. მისი, შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა..., ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 114.

[2] იხ. იქვე, გვ. 25 (2)r., 81(83)v., 82(84)r.

მისი მოღვაწეობა აღნიშნული ხანის წინა პერიოდზე მოდის. თამარის პირველი ისტორიკოსის გადმოცემით, 1177 წელს უფლისწულ დემნას აჯანყებაში მონაწილეობდა და მისი მომხრე დიდებულ აზნაუთა რიგებში იყო ამ ასათის ძე გრიგოლი. იგი „ომსა შინა“ დაკარგულა „ჯრმლის დაკოდილობითა და გამოკვლითა ცხენისათა“[3]. უთუოდ ამიტომაცაა, რომ აჯანყების დამარცხების შემდეგ შეპყრობილ და დასჯილ გიორგი III-ის მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა შორის გრიგოლი არ ჩანს.

ჩვენ არ ვიცით ჰყავდა თუ არა ასათს გრიგოლის გარდა სხვა ძე ან ძენი და თუ ჰყავდა, როგორი იყო მათი პოზიცია ზემოაღნიშნული აჯანყების მიმართ. არც იმის გარკვევა ხერხდება, რა ნათესაური კავშირი იყო გრიგოლის მამა ასათსა და ვაჩნაძეთა გვარიდან მომდინარე ხორნაბუჯელ ასათის შთამომავალ ასათიანთა შორის. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ცნობის მიხედვით, სავარაუდებელია მხოლოდ, რომ გრიგოლ ასათის ძე, ისე როგორც იოანე ბატონიშვილის ასათი და მისი შემკვიდრეები, წარმოშობით ისტორიული ჰერეთიდან იყვნენ. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ ზემოხსენებული გრიგოლი თითქოს „ჰერნი“ დიდებულ აზნაურთა წრეში ჩანს[4]. დემნას განდგომის ამბების თხრობისას ისტორიკოსის მიერ გრიგოლის პერსონალურად დასახელება კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი აზნაურების მაღალ ფენას ეკუთვნოდა. ასე, რომ ასათიანთა სახლის ისტორია შორეულ წარსულთან და დიდგვარიან აზნაურებთანაა დაკავშირებული.

იოანე ბატონიშვილის მიერ ფიქსირებული ზეპირგადმოცემის ასათი შეიძლება გრიგოლის მამა ასათი იყოს. რადგან მასზე ადრინდელი ხანის ასათი წყაროებში არ გვხვდება, იგი ვაჩნაძეთა გვარის ასათის შტოს უძველეს წინაპრად უნდა ჩაითვალოს. რამ გამოიწვია ან როდის მოხდა ასათის შვილთა ხორნაბუჯიდან დასავლეთ საქართველოში გადასვლა და საბოლოოდ იქ დამკვიდრება, ცნობილი არ არის. საფიქრებელია ეს მოხდა დემნას აჯანყების დამარცხების შემდეგ: ამიერიდან ასათისშვილ-ასათიანებს[5] აღმოსავლეთ საქართველოში აღარ ედგომებოდათ და შეიძლება XII საუკუნის 70-იან წლებშივე გადავიდნენ ისინი ლიხთ-იმერეთში.

---

[3] იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 19.

[4] იხ. იქვე, გვ. 18—19.

[5] აღსანიშნავია, რომ გვიანდელ, 1685 წლის ახლო ხანის ერთ აღთქმის წიგნში, რომელიც „სულ ერთობილთ მარილელთ“ ნიკოლოზ ალავერდელისათვის მიუციათ, გვხვდებიან „მარილელ ასათიშვილები“ მღვდელი გაბრიელ და პაპი (იხ. ქართული

აქ ასათიანები ჩანან ქვეყნის ყველა კუთხეში: იმერეთში, გურიაში, ლეჩხუმში, სვანეთში, დადიანის კარზე. მაგრამ აღზევებას ისინი დიდხანს ვერ აღწევენ. გარკვეულ დრომდე მათ ყველგან მხოლოდ სამეფო თუ სამთავრო ან უბრალოდ სათავადო აზნაურთა რიგებში ვხედავთ.

ლეჩხუმში დამკვიდრებული სამეფო აზნაურები უნდა იყონ ქველი და არდაშელ ასათიანები, რომელნიც, ს. კაკაბაძის ვარაუდით, XV საუკუნის სასისხლო სიგელში გვხვდებიან. ეს სიგელი მათთვის მეფე ვახტანგს (გორგასალად წოდებულს) მიუცია. ამ დროს ისინი ხსენებული მეფის წინაშე „დიდად ერთგული აზნაურიშვილები“ ყოფილან. მეფეს შეუწყნარებია ასათიანების „აჯა და მოხსენება“ და მათთვის „სრული სისხლი“ გაუჩენია: ვისაც „ასათიანის გვარის კაცი შეაკუდებოდა“, მას სისხლის ფასად უნდა გადაეხადა „ერთი მონასტერი ასოცითა, გლეხითა[6], თეთრითა“ და სხვითა[7].

თუ სასისხლო სიგელის მონაცემები სანდოა, ასათიანები აღნიშნულ საუკუნეში უკვე ფრიად წარჩინებული აზნაურები ყოფილან, რაკი მათი სისხლი ასე ძვირად ფასობდა.

აღსანიშნავია, რომ მიქაელ კუჭაისძის მიერ ბალსზემო სვანეთის ხევისათვის მიცემულ „დაწერილში“, რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის, „თავდებად“ იხსენიება ჯუხაი ასათიანი[8]. ჩანს, ასათიანთა გვარის ერთი შტო ამ დროს სვანეთშიც ზის.

იმერეთის მკვიდრი უნდა იყოს ცოტა უფრო გვიან, 1519 წლის ახლო ხანის შეწირულების წიგნში დასახელებული „ღუღუნას შვილი“ ბერი ასათიანი. მას იმერთა მეფის ბაგრატ III-ის „სახასო ყმა სალდაყმაძე“ მოუკლავს და „მისად დასაურვებლად“ (საზღაურად) მეფისათვის თავის ყმა-გლეხი მიუცია. მეფეს კი ეს გლეხი თავის „სულისათვის“ გელათისათვის შეუწირავს[9]. სამწუხაროდ, საბუთში ბერი ასა-

---

სამართლის ძეგლები, ტ. III, გამოც. ი. დოლიძისა, თბ., 1970, გვ. 586, № 147). მაგრამ გვარსახელის იგივეობის გარდა, იყო თუ არა რაიმე ნათესაობა მათსა და ვაჩნაძეთა სახლის ასათის შტოს ასათიშვილებს შორის, არ ვიცით.

[6] „გლეხი“ საბუთებში, როგორც წესი, კომლს ნიშნავს. „ასოცი გლეხი“, მაშასადამე, 120 კომლს გულისხმობს. თუ თითოეულ კომლში 5 სულს ვიანგარიშებთ, ასათიანების სისხლის საზღაურად, „თეთრისა“ და სხვათა გარდა, მეფეს 600 სული გლეხი დაუწესებია.

[7] იხ. სარგის კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 14—15.

[8] ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ., II, თბ., 1941, გვ. 39, № 30.

[9] იხ. თ. ყორდანია, ქრონიკები..., II, გვ. 341—342.

თიანის სადაურობა მითითებული არ არის, არც მისი გლეხის გვარი და სახელი იხსენიება, მაგრამ ბერი იმერეთის ასათიანი უნდა იყოს.

იმერეთში ასათიანები რომ ადრინდანვე მკვიდრობდნენ, ეს ჩანს 1578 წელს შედგენილი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთრიდანაც. ამ დავთარში ჩამოთვლილია რა ახალსოფელს მოსახლე საქუთათლო ბეგარა-ვალდებული ყმა-გლეხები, ნათქვამია: „საყუავის ტყე ქ უ ტ ი რ ი ს საზღუარს ზედათ ქუთათისამდე საძოდო არის, და ა ს ა თ ი ა ნ ი ს საზღუარს აქათ“[10].

ე. ი. XVI საუკუნეში ასათიანის ადგილ-მამული („ასათიანის საზღუარი“) ყოფილა „ქუტირს“ და მას ესაზღვრებოდა „ზედათ“ და „აქათ“ ქუთათელის სამოდო „საყუავის ტყე“. აქედან ცხადია, რომ ასათიანთა გვარის კიდევ ერთი რომელიღაც შტოს საცხოვრისი ქვიტირის (იმერეთს) იყო.

გვიანდელი, 1820 წლის ცნობითაც აზნაური ასათიანები ქვიტირში ბინადრობენ. აქ მათი ყმა-გლეხია კარანაძეები[11]. ხოლო თვით ქვიტირელი ასათიანები თავადი ივანე (იოანე) აბაშიძის (იმერთა მეფის სოლომონ პირველის შვილიშვილის) ვასალებია, ე. ი. სათავადო აზნაურები არიან.

ასათიანები ზემო იმერეთშიც სახლობდნენ (და სახლობენ ახლაც). ის „ბუმბერაზი“ ასათიანი, რომელსაც გადმოცემით არჩილ ბატონიშვილი (სოლომონ პირველის უმცროსი ძმა) წვრთნიდა და 1779 წლის მიწურულს, რუხის ომის დროს მის მონაწილე ბატონიშვილის ყმათა რაზმში, აზნაურ მესხებსა და ავალიანებს შუა ჩააყენეს და თავის ვაჟკაცობით რომ ყველა გააკვირვა[12], ზემო იმერეთის მკვიდრი უნდა იყოს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ აქ იყო არჩილის საუფლისწულო (იხ. ზემოთ), საიდანაც შეეძლო მას თავისი მეომრების გამოყვანა.

ასათიანთა გვარის კიდევ ერთი შტოს საცხოვრისი იყო აგრეთვე გურიის სათავროში, სახელდობრ — ასკანაში[13]. აქ ასათიანები, ე. მე-

---

[10] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გამოც ი. დოლიძისა, გვ. 283, № 67 (დაყოფა გამომცემლისაა).

[11] იხ. სსცია, ფ. 46, საქმე № 33, ფურც. 16—17.

[12] იხ. ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, „რაინდები“, მისივე წიგნში: მოთხრობები, ლეგენდები, ზღაპრები, საბლიტგამი, 1958, გვ. 140—141 (როგორც ცნობილია, რუხის ომის დროს იმერთა მეფე სოლომონ I სწრაფად მიეშველა ოდიშის მთავარს კაციას II დადიანს, რომელსაც თურქეთის მიერ წაქეზებული აფხაზეთის „ბატონები“ — ქელაიშ-ბეგ და სხვა შარვაშიძეები ებრძოდნენ. ამ დროს სოლომონის ჯარში ყოფილა მისი ძმა არჩილი თავისი რაზმით. იხ. იქვე).

[13] Дм. Б а к р а д з е, АПГА, с. 208.

ლეშკოს 1848 წლის ჩანაწერების მიხედვით, თავიანთ წინაპარს „წარსულ საუკუნეებში“ დამკვიდრებულად თვლიდნენ. ასკანის ციხესიმაგრის აგებასაც მას მიაწერდნენ. ამ ციხისა და სოფ. ასკანის ფლობის გამო გურიის ასათიანები თავიანთ „წინანდელ“ გვარად „ასკანიანს“ ასახელებდნენ[14].

ჩინამდვილეში ასკანის ციხე გურიის მთავრის საკუთრება იყო. ასათიანები ამ ციხის მხოლოდ მოურავის სახელოს ფლობდნენ მემკვიდრეობით და ისიც გვიან ხანიდან. XVIII საუკუნის შუა წლებში აღნიშნული ციხის მოურავად ჯერ კიდევ მანველიშვილი იჯდა, შემდეგ კი — ასათიანი[15]. დასახელებული პერიოდიდან, მამია IV-ისა[16] და მისი ძმის გიორგი V-ის[17] გურიელობაში იხსენიებიან ძმები ბეჟან, იოანე // ივანე და პეტრე ასათიანები[18]. ხსენებული გურიელების დროს ბეჟანი ცოცხალი არ არის. იგი უძოდ გადასულა. მისი ძმა იოანე კი ასკანის ციხის მოურავია. მამია IV გურიელი ამ იოანეს აძლევს რაღაც „звание“-ს, რომელსაც სიცოცხლეში მისი ძმა ბეჟანი ატარებდა და რომლის გამოც მას „სოფლისგან ზოგიერთი სარგებლობა“ ჰქონდა. ამავე მამიამ „აჩუქა“ იოანეს ბეჟანის ბეითალმანი ქონებაც და უწყალობა მას (იოანეს) აგრეთვე ყმა-გლეხი გაბრიელა დოლიძეც[19].

გიორგი V გურიელმაც დაუმტკიცა იოანე ასათიანს მისი ძმის ბეჟანის ბეითალმანი მამული. ამ გიორგის დროს ვხედავთ გურიის სამთავროში იოანეს თანამოგვარეებს პაატელა და იესელა ასათიანებს[20], მაგრამ სახლიკაცობის გარდა რა ნათესაობა იყო მათ შორის, არ ვიცით.

ზემოდასახელებული გურიელების სიგელებიდან ვგებულობთ, რომ გურიის ასათიანების ყმა-გლეხები იყვნენ დოლიძეები და ვასაძეები[21]. ამავე სიგელიდან ჩანს, რომ ისინი სხვა გლეხებსაც ფლობდნენ. მაგრამ მათი გვარსახელი არ იხსენიება[22].

---

[14] Е. Мелешко, Сцены из минувшего в Гурии, „Кавказ“, 1848, № 2.

[15] იხ. ჯ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44—45.

[16] გურიელობდა 1726—1784 წლებში ინტერვალებით.

[17] გურიელობდა 1756—1788 წლებში ინტერვალებით.

[18] Дм. Бакрадзе, АПГА, с. 208, 300, 313; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 147, № 155.

[19] Дм. Бакрадзе, АПГА, с. 208, 300, 313.

[20] იხ. იქვე, გვ. 208, 313.

[21] იხ. იქვე.

[22] მამია IV გურიელმა იოანე ასათიანს ორი კომლი გლეხი უბოძა. მათგან სახელითა და გვარით მხოლოდ ერთია დასახელებული, მეორე — არა (იხ. იქვე, გვ. 300), ე. ი. იოანეს ჰყავს მეორე გლეხიც. რომლის გვარი და სახელი უცნობია. ხოლო გიორგი V გურიელმა იმავე ასათიანს ერთი კომლი გლეხი გაბრიელა ვასაძე სხვისთვის მიაცემინა (იქვე, გვ. 208, 313). თავისთავად ცხადია, რომ იოანეს, ამ ერთი

ხსენებულ ბეჟან ასათიანზე უფრო გვიანდელი ხანის მოღვაწე უნდა იყოს ის „ბეჟან ასათიძე“ (ასათიანი), რომელმაც მოაჭედინა ასკანის ეკლესიის[23] წმ. ესტატეს ხატი დ რომლის მხედრულ წარწერაში მოხსენიებულია თვით იგი („ბეჟან ასათიძე“), მისი თანამეცხედრე, როდამ და „ძე“ (უსახელოდ). ხატის მოჭედვის დროს ბეჟანის „ძე“, ჩანს, ჯერ კიდევ პატარაა და მამა მისი „აღზრდისათვის“ ქველმოქმედობს[24].

აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1873 წელს, გურიასა და აჭარაში დ. ბაქარაძის არქეოლოგიური მოგზაურობისას, გურიის ერთ-ერთ ასათიანთაგანს ბაქრაძისათვის უჩვენებია ასათიანთა სახლის საგვარეულო სიგელები. ეს ის სიგელებია, რომლითაც გურიელებმა ბეჟან ასათიანის ძმას ასკანის ციხის მოურავ იოანეს, მისი ძმის ბეჟანის ბეითალმანი ყმა-მამული დაუმტკიცეს და რომლებზედაც ზემოთ მივუთითეთ. ამ სიგელების მფლობელი ასათიანი თურმე მათში დასახელებულ ბეჟანს და წმ. ესტატეს ხატის წარწერის ბეჟანს ერთი და იგივე პირად და თავის პაპად თვლიდა[25]. „მეც“ ასე ჩავთვლიდიო, — შენიშნავს დ. ბაქრაძე, — რომ მამია IV-ისა და გიორგი V გურიელების სიგელების ბეჟან ასათიანი უძეოდ გადასულად არ იხსენიებოდესო[26]. წმ. ესტატეს ხატის წარწერის ბეჟანს კი, როგორც ვნახეთ, მემკვიდრე („ძე“) ჰყავს. ამდენად, სავსებით მართებულად სცნო დ. ბაქრაძემ ეს ორი ბეჟანი სხვადასხვა პირად[27]. ამას მხოლოდ ის შეიძლება დავსძინოთ, რომ ზემოაღნიშნული ხატის წარწერების ბეჟანი, ჩვენი ვარაუდით, გურიის მთავრების სიგელებში მოხსენიებული ბეჟან ასათიანის ან უმცროსი თანამედროვეა, ან მასზე ცოტა გვიანდელი პირია.

შეიძლება წმ. ესტატეს ხატის წარწერაში დასახელებული ბეჟანის შთამომავალი იყოს ე. მელეშკოს ჩანაწერებში ნახსენები დავით ასათიანი. იგი იმ პერიოდის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება, როცა სვიმონ III გურიელის მემკვიდრე მამია V მცირეწლოვანი იყო და გურიის სამთავროს ფაქტიურ მმართველად მისი ბიძა ქაიხოსრო IV ითვლებოდა (1797—1809 წწ.). ამ დროს, გადმოცემით, დავით ასათიანი

ქომლი ვასაძის გარდა, სხვა გლეხებიც ჰყავდა, რომელნიც გურიელის სიგელში არ იხსენიებიან.

[23] იგულისხმება ასკანაში, ფერდობის ზემო ნაწილის დაღმართზე აგებული ხის ეკლესია. არის აქ მეორე, მთლად მწვერვალზე აშენებული ქვის ეკლესიაც (იხ. იქვე, გვ. 206).

[24] Дм. Бакрадзе, АПГА, с. 206.

[25] იხ. იქვე, გვ. 207—208.

[26] იქვე, გვ. 209.

[27] იხ. იქვე, გვ. 207—208.

უკვე ხანში შესული ყოფილა. იგი თურმე ასკანის ციხეში იყო გამაგრებული. ეს ციხე და მისი მიდამოები თავის საგვარეულო საკუთრებად მიაჩნდა და ქაიხოსრო გურიელის ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა. ასათიანთან თავს იყრიდნენ ტყვეთა მსყიდველნი თუ სხვა ავისმქმნელი მძარცველ-მტაცებელნი და ქვეყანა ოხრდებოდა. სამთავროში წესრიგი რომ დამყარებულიყო, საჭირო იყო დავით ასათიანის დამორჩილება. ეს რამდენჯერმე სცადა ქაიხოსრო გურიელმა, მაგრამ უშედეგოდ.

ასათიანის მომხრეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მას მხარს უჭერდა „აჭარის ფაშა". ასეთ ვითარებაში ქაიხოსრომ არჩია ასათიანის მშვიდობიანი გზით შემორიგება: წინადადება მისცა მას, მისთვის ხელსაყრელი პირობებით, დამორჩილებოდა სამთავრონ მმართველინ ხელისუფლებას, ჩაებარებინა მისთვის ასკანის ციხე და აღუთქვა ყმა-მამულის ბოძება. მაგრამ ასათიანმა ეს წინადადება არ მიიღო.

ბოლოს, ასკანის ციხის აღება ქაიხოსრომ თავის ერთგულ აზნაურს ბეჟან ბერიძეს დააკალა. მან მოახერხა ასათიანის გამოტყუება ციხიდან და იქვე ახლოს ხეობაში ჩასაფრებულმა ბერიძის „კაცებმა" ღალატით მოკლეს დავით ასათიანი. ამის შემდგომ ასკანის ციხეს ქაიხოსრო გურიელი ფლობდა[28]. ასე მოეღო ბოლო თავგასულ აზნაურ ასათიანთა მძლავრობას გურიის სამთავროში. ამიერიდან აქ ისინი უციხო საძთავრო აზნაურებად დარჩნენ, რომელთაც არც რაიმე სახელო ჰქონდათ და არც სენიორული განკერძოებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა.

ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდნენ უთუოდ სიმონიკა და ხოსია ასათიანები, რომელნიც ვურიის 1820 წლის აჯანყების საქმეებში იხსენიებიან[29]. მათგან პირველი, როგორც აჯანყების მონაწილე, იმერეთის მმართველის ვორჩაკოვის მიერ ციმბირში გასაგზავნ პირთა სიაშია შეტანილი. აღსანიშნავია, რომ სიმონიკა ასათიანი აჯანყების პერიოდშიც თავის სახლიკაცთა ძველ „ხელობას" — ტყვეთა სყიდვას განაგრძობდა[30].

---

[28] ე. მ ე ლ ე შ კ ო, დასახ. ნაშრ., „Кавказ", 1848, № 1, 2 (ეს ისტორიული ეპიზოდი ეგორ მელეშკოს, როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, გურიის ერთმა თავადმა, ვინმე „Д. К. Г"-ვ ეოუთხრო).

[29] იხ. ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 177, 180—182.

[30] იქვე, გვ. 180—182.

* * *

დავუბრუნდეთ ახლა ლეჩხუმელ ასათიანებს. მოგვიანებით, მაგრამ ლიხთ-იმერეთის სხვა კუთხის აზნაურ ასათიანებზე უფრო მეტად ჩანან და სხვებისგან გამოირჩევიან ლეჩხუმელი ასათიანები. შეიძლება მათ განშტოებას წარმოადგენდნენ ზემოხსენებული სხვა ასათიანებიც, რომელნიც ქამთამსველელობაში რაღაც მიზეზის გამო ლეჩხუმიდან წავიდნენ და სხვადასხვა ადგილას დამკვიდრდნენ. ყოველ შემთხვევაში, თუ ზემოდასახელებული ქველი და არდაშელ ასათიანები ლეჩხუმელი ასათიანებია[31], აქ მათი მოსახლეობა XV საუკუნეში უკვე ფაქტი უნდა იყოს. ოღონდ აღნიშნული საუკუნის შემდგომ წყაროებში ასათიანები ლეჩხუმში დიდხანს არ გვხვდებიან. მხოლოდ 1650 წლის ახლო ხანს ვხედავთ აქ დათუა ასათიანს, რომელსაც სოფ. ჭამლეთს (ქვემო ლეჩხუმი) ერთი კომლი საკათალიკოსო გლები ხურციძე უჭირავს[32].

მოგვარეობის გარდა იყო თუ არა რაიმე ნათესაური კავშირი ქველს, არდაშელსა და დათუას შორის, ამის დადგენა არ ხერხდება.

დათუაზე ცოტა უფრო გვიან, აფხაზეთის კათალიკოს დავით ნემსაძის ზეობაში — 1673—1796 წლებში — ჩანს იესე ასათიანი. იგი თავის თავს ზოგჯერ „მწერლად“ ასახელებს, ზოგჯერ კი — „მდივნად“. მის მიერაა დაწერილი ამ კათალიკოსის აღნიშნული წლების ორი უთარიღო წყალობის წიგნი: „მე, მდივანს ასათიანს იესეს დამიწერია და მოწამეც ვარო“, ამბობს იგი ამ საბუთების დასასრულს[33].

ეს იესეა, ჩვენი აზრით, ბარაკონის (რაჭა) ეკლესიის გულანის „მწერალი იესე ასათიანი და 1736 წელს „ხოტეური“ გულანის გადამწერი („უცბად მჩხრეკელი“) იესე ასათიანიც[34].

ამ იესეს თანამედროვე უნდა იყოს დასახელებული „ხოტეურ“ გულანის მინაწერში მოხსენიებული „მღუდელ-მონაზონი იოანე ასათიანი“[35].

---

31 იხ. სარგის კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14—16.

32 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 54.

33 ქართული სამართლის ძეგლები, III, გამოც. ი. დოლიძისა, გვ. 615—616, №№ 168, 169 (ხაზი გამომცემლისაა).

34 ე. თაყაიშვილი, მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 113; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, თბ., 1957, გვ. 77, ანდერძი 6; გვ. 78, მინაწერი 5.

35 საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწ. აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, გვ. 78, მინაწერი 11.

XVIII საუკუნის დამდეგიდან იწყება ლეჩხუმის აზნაურ ასათიანთა ერთი შტოს დაწინაურება. ამას ხელს უწყობს ოდიშის სამთავროში ახალი, ჩიქვანთა დინასტიის გადადიანება. ამ დინასტიიდან გამოსულ ბეჟანის დადიანობაში (1714—1728 წწ.) იხსენიება პირველად ხახუტა ასათიანი, რომელიც ბეჟანთან კარგ განწყობილებაშია. უკანასკნელი ხახუტას თავის „ერთგულ ყმას“ ეძახის და აღნიშნულ წლებში შედგენილი წყალობის წიგნით აძლევს მას ცხუკუშვერს „სვიმონ ჩიქვანისოულ“ ერთ კომლ გლეხს „მის სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, მიწა-მამულითა“ და ყველაფრით[36].

ეს ხახუტა უნდა იყოს რამდენადმე გვიან პირველი გათავადებული აზნაური ხახუტა ასათიანი, რომელიც ამ საგვარეულოში დაცული ისტორიული გადმოცემითაა ცნობილი[37]. ჩანს, ეს გადმოცემა სინამდვილეს სწორად ასახავს. შემდგომ ხანში, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, მართლაც გვხვდებიან დოკუმენტებში ხახუტას შთამომავალი თავადი ასათიანები.

ხახუტას მამის სახელი წყაროებში არ იხსენიება. ეს არც გადმოცემამ იცის. შეიძლება მისი მამა იყოს ზემოხსენებულ ჭაშლეთს ხურციძის მფლობელი დათუა ან „მწერალი“ იესე ასათიანი.

ხახუტას გათავადებას გადმოცემა თამარ იმერთა დედოფლის, — მეორე სახელით კოჭიბროლას, — თავგადასავალს უკავშირებს. ამიტომ აქ ამ დედოფლის თავგადასავალზე უნდა შევჩერდეთ. ამის შესახებ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნობა გვაქვს. ერთი მოდის ნარატიული წყაროებიდან, მეორე — ისტორიული ზეპირგადმოცემი-

---

36 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2206.

37 გათავადებულ აზნაურ ასათიანთა საგვარეულოს შესახებ მასალები თავმოყრილია და ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანმშრომლების დები ირინე და ლილი ასათიანების განსვენებული მამის შამშეს საოჯახო არქივში (თბილისი, სულხან-ბაბას ქ. № 9). ამ არქივით სარგებლობის ნება დამრთეს მისმა ახლანდელმა მფლობელებმა ირინე და ლილი ასათიანებმა, რასაც მადლობით აღვნიშნავთ. ქვემოთ კი მათი მამის არქივს მისივე — შამშე ასათიანის სახელით ვუთითებთ.

აღნიშნულ არქივში დაცულია თავად ასათიანების გენეალოგიური ცხრილი (რომელიც შეუდგენია უშანგი ასათიანს და შეუვსია მის სახლიკაცს ნიკოს), 30 დანომრილი ისტორიული დოკუმენტი, ზეპირგადმოცემათა ჩანაწერები, მხატვრული თუ სხვა ლიტერატურა, რომლებშიც ძველი ხანის ასათიანებია მოხსენიებული, სხვადასხვა ხასიათის შენიშვნა და სხვა.

ასათიანების საგვარეულო დოკუმენტების ნაწილი შამშე ასათიანს თავის სიცოცხლეში გადაეცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბუთების ფონდისათვის. ზოგი მთგანი გამოქვეყნებულია კიდეც ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ „დოკუმენტების“ I ტომში და „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“ სამტომეულში.

დან. მაგრამ სანამ ამ ცნობათა განხილვას დავიწყებდეთ, უნდა გაირკვეს ვინაა ეს თამარ, იგივე კოპიბროლა, დედოფალი და რატომ ეძახდნენ მას ამ შეორე სახელს.

ვახუშტის ცნობით, თამარი მამია გურიელის ასულია[38]. ეს მამია სათვალავით III მამია უნდა იყოს, რადგან თამარი მის გურიელობაში (1689—1714 წლები ინტერვალებით) ჩნდება ისტორიის ასპარეზზე.

1709—1711 წლებში თამარი ოდიშის ფაქტიურ მფლობელ გიორგი ლიპარტიანზე დაქორწინდა. უკანასკნელის დაპატიმრების შემდეგ (1714 წ.) თამარს ახალციხის საფაშოში ვხედავთ. 1716 თუ 1717 წელს აქ ნახა ის გიორგი VI-მ, ცოლად შეირთო და იგი იმერეთის დედოფალი გახდა.

თამარი გიორგი მეფის მესამე და უკანასკნელი ცოლი იყო, თუ სათვალავში არ მივიღებთ თავად ნიჟარაძის ცოლყოფილს, რომელიც მეფემ „წაგვარა“ ნიჟარაძეს და ჰყავდა ერთხანს „ქალი იგი“[39].

თამარ გურიელის ასულს[40] მეფესთან ესვა ერთი ვაჟი — გიორგი[41].

თამარის მეორე სახელი კოპიბროლა ვახუშტიმ არ იცის. ამ სახელით მას პირველად იხსენიებს პაპუნა ორბელიანი[42], შემდეგ — ნიკო დადიანი[43], რომლის წყაროს ამ შემთხვევაში პაპუნას „ამბავნი ქართლისანი“ წარმოადგენს[44]. ხოლო ამ უკანასკნელს ეს ცნობა ისტორიული ფოლკლორიდან უნდა ჰქონდეს აღებული. ყოველ შემთხვევაში, პაპუნას ზემოდასახელებული თხზულებისა და ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ გარდა, თამარის მეორე სახელი კოპიბროლა არც ერთ ისტორიულ წერილობით წყაროში არ იხსენიება.

გადმოცემის მიხედვით, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაშია შესული, თამარს თურმე „კოპიბროლა“ ზედმეტ სახელად შეერქვა ტანის აღნაგობის განსაკუთრებული სიმშვენიერის გამო“[45]. „მთელი

---

38 იხ. მისი, აღწერა..., გვ. 878, 913 (1742 წლის ქვეშ).

39 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 870, 872, 875, 878.

40 მეფე გიორგი VI-ის მეორე თანამეცხედრესაც თამარი ერქვა. ეს თამარი რაჭის ერისთავის და იყო და მამია გურიელის ქვრივი. გარდაიცვალა ის 1715 წელს (იქვე, გვ. 875—876). იგი თამარ // კოპიბროლაში არ უნდა აგვერიოს.

41 იხ. იქვე, გვ. 891.

42 იხ. მისი, ამბავნი ქართლისანი, გამოც. ე. ცაგარეიშვილისა, გვ. 60.

43 იხ. მისი, ქართველთ ცხოვრება. გვ. 177.

44 იხ. იქვე, გვ. 41 (შ. ბურჯანაძის გამოკვლევა), 239 (მისივე კომენტარი 426).

45 ბანოვანი დ ე ს პ ი ნ ე გ ე ლ ო ვ ა ნ ი, შორეული ლანდები, რომანი, თბ. 1959, გვ. 61

კოპიბროლა გურიელთა სახლში ისედაც მიღებული სახელი ჩანს. კოპიბროლა ერქვა გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V-ის ერთ-ერთ ასულსაც, რომელიც პე-

მაგის ტანი ბროლის ქანდაკებისათვის ჩამოსხმული“ ყოფილა...[46].

1720 წელს, როცა კოჟიბროლას თანამეცხედრე მეფე გიორგი VI მოკლეს, იმერეთის ტახტზე, როგორც წესი, მისი უფროსი შვილი (პირველი ცოლისაგან — ქართლის მეფის გიორგი XI-ის ასულ როდამისაგან ნაშობი) ალექსანდრე V ავიდა. ახალგამეფებულ ალექსანდრეს „მოურნედ“ ახალციხის ფაშამ ბეჟან დადიანი „მოუდგინა“. ასეთ ვითარებაში „თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი ყოვლისავე“[47]. ეს თამარ დედოფალმა იუკადრისა. ჩაერია იგი სამეფო საქმეებში. მას მხარს უჭერდა ბეჟანის ძმა დიდად გავლენიანი ჭყონდიდელი გაბრიელი. ისინი არზრუმის ფაშას ეახლნენ და მასთან ახალციხის ფაშა დაასმინეს. უკანასკნელმა „მიიღო ქრთამი და მისცა ალექსანდრე ბეჟანს, ვითარცა ტყუეო“. ამის გამო ახალციხის ისაყ ფაშას „მრავალი ბოროტი... უპატიურობა და პყრობილება“ შეხვდა. მაგრამ დადიანმა მოახერხა ფაშების შერიგება და თამარისა და ჭყონდიდელის ხელში ჩაგდება. ამ უკანასკნელს ბეჟანმა ჭყონდიდლობა „მიუღო“. ხოლო თამარ დედოფალი „ტყუე-ჰყო“ დეხვირის ციხეში. ეს მოხდა 1721—1722 წლებში[48].

როდის გამოვიდა თამარი დეხვირის ციხიდან, არ ვიცით. მაგრამ რომ გამოვიდა, ეს ჩანს შემდგომი ამბების მსვლელობიდან, ოღონდ ამაზე ქვემოთ. აქ კი თავიდანვე უნდა აღინიშნოს შემდეგი:

არ არის სწორი პაპუნა ორბელიანისა და ვახუშტის ცნობა ალექსანდრე V-ის მიერ თავის დედინაცვლის თამარ-კოჟიბროლა დედოფლის სიკვდილით დასჯის შესახებ.

პაპუნას თქმით, 1742 წელს „მოუვიდა ამბავი მეფე ალექსანდრეს, თავისის დედის[49] კოჟიბროლასათვის ღალატი შეემჩნივა და მოკლა მახვილით“[50]. ვახუშტის თქმითაც, ამავე წელს, როცა მეფობიდან გადაყენებულმა ალექსანდრემ იმერეთში თავის ხელისუფლება აღადგინა, „მოიყვანა დედინაცვალი თვისი თამარ და აბრალა მას ყოველნი ყოფილნი (იგულისხმება ალექსანდრეს ტახტიდან ჩამოგდება და თამარის

ტერბურგში იზრდებოდა და იქვე გარდაიცვალა (იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, I, გვ. 304; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 368).

46 ბანოვანი დ ე ს პ ი ნ ე გ ე ლ ო ვ ა ნ ი, შორეული ლანდები, გვ. 61; შამშე ასათიანის არქივი (ჩანაწერები).

47 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 882.

48 იხ. იქვე, გვ 882—883.

49 პაპუნა ცდება: ალექსანდრე V-ის დედა ქართლის მეფის გიორგი XI-ის ასული როდამი იყო, კოჟიბროლა კი — დედინაცვალი.

50 იხ. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 60.

ვაჟის გიორგი ბატონიშვილის გამეფება, ო. ს.) შეიპყრა და მოჰკვეთა თავი"[51].

გადმოცემით კი ეს ამბავი სულ სხვაგვარად მოხდა: კოჭიბროლას მისმა ქმარმა გიორგი მეფემ „ღალატის იქნეულობით სიკვდილით დასჯა მიაპყრო... ოდეს დასასჯელად უდაბურ ტყეში წარავლინეს, იქ ხახუტა ასათიანმა ჯალათები მოისყიდა და დედოფალი ლეჩხუმში გამოაპარა"[52]. „ამასობაში მეფე გარდაიცვალა და დედოფალი ხახუტა ასათიანის სჯულიერი მეუღლე შეიქმნა"[53].დრო და ჟამმა რომ განვლო, კოჭიბროლა ქმართან ერთად ალექსანდრე V-სთან გამოცხადდა. უკანასკნელმა „დიდი პატივით შეირიგა" იგი. „ხახუტას თავადობა უბოძა და მრავალი ყმა-მამულით დაასაჩუქრა"[54].

სხვათა შორის, ეს თამარი უნდა იგულისხმებოდეს XVIII საუკუნის ცნობილი იტალიელი დრამატურგის კარლო გოლდონის პიესაში „მშვენიერი ქართველი ქალი"[55], რომლის თავგადასავალი მან, ალბათ, კათოლიკე მისიონერების მეშვეობით გაიგო.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ გადმოცემას, ის ცდება მხოლოდ იმაში, რომ კოჭიბროლას სიკვდილით დასჯას მის ქმარს გიორგი მეფეს მიაწერს. ასეთი ღონისძიებისათვის მას არ მიუმართავს. ამის უტყუარი მოწმობაა ის, რომ ქმრის სიკვდილის შემდეგ (1720 წ.) თამარი ისტორიის სარბიელზეა და აქტიურადაც მოქმედებს. ასე რომ, „ღალატის იქვნეულობით" ქმრის მიერ მისი დასჯა გამორიცხულია. სხვა მხრივ გადმოცემაში სინამდვილეა ასახული.

ირკვევა, რომ არც ალექსანდრეს მოუკლავს თავისი დედინაცვალი „მახვილით" თუ სხვა რამით. ეს ნათლად ჩანს ამ მეფის მიერ 1736 წელს ხახუტა ასათიანისა და თამარ დედოფლისთვის ბოძებული წყალობის წიგნიდან, რომელშიც ორივე ცოცხლად გვევლინება. ამ დოკუმენტებში ვკითხულობთ: „ჩვენ... გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემ პატრონმა ალექსანდრემ ესე... წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ

---

51 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 892, 913 (1742 წლის ქვეშ).

52 იხ. ბანოვანი დ ე ს პ ი ნ ე გ ე ლ ო ვ ა ნ ი, შორეული ლანდები, გვ. 60; შამშე ასათიანის არქივი (ჩანაწერები). ბანოვანს ეს ამბავი უთუოდ ფოლკლორიდან აქვს აღებული.

53 გადმოცემის მეორე ვერსიით: გიორგი „მეფემ ცოლს ღალატი შესწამა და სიკვდილით დასასჯელად (ხვამლის კლდეზე გადასაგდებად) თავის მეომარს აზნაურ ხახუტა ასათიანს ჩაბარა. ამ უკანასკნელმა დასჯის მაგივრად იგი ცოლად შეირთო" (იხ. შამშე ასათიანის არქივი. ჩანაწერები).

54 ბანოვანი დ ე ს პ ი ნ ე გ ე ლ ო ვ ა ნ ი, შორეული ლანდები, გვ. 60; შამშე ასათიანის არქივი (ჩანაწერები).

55 იხ. ზ ა ი რ ა ს ტ ურ უ ა, კარლო გოლდონი და „მშვენიერი ქართველი ქალი", „მნათობი, „1980, № 5, გვ. 127—138.

და გიბოძეთ თქვენ, ასათიანს ხახუტას, დედა-ჩემს დედოფალს თამარს[56], თქვენსა შვილსა ხადაჩამას[57], მანუჩარს[58] და მალაქიას... ასე და ამა პირსა ზედან, რომე ჩ ვ ე ნ ი ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ბ ე ვ რ ი ს ა ქ მ ე გ ე მ ა რ თ ა თ, მერმე დაგვიაჯენით და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ პატრიქეთს, რომელიც საადედოფლოთ იყო... ესასახლე თუ გლეხები მათის ცოლშვილით, სახლკარით, ჭურმარნით, ტყით, ველით, ვენახით... გვიბოძებია. გიბედნიეროს ღმერთმან. თუ თქვენ ჩვენი ერთგული იყოთ, ჩვენს ეს ჩვენგან წყალობა აროდეს არ მოგიშალოთ...“[59].

მომდევნო 1737 წელს კიდევ იმავე ალექსანდრემ კოჭიბროლას თანამეცხედრეს ხახუტა ასათიანს უბოძა „სომეხი სტეფანა, ზურაბა და ჯამფაშა მათის ცოლშვილითა, სახლკარითა“ და ყველაფრით[60].

ამგვარად, ზეპირგადმოცემის ცნობა კოჭიბროლას ხახუტა ასათიანთან შეუღლების შესახებ მართალია. მაგრამ როგორ მოხდა ეს, გადმოცემით მოთხრობილ გარემოებაში თუ სხვა ვითარებაში, ამის დადგენა არ ხერხდება. სავსებით დასაშვებია, რომ ეს ამბავი იმგვარადვე წარიმართა, როგორც გადმოცემაშია ნათქვამი.

მაგრამ აქ ერთი საკითხიც უნდა გაირკვეს: ხომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ თამარ // კოჭიბროლა 1736—1737 წლების შემდეგ დასაჯეს! ეს მით უფრო, რომ პაპუნა ორბელიანისა და ვახუშტის ქრონოლოგიით მისი დასჯა 1742 წლით არის დათარიღებული[61]. მაგრამ თუ ეს ასე იყო, ამას გავლენა უნდა მოეხდინა თვით ხახუტა ასათიანზე და მისსა და თამარის მემკვიდრეების მდგომარეობაზე. ეს კი არ მომხდარა. ისინი თავადებად იხსენიებიან დოკუმენტებში და არც ის ჩანს, რომ მეფეს მათთვის ნაწყალობევი ყმა-მამული ჩამოერთმიოს. პირიქით, ისინი ეკონომიურად უფრო მეტად ძლიერდებიან. ასე რომ, არც 1736—1737 წლებსა და არც ამ წლების შემდეგ თამარი არ დაუსჯიათ.

მაინც როგორ გაჩნდა ნარატიულ წყაროებში ცნობა მისი სიკვდილით დასჯის შესახებ?

ამ მხრივ საყურადღებოა ალექსანდრე მეფის ზემოხსენებულ 1736

---

56 სიტყვა „დედა“ აქ ნახმარია არა ნამდვილი სისხლისმიერი დედის მნიშვნელობით, არამედ ზოგადი გაგებით, რამდენადაც ალექსანდრეს, მამის მეუღლე და თავისი დედინაცვალი, დედოფალი თამარი დედად ეკუთვნოდა.

57 ზეპირგადმოცემით — ზარდაჩან (იხ. შამშე ასათიანის არქივი, თაკად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი).

58 გადმოცემით — მამუჩარ (იხ. იქვე).

59 იხ. დოკუმენტები..., I, ნ. ბერძნიშვილის რედ., გვ. 466—467, № 661 დედანი.

60 იხ. იქვე, გვ. 468—469, № 665. დედანი.

61 იხ. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 60; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 913 (1742 წლის ქვეშ).

წლის წყალობის სიგელში მისი ერთი გამონათქვამი. მეფე იქ თამარ დედოფალსა და ხახუტა ასათიანს ეუბნება: „ჩ ვ ე ნ ი ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ბ ე ვ რ ი ს ა ქ მ ე გ ე მ ა რ თ ა თ ო“ (იხ. ზემოთ). ამ ზოგადი, ბუნდოვანი ნათქვამიდან არ ჩანს რა იყო ის „ბევრი საქმე“, რომელიც თამარსა და ხახუტას ალექსანდრეს „გულისათვის“ ემართათ. მაგრამ ერთი უეჭველია: ეს საქმე მათ მეფის წყალობის წიგნების მიღებამდე (1736—1737 წლებამდე) ჩაიდინეს. პაპუნასა და ვახუშტის კი ადრინდელი „საქმე“ (მეფის ღალატი თუ სხვა რაღაც) გვიანდელ, 1742 წელში გადააქვთ. აღნიშნულ წელს კი ჩამოაგდო ტახტიდან ალექსანდრე მისმა ნახევარძმამ, კოჟიბროლასაგან ნაშობმა გიორგი ბატონიშვილმა, მაგრამ კოჟიბროლა ამ დროს, როგორც ვნახეთ, ასათიანის ცოლია, ლეჩხუმშია დამკვიდრებული და სამეფო კარზე მომხდარ გადატრიალებაში იგი არ მონაწილეობს.

ჩვენი აზრით, კოჟიბროლას სიკვდილი მიესაჯა სწორედ ზემოაღნიშნული „ბევრი საქმის“ გამო, მაგრამ არა 1742 წელს, არამედ 1736—1737 წლების წინარე ხანში. სასჯელი ხახუტა ასათიანის წყალობით სისრულეში არ იქნა მოყვანილი. დასჯის ნაცვლად მან კოჟიბროლა ლეჩხუმში „გააპარა“, ცოლად შეირთო და დედოფალი დიდი ხნით გაუჩინარდა. ამან გამოიწვია ის, რომ პაპუნა ორბელიანისა და ვახუშტის წყარომ მეფის განჩინება აღსრულებულ ფაქტად მიიღო და ასე გაჩნდა მცდარი ცნობა მათ თხზულებებში ალექსანდრე მეფის მიერ თავის დედინაცვლის თამარ // კოჟიბროლას მოკვლის შესახებ. მაგრამ სინამდვილე გადმოცემითა და საბუთებით შემოინახა.

შემდეგ, როცა დრო და ჟამმა განვლო, თამარი და ხახუტა ალექსანდრეს ეახლნენ და „დაეჯნენ“. მეფემ აპატია მათ წარსულ დღეთა „საქმეები“ და, როგორც ვნახეთ, ყმა-მამულიც უხვად უბოძა.

ამგვარად, ნარატიულ, დოკუმენტურ და ფოლკლორულ წყაროებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ალექსანდრე V-ის დედინაცვალს გურიელის ასულ თამარ // კოჟიბროლას 1736 წლის წინარე ხანში რაღაც „ბევრი საქმე“ დაბრალდა, რომლის გამო მეფემ მას სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ სასჯელი სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი.

ვიმეორებთ, მას შემდეგ, რაც ხახუტა ასათიანმა კოჟიბროლა შეირთო, მისი დასჯა გამორიცხულია, რადგან იგი ლეჩხუმში ცხოვრობს და სამეფო კართან კავშირი არა აქვს. ეს კი 1736 წელს, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, უკვე მომხდარი ფაქტია. ხოლო აღნიშნულ წლამდე რომ არ მოუკლავთ, ეს თავისთავად ცხადია, რამეთუ დასახელებულ წელს ის ცოცხალია.

კოჟიბროლას ალექსანდრესთან შერიგება, ხახუტასთვის თავადობის ბოძება და საამისოდ მისი ეკონომიურად წამოწევა 1736 წელს

მოხდა. ხახუტას გათავადებას კოჟიბროლას თანამეცხედრეობამ შეუწყო ხელი. ხახუტა იყო პირველი თავადი ასათიანთა გვარში. მისგან მომდინარეობენ შემდგომ სხვა ლეჩხუმელი თავადი ასათიანები. ასე რომ, ასათიანები ლიხთ-იმერეთის ძირძველ თავადთა რიგებს არ ეკუთვნოდნენ, რომელთაც თავადის წოდება მეფის წყალობით კი არ ჰქონდათ მიღებული, არამედ წინაპართაგან მემკვიდრეობით მოსდგამდათ. ცნობილია, რომ თავადობა თავდაპირველად მეფის წყალობის საგანი არ იყო. ასეთად ის, როგორც სხვაგან, ფეოდალურ საქართველოშიც გვიან, მეტადრე XVIII საუკუნეში იქცა.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული საუკუნის მეორე ნახევარში ასათიანები დასავლეთ საქართველოს გამოჩენილ თავად-აზნაურთა რიგებში ჩანან. მათ მიერ 1759 წელს სოლომონ I-სათვის მიცემულ ტყვეთა სყიდვის აღკვეთის შესახებ პირობის წიგნში ასათიანებიც არიან წარმოდგენილი[62].

ხახუტა ასათიანი, გადმოცემით, თურმე შესანიშნავი გარეგნობის კაცი იყო: „მაღალი, ტანადი, მეტად კარგი სახიერი“[63]. თამარ // კოჟიბროლაზე ადრე პირველ ცოლად ხახუტას ლეჩხუმელი აზნაურის ყრუაშვილის ქალი ჰყოლია, რომელთანაც ჰყავდა ერთი ვაჟი ხახუტა[64]. კოჟიბროლა გურიელის ასულთან კი ასათიანს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამი ვაჟი ესვა: ხადაჩამა (ზარდაჩან), მანუჩარ (მამუჩარ) და მალაქია. მათგან ყველაზე უმცროსი, დასახელების რიგის მიხედვით, მალაქიაა.

თავადის წოდება მემკვიდრეობით ხახუტა ასათიანის მხოლოდ იმ შვილებზე გადავიდა, რომელნიც თამარ დედოფლისგან იყვნენ გაჩენილი (ხადაჩამა, მანუჩარ, მალაქია). მათი მამით ძმა, ყრუაშვილის ქალისაგან ნაშობი ხახუტა (II) და მისი მემკვიდრეები აზნაურებად დარჩნენ.

თამარის ვაჟებიდან ხადაჩამა, როგორც ჩანს, უძეოდ გადავიდა, ხოლო მანუჩარისა და მალაქიას მემკვიდრეებს მრავლად ვხედავთ ისტორიის სარბიელზე და თავადებად იწოდებიან.

მანუჩარს ორი ვაჟი ჰყავდა: ლევანი და ზაალი. ლევანი დაქორწინებული ყოფილა ჩიქვანის ასულზე. ჰყოლია სამი ვაჟი: სამსონ,

---

62 თ. ყორდანია, ქრონიკები..., III, გ. ყორდანიასა და შ. ხანთაძის გამოცემა, თბ., 1967, გვ. 262—263

63 იხ. ბანოვანი დესპინე გელოვანი, დასახ. თხზულება, გვ. 21; შამშე ასათიანის არქივი (ჩანაწერები).

64 იხ. შამშე ასათიანის არქივი (თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი).

ყარამან, ჯავახ. ხოლო ზაალის მეუღლის ვინაობა ცნობილი არ არის. ესვა კი ორი ვაჟი — ლუარსაბი და კონსტანტინე[65].

ამ მანუჩარის შთამომავალი უნდა იყვნენ პოეტ ლადო ასათიანის წინაპრები თავადი გუჯუ და ჯანსუღ ასათიანები[66].

იყვნენ ლეჩხუმში თავადობის მაძიებელი აზნაური ასათიანებიც. ისინი უთუოდ ხახუტა II-ის შთამომავლობას ეკუთვნოდნენ, რომელთაც ჰქონდათ ერთგვარი პრეტენზია თავადობისა, რადგან მათი წინაპარიც (ხახუტა I) თავადი იყო.

ხახუტა I-ის მემკვიდრეებიდან მალაქია და მისი შტო დაწინაურდა.

მალაქიას თანამეცხედრე იყო ოდიშელი თავადის დგებუაძის ქალი რუსუდანი[67]. ჰყავდა ოთხი ვაჟი: ბერი, მამუკა, დავით, გრიგოლი და სამი ასული: ივლიტე (გათხოვილი იყო ოფშკვითელ რევაზ ნიჟარაძეზე), ანა (შეუღლებული ბანძელ ბატა ფალავასთან) და ატატო (დაქორწინებული კულაშელ ვახტანგ მიქელაძეზე)[68].

აღსანიშნავია, რომ მალაქიას მეუღლე რუსუდანი, გადმოცემით, „უშიშარი“ ქალი ყოფილა. ერთხელ, როცა ქმარი და სხვა მამაკაცები ომში იყვნენ წასული, მტერი თავს დასხმია ასათიანების ადგილსამყოფს დერჩს. დგებუაძის ქალი თურმე ქვემო დერჩის ციხეში გამაგრებულა და იგი მტრისთვის არ დაუნებებია[69].

მალაქიას შთამომავლობა, სხვა ასათიანთაგან გამორჩევით, „ასათიან-მალაქიაშვილად“ იწოდებოდა.

თავად ასათიანთა მამამთავარს ხახუტა I-ს თავადისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები (ციხესიმაგრე, ეკლესია, ყმა-მამული და სხვ). გათავადებამდე გაუჩნდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისადმი ბეჟან დადიანის კეთილგანწყობილებამ, რაზედაც ზემოთ მივუთითეთ. საქმე ისაა, რომ გადადიანებული ბეჟან ჩიქვანი ლეჩხუმში თავის საყრდენ ძალებს ეძებდა, ხახუტა ასათიანი აქ ერთ-ერთი გავლენიანი ფეოდალი იყო, რომელიც საამისოდ ბეჟანს გამოა-

---

65 იხ. შამშე ასათიანის არქივი (თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი).

66 იხ. იქვე, ჩანაწერები.

67 მალაქია ასათიანის ძის ბერის დედა დგებუაძის ქალი დოკუმენტებში რუსუდანის სახელით იხსენიება (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2205. იხ. აგრეთვე შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 16). აქედან ცხადია, რომ მალაქიას ცოლს რუსუდანი ჰქმევია.

68 იხ. შამშე ასათიანის არქივი (თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი).

69 იხ. შამშე ასათიანის არქივი (თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი). ჩანაწერები.

დგებოდა. ამიტომაა, რომ იგი ხახუტას სწყალობს. სწორედ ბეჟანი არის მერმინდელი ოდიშის მთავრის დავით დადიანის ის „მეშვიდე წინაპარი“, რომელსაც მალაქიას მემკვიდრეები და მათი მონაწილე აზნაურ ასათიანები იხსენიებენ დასახელებულ მთავრისათვის მირთმეულ „ვედრებაში“ და რომელსაც უბოძებია მათთვის ინასარიძეთა[70] სოფელ დღნორისას მნიშვნელოვანი ნაწილი[71].

გარდა ამ სოფლისა, ბეჟან დადიანის დროსვე (1714—1728 წწ.) უნდა ჰქონდეთ მიღებული ასათიანებს ინასარიძეთა მიწა-წყლის სხვა დიდი ნაწილიც. ყოველ შემთხვევაში ის ადგილ-მამული (სოფ. დღნორისა, დერჩი თუ სხვა), რომელიც ადრე (1714—1728 წლებზე უწინარეს) ინასარიძეებს ეკუთვნოდათ, შემდგომ უმეტესად თავად ასათიანთა ხელშია[72].

სულ მთლად ასათიან-მალაქიაშვილთა და მათ მონაწილეთა მფლობელობაში იყო: სოფ. პატრიკეთის (იმერეთში) მიწა-წყლის ის ნაწილი, რომელიც იქ „სადედოფლოდ“ ითვლებოდა. ასევე ზემოხსენებულ დღნორისასა და დერჩის[73] დიდი ნაწილი. კერძოდ, დერჩში მათ ეკუთვნოდათ: ჩიტოულა, ციხე (ადგილის სახელია), ტბა, დერჩი-ბარი, ხიდიყელი, წაბლარი და სხვ. მათვე ჰქონდათ ადგილ-მამულები საჩხეურს, ცხუკუშერს // ცხუკუშვერს, ტვიშს, ქორენიშს, ბარდნალას, ჭაშლეთს, ონჭეიშსა და წუგნამალიეთში[74].

---

70 ინასარიძეთა გვარი ერთ-ერთი წარჩინებული ფეოდალური გვარი იყო, რომელიც ერცელ ტერიტორიას ფლობდა XVII საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ლეჩხუმში (იხ. მ ი ხ ე ი ლ ა ლ ა ვ ი ძ ე, ცხოვრება გიორგი ინასარიძისა, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949, გვ. 121—128; მ ი ს ი ვ ე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951, გვ. 16—18, 134—136). მაგრამ აღნიშნული ხანის შემდეგ ეს საგვარეულო დაქვეითდა, რაც, ჩვენი აზრით, სხვა მიზეზებთან ერთად („ლეკთათართა“ შემოსევა, შავი ჭირი) ვ.დადიანებული ჩიქვანების ამ კუთხეში მძლავრობით იყო გამოწვეული.

71 იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 13.

72 იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 13, 22.

73 დერჩი ადრე — 1207—1208 წლებში სამეფო სოფელი ყოფილა. აღნიშნულ წლებში მეფე გიორგი ლაშას ის გელათის მონასტერთან არსებულ მეფის სამწირველისათვის უბოძებია (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX—XIII სს. საბუთები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 105—106, საბ. № 21). შემდეგ ეს სოფელი ინასარიძეთა თავადური გვარის სამფლობელო გახდა (იხ. მ ი ხ ე ი ლ ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, გვ. 16—17). ეს მოხდა უთუოდ მათი ძლიერების ხანაში — XV—XVII საუკუნეებში. უკანასკნელი საუკუნის 70-იან წლებიდან ინასარიძეები, როკორც ითქვა, ქვეითდებიან: კარგავენ თავიანთ მიწა-წყალს და მათ შორის დერჩსაც. 1714—1728 წლებში, ოდიშის მთავრის ბეჟანის დადიანობაში, დერჩი უკვე ასათიანის ხელშია.

74 იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. №№ 3, 13, 23, 28. იხ. იქვე ავრეთვე ჩანაწერები.

ასათიანებს ჰქონდათ „მთებსა და ბარზედ“ ზოგიერთი „საზიარო“ და სადავო ადგილი მეზობელ თავად თუ აზნაურ ახვლედიანებთან, რომელნიც, ჩვენი აზრით, დაწინაურდნენ აგრეთვე ჩიქვანთა დინასტიის ოდიშში გადადიანების შემდეგ (ოფიციალურად 1704 წ.). ასეთი ადგილები იყო: მთაშავა (ზემო და ქვემო ლეჩხუმის საზღვარზე) და ლაიშის საყანეები. ორივე მხარე ამ ადგილების მთლიანად გასაკუთრებას ცდილობდა და ამის გამო მათ შორის დავა წარმოებდა[75].

ასათიანებსა და ახვლედიანებს შორის „ცილობა“ იყო აგრეთვე სოფ. დღნორისის გამოც[76].

„რაღაც მტრობა“ და დავა ჰქონია 1846 წელს ყმა-მამულის ნიადაგზე თავად დავით // დათა ბერის ძე ასათიანს სოფ. დერჩის ერთ-უბნის მკვიდრ აზნაურ ქვარიანებთანაც[77].

ასათიან-მალაქიაშვილების რეზიდენცია სოფ. დერჩში იყო. აქ „სოფლის თავში“ ჰქონდათ „სასახლე“ (რომელიც სწორედ ასე იხსენიება მათ საგვარეულო დოკუმენტებში)[78], სამი ციხესიმაგრე და ეკლესია, აშენებული ნათლისმცემლის სახელზე. ამ ეკლესიაში იყო მათი საძვალეც[79]. მათვე ეკუთვნოდათ სოფ. დღნორისას ციხესიმაგრეც, რომელიც ვახუშტის გადმოცემით იყო „მაგარი, დიდშენი დ შეუალი“[80].

ზემოდასახელებული სოფლები, ციხესიმაგრეები და ეკლესია თავდაპირველად, როგორც ითქვა, ინასარიძეების იყო. დერჩის ნათლისმცემლის ეკლესიის კედლებზე გამოსახული საერო პირები ინასარიძეები უნდა იყონ[81].

ძველად ლეჩხუმელი ასათიანების სამკვიდრებელი სოფ. ქორენიშს ყოფილა. აქედან გადასულან ისინი შემდგომ სხვა სოფლებში[82].

აღსანიშნავია, რომ ოდესღაც ქორენიშიდან წასული ასათიანთა ერთი შტო ყაბარდოში დამკვიდრდა და აქ ფრიად დაწინაურდა კიდეც:

---

75 შამშე ასათიანის არქივი, საბ. №№ 17, 22; იქვე, ჩანაწერები.

76 იხ. იქვე, საბ. № 13.

77 იქვე, საბ. № 15; იქვე, ჩანაწერები. აღსანიშნავია, რომ ქვარიანები დღესაც ცხოვრობენ სოფ. დერჩში. სოფლის იმ ნაწილს, სადაც ისინი სახლობენ, ადგილობრივი მკვიდრნი „ქვარიანების კუთხეს“ ეძახიან. ასათიანების საგვარეულო საბუთებში კი ეს კუთხე „საქვარიანოდ“ იწოდება (იხ. იქვე, მაგალითად, საბ. № 18).

78 იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. №№ 3, 25.

79 იხ. იქვე, ჩანაწერები.

80 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 762.

81 იხ. შამშე ასათიანის არქივი, ჩანაწერები.

82 იხ. იქვე.

ბეგის (თავადის, პრინცის) ტიტული მოიპოვა. ერთი ასათიან-ბეგი ეწვია შემდგომ სტუმრად თავის ქორენიშელ თანამოგვარეებს დერჩში და ასე მათ შორის სახლიკაცური კავშირი დამყარდა. ასათიანები ყაბარდოში ახლაც ცხოვრობენ[83].

ასათიან-მალაქიაშვილთა ყმა-გლეხები იყვნენ: ბანძალაძეები // ბანძელაძეები, მანაგაძეები (დერჩის, ჭაშლეთსა და ონჭეიშს), მიქაუტაძეები, გიორგაძეები, „სვიმონ ჩიქვანისეული ცხუკუშერს ერთი გლეხი და ოთხი ცოლ-ქმარი კაცი"[84], „სომეხი სტეფანა, ზურაბა და ჯამფაშა"[85], ჭიაძეები, ჩარგოლიანები, ჭელიძეები, ნეფსიწვერიძეები // ლეფსიწვერიძეები, გუბელაშვილები, ლომთაძეები, სვანიძეები, სართანია, გიორბერი, გაბიძაშვილი და სხვ[86].

ეს გლეხები ასათიან-მალაქიაშვილთა ადგილ-მამულზე სახლობდნენ და მათ სასარგებლოდ გარკვეულ ბეგარა-გამოსაღებს იხდიდნენ.

რამდენი იყო ასათიან-მალაქიაშვილების ყმა გლეხთა საერთო რაოდენობა, არ ვიცით. 1840—1853 წლებში შედგენილი ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ხსენებულ ასათიანებს და მათ „მონაწილეებს"[87] მხოლოდ სოფ. დღნორისაში 50 კომლი გლეხი ჰყოლიათ[88]. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამდენივე კომლი ან ცოტა მეტი ჰყავდათ მათ დერჩში. დანარჩენ სხვა სოფლებში, რაც გინდ მცირე ჰყოლოდათ, 200 კომლი მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ასე რომ, ასათიან-მალაქიაშვილების (ე. ი. თავად ასათიანების) და მათი მონაწილე აზნაურ ასათიანების ყმათა საერთო რიცხვი 300 კომლზე ზევით უნდა ვივარაუდოთ.

თავადს, როგორც ცნობილია, თავის აზნაურები ჰყავდა, რომელნიც მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ. აზნაურს თავადის წინაშე გარკვეული ვალდებულება მართებდა: აზნაურები შეადგენდნენ თავადის ამალას მშვიდობიან პირობებში. თან ახლდნენ მას მგზავრობისას, ნადირობისას თუ სხვა შემთხვევაში. გვერდში ედგნენ თავიანთ ბატონს სხვა თავადების წინააღმდეგ გამოსვლაში, ომის დროს შეად-

---

83 იხ. იქვე, ჩანაწერები.

84 „კაცი" საბუთებში ჩვეულებრივ გლეხის, კომლის სინონიმია. ამ შემთხვევაში შეიძლება ის რამდენადმე პრივილეგიერ გლეხს გულისხმობდეს.

85 ეს სომხები შეიძლება ვაჭრები იყვნენ.

86 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2206; ქუთ. მუზ. საბ. №№ 304, 306, 1556; დოკუმენტები, I, გვ. 466—467, № 661, გვ. 468, № 664; შამშე ასათიანის არქივი, საბ. №№ 1, 2, 3, 4, 5, 16, 18, 21, 28. იხ. იქვე, ჩანაწერებიც.

87 ესენი იყვნენ აზნაურად დარჩენილი ხახუტა II-ის შთამომავალნი (იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 13).

88 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 13.

ვენდნენ თავადის რაზმს, სხვადასხვა საპატიო სამსახურს ეწეოდნენ ბატონის სასახლეში, სახელო ჰქონდათ თავადის კარზე.

ჰყავდათ თუ არა თავად ასათიანებს თავიანთი აზნაურები და რა გვარისა იყვნენ ისინი, ამის შესახებ მასალები არ გაგვაჩნია. არსებობს მხოლოდ ერთი გვიანდელი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის არაპირდაპირი ცნობა, რომელიც რამდენადმე შუქს ფენს ამ საკითხს. ამ ცნობის მიხედვით, აღნიშნულ ხანში, როცა თავადი უშანგი ასათიან-მალაქიაშვილი სტუმრად ეწვია დადიანს ოდიშში თუ სურმუშს (ლეჩხუმი), მას თან ახლდა თურმე აზნაურ გრიგოლიკა ასათიანის მამა. იგი დადიანისა და უშანგის საუბარს ესწრებოდა მხლებელთა „წესი-სამებრ" მდგომარე კედელს აკრული, ფეხი-ფეხზე გადაჯვარედინებული მარჯვენა ხელი იარაღზე დადებული[89].

თავადთან ხლება, როგორც ზემოთ ითქვა, მისი აზნაურის ერთ-ერთი საპატიო მოვალეობა იყო. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგოლიკა ასათიანის მამა (რომელიც უშანგს ახლდა), მისი წინაპრები და ზოგი სხვა აზნაურ ასათიანიც თავად ასათიან-მალაქიაშვილთა აზნაურები იყვნენ.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1825 წლის 15 ოქტომბრის ერთ „ნასყიდობის წერილში" აზნაური ზაალიკა ასათიანი თავად, მდივან-ბეგ ბესარიონ ქაიხოსროს ძე გელოვანის „ყმად" არის მოხსენიებული[90]. ასე რომ, ზოგიერთი აზნაური ასათიანი თავად გელოვანის ვასალი ყოფილა.

ასათიანებს, ისე როგორც სხვა თავადებს, თავიანთი მოხელეები უნდა ჰყოლოდათ, რომლებსაც იყენებდნენ ყმა-მამულის მართვის საქმეში. მაგრამ ამის შესახებ ძალიან ცოტა ვიცით. ჩანს მხოლოდ ბერი მალაქიას ძე ასათიანის „ხელოსანი" ჭელიძე დავითელა და ისიც გვიანდელ, 1815 წლის 10 ივლისის დოკუმენტში[91]. ვხედავთ აგრეთვე იმავე ბერის მეორე ხელოსანს დათიკა ბანძელაძეს[92]. მაგრამ რა ფუნქციას ასრულებდნენ ისინი ასათიანების მამულში, წყაროებში ნაჩვენები არ არის. ერთი კი ცხადია: თავადთა ხელოსნები, როგორც წესი, მათი ყმა ელეხებიდან არიან საერთოდ და დაბალი რანგის — მოურავის ხელქვეშეთ მოხელეებს განეკუთვნებიან. მათი მოვალეობა, მოურავის

---

89 იხ. იქვე, ჩანაწერები.

90 ც. ქ ი ტ ი ა, შ. ს ა ტ ი ა, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 99—100, № 15.

91 იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 5.

92 იქვე, საბ. № 10.

კანკარგულებისამებრ, ბატონის საქმეებზე „გაგზავნ-გამოგზავნა“ უნდა ყოფილიყო[93].

ჰქონდა თუ არა ასათიანთა საყმოს საგადასახადო ან სხვა იმუნიტეტი, ამაზე ჩვენთვის ცნობილი წყაროები არაფერს ამბობენ. ვიცით მხოლოდ ერთი შემთხვევა: 1798 წელს ოდიშის მთავარმა გრიგოლ დადიანმა სამთავრო საურისა და საუდიერო ღვინის გამოსაღებებისაგან გაათავისუფლა თავად დავით ასათიან-მალაქიაშვილის „კაცი“ მიქაუტაძე სვიმონ, გიორგი და მათი შთამომავლობა მათივე ბატონის „ვედრებით“[94] .ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ხსენებული გლეხები ამ გამოსაღებებს თავიანთ უშუალო ბატონის დავით ასათიანს უხდიდნენ. მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა ჩანს და მხოლოდ ამ ერთი მაგალითის მიხედვით ასათიანთა საყმოში საერთოდ საგადასახადო იმუნიტეტის გავრცელება ვერ დადასტურდება.

ასათიანთა სახლის წევრებს შორის ყოველთვის კეთილგანწყობილება არ სუფევდა. ერთი და იმავე მამის შვილებში წოდებრივი ზღვარის გაჩენამ (იხ. ზემოთ) მათ შორის უკმაყოფილება წარმოშვა. დაიწყო გაუთავებელი დავა ყმა-მამულის გამო ანზაურებად დარჩენილ და თავადებად აღზევებულ ძმები ასათიანების მემკვიდრეებს შორის. ასე, მაგალითად, 1856 წლის 7 მარტის ერთი „განჩინების“ წიგნიდან ჩანს, რომ დავობდნენ ერთმანეთს შორის 1818 წლიდან მოყოლებული სოფ. დერჩისა და „საქვარიანოს“ გაო, ერთი მხრივ, ხახუტა I-ის შთამომავალი ხოსიას, სიმონის, ლევანისა და ხახუტა II ხახუტას ძის მემკვიდრეები და, მეორე მხრივ, ხახუტა I-ის შთამომავალი მალაქია ასათიანის მემკვიდრეები[95].

ხოსიასა და სხვების მემკვიდრეთა მხარე ჩიოდა, რომ ზემოხსენებული სოფ. დერჩი და „საქვარიანო“ დადიანმა „საერთოდ“ და „საზიაროდ“ უბოძა ხახუტა I-ის ძეებს ყველას ერთად და ამიტომ ამ ადგილებში ჩვენც წილი გვიდევსო.

მათი მოპასუხე მალაქიას მემკვიდრეთა მხარე ამტკიცებდა, რომ დასახელებული ადგილები დადიანმა პირადად პაპა ჩვენს მალაქიას უწყალობა „საკუთრად“ და სხვისი საწილო არ არისო[96].

როგორც ჩანს, მალაქიას მემკვიდრეები უფრო მართალი ან უფრო მოხერხებული აღმოჩნდნენ და სადავო ადგილები საბოლოოდ მათ საკუთრებაში დარჩა.

---

93 ხელოსანთა ფუნქციის შესახებ ლიხთ-იმერეთის სათავადოებში იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 212—213.

94 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 2.

95 იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 18.

96 იქვე.

დავა ჰქონდათ ასათიანებს ურთიერთს შორის ხშირად აგრეთვე სხვა ადგილებისა თუ ყმა გლეხების გამოც[97].

აღსანიშნავია, რომ პირველ გათავადებულ ხახუტა ასათიანს მისი თანამედროვენი და შთამომავლობა „დიდ ხახუტას“ ეძახდნენ[98]. ასეთი სახელი მას იმ მაღალმა წოდებამ და დიდმა ეკონომიკურმა შესაძლებლობამ მოუპოვა, რომელსაც მან მიაღწია და რომელიც შემდგომ მემკვიდრეობით მის შთამომავლობაზე გადავიდა. ხახუტა I, როგორც ზემოთაც ვნახეთ, იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის, ოდიშის მთავრის ბეჟან დადიანის და ნაწილობრივ უკანასკნელის მემკვიდრის ოტიას დროს მოღვაწეობდა და თანაბრად სარგებლობდა მათი კეთილგანწყობილებით. ეტყობა, ხახუტა იმერეთის მეფესა და დადიანთან დამოკიდებულებაში მეტად მოქნილ ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდა და უთუოდ ამას მოყვა მისი ესოდენ აღზევება.

კერძოდ, ბეჟან დადიანის კარზე ხახუტა ფრიად მიღებული პირი. მას იმოწმებს მთავარი თავის სხვადასხვა წყალობის წიგნში[99].

თუ ალექსანდრე V-ის მეფობის გარკვეულ მონაკვეთს (1736—1737 წლებს) მხედველობაში არ მივიღებთ, ხახუტა ასათიანის სიუზერენად ოდიშის მთავარი უნდა ჩაითვალოს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ ჯერ კიდევ ბეჟან დადიანი (1714—1728 წწ.) ხახუტას თავის „ერთგულ ყმად“ აცხადებს[100] ე. ი. მათ შორის სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულებაა. ასეთი დამოკიდებულება გრძელდება შემდგომაც, თავად თუ აზნაურ ასათიანებს შორის ოდიშის სამთავროს არსებობის მთელ მანძილზე. მაგალითად, ლევან V დადიანი ასათიანებს თავის „ქვეშევრდომებად“ ასახელებს[101], ხოლო „თავად მალაქია ასათიანის ძენი და მონაწილენიც“ თავიანთი „შთამომავლობით მეპატრონეთ“ და „ბატონად“ 1840—1853 წლებშიც დადიანს აღიარებენ[102]. სინამდვილეში სწორიც იყო ეს: ლეჩხუმის ის ნაწილი, რომელიც ასათიანებს ეჭირათ, დადიანის ხელში იყო (ჭაშლეთი, დღნორისა, დერჩი, ქორენიში და სხვ.)* და მისგანვე ჰქონდათ ნაწყალობევი მათ აქ თუ სხვაგან ადგილ-მამულები.

---

97 იხ. იქვე, საბ. №№ 3, 9, 16, 21.
98 იხ. იქვე, საბ. № 18.
99 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1150, 1151.
100 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2206.
101 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1556.
102 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 13. იხ. იქვე აგრეთვე, საბ. № 9.
* იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 325—327.

*

* *

როდის გარდაიცვალა თავად ასათიანთა **მამამთავარი ხახუტა I,** წყاროებიდან არ ჩანს. სავარაუდებელია ეს მოხდა 1737 წლის შემდგომ ხანებში.

ზემოხსენებულ ხახუტასა და მის შვილებს — ხახუტა მეორეს, ხადაჩამას, მანუჩარსა და მალაქიას გარდა, მეტ-ნაკლებად ცნობილი არიან ლეჩხუმელ ასათიანთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც:

მ ა მ უ კ ა I (აზნაური), ხახუტა I ასათიანის თანამედროვე. პირველად იხსენიება „გამრიგედ და მოწმედ“ 1714—1728 წლებში ოდიშის მთავრის ბეჟან დადიანის მიერ ხსენებულ ხახუტასათვის ბოძებულ ყმა-მამულის წყალობის წიგნში[103]. თანამოგვარეობის გარდა, რა ნათესაური კავშირი იყო უკანასკნელსა და მამუკას შორის, არ ჩანს.

ეს მამუკა, თავის შვილთან — ბერთან ერთად, მოწმედაა დასახელებული აგრეთვე იმავე ხახუტასთვის მიცემულ ოტია დადიანის 1728—1757 წლების ერთ უთარიღო წყალობის წიგნშიც[104]. მამუკა I-ის ხსენება ამ წლებზე წყდება. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი აღნიშნული წლების ახლო ხანს გარდაიცვალა.

ბ ე რ ი I მამუკა I-ის ძე (აზნაური), ხახუტა I-ის უმცროსი თანამედროვე. ვხედავთ მამასთან ერთად ზემოხსენებულ ოტია დადიანის 1728—1757 წლების წყალობის წიგნში[105]. ცალკე ბერი იხსენიება კიდევ იმავე ოტიას აღნიშნული წლებისვე მეორე უთარიღო წიგნში[106].

გ რ ი გ ო ლ I მალაქიას ძე (თავადი), ხახუტა I-ის შვილიშვილი, ძმა ბერი II-ის, მამუკა II-ის, დავით // დათა I-ისა (იხ. ქვემოთ). იხსენიება ბერი II-სთან ერთად ერთ უთარიღო „გაბეჭობის“ წიგნში[107]. იგი იმერთა მეფის სოლომონ I-ის (1752—1784 წწ.) თანამედროვეა. მონაწილეობდა რუხის ომში (1779 წლის მიწურული). დაქორწინებული იყო ზეინდრელი ერისთავის ქალზე. ჰყავდა ერთი ვაჟი სიკო („მეთოფე“), რომელიც უშვილოდ გარდაიცვალა, და ერთი ასული რუსუდანი, გათხოვილი რაჭველ თავად თუ აზნაურ ჯაფარიძეზე[108].

ესაა ის გრიგოლ ასათიანი, რომელსაც გადმოცემით თურმე „მჭრე-

---

103 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2206.

104 იხ. დოკუმენტები..., I, გვ. 468, № 664 (საბუთის თარიღი შესწორებულია ჩვენს მიერ ოტია დადიანის ზეობის წლების მიხედვით).

105 იხ. იქვე.

106 ქუთ. მუზ. საბ. № 754.

107 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 8.

108 იხ. იქვე, ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი; ჩანაწერები.

ლი თვალები ჰქონდა. მის შესახებ „ლეჩხუმურ ზეპირსიტყვაობაში“ ვკითხულობთ:

„იმერეთის და ოდიშის ჯარები ერთხელ წუგნა-მალიეთში (იმერეთ-ლეჩხუმის საზღვარზე, ო. ს.) შეხვდნენ ერთმანეთს. აქ ბრძოლა უნდა მომხდარიყო მათ შორის.

ლეჩხუმი ოდიშს ეკუთვნოდა. ოდიშის ჯარს ხელმძღვანელობდა დერჩელი გრიგოლ ასათიანი...

იმერეთის ჯარს ოთია მესხი წინამძღვრობდა.

წინათ ასეთ წესს იცავდნენ: სარდლები მოწინააღმდეგის ნაწილებს წინასწარ ჩამოიცლიდნენ, დაათვალიერებდნენ, როცა დაბრუნდებოდნენ, ერთმანეთს ნიშანს მისცემდნენ და ომს დაიწყებდნენ.

ოთია წავიდა ოდიშის ჯარისაკენ, გრიგოლი — იმერეთის ჯარისაკენ.

შეხვედრის დროს, როგორც კი გაუსწორდა გრიგოლი ოთიას, უკანასკნელი შემობრუნდა, ხმალი იშიშვლა და გრიგოლს თავი მოჰკვეთა...

ბრძოლა აღარ შედგა.

რაც მოხდა, სოლომონს აცნობეს. ნათესავის[109] სიკვდილმა და თავისი სარდლისაგან ომის წესის დარღვევამ მეფე დიდად შეაწუხა.

ოთია მესხს პასუხი მოსთხოვეს.

ოთიამ თავი იმართლა, მეფეს ასე მოახსენა: გრიგოლ ასათიანს ხარბი გული და გამღალავი თვალი ჰქონდა. საშიში გარეგნობის იყო: მაღალი, ძვალმსხვილი, წითური და ცისფერთვალებიანი. ასათიანის სახის ცქერას ვერავინ გაუძლებდა. მისი თვალები ელვასავით ჭრიდა. ქუთუთოებში ურმის თვლებივით გორავდა. რა სულდგმულსაც დაინახავდა, წააქცევდა. ასათიანს რომ ჩვენი ჯარისათვის ახლოს შეეხედა, ყველას წაახდენდა, მთელ ძალას წაართმევდა, ომს წავაგებდით და შევრცხვებოდითო“[110].

ასეთი ყოფილა გრიგოლ ასათიანი ფოლკლორული მასალების მიხედვით.

ს ი ს ო ნ ი კ ა (თავადი?) გვხვდება მხოლოდ ერთხელ „მოწმედ და გამრიგედ“ 1758 წლის დოკუმენტში, თავად მალაქია ხახუტა I-ის ძე ასათიანთან ერთად, კაცია დადიანის „უმაღლეს“ და „უმდაბლეს“ დარბაზის ერთა“ შორის[111].

---

109 იგულისხმება უთუოდ ის, რომ გრიგოლ ასათიანი ალექსანდრე V-ის დედინაცვალის კოჟიბროლა დედოფლის შვილიშვილი იყო, ხოლო უკანასკნელი სოლომონს ბებიად ეკუთვნოდა.

110 მ ი ხ ე ი ლ ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, გვ. 18—19. აღსანიშნავია, რომ ამ სიუჟეტზე აკაკი წერეთელს დაწერილი აქვს პატარა მოთხრობა „ოთია მესხი“.

111 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1507.

გ ი ო რ გ ი I (აზნაური). ჩანს 1772 წლის საბუთში[112]. იგი კაცია II დადიანის „ყმაა“. მისი „თავადებ... ერთგულების მცდელი ყოფილა“, „ქრთამიც“ მისთვის „გულშესაჯერებელი მიურთმევია“ და უკანასკნელი აღნიშნულ წელს აძლევს მას სოფ. ტვიშს მოსახლე ერთ კომლ გლეხს — გაბრიელა ნემსიწვერიძეს „მისის ცოლშვილით, სახლ-კარით, ალაგ-შამულით და ყველაფრით[113].

ეს გიორგი უნდა იყოს 1804 წლის II აპრილის ნასყიდობის წიგნში ოდიშის სამთავრო სახლის აზნაურთა შორის მოწმედ მოხსენიებული გიორგი ასათიანი[114] და აგრეთვე ამავე ხანის ერთ უთარიღო „სათავდებო წიგნის“ გამცემი ასათიანი გიორგიც[115].

ამ გიორგის ძმა იყო სპირიდონ ასათიანი. ძმები მოწმეებად არიან ერთად დასახელებული ზემოაღნიშნულ 1804 წლის ნასყიდობის წიგნში[116].

ზ ა ა ლ (აზნაური). ვხედავთ 1772, 1824, 1827 წლებში[117]. ესვა ერთი ვაჟი — ვახტანგი (იხ. ქვემოთ ვახტანგ I). შეიძლება ეს ზაალი და მდივანბეგ ბესარიონ ქაიხოსროს ძე გელოვანის 1825 წლის 16 ოქტომბრის ნასყიდობის წიგნში მოწმედ დასახელებული მისი „ყმა“ ზალიკა ასათიანი[118] ერთი და იგივე პირი იყოს.

ეს ზაალი უნდა იყოს აგრეთვე XIII—XIV საუკუნეების „მარხვათა საკითხავების“ ხელნაწერის მინაწერში მოხსენიებული ზაალ ასათიანი, რომლის თანამეცხედრე ყოფილა ელენე. ზაალს, როგორც მინაწერშია ნათქვამი, ეს ხელნაწერი უყიდია „თათართაგან“, მაგრამ როდის — მითითებული არ არის[119].

ხ ო ს ი ა I (აზნაური). იხსენიება 1772, 1824 წლების საბუთებში[120]. ჰყავდა ორი ვაჟი: ბერუკა და ვახტანგი (II). „ასათიანი ბერუკა ხოსიას შვილი“ გვხვდება 1818 წლის 13 სექტემბრის „უდეობის“ წიგნში[121], ხოლო ვახტანგ II იხ. ქვემოთ.

ბ ე რ ი II მალაქიას ძე (თავადი), ხახუტა I-ის შვილიშვილი, ძმა

---

112 იქვე, საბ. № 1118.

113 იხ. იქვე.

114 იქვე, საბ. № 1264.

115 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 5782.

116 ქუთ. მუზ. საბ. № 1264.

117 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1088, 1118; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 5745.

118 იხ. ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 100, № 15.

119 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. IV, თბ., 1954, გვ. 519, მინაწერი I.

120 ქუთ. მუზ. საბ. №№ 1088, 1118.

121 იხ. იქვე, საბ. № 304.

შამუკა II-ის, დავით // დათა I-ის და გრიგოლ I-ისა. ლეჩხუმის ერთ-ერთი მმართველი პირთაგანი[122]. დაქორწინებული იყო თავად იაშვილის ქალზე. ჰყავდა ექვსი ვაჟი: როსტომ, დავით // დათა, ივანე, ტარიელ, ფარნაოზ და ლევან[123].

გვხვდება შვილებთან ერთად და ცალკე: 1780, 1798, 1808, 1815, 1818, 1831, 1835, 1840 წლების დოკუმენტებში[124].

ბერი II ცაგერელ მიტროპოლიტ იოანე დადიანის ძის თანამედროვეა და მისი „ეკლესიისა და ოჯახის“ ერთგული. ამიტომაც „ამოუწერა“ უკანასკნელმა მას „საუკუნოდ“ 1780 წელს „ნიშანი“[125] ყოვლისფერი კაცისა და ქალის“: იარაღი, ცხენი, ტანისამოსი და სხვ[126].

მეტად კარგ განწყობილებაშია ბერი აგრეთვე ჭყონდიდელ ეპისკოპოსთანაც, რომელიც 1840 წლის 21 სექტემბერს მის „ბრწყინვალებას“ ლოცვა-კურთხევის ბარათს უგზავნის, მისი „ხილვის“ სურვილს გამოთქვამს და ამ ბარათს ხელს აწერს, ვითარცა მისი „მლოცველი მოსამსახურე“[122]. ჩანს ბერი დიდად პატივცემული პიროვნებაა, რაკი ესოდენ მაღალხარისხოვანი მღვდელთმთავარი მას ასე მოწიწებით მიმართავს.

თაეის სახლიკაცების მიმართ ბერი მძლავრობდა. მათი ყმა-მამულს „საკუთრად იკავებდა“. ამ ნიადაგზე ბერსა და მათ შორის კონფლიქტი იყო. 1818 წლის აპრილში კიდევაც უჩივლეს მას სახლიკაცებმა[128].

ყმა-მამულის მითვისების გამო უჩიოდა მას აგრეთვე აზნაური რამაზა ნემსაძეც[129].

---

122 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 54, № 36.

123 იხ. შამშე ასათიანის არქივი, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი; ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის, გვ. 121, № 101.

124 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2205; ქუთ. მუზ. საბ. №№ 304, 306; შამშე ასათიანის არქივი, საბ. №№ 2, 3, 5, 6, 7, 12; ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 121, № 101.

125 „ნიშანი“ მაღალი სოციალური ფენისათვის დაწესებული სამწყსო გადასახადი იყო. ნიშანი ერქვა იმ გადასახადს, რომელსაც ამა თუ იმ მიცვალებულის პატრონი აძლევდა ეპისკოპოსს ან კათალიკოსს. ნიშანი მიცვალებულის საუკეთესო პირადი ნივთები იყო და ეს სახელი ეწოდებოდა მას იმიტომ, რომ ტირილის დღეს, და შესაძლოა ორმოცამდე ან მეტ ხანსაც, იგი მიცვალებულის განსახიერების ნიშნად იყო წარმოდგენილი (ნიშანსა და მის კონკრეტულ ნივთიერ შემადგენლობაზე იხ. ვრცლად ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 151—152).

126 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2205.

127 იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 7.

128 იქვე, საბ. № 3. იხ. აგრეთვე, ქუთ. მუზ. საბ. № 304.

129 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 5.

უკანასკნელად ვხედავთ ბერი II-ეს 1840 წლის 21 სექტემბერს[130]. იგი უთუოდ ამ წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა. დაკრძალულია დერჩის ნათლისმცემლის ეკლესიაში.

ბერის შთამომავლობა ზოგჯერ ასათიან-ბერ-მალაქიაშვილად იწოდებოდა.

როსტომ I ბერი II-ის ძე (თავადი). უფროსი ძმა დავით // დათასი, ივანეს, ტარიელ-ფარნაოზ და ლევანისა. იხსენიება მამასთან ერთად 1780 წელს[131]. იგი გრიგოლ დადიანის კარზე დაწინაურებულა. როსტომი უთუოდ იმ თავადთა ჯგუფში იყო, რომელიც გრიგოლს უჭერდა მხარს სოლომონ II-სთან ბრძოლაში. გრიგოლის გარდაცვალების შემდგომ, თუ უფრო ადრეც, როსტომი გრიგოლის თანამეცხედრის ნინო დედოფლის „ადიუტანტი" ყოფილა. ჰქონია გენერლის ჩინი[132]. 1811 წელს, როცა ნინო რუსეთში გადასახლდა, თან ახლდა მას როსტომი. თან ხლებია იგი მას აგრეთვე მაშინაც, როცა ოდიშის დედოფალი ერთხანს რიაზანში გადაასახლეს და შემდგომაც, 1822 წლის დეკემბრიდან, როცა ნინოს პეტერბურგს, მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ცხოვრების ნება მისცეს[133].

როსტომ ასათიანი ნინო დედოფალთან ერთად არის გამოსახული იმ სილუეტში, რომელიც ჟურნალ „Столица и усадьба"-შია გამოქვეყნებული და რომელიც ნ. ტარსაიძემ გადმობეჭდა თავის წიგნში[134]. ამ სილუეტში ნინო დედოფალი სხვებთან ერთად ზის მრგვალ მაგიდასთან და მისგან რამდენადმე მოშორებით, უკან დგას სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი შისი ადიუტანტი გენერალი როსტომ ასათიანი[135].

იგი უშვილოდ გარდაიცვალა პეტერბურგში[136].

---

130 იხ. იქვე, საბ. № 7.

131 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №2205.

132 იხ. შამშე ასათიანის არქივი, ჩანაწერები.

133 ნინო გიორგის ასულ სამეგრელოს დედოფალზე იხ. *მაქსიმე ბერძნიშვილი*, მასალები..., II, 1983, გვ. 121—122.

134 Н. Г. *Тарсаидзе*. Исторические этюды, Тбилиси, 1972, с. 58. (შენიშვნა I), 81.

135 იხ. Н. Г. *Тарсаидзе*, დასახ. ნაშრ., с. 58 (შენიშვნა[1]), 81. აღსანიშნავია, რომ ნ. ტარსაიძის ვარაუდით, სილუეტში გამოსახული „Грузинская царица некто иная, как царица Мария—дочь Кация Дадиани, супруга Соломона II, жившая в России и скончавшаяся в Петербурге..." (იხ. იქვე, გვ. 58, შენიშვნა I). მაგრამ ეს ვარაუდი სწორი არ არის სილუეტის წარწერა გვაუწყებს, რომ მასში სამხედრო ტანისამოსში წარმოდგენილი პირი ასათიანია (იხ. იქვე, გვ. 81). სამხედრო პირი როსტომ ასათიანი კი, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ოდიშის დედოფალს ნინოს ახლდა რუსეთში.

136 იხ. შამშე ასათიანის არქივი, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი; ჩანაწერები.

ტ ა ტ უ (აზნაური). დასახელებულია კაცია II დადიანის 1785 წლის წყალობის წიგნში. ამ წიგნით უკანასკნელმა უბოძა მას ყმა გლეხი მამუკიჩა გოდოლაძე „თავის ცოლ-შვილით“[137].

ქ ა ი ხ ო ს რ ო (აზნაური). მოწმეთაა მოხსენიებული 1790, 1815 წლების საბუთებში[138].

ბ ა ს ი ლ (აზნაური). დადიანის „კარის მწირველი“ მღვდელი-მდივანი[139]. ვხედავთ 1801, 1802, 1808, 1818, 1819, 1824, 1825 წლებში[140].

ეს ბასილი და 1825, 1829, 1832 წლების საბუთების დამწერი და მოწმე „დადიანის კარის მღვდელი აზნაური ვასილ ასათიანი“[141] ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

ამ ბასილ // ვასილ ასათიანის მიერაა დაწერილი ოდიშის მთავართა (გრიგოლის, ლევან V-ის) მრავალი სიგელი.

ს ი მ ო ნ I (აზნაური). დადიანის „უმაღლესობის კარის მღვდელი“. გვხვდება 1802, 1806, 1818 წლებში[142]. 1802 წელს გრიგოლ დადიანმა იგი აზნაურ გიორგი გუგუშვილთან ერთად საქართველოს მთავარმმართებელ პავლე ციციანოვთან წარგზავნა ოდიშის სამთავროს რუსეთის იმპერატორის მფარველობაში მიღების შესახებ მოსალაპარაკებლად[143].

გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1804 წ.) სიმონ ასათიანი მთავრის თანამეცხედრის ნინო დედოფლის კარის მღვდელია. ასეა დასახელებული სიმონი 1818 წლის 12 მარტის დოკუმენტში[144].

ზოგჯერ იგი მდივნის მოვალეობაც ასრულებდა. მის მიერაა „აღწერილი“ გრიგოლ დადიანისა და მისი მეუღლის ზემოხსენებული დედოფლის ზოგიერთი საბუთი[145].

---

137 ქუთ. მუზ. საბ. № 756—2.

138 ქუთ. მუზ. საბ. № 306; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, გამოც. ნ. ბერძენიშვილისა, გვ. 86, № 125.

139 დადიანის კარზე ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მღვდელი ჩანს: 1. „კარის მღვდელი“ ერთდროულად ორი (იხ. ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები..., გვ. 87, № 3). 2. „კარის მწირველი მღვდელი“ ასევე ერთდროულად ორი და აგრეთვე უკანასკნელ ორთან ერთდროულად ერთი „მოძღვარი მღვდელი“ (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1490).

140 ქუთ. მუზ. საბ. №№ 304, 480, 1490; ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 98—100, №№ 14, 15; შამშე ასათიანის არქივი, საბ. №№ 4, 12.

141 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1404; ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 100, № 15, გვ. 105, № 23.

142 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 7222; ქუთ. მუზ. საბ. № 1191; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 192; ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 87, № 3.

143 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

144 ქუთ. მუზ. საბ. № 1191.

145 იქვე; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 7222.

შეიძლება ეს სიმონ ასათიანი იყოს გრიგოლ დადიანის მამის კაცია II-ის 1785 წლის წყალობის წიგნის „აღმწერი“ მღვდელი სიმონი, რომელიც ამ წიგნში გვარის დაუსახელებლად არის მოხსენიებული[146].

ვ ა ხ ტ ა ნ გ I ზაალის ძე (აზნაური), პრაპორშჩიკი, ლეჩხუმის ერთ-ერთი მმართველი პირთაგანი. გვხვდება 1802, 1804, 1806, 1821, 1835 წლების საბუთებში[147].

იგი, ოდიშის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლასთან[148] დაკავშირებით, ლეჩხუმის სხვა მმართველ პირებთან ერთად, 1804 წელს ხელს აწერს პავლე ციციანოვისათვის მირთმეულ ერთგულების წიგნს და მთელი ლეჩხუმის „ხელმწიფედ“ დადიანს აღიარებს[149].

1821 წელს ვახტანგს, „ქართველთ ცხოვრების“ ავტორის ნიკო დადიახის ცნობით, პრაპორშჩიკის ხარისხი ებოძა თავად გორჩაკოვის აფხაზეთში ლაშქრობის დროს წარმოჩენილი მამაცობისათვის. ამ ლაშქრობისას ვახტანგი „მცირედ დაიკოდა ხელზედ“[150].

1835 წლის 8 მარტის ერთ საბუთში ეს ვახტანგი თავად ბერი II მალაქიას ძე ასათიანის „მახლობელ ნათესავად“ არის დასახელებული[151].

ვახტანგ აზნაურ ხახუტა II-ის შტოს უნდა ეკუთვნოდეს.

მ ა მ უ კ ა II მალაქიას ძე (თავადი), ძმა ბერი II-ის, დავით // დათა II-ის და გრიგოლ Iისა. ლეჩხუმის ერთ-ერთი მმართველი პირი. იხსენიება 1804 წელს. აღნიშნულ წელს იგიც ხელს აწერს ამ კუთხის მმართველთა მიერ პავლე ციციანოვისათვის მიცემულ ერთგულების წიგნს[152].

ჰყავდა ორი ვაჟი: მალხაზი და „მამუჩარი“[513].

ნ ი კ ო ლ ო ზ // ნ ი კ ო ლ ო ზ ა რამაზას ძე (აზნაური). „ხელმწი-

---

146 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 756—2.

147 ქუთ. მუზ. საბ. №№ 480, 1008; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 54, № 36; ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 211; ც. ქ ი ტ ა ი ა, შ. ს ა ტ ი ა, მასალები..., გვ. 86, № 2, გვ. 87, № 3; ო. ს ო ს ე ლ ი ა, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათის..., გვ. 121, № 101.

148 ეს მოხდა 1803 წლის მიწურულს.

149 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 53—54, № 36.

150 ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 211.

151 ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 121, № 101.

152 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 53—54, № 36.

153 იხ. შამშე ასათიანის არქივი, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

ფის“ დადიანის კარის მღვდელი. ვხედავთ 1806, 1818, 1827 წლებში[154].

ლ ა ზ ა რ ე (აზნაური), მღვდელი. მოხსენიებულია „მოწმედ და შუამდეგად“ 1808 წელს ბერი II მალაქიას ძე ასათიანისათვის მირთმეულ უკანასკნელის „ყმის“ — მღვდელ-მონაზონ გრიგოლის პიროობის წიგნში[155]. მოხსენიებულია აგრეთვე მოწმედ ერთ უთარიღო ნასყიდობის წიგნშიც[156].

დ ა ვ ი თ // დ ა თ ა I მალაქიას ძე (თავადი). ძმა ბერი II-ის, მამუკა II-ის და გრიგოლ I-ისა. მღვდელ-მონაზონი, საირმის უდაბნოს მონასტრის იღუმენი. ლეჩხუმის სარდალ-მოურავის ბერი გელოვანის „დეიდაშვილი“. ვხედავთ 1815, 1819 წლების საბუთებში[157].

ამ დავითის დაწერილია აზნაურ გოგია და სხვა ნემსაძეების მიერ თავად ბერი II ასათიანისათვის მიცემული დერჩს მოსახლე ყმა გლეხის ბანძალაძის 1815 წლის 10 ივლისის ნასყიდობის წიგნი[158].

ი ვ ა ნ ე I ბერი II-ის ძე (თავადი, მღვდელ-მონაზონი, საირმის უდაბნოს მონასტრის იღუმენი[159] მისი ბიძის დავით // დათა I-ის შემდგომ (იხ. ზემოთ). ეს უკანასკნელი 1819 წლის მერე არ ჩანს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ივანე იღუმენად აღნიშნული წლის ახლოხნიდან დასვეს.

მ ი ხ ა ი ლ (აზნაური). მღვდელ-მონაზონი. მოწმედ იხსენიება 1818 წლის 13 სექტემბრის „უდეობის“ წიგნში[160].

რ ა მ ა ზ ა (აზნაური), ნიკოლოზის მამა (იხ. ზემოთ ნიკოლოზ). გვხვდება შვილთან ერთად 1818 წლის 13 სექტემბერს[161]. აღნიშნულ წელს მამასა და შვილს „უდეობის“ წიგნს აძლევს თავადი ბერი II ასათიანი[162].

ფ ი რ ა ნ, ი ვ ა ნ ე II, გ ლ ა ხ უ ა, ბ ე ქ უ კ ი, დ ა თ ი კ ა (აზნაურნი) ერთად ვხედავთ XIX საუკუნის I მეოთხედის ერთ განჩინე-

---

154 ქუთ. მუზ. საბ. № 304; ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები..., გვ. 87. № 3; შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 21.

155 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 12.

156 იხ. იქვე, საბ. № 11.

157 ქუთ. მუზ. საბ. № 306; შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 4.

158 ქუთ. მუზ. საბ. № 306.

159 იხ. შამშე ასათიანის არქივი, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

160 ქუთ. მუზ. საბ. № 304.

161 იხ. იქვე.

162 იქვე.

ბის წიგნში[163]. ამ წიგნიდან ირკვევა, რომ ივანე II კაცია სულწაძეს ედავებოდა „კოდის“ (დერჩის) მამულის გამო. მაგრამ ეს მამული „სამართლით“ კაცია სულწაძეს დარჩა[164].

ტ ა რ ი ე ლ, ფ ა რ ნ ა ო ზ. ძმები, ბერი II-ის ძენი (თავადნი). ჩანან 1835, 1856 წლებში[165].

ტარიელი დაქორწინებული იყო ჩიქვანის ქალზე. ჰყავდა ერთი ვაჟი — დიმიტრი. ამ დიმიტრის შვილი (ე. ი. ტარიელის შვილიშვილი) იყო სილამაზით სახელგანთქმული გალაქტიონ ასათიანი, რომელიც ღია ბარათებზე ყოფილა გამოსახული, როგორც „Кавказский тип“. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ იგი ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთს და იქვე გარდაიცვალა პარიზში XX საუკუნის 50-იან წლებში[166].

რაც შეეხება ტარიელის ძმას, ზემოხსენებულ ფარნაოზს, მისი მეუღლე იყო ჯერ ახვლედიანისა და შემდეგ ბოკერიას ქალი. მასაც ჰყავდა ერთი ვაჟი — ვარდენი (იხ. ქვემოთ) და ერთი ასული ციცინო, რომელიც გათხოვილი იყო თავად მიხეილ დადიანზე[167].

ლ ე ვ ა ნ I ბერი II-ის ძე, მალაქიას შვილიშვილი. მოკლეს „ჩერქეზში“ 1836 წელს. ცოლ-შვილი არ დარჩენია[168].

უ შ ა ნ გ ი დავით II-ის ძე, ბერი II-ის შვილიშვილი (თავადი), დაიბადა 1840 წელს. იხსენიება „ქნიაზ უშანგ დავითიჩ“ 1869, 1877 წლების დოკუმენტებში[169]. იყო შესანიშნავი გარეგნობის, განათლებული, „საზოგადოებაში გამოსული, ბევრი ამბის მცოდნე და მთხრობელი“. ცოლ-შვილი არ ჰყოლია. გარდაიცვალა 1930 წელს 90 წლის ასაკში[170].

ე ფ რ ე მ (აზნაური), ბლაღოჩინი. მოხსენიებულია 1840 წლის 21 სექტემბრის საბუთში[171].

ო ქ რ ო პ ი რ ვასილის ძე (აზნაური). ოდიშის სამთავროს „უზენაესი სასამართლოს მდივანი“. ვხედავთ დავით დადიანის დროს — 1840

---

163 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გამოც. ი. დოლიძისა, გვ. 496—497. № 247.

164 იხ. იქვე.

165 ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 121, № 101; შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 18.

166 შამშე ასათიანის არქივი, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი; ჩანაწერები.

167 იხ. იქვე, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

168 იქვე.

169 იქვე, საბ. №№ 25, 26.

170 იქვე, ჩანაწერები; თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

171 იხ. იქვე, საბ. № 7.

—1853 წლებში[172]. ვხედავთ მას აგრეთვე 1858 წლის 30 მარტს მის მიერ „ლეჩხუმის ოკრუჟნის ნაჩალნიკ“ „ქნიაზ“ კონსტანტინე მანუჩარის ძე მიქელაძისათვის მირთმეულ თხოვნაში[173].

ვ რ ი გ ო ლ II (თავადი?). „საირმის უდაბნოს გამგებელი, უფალი“. გვხვდება 1841 წლის 15 თებერვლის დოკუმენტში[174].

როგორც ვხედავთ, საირმის უდაბნოს მონასტრის იღუმენად და „გამგებლად“ ზედიზედ ასათიანები არიან (იხ. ზემოთ დავით // დათა I, ივანე I). აღსანიშნავია, რომ თავად ასათიან-მალაქიაშვილთა ყოველ თაობაში ჩვეულებრივ ერთი სასულიერო პირი (ბერი) ერია.

დ ა ვ ი თ // დ ა თ ა II ბერი II-ის ძე, დავით I-ის (იხ. ზემოთ) ძმისწული (თავადი). ლაილაშის მაზრის მდივანბეგის თანაშემწე. ჩანს 1841, 1844, 1846 წლების საბუთებში[175].

მისი თანამეცხედრე იყო უცხერელი თავადის გრიგოლ ჩიქვანის ასული ფოტინე. ჰყავდა ოთხი ვაჟი: უშანგი, ლევან, პახუმ, დომენტი და ერთი ქალი — ნიფო, რომელიც გათხოვილი იყო გორდელ სამსონ ჩიქვანზე[176].

დავითის მეუღლე ფოტინე, ისე როგორც თვით დავითი, დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა თურმე საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ ფოტინე თავის დროში ცნობილი მოჭადრაკე იყო. მას ძალიან უყვარდა სპორტის ეს სახეობა და ბევრ სხვასაც „ასწავლა და შეაყვარა“ ის ლეჩხუმში. იგი ქუთაისში გრიგოლ დადიანის სალონში შეხვედრია სახელგანთქმულ მოჭადრაკეს ანდრია დადიანს და უთამაშია მასთან რამდენიმე პარტია. ფოტინეს სახელი შესულია ქართული ჭადრაკის ისტორიაში, ხოლო მისი ჭადრაკი დღესაც ინახება მის შთამომავალთა ოჯახში[177].

დავით II დაიღუპა 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. გადმოცემით, მას, „სხვა მეთაურებთან ერთად“ თავი მოკვეთეს და „ოსმალთა ჯარის სარდალს“ მიართვეს. თვით დავითი კი თურმე „უთავოდ მოასვენეს დერჩში“ და ფოტინეს გვერდით ნათლისმცემლის ეკლესიაში დაკრძალეს[178].

---

172 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 124.

173 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 20.

174 იხ. იქვე, საბ. № 14. ამ დოკუმენტში თუმცა გრიგოლ II-ის გვარი არ იხსენიება, მაგრამ საბუთებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ის ასათიანია.

175 იხ. იქვე, საბ. №№ 14, 15, 16.

176 შამშე ასათიანის არქივი, ჩანაწერები და აგრეთვე თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

177 იხ. იქვე ჩანაწერები.

178 იქვე. იხ. აგრეთვე იქვე, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

დავითის შვილებიდან დომენტი ბავშვობაში გარდაიცვალა. ლევანი ასათიანების ნაყმევ გლეხს შემოაკვდა XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს თუ უფრო გვიან[179]. დარჩა მას მხოლოდ ორი ვაჟი — ზემოხსენებული უშანგი და პახუმ (იხ. ქვემოთ).

ვ ა ხ ტ ა ნ გ II ხოსია I-ის ძე (აზნაური). იხსენიება 1844, 1858 წლებში[180].

რ ე ვ ა ზ ხახუტა II-ის ძე (აზნაური), შვილიშვილი თავად ხახუტა I ასათიანისა. ვხედავთ ვახტანგ II-სთან ერთად „შუამდეგად“ 1844 წლის 4 დეკემბრის საბუთში[181]. ხოლო 1856 წლის 7 მარტს რევაზი „ყაბულს“ აცხადებს ასათიანების ერთმანეთთან „სარჩელის“ გამო ლაილაშის „მაზრის მდივანბეგის თავად ფარნაოზ გელოვანის“ მიერ გამოტანილ „განჩინებაზე“[182].

რევაზს სამი ვაჟი ესვა: ერაჯ, კოსტა და სარდიონი[183].

გ ი ო რ გ ი II დავით // დათიკა III-ის[184] ძე (აზნაური), მღვდელი. პირველად გვხვდება 1844 წლის 4 დეკემბერს მის მიერ დაწერილ ასათიანთა „დარიგების წერილში“[185]. ამ დროს იგი ჯერ კიდევ „იერო დიაკონია“[186]. 1846 წლის 12 იანვარს კი ჭყონდიდელ ეპისკოპოსმა ანტონ დადიანის ძემ ის სოფ. დღნორისის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლად აკურთხა[187]. 1885 წლის 1 მაისს გიორგი ცოცხალია და კვლავ დღნორისის ეკლესიის „შტატის მღვდელია[188]. აღნიშნულ წელს „სრულს მეხსიერებისა შინა მყოფი“ იგი წერს ანდერძს, რომლითაც უნაწილებს თავის უძრავ ქონებას თავის შვილებს. ამ „ანდერძის წერილიდან“ ჩანს, რომ გიორგის თანამეცხედრე იყო ახვლედიანის ქალი ეკა, ჰყავდა სამი ვაჟი: თეოფანე (რომელიც ხსენებულ წელს უკვე მღვდელი ყოფილა), დოროთე, ლებეოსი და ერთი ასული — ნატალია.

ჰქონდა მას დღნორისაში სახლ-კარი, ეზო, ვენახი, წისქვილი,

---

179 იხ. იქვე, ჩანაწერები.

180 იქვე, საბ. № 16, 20.

181 იხ. იქვე, საბ. № 16.

182 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 18.

183 იხ. იქვე, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

184 ეს დავითი სათვალავით ჩვენთვის ცნობილი III დავითი არის ასათიანთა გვარში. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი გიორგი II-ის მამაა.

185 იხ. შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 16.

186 იხ. იქვე.

187 ვსარგებლობთ ოთარ ასათიანის საოჯახო არქივით, საბ. № 1 (ინახება მისივე ოჯახში, თბ., ანაგის ქ. № 18, ბინა 29). ამ არქივით სარგებლობის ნება დაგვრთო მისმა ქვრივმა ნინო ივანეს ასულმა ასათიანმა, რასაც მადლობით აღვნიშნავთ.

188 იხ. იქვე, სბ. № 2.

საყანე, ტყეები და საკმაოდ ვრცელი ადგილ-მამული დერჩს, ლაიშს, ჯიჯიბოურს „უფსკერო ტბასთან“ თუ სხვაგან.

მისი ნაყმევი გლეხები იყვნენ მანაგაძეები და, ვგონებთ, ლომთაძეებიც[189].

ანდერძის დაწერის შემდეგ გიორგი II-ის ხსენება წყდება. იგი უთუოდ ზემოდასახელებული წლის ახლო ხანს გარდაიცვალა.

ამ გიორგის შთამომავალი იყო (ლებეოსის შტოდან) ჩვენი დროის მოღვაწე ოთარ რაიფასის ძე ასათიანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მძიმე მრეწველობის ელექტრო-საპროექტო კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, რომელიც გარდაიცვალა 1975 წლის 19 აგვისტოს. მის ოჯახში დაცული ტრადიციის მიხედვით გიორგი ოთარის პაპის მამა იყო (ე. ი. გიორგი II, მისი შვილი ლებეოს, შვილიშვილი რაიფასი და შვილიშვილის შვილი იყო ოთარი).

პ ა ხ უ მ დავით II-ის ძე, შვილიშვილი ბერი II-ისა (თავადი). დაიბადა 1846 წელს სოფ. დერჩში[190]. ჩანს უფროს ძმებთან — უშანგსა და ლევანთან ერთად, 1877 წლის 7 იანვრის დოკუმენტში[191]. წერაკითხვა ისწავლა დედისგან, ზემოხსენებულ ფოტინე ჩიქვანის ქალისაგან. შემდგომ სწავლობდა ლეჩხუმის ცნობილ თავადთა შვილების „აღმზრდელ-მასწავლებელთან არეთა წერეთელთან“. იყო კარგი მწიგნობარი. ქართული ლიტერატურის დიდი მოყვარული. ზეპირად ცოდნია „ვეფხისტყაოსანი“ და საბას თხზულებები. ერკვეოდა ვარსკვლავთმრიცხველობაშიც. იცოდა ჭადრაკი. მღეროდა კარგად. ყოფილა თავმდაბალი: გლეხებში გარევას და მათთან ერთად გართობას თურმე არ თაკილობდა.

პახუმის თანამეცხედრე იყო რაჭველი აზნაურის სიმონ წერეთლის ქალი ფატმანი. ჰყავდა ერთი ვაჟი — შამშე და სამი ასული: ბაბი, ბუბულა (ოლიმპიადა) და ქსენია. პირველი მათგანი გათხოვილი იყო ლეჩხუმელ აზნაურ ჯაფარიძეზე, მეორე — ქორენიშელ (ლეჩხუმი) ასათიანზე და მესამე — რაჭველ წერეთელზე. ვაჟსაც და ქალებსაც ყველას სწავლა-განათლება ჰქონდათ მიღებული.

პახუმი გარდაიცვალა 1910 წელს. დაკრძალულია დერჩის ნათლისმცემლის ეკლესიაში[192].

---

189 იქვე.

190 იხ. შამშე ასათიანის არქივი, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი; ჩანაწერები.

191 იხ. იქვე, საბ. № 26.

192 იქვე, ჩანაწერები; თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

ი ე ს ე მოსეს ძე, ბ ი ჯ ი ა (აზნაურნი). იხსენიებიან 1856 წლის 7 მარტის განჩინების წიგნში[193].

ხ ა ხ უ ტ ა II თავად ხახუტა I-ის ძე (აზნაური). ისიც მოხსენიებულია ზემოაღნიშნული წლის განჩინების წიგნში. მაგრამ ამ დროს იგი ცოცხალი არ არის[194].

მ ა ლ ხ ა ზ მამუკა II-ის ძე, ძმისწული ბერი II-ისა (თავადი). ვხედავთ 1856 წლის 7 მარტს[195]. დაქორწინებული იყო ერისთავის ქალზე. ჰყავდა ოთხი ვაჟი: ნოშრევან, სამსონ, იორამ, გრიგოლ (III), (რომელსაც მაიორის ჩინი ჰქონდა, რის გამო „გრიგოლ მაიორს“ ეძახდნენ) და ერთი ასული — დაფინე, გათხოვილი თავად დავით გელოვანზე[196].

ეს დაფინე იყო დედა ცნობილი მწერალი ქალის ბანოვანის დესპინე გელოვანისა[197].

ვ ა რ დ ე ნ ფარნაოზის ძე. შვილიშვილი ბერი II-ისა (თავადი). ჩანს 1860 წლის 6 ივნისს[198]. იგი წიგნიერი ყოფილა. მის მიერაა გადაწერილი ერთი „კრებული“, რომლის ანდერძ-მინაწერში ვკითხულობთ: „დავსწერე მე, ფარნაოზ ასათიანის ძემ ვარდენ“. „კრებულის“ გადაწერა დაუმთავრებია მას ზემოაღნიშნულ წელს („ჩუნი ივნისის ვ“-ს)[199].

ვარდენის მეუღლე იყო მიქელაძის ქალი. ჰყავდა ერთი ვაჟი — ვალერიან[200].

ი ვ ა ნ ე II (თავადი?) გვხვდება 1867 წლის I აგვისტოს[201]. „ნათათარი“, მუსლიმანობაში „იეხია ეფენდი“, „კოლეჟსკი სეკრეტარი“. კარაბადინის მთარგმნელი არაბულიდან ქართულად. „მოტევებას“ ითხოვს „ქართულის ენაშიდ შეცდომების“ გამო, „რამეთუ თქვენცა უწყით ჩემი ნათათრობაო“[202].

ეს ივანე ქალაქ ახალციხის მკვიდრია. მისი შვილები არიან პავლე და ლუკა ივანეს შენი ასათიანები, რომელნიც აგრეთვე ახალციხეში

---

193 შამშე ასათიანის არქივი, საბ. № 18.

194 იხ. იქვე.

195 იქვე.

196 იქვე, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

197 იქვე.

198 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. V, გვ. 261, ანდერძი.

199 იქვე.

200 შამშე ასათიანის არქივი, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი.

201 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. I, თბ., 1946, გვ. 167 (ანდერძი).

202 იხ. იქვე.

ცხოვრობენ. პირველი მათგანი გარდაიცვალა 1886 წლის 2 იანვარს, ხოლო მეორე — ამავე წლის 24 იანვარს[203].

შეიძლება ივანე ახალციხეში ლეჩხუმიდან იყოს გადასული.

მ ი ხ ე ი ლ იოსების ძე (თავადი?). ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი. სასწავლებლის ზედამხედველად აირჩიეს 1874 წლის ოქტომბერში. მას დაუწერია „კანონები მღვდელთათვის...", დაუწერია აგრეთვე „რამდენიმე პოემა და ლექსი". „წერდა კორესპონდენციებს გაზეთებში X-ის ფსევდონიმით".

იგი მოკლა ღვინიაშვილმა 1879 წლის 16 დეკემბერს[204].

ბ ე გ ლ ა რ როსტომ II-ის[205] ძე (აზნაური). მოხსენიებულია 1877 წლის 7 იანვარს გლეხების სულწაძეების მიერ უშანგი დავითის ძე ასათიანისა და მისი ძმებისთვის მიცემულ „ხელწერილში"[206].

ლ უ კ ა ნიკოლოზის ძე (აზნაური). 1879 წელს იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი. ამავე წელს მან მიიღო ქუთაისის ქალაქის თავის თანამდებობა. ამ „საპატიო პოსტზე" იგი „ხანგრძლივი დროის მანძილზე" (13 წელს) მოღვაწეობდა[207]. შეიძლება ლუკას მამა ნიკოლოზი და დადიანის კარის მღვდელი ზემოხსენებული ნიკოლოზ რამაზის ძე ასათიანი ერთი და იგივე პირი იყოს.

შ ა მ შ ე პახუმის ძე (თავადი), დავით II-ის შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი ბერი II მალაქიას ძისა, ძმისწული უშანგი ასათიანისა. დაიბადა 1895 წელს სოფ. დერჩში. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი 1916 წელს. ამავე წელს შევიდა პეტროგრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. I კურსის სტუდენტი გაიწვიეს ჯარში. დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი პეტროგრადში. ჰქონდა ოფიცრის ჩინი. „იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე". აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რევოლუციურ მოძრაობაში პეტროგრადში. რევოლუციის შემდგომ დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა „საქდესში" სტილისტ-რედაქტორად. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. დაქორწინებული იყო თამარ ალექსანდრე ახვლედიანის ქალზე. დარჩა ორი ასული: ირინე და ლილი.

---

203 ქართულ ხელნაწ. აღწერილობა, S კოლექცია, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 295, მინაწერი I.

204 ვ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., 1980, გვ. 156—157. უფრო დაწვრილებით მიხეილ ასათიანზე იხ. იქვე.

205 I როსტომი ბერი II-ის ძეა (იხ. ზემოთ).

206 იხ. შამშე ასათიანის არქივი, სბ. № 26.

207 იხ. Кавказскій календарь, 1879, გვ. 30 („ადრეს-კალენდრის განყ); ნ. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი. ქუთაისი XIX საუკუნის 70—80-იანი წლების მიჯნაზე, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, 1988, გვ. 44.

გარდაიცვალა 1973 წელს თბილისში[208].

აღსანიშნავია, რომ შამშე ასათიანის ასულნი, ზემოდასახელებული ირინე და ლილი ასათიანები, რომელნიც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები არიან და ამჟამად არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მოღვაწეობენ უფროს მეცნიერ თანამშრომლებად, მომდინარეობენ თავად ხახუტა I ასათიანის უმცროსი ვაჟის (კოჭიბროლასაგან ნაშობ) მალაქიას შტოდან და წარმოადგენენ ასათიან-მალაქიაშვილთა მეშვიდე თაობას.

*

* *

თავად ასათიან-მალაქიაშვილთა შთამომავლობა მალაქიას ორი ვაჟისაგან მოდის: უფროსის ბერი II-სგან, რომლის შტოს, როგორც ზემოთ ითქვა, ზოგჯერ ასათიან-ბერ-მალაქიაშვილს უწოდებდნენ, და მამუკა II-სგან. დანარჩენი ორიდან ერთი, დავით // დათა I მღვდელ-მონაზონი იყო და შთამომავლობა არ ჰყოლია. ხოლო მეორეს — გრიგოლ I-ს, როგორც ვნახეთ, ჰყავდა ერთი ვაჟი სიკო, მაგრამ იგი უშვილოდ გადავიდა.

პირველი გათავადებული ხახუტა ასათიანის მერე (1737 წლის შემდგომი ხანიდან) თავად ასათიანთა სახლის მეთაური, როგორც საბუთებზე დაკვირვება გვიჩვენებს, მისი ძე მალაქია იყო (გვარში ის პირველობს). ამ უკანასკნელის გარდაცვალება სავარაუდებელია XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე. ამ დროიდან კი მათ მალაქიას მემკვიდრე ბერი უნდა მეთაურობდეს. ხოლო ბერის შემდგომ (1840 წლის ახლო ხანებიდან) — მისი ძე დავით II.

ყველაზე მოწინავე ასათიან-მალაქიაშვილებში ამ დავითის შთამომავლობა იყო.

ასათიანთა ფეოდალური გვარი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ოდიშის სამთავროს გაუქმებასთან დაკავშირებით (ფაქტობრივად 1857 წ.) ასათიანთა სათავადოც ადმინისტრაციულად გაუქმდა.

2. აფაქიძეთა სათავადო

აფაქიძეთა, მეგრული მეტყველებით „აფაქია"-თა, გვარი ძირძველი ფეოდალური გვარი იყო ოდიშის სამთავროში. ვახუშტი ბატონი-

[208] იხ. შამშე ასათიანის არქივი, თავად ასათიან-მალაქიაშვილთა გენეალოგიური ცხრილი; ჩანაწერები.

შვილი აფაქიძეს რატომღაც არც საქართველოს ფეოდალური მონარქიის ერთიანობის ხანისა და არც მის პოლიტიკური დაშლილობის პერიოდის წარჩინებულ საგვარეულოთა სიაში არ იხსენიებს. ჩამოთვლის რა იგი „აწინდელთა ჟამთა“[1] ოდიშის წარჩინებულ გვარებს (ჩიქოვანს, გოშაძეს, ფაღავას, ჯაიანს, ჩიჩუას), დასძენს: „და სხუანიცაო“[2]. ეტყობა, აფაქიძეებს ის ამ „სხუანში“ გულისხმობს.

„ქართველთ ცხოვრების“ ავტორი ნიკო დადიანიც, რომელიც ამ მხრივ ვახუშტის ცნობებს ზოგჯერ მნიშვნელოვნად ავსებს, ოდიშის თავადურ გვართა შორის აფაქიძეს არ ასახელებს. ისიც არიან აქ გოშაძე, ფაღავა, ჯაიანი, ჩიჩუა „და სხვანიცა თავადნიო“, გვაუწყებს[3].

გერმანელი მოგზაურის იოჰან-ანტონ გიულდენშტედტის 1772 წლის ცნობიდან ვგებულობთ, რომ ოდიშის სამთავროს თავადური გვარებიდან მას დაუსახელეს: ჩიქოვანი, ჩიჩუა, მხეიძე, დგებუაძე, ფაღავა, მიქაძე და აფაქიძე[4]. აქედან ჩანს, რომ აფაქიძეები ამ დროს გამოჩენილი თავადები იყვნენ.

აფაქიძეთა შესახებ იოანე ბატონიშვილის ქართველ თავად-აზნაურთა გვარების „აღწერაში“ ვკითხულობთ: „არფახან იყო თათარი ჩინგიზ ყეენისა დროსა, წელს 1335-ს“ (!) მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება, „დაშთა აფხაზეთს და უწოდეს ძეთა მისთა აფაქიძედ... მერე დაეშენენ ოდიშსა შ(ინ)ა... მიღებულ იყვნენ თავადად და მუნიდგან იწოდებიან გუარი მათნი აფაქიძეებად“[5].

აფაქიძეთა წარმომავლობაზე იოანე ბატონიშვილის ზემოაღნიშნულ ცნობას რეალური საფუძველი არ გააჩნია[6]. მას არც ერთი წყარო

---

[1] იგულისხმება საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლილობის პერიოდი.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 27—28, 38.

[3] იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[4] იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 323.

გიულდენშტედტი ოდიშის სამთავროში არ ყოფილა, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, „დიდი სურვილი“ ჰქონია „ამ ღირსშესანიშნავი და უცნობი“ მხარის მოელისა. მაგრამ „ქვეყნის ბატონის განსაკუთრებული დაცვის და ამალის გარეშე აქ მოგზაურობაზე ფიქრიც ზედმეტი იყოო“, — წერს იგი. მიუხედავად ამისა, მას მაინც მოუვლია ოდიშისა და იმერეთის საზღვრები და „ნაწილობრივ ამ მოგზაურობისას, აგრეთვე სხვა დროსაც, უმთავრესად კი ხონის ბაზრობაზე, რომელსაც მეგრელებიც ესწრებიან“, შეუგროვებია ოდიშის შესახებ ცნობები (იხ. იქვე, გვ. 319).

[5] იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 117г.

[6] იოანე ბატონიშვილი ქართველ თავად-აზნაურთა გვარების წარმოშობას მეტწილად უცხო ქვეყნებსა და შორეულ წარსულს უკავშირებს. იგი ძირითადად ზეპირგადმოცემებს ეყრდნობა. ეს გადმოცემები კი, უნდა ვიფიქროთ, შეთხზულია თვით თავად-აზნაურთა გვარების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი განდიდების მიზნით. ამიტომ იოანეს „აღწერის“ მონაცემები ხშირად ისტორიულ საფუძველს მოკლებუ-

არ ემოწმება. სხვა არა იყოს რა, აფაქიძეთა გვარის ხსენება ერთ საუკუნეზე მეტი ხნით წინ უსწრებს „არფახან“ „თათრის“ გამოჩენას (იხ. ქვემოთ), რომელთა ძენი, იოანეს თქმით, აფაქიძეებად იწოდნენ. მისი ცნობიდან ერთი კი ცხადია: აფაქიძეთა გვარის ისტორია შორეულ წარსულს უკავშირდება.

გვარსახელი აფაქიძე პირის სახელი „აფაქი“-დან უნდა იყოს ნაწარმოები. აფაქიძეთა მამამთავარი უთუოდ „აფაქი“ თუ „აფაქ“ იყო და მან მისცა დასაბამი ამ გვარსახელს. პირის სახელად „აფაქ“ დადასტურებულია სვანეთის XIII საუკუნის მეორე ნახევრის საისტორიო ძეგლებში (იხ. ქვემოთ). მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სახელი ბევრად ადრეც იყო მიღებული.

აფაქიძეების საგვარეულოს ყველაზე ადრინდელი ისტორიულად ცნობილი წარმომადგენელი ცოტნე აფაქიძეა. იგი ჩხაგუს შვილია. ასე იხსენიება ცოტნე იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეული ნუსხის 47 აღაპში. ჩანს, მას რაღაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ამ მონასტრის წინაშე, რაკი აქ მისთვის „აღაპი საუკუნო“ (მოსახსენებელი ტრაპეზი) დაწესეს[7]. ამ აღაპის მიხედვით, მისი მოღვაწეობის პერიოდი XI—XIII საუკუნეებით განისაზღვრება[8].

ცოტნე აფაქიძეთა მეორე თაობაა. ასე რომ, ამ საგვარეულოს ისტორიის დასაწყისი აღნიშნულ საუკუნეებზე უფრო ადრინდელ ხანაშია სავარაუდებელი.

ცოტნეს შემდეგ, XIII საუკუნის დამლევსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ჩანან მ ა რ უ შ ი ა ნ ი და მ ი ქ ა ე ლ აფაქიძეები[9].

უფრო გვიან, XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუკუნის დასაწყისს ვხედავთ ჯავახ აფაქიძეს მის თანამეცხედრესთან — ბორენასთან ერთად[10].

შეიძლება ჯავახისა და ბორენას უმცროსი თანამედროვენი იყვნენ XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწენი ტაიბუღა და ჩარგაზ

ლი და შეუწყნარებელია. მიუხედავად ამისა, მათი ხელაღებით უარყოფა მაინც არ შეიძლება. ზოგჯერ მათში ჭეშმარიტების მარცვალიც არის დაცული.

[7] იხ. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962, გვ. 74, აღაპი 47.

[8] აღაპი 47, რომელშიც მოხსენიებულია ცოტნე ჩხაგუს ძე აფაქიძე, ტიშენდორფისეული ნუსხის პირველ ნაწილში შედის და განეკუთვნება მის ძირითად ფენას. ამ რიგის აღაპები, როგორც ე. მეტრეველმა დაადგინა, „XIII საუკუნის გასულამდეა“ დაწერილი, ხოლო მათში დასახელებული პირნი XI—XIII საუკუნეების მოღვაწენი არიან (იხ. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 16—17, 21—22, 24. გამოკვლევა).

[9] იქვე, გვ. 83, აღაპი 49, 50; გვ. 132, კომენტარი 49, 50.

[10] იხ. იქვე, გვ. 81, აღაპი 19; გვ. 123, კომენტარი 19.

აფაქიძეები[11]. ჩარგაზის თანამეცხედრე უნდა იყოს მასთან ერთად მოხსენიებული „ბედანისა ასული ნათელი“[12].

აფაქიძეთა საგვარეულოს ამ პლეადას მიეკუთვნება აგრეთვე ეჯიბ აფაქიძე, რომელიც XV საუკუნის პირველ ნახევარში გვხვდება და რომლის მეუღლედ დასახელებულია „ნებისმყოფელი“[13].

თანამოგვარეობის გარდა რა ნათესაური კავშირი იყო ზემოჩამოთვლილ აფაქიძეებს შორის, არ ვიცით. მათთვის განწესებული აღაპებიდან ჩანს მხოლოდ, რომ ისინი ფრიად შეძლებული ფეოდალები იყვნენ. მაგალითად, ჯავახ აფაქიძემ ჯვარის მონასტერს „ას ოცი ფული“ გაუგზავნა და ამით „დაჭირებისა ჟამსა“ დიდად დაეხმარა. ხოლო ეჯიბმა ამავე მონასტერს 15 „კუამლი კაცი“ შესწირა[14]. ყოველივე ეს აფაქიძეების ერმრავლობასა და ეკონომიკურ ძლიერებაზე მეტყველებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მარუშიანი აფაქიძის სახელი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

თამარ მეფემ (1184—1213 წწ.) თავის მეფობის დასაწყისში, როცა ქვეყანაში ახალი დიდი მოხელეები „განაჩინა“, „ჩუხჩარეხობა“ მარუშიანს უბოძა[15]. მარუშიანი ჩვენ აქ სახელად მიგვაჩნია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ სხვა შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მარუშიანი სწორედ სახელია. წყაროებში პირდაპირ არაა მითითებული ვინ იყო სოციალურად მარუშიანი, რომელიც „ჩუხჩარეხად“ დაადგინეს. მაგრამ ცნობილია, რომ „ჩუხჩარეხობა“ „უაღრესად საპატიო“ და მაღალი თანამდებობა იყო[16]. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მარუშიანზე ადრე ეს სახელო მეტად მაღალი რანგის წარჩინებულ ფეოდალს ვარდან დადიანს ეჭირა[17]. ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მარუშიანიც ფეოდალური არისტოკრატიის იმ ფენას ეკუთვნოდა, რომ-

---

[11] იხ. იქვე, გვ. 75, აღაპი 59, 73. ეს აღაპები, რომლებშიაც ტაიბულა და ჩარგაზ აფაქიძეებია მოხსენიებული, ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილის აღაპებში შედის და გვიან ჩაწერილ აღაპებს განეკუთვნება. ამ რიგის აღაპები XIV საუკუნითა და XV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (იხ. იქვე, გვ. 17, 24. გამოკელევა).

[12] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 75, აღაპი 73.

[13] იხ. იქვე, გვ. 104, აღაპი 277; გვ. 174, კომენტარი 277.

[14] იქვე, გვ. 81, აღაპი 19; გვ. 104, აღაპი 227.

[15] იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 33.

[16] ილ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII საუკუნეებში, თბ., 1983, გვ. 67.

[17] იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 25.

ლიდანაც ვარდან დადიანი იყო, რაკი მარუშიანს იგივე თანამდებობა მისცეს. ფეოდალურ საქართველოში მაღალი სახელოები, როგორც წესი, დიდგვარიან ფეოდალებს ეკავათ. ე. ი. მარუშიანიც რომელიღაც წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. ამასთან, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, თამარის მეფობის შემდგომ, მაგრამ არც, მთლად ისე შორეულ ხანში (XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დამდეგს) ამ სახელს (მარუშიანს) აფაქიძეთა სახლის წევრი ატარებდა. ეს გვაფიქრებინებს, რომ მარუშიანი ძველად აფაქიძეების ერთ-ერთი საგვარეულო სახელი იყო და თამარის დროინდელი „ჩუხჩარეხი“ მარუშიანი, გვარად აფაქიძეა. თუ ეს ასეა, მაშინ აფაქიძეთა გვარი ჯერ კიდევ თამარის მეფობაში ფრიად დაწინაურებული ყოფილა.

სავსებით დასაშვებია ისიც, რომ X საუკუნის 70-იან წლების მოღვაწე ქართლის ერისთავი „ივანე მარუშის-ძე, კაცი ძლიერი და ერმრავალი“, რომელიც ბაგრატ გურგენის ძეს (978 წლიდან ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III) მეფედ „ეძებდა“[18], გვარად აფაქიძე იყო:

მარუში ივანეს მამის სახელი უნდა იყოს. შეიძლება, რომ ივანეს მამა მარუშიც, ისე როგორც ზემოხსენებული გვიანდელი ხანის მარუშიანი, აფაქიძეთა გვარს ეკუთვნოდა. მაგრამ ამ ვარაუდთა შემამაგრებელ მონაცემებს წყაროებში ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ.

აღსანიშნავია, რომ სვანეთის XIII საუკუნის მეორე ნახევრის საისტორიო ძეგლებში მოხსენიებულია გვარსახელი „აფაქიანი“. ეს ქართულ-მეგრული აფაქიძე-აფაქიას სვანური ფორმაა. ერთი „აფაქ აფაქიანი“ გვხვდება აღნიშნულ ხანაში „მატიანე სუანეთისა კრებისა“-ში[19]. ამავე ხანში ვხედავთ სვანეთში: ნოეს და „მეუღლეს მისსა ხუცის“, გიორგის, გვიდას, მისი მეუღლე ხალინასთან ერთად, დუდაჲს, ზვიადს აფაქიანებს[20].

ამგვარად, დასახელებულ პერიოდში აფაქიანები სვანეთში მრავლად არიან. მათგან ზოგი ღეშტერს სახლობს, ზოგი — მაჲსს და ზოგი კიდევ — სხვაგან[21].

რა კავშირი იყო სვანეთის „აფაქიანებსა“ და ოდიშის აფაქია-

---

18 იხ. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955, გვ. 272.

19 იხ. ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941, გვ. 136.

20 ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, გვ. 121—124.

21 იქვე, გვ. 121—124.

აფაქიძეებს შორის, ამის დადგენა არ ხერხდება. მაგრამ ის გარემოება, რომ ამ გვარსახელის ქართული ფორმა უფრო ადრე (XI—XIII სს.) იხსენიება, ვიდრე სვანური, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აფაქია-აფაქიძეთა გვარი სვანეთში ბარის საქართველოდანაა გადასული.

თუ 1432 წელს შედგენილი გურალიძეთა სასისხლო სიგელის ცნობა სწორია, ამ დროს აფაქიძეთა სახლის ერთი წევრი ფრიად დაწინაურებული ჩანს. აღნიშნულ სიგელში ვახტანგ მეფის მიერ მოწმედ დასახელებული აფაქიძე[22] „ამირეჯიბი... ციხისთავი და ერისთავი... ციხე-ქალაქთა მოაბჯრე, მოლარეთუხუცესი და პურისა ხარჯისა მომკრეფელია“[23].

მართალია, ციტირებულ ტექსტში მოხელეთა იერარქია დარღვეულია და ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის აპარატის მოხელეები ერთმანეთშია არეული, რაც სასისხლო სიგელის მონაცემების ნამდვილობას საეჭვოდ ხდის, მაგრამ აფაქიძეს სამეფო კარზე თუნდაც მხოლოდ ერთიც, ამირეჯიბის სახელო რომ სჭეროდა, მისი დიდებისათვის ესეც საკმარისი იქნებოდა.

ამირეჯიბს, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია დადგენილი, „დიდი და განსაკუთრებული უფლება ჰქონდა მინიჭებული და ყოველთვის და ყოველგან მეფის ნახვა და მოხსენების წარდგენა შეეძლო“. აქედან „ნათლად ჩანს, რომ მას დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები უნდა ჰბარებოდა“[24]. ასეთი ხელის მფლობელი აფაქიძე (თუ ის მართლა ამირეჯიბი იყო) უეჭველია, სამეფო კარზე დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდა. ეს კი მთელი მისი საგვარეულოს პატივიც იყო.

ამირეჯიბ აფაქიძის უმცროსი თანამედროვე ჩანს ეჯიბ აფაქიძე, რომელიც ლიხთ-იმერეთის წარჩინებულთა შორის მოწმედ იხსენიება 1486—1488 წლებში მაღნარაძეთა სასისხლო სიგელში[25]. ეს ის ეჯიბ აფაქიძე უნდა იყოს, რომელიც თავის თანამეცხედრესთან — ნებისმყოფელთან ერთად მოხსენიებულია XV საუკუნის პირველ ნახევარში ჯვარის მონასტრის აღაპში (იხ. ზემოთ).

არის კიდევ ერთი სასისხლო სიგელი, რომელშიაც იხსენიებიან აფაქიძეები. ამ სიგელს აძლევს 1540 წელს მთავარანგელოზის ეკლესიის „ვასალებს“ კალანდ აფაქიძესა და მის ძეებს — ათანასესა და ფილიპეს იმერთა მეფე ბაგრატ III და მათი სისხლის ფასს 35000 ძვე-

---

22 სახელი არ იხსენიება.

23 სარგის კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფილისი, 1924, გვ. 62.

24 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, ტფილისი, 1928, გვ. 162.

25 სარგის კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

ლი თეთრით განსაზღვრავს[26]. მაგრამ დასახელებული აფაქიძეები საეკლესიო აზნაურები არიან და არა თავადები.

ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში ადგილი ჰქონდა წოდებრივ კიბეზე ამაღლებას და დამდაბლებას. ამასთან, შეიძლებოდა ერთი და იმავე გვარის მატარებელი თავადიც ყოფილიყო და აზნაურიც (მაგალითად: აბაშიძე, წერეთელი, ლორთქიფანიძე, აგიაშვილი). ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევასაც, როცა ერთსა და იმავე გვარს თავადიც ატარებდა, აზნაურიც და გლეხიც[27]. მაგრამ გლეხი აფაქიძეთა გვარში ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ გვხვდება. აზნაურს კი ამ გვარში ზემოაღნიშნულ წელზე უფრო გვიანაც ვხედავთ. მაგალითად, 1795 წელს ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი ცაიშის ეკლესიას სწირავს „აზნაურ აფაქიძეს"[28].

როდის მოხდა აფაქიძეთა სათავადოს ჩამოყალიბება, ზუსტად განსაზღვრა ძნელია, დაახლოებით კი ეს XV საუკუნეშია სავარაუდებელი. ეჯიბ აფაქიძის დროს, აღნიშნული საუკუნის უფრო მეორე ნახევარში ეს მომხდარი ფაქტია და იგი არის უთუოდ ამ საგვარეულოს თავკაცი.

ჩანს, რომ აფაქიძეთა სათავოდ ოდიშში ჭილაძე-გოშაძე-ჯაიანთა სათავადოების პარალელურად და ერთდროულად ყალიბდება[29].

ისტორიული გადმოცემით, აფაქიძეებს ეკუთვნოდათ სოფ. ზანა, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. სახელდობრ, პატარა ზანას[30], საშურლაიოს, სატყებუჩაოს, საესებუოს, ზანა ეწერს და „შუაგულ ზანას".

ამ ტერიტორიას მთლიანად ეწოდებოდა „სააფაქიო ზანა". ეს აქვს უთუოდ მხედველობაში გიულდენშტედტს, როცა იგი „სააფაქიძოს" სოფლის სახელად იხსენიებს[31].

აფაქიძეებს ეკუთვნოდათ აგრეთვე სოფ. უშაფათისა და ფოცხოს მნიშვნელოვანი ნაწილიც. ნაწილი კი სამთავრო თუ საეკლესიო იყო.

„სააფაქიო ზანას" აღმოსავლეთით სოფ. უშაფათის სამთავრო ან საეკლესიო ნაწილი საზღვრავდა, დასავლეთით — ხობის წყალი, რო-

---

26 იხ. იქვე, გვ. 68—69. იხ. აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. V, თბ., 155, გვ. 239.

27 იხ. ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 47—48.

28 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. VI, გვ. 3 (12), შენიშვნა 3.

29 აღნიშნული სათავადოების შესახებ იხ. ო. სოსელია, ნარკვევები... I, გვ. 271—298.

30 ამჟამად პატარა ზანა გამოყოფილია ზანასაგან და სოფ. ხორშში შედის.

31 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 223.

მელიც ჰყოფდა მას თავადი ჩიჩუების სამფლობელო სოფ. საჯიჯაოსაგან, ჩრდილოეთით — ლესიჟინე და მისგან გამყოფი მდინარე „ზანაძგა“, ხოლო სამხრეთით — სოფ. ეკი და ხორში[32].

აფაქიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე სოფ. მოხაშსა და ეკში[33].

აფაქიძეთა რეზიდენცია შუაგულ ზანაში იყო[34]. აქ იყო მათი სასახლე და კარის ეკლესია, აშენებული მაცხოვრის სახელზე. აქვე იყო მათი საგვარეულო საძვალეც[35].

აფაქიძეების კუთვნილი ციხესიმაგრის შესახებ არც წერილობით წყაროებს და არც ზეპირგადმოცემას ცნობები არ შემოუნახავთ. მაგრამ ცნობილია, რომ თავადური გვარის ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტი ციხესიმაგრის ფლობა იყო. ამიტომ ზანელ აფაქიძეებსაც უნდა ჰქონოდათ თავიანთი ციხესიმაგრე. ზანაში ამის კვალი არ ჩანს. მაგრამ მის მოსაზღვრე ეკში, სადაც ძველად აფაქიძეები ადგილ-მამულს ფლობდნენ, ყოფილა ციხესიმაგრე, რომლის ნანგრევები დღესაც შემორჩენილია. შესაძლოა ის აფაქიძეებისა იყო.

აფაქიძეთა ადგილ-მამულზე მათი ყმები იყვნენ განლაგებული. წყაროებიდან არ ჩანს, რამდენი იყო აფაქიძეების საგვარეულო ყმათა საერთო რიცხვი. ვიცით მხოლოდ, რომ ზანელი აფაქიძეების ყმა გლეხები იყვნენ ტყეებუჩავები, ესებუები, ბოჯგუები, მირგატიები, ტორჩინავები, შურღაიები, კვაშილავები, ერთი კომლი მერაბიკა საბახთარიშვილი, აფშილავა, კორჩია და სხვ[36].

წყაროებიდან არც ის ჩანს, ჰყავდათ თუ არა და ვინ იყვნენ აფაქიძეთა აზნაურები. მიუხედავად ამისა, საკვირაოდებელია, რომ მათ ჰყავდათ ვასალურ დამოკიდებულებაში აზნაურები და ისინი იყვნენ სოფ. ეკს მოსახლე მზარელუები.

გადმოცემის მიხედვით, ზანა აფაქიძეებს თითქოს ლევან I დადიანმა უბოძა[37]. მაგრამ გადმოცემის ეს ცნობა მცდარია. ლევან I დადიანის ზეობა 1532—1572 წლებზე მოდის (ვახუშტის ქრონოლოგიით), ხოლო აფაქიძეები, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამაზე ბევრად ადრე

---

32 ზანელ აფაქიძეთა სამფლობელოს, ყმა გლეხებისა და სხვათა შესახებ ცნობები მოგვაწოდეს სოფ. ზანას მკვიდრმა 79 წლის ტარასი ივანეს ძე მირგატიამ და ამავე სოფლის მცხოვრებმა 62 წლის გიორგი პლატონის ძე აფაქიძემ. ჩავიწერეთ აღნიშნულ სოფელში 1983 წლის აგვისტოს.

33 ქუთ. მუზ. სამ. № 494; ტარასი მირგატიასა და გიორგი აფაქიძის ცნობები.

34 იქ, სადაც დღეს ამ სოფლის ცენტრია.

35 ტარასი მირგატიასა და გიორგი აფაქიძის ცნობები.

36 ქუთ. მუზ. სამ. № 494; ც. ქ ო ტ ი ა, შ. ს ა ტ ი ა, მასალები..., გვ. 102, № 18; ტარასი მირგატიასა და გიორგი აფაქიძის ცნობები.

37 გადმოცემა ჩავიწერეთ ტარასი მირგატიას თხრობის მიხედვით.

დაწინაურებული არიან და ზანაც ძველი დროიდანვე მათი საგვარეულო სამფლობელო უნდა იყოს.

ისე როგორც ლიხთ-იმერეთის სხვა სათავადოებში, „სააფაქიო ზანაშიც“ სათავადოს უფროსს თავისი მოხელეები (სახლთუხუცესი, მოურავი, მდივანი თუ მდივანმწიგნობარი, ხელოსანი და სხვ). უნდა ჰყოლოდა[38], რომელნიც გამოყენებული იქნებოდნენ ყმა-მამულის მართვის საქმეში, მაგრამ ამის შესახებ ცნობები დაცული არ არის.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფაქიძეთა საგვარეულოზე საისტორიო წყაროებში მეტად მცირე ცნობებია შემონახული. ამიტომ ჩვენი მსჯელობა ამ საგვარეულოს შესახებ ფრაგმენტულია, ზოგჯერ მხოლოდ ზეპირგადმოცემებზე და ვარაუდებზეა დამყარებული. მაგრამ, ვფიქრობთ, ის მაინც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა აღნიშნული გვარის ისტორიაზე.

*

* *

აფაქიძეთა თავადური გვარის ერთი შტო დამკვიდრებული იყო სოფ. საჩინოში (წალენჯიხის რაიონი). როდის მოვიდნენ აქ აფაქიძეები, არ ვიცით. გადმოცემის მიხედვით კი ისინი აქ „უხსოვარ დროიდან“ სახლობდნენ[39]. საჩინოში აფაქიძეები ზანადან უნდა იყონ მოსული და არა პირიქით. ამის თქმის უფლებას იძლევა ის, რომ როცა გვიან, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფაქიძეები ოდიშის უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის მემკვიდრეს ნიკო მინგრელსკის სოფ. ჯვარის საძოვარ მთებზე ედავებოდნენ, მოწინააღმდეგე მხარე (ე. ი. მინგრელსკის მხარე) ამ მთებზე თავის საკუთრების უფლების დამამტკიცებელ საბუთად იმას იყენებდა, რომ „ეხლანდელი აფაქიძეები მცხოვრები არიან სოფელ ზანასა და ჯვარის მთაზე... არასდროს არ-

---

[38] დასავლეთ საქართველოს სათავადოთა სამოხელეო აპარატის შესახებ იხ. ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან..., გვ. 202—206.

[39] ზემო სამეგრელოს აფაქიძეების შესახებ ცნობები მოგვაწოდეს სოფ. საჩინოს (წალენჯიხის რაიონი) მკვიდრმა ლეო იოსების ძე შელიამ (ჩაიწერეთ იქვე 1933 წლის აგვისტოს) და სოფ. კუხეშის ყოფილმა მკვიდრმა, ახლა სოფ. კირცხის მცხოვრებმა 67 წლის ვლადიმერ ძუკუს ძე ჭანტურიამ (ჩაიწერეთ ამავე სოფელში დასახელებული წლის აგვისტოს).

ხსენებულ აფაქიძეთა საგვარეულოს შესახებ ვსარგებლობთ აგრეთვე ქ. წალენჯიხის მცხოვრები (ყოფილ ქ. № 11) ვლადიმერ ზოსიმეს ძე სალიას 1954 წლის ჩანაწერებით, რომელიც მან მოგვაწოდა და ინახება ჩვენთან.

ვითარი უფლება“ არ ჰქონიათ „ჯვარის აფაქიძეებსო“[40]. აქედან ჩანს, რომ მათ ზემო სამეგრელოში ზანადან მოსულად თვლიდნენ.

აღნიშნულ პერიოდში ჯვარელ თუ საჩინოელ აფაქიძეებს მართლა არ ჰქონდათ უფლება ჯვარის მთებზე. მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ ისინი ზანადან იყვნენ მოსული და ჯვარზე ხელი არ მიუწვდებოდათ, არამედ სულ სხვა გარემოების გამო.

საქმე ისაა, რომ თავდაპირველად კაცია II ოტიას ძის დადიანობამდე და ერთხანს მის დადიანობაშიც (1757—1788 წწ.) სოფ. ჯვარიც („ჯვარის დაჩა“) და მისი მიმდგომი საძოვარი მთებიც და ტყეებიც თავად აფაქიძეებს ეკუთვნოდათ. მაგრამ „ორ ძმა“ აფაქიძეს მთავრის ღალატი დაბრალდა. ამიტომ ხსენებულმა მთავარმა ჩამოართვა მათ ეს ტერიტორია და თავის საკუთრებად გამოაცხადა. შემდგომ კი მან ცალკე სოფ. ჯვარი სამთავრო სახლის უმცროს შტოს წარმომადგენელს თავის ძმას ნიკოლოზს მისცა, ხოლო ჯვარის საძოვარი მთები და ტყეები მთავრის მფლობელობაში დარჩა[41]. მხოლოდ დიდი ხნის დავის შემდეგ დაიბრუნეს ეს მთები და ტყეები აფაქიძეებმა (იხ. ქვემოთ).

დავით დადიანისა (1840—1853 წწ.) და მისი თანამეცხედრის ეკატერინე დედოფლის შმართველობის პერიოდში (1853—1867 წწ.) თავადი აფაქიძეები ხანდახან იგზავნებოდნენ მათი ყოფილი სოფლის ჯვარის საძოვარ მთებზე საძოვრით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადის („ხაზას“) ასაკრეფად და აკრეფილ თანხას აბარებდნენ მთავრის ხაზინას.

ოდიშის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრის ნიკო მინგრელსკის მიერ მთავრის უფლებებზე „ნებაყოფლობით“ უარის თქმისა და ამ სამთავროს გაუქმების შემდეგ (1867 წლის 4 იანვარი), როცა მას მხოლოდ მემამულური უფლებები შერჩა, ზოგმა თავად-აზნაურმა და გლეხმაც, სხვადასხვა საბაბით, მისი მიწების მისაკუთრება სცადა და არაერთმა შეძლო კიდეც ეს. სწორედ მაშინ დაეპატრონენ თავადი აფაქიძეები კაცია II დადიანის მიერ ჩამორთმეულ ძველად მათ სამფლობელო ჯვარის საძოვარ მთებსა და ტყეებს.

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ხანგრძლივი დავა, სასამართლო წესით, აფაქიძეებსა და ნიკო მინგრელსკის შორის. 1877 წელს საქმე აფაქიძეების სასარგებლოდ გადაწყდა[42]. მაგრამ მინგრელსკი დავას ამის შემდგომაც განაგრძობდა.

თავად-აზნურთა თუ სხვათა მიერ მინგრელსკის მიწების მიტაცება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ მისი სამფლობელო სხვა მესაკუთრეთა მიწებისაგან ოფიციალურად გამიჯნულ-შემოსაზღვრული არ იყო. სამეგრელოში არსებული ტრადიციის მი-

---

40 ძს. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (XIX ს.), ამოკრებილი ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა სხვადასხვა ფონდიდან. ხელნაწერი (მანქანაზე დაბეჭდილი. ინახება პროფ. ლევან გუგუშვილის ოჯახში: მოსკოვი, ეოლგოგრადის გამზირი № 12, ბინა 66), საქალალდე № 5, გვ. 339.

41 იხ. იქვე, გვ. 333—334, 339.

42 იხ. იქვე, გვ. 350.

ხედვით, მთავრისადმი კუთვნილი მიწა საერთოდ არავითარი აქტით არ იყო დამტკიცებული. მთავარი თვით იყო სამთავროში მიწის უზენაესი მესაკუთრე, სხვებისათვის მისი მწყალობელი და საამისო სიგელის გამცემიც. ამიტომ მას თავის საკუთრების დამადასტურებელი საბუთი არ სჭირდებოდა და არც ჰქონდა. ან ვის უნდა მიეცა მისთვის ეს! მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ მინგრელსკის მთავრის უფლებებზე უარი ათქმევინა და ამის საკომპენსაციოდ ერთი მილიონი ოქროთი თუ ვერცხლით მისცა, სხვა ვითარება შეიქმნა და მისი სამფლობელოს შემოსაზღვრა აუცილებელი გახდა. დაიწყო კიდეც ეს 1871 წლიდან, მაგრამ ძალიან გაჭიანურდა, რადგან საზღვრის დამდგენმა კომისიამ სასამართლო დაწესებულების ხასიათი მიიღო. კომისიამ რამდენიმე წელი იმუშავა და 1876 წელს ჯერ კიდევ ზუგდიდის მაზრაში მდებარე მინგრელსკის მამულები არ იყო შემოსაზღვრული.

ამასთან, როგორც თვით ნიკო მინგრელსკი კავკასიის მეფისნაცვალისათვის მირთმეულ ერთ თავის 1880 წლის თხოვნაში აღნიშნავდა, რუსთ ხელმწიფის მიერ მინგრელსკის მთავრული უფლების გაუქმებამ ოდიშის მოსახლეობაში დაბადა „ცრუ რწმენა“ მისადმი რუსეთის მთავრობის არაკეთილგანწყობილებისა და ხალხმა თვითნებურად დაიწყო მისი (მინგრელსკის) მიწა-წყლის მიტაცება[43].

სასამართლო ხელისუფლება ხელმძღვანელობდა რა მოქმედი კანონით და უმთავრესად ფორმალური საბუთებით, ვერ იცავდა მის საკუთრების უფლებას, რადგან ზემოაღნიშნული გარემოების გამო ამის დამამტკიცებელი წერილობითი საბუთები მინგრელსკის არ გააჩნდა. ასეთ პირობებში თავადმა აფაქიძეებმა შეძლეს ოდესღაც მათი საკუთარი მთლიანად სოფ. ჯვარის არა (ის უკვე ბატონიშვილებს ეჭირათ), მაგრამ მისი საძოვარი მთებისა და ტყეების კვლავ დაუფლება.

ზემო სამეგრელოში მოსახლე თავად აფაქიძეთა სამფლობელო საკმაოდ ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა. მასში ნაწილობრივ თუ მთლიანად შემდეგი სოფლები შედიოდა:

1. საჩინო, 2. კუხეში, 3. ნაგურუ (ნაწილობრივ)[44], „სააფაქიო ეწერი“ („ნარგის ეწერი“)[45].

ეს სოფლები ერთ მთლიან ტერიტორიას ქმნიდა, რომელსაც აღმოსავლეთით სოფ. ჯგალი საზღვრავდა, დასავლეთით — ლია, ჩრდილოეთით — ჯვარი და სამხრეთით — წალენჯიხა.

აღნიშნულ სოფლებს გარდა, ზემო სამეგრელოს აფაქიძეები მეტნაკლებად ყმა-მამულს ფლობდნენ ზუმს[46], ნოჟალას, ვერცხულს, ლექანთარეს, ლეხვიჩიეს, ლემატუეს, ლექარდეს, ნაყას, ლეციმინტეს, ლეფიფიეს, წყავაშსა და სხვაგანაც[47].

---

43 იხ. იქვე, გვ. 232—235.

44 ნაწილობრივ თავად ჩიქვანებს ეკუთვნოდათ (იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., I, გვ. 320).

45 ძს. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., საქაღალდე № 5, გვ. 342; ლეო შელიასა და ვლადიმერ ჭანტურიას ცნობები; ვლადიმერ სალიას ჩანაწერები.

46 ზუმის ნაწილი თავად ჩიქვანებისა იყო (იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., I, გვ. 320).

47 ძს. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., საქაღალდე № 5, გვ. 342; ლეო შელიას ცნობა.

აფაქიძეებს ზემო სამეგრელოში ბევრად მეტი ყმები უნდა ჰყოლოდათ, ვიდრე „სააფაქიო ზანაში“, მაგრამ მათი საერთო რაოდენობა აქაც ჩვენთვის უცნობია. ჩანს მხოლოდ, რომ ზემო სამეგრელოს აფაქიძეების ყმა გლეხები იყვნენ: ფიფიები, კაკალიები, ყურუები, კვირკიები, ჭიჭაღუები, აბრალავები, შეროზიები, არდიები, ლომაიები, სალიები (ნაწილობრივ)[48], წულაიები, მანიები, ნაჭყებიები და სხვ[49].

აფაქიძეების აზნაურები იყვნენ საჩინოელი შელიები[50]. თავად აფაქიძეებთან ყმურ (ვასალურ) დამოკიდებულებაში მყოფ შელიებს მგზავრობისას თუ სხვა შემთხვევაში აფაქიძეებთან ხლება მართებდათ და მათ კარზე სხვადასხვა საპატიო სამსახურს ეწეოდნენ. ასეთი იყო ძირითადად თავადის წინაშე სათავადო აზნაურის მოვალეობა ფეოდალურ საქართველოში.

ზემო სამეგრელოს აფაქიძეებს ორ ადგილას ჰქონდათ რეზიდენცია: ერთი — „სააფაქიო ეწერში“, სადაც ჰქონდათ სასახლე და კარის ეკლესია, აგებული წმინდა გიორგის სახელზე. მეორე — საჩინოში, სადაც აგრეთვე გაწყობილი ჰქონდათ სასახლე. მაგრამ სათავადოს ცენტრად „ს

რის, სამეგრელოში კარგად ცნობილი რევოლუციური მოღვაწე აწ განსვენებული ბაგრატ აფაქიძე.

როგორც ზანელ, ისე ზემო სამეგრელოს აფაქიძეების სამოხელეო აპარატის შესახებაც ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ, უეჭველია, მათაც ჰყავდათ თავიანთი მოხელეები (მოურავი, მდივანი, ხელოსანი და სხვ.), რომელთაც იყენებდნენ სათავადოს მართვაში.

აფაქიძეების სათავადოს საგადასახადო იმუნიტეტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. მაგალითად, 1838 წლის ცნობით, „სააფაქიოდან“ ლევან V დადიანის ბრძანებით სამთავრო გადასახადი საური და საუდიეროდან მარტო საური მოიკრიფა[55]. უნდა ვიფიქროთ, რომ საუდიეროსაგან აფაქიძეთა საყმო თავისუფალი იყო და მას თავის უშუალო ბატონს — აფაქიძეს უხდიდა. ოღონდ აღნიშნულ ცნობაში კონკრეტულად არაა მითითებული მთავრის ბრძანება „სააფაქიო ზანას“ ეხება თუ „ს

სამეგრელოსას, აშის გადაჭრით თქმა, სათანადო მასალათა უქონლობის გამო, ძნელია. ვფიქრობთ, იგი უფრო ზანელია.

ქაიხოსრო მთავართან ფრიად დაახლოებული პირია. 1616—1617 წლებში დადიანის მიერ ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის მირთმეულ შეწირულების სიგელში ოდიშის სხვა წარჩინებულთა შორის მოწმედ ქაიხოსრო აფაქიძეც არის დასახელებული[59].

ქაიხოსრო უნდა იყოს ამ დროს აფაქიძეთა საგვარეულოს მეთაური (გვარში ის პირველობს). მაგრამ აღნიშნულ წლებს შემდგომ იგი წყაროებში აღარ ჩანს. შეიძლება ეს ჩვენი წყაროების ხარვეზით აიხსნებოდეს ან შეიძლება ის ამ წლების ახლო ხანს გარდაიცვალა.

ქაიხოსროს თანამედროვე იყო და მასზე უფრო დიდხანს ჩანს ისტორიის სარბიელზე მისი თანამოგვარე ევდემონ აფაქიძე. იგი საეკლესიო სფეროს მოღვაწეა და ამ სფეროში ფრიად დაწინაურებულია. 1616—1644 წლებში ევდემონი ჭყონდიდელ ეპისკოპოსად ზის[60]. მან მოაჭედინა და „შეამკო" 1644 წელს მარტვილის მონასტრის ხატი. მანვე მოაჭედინა აგრეთვე „წ(მინდა)ჲ სახარება" და ამ მონასტერს შესწირა[61]. ასეთი დამსახურებისათვისაა უთუოდ, რომ ეს მღვდელთმთავარი დახატულია აღნიშნული მონასტრის სამხრეთის კარის მარჯვნით კედელზე წარწერით: „მამა ჭყონდიდელი ევდემონ აფაქიძე"[62].

ევდემონ ჭყონდიდელი უკანასკნელად იხსენიება ზემოაღნიშნულ წელს. რა ბედი ეწია მას შემდგომ, არ ვიცით.

ამგვარად, XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის სამთავროში აფაქიძეთა თავადური გვარის წევრები პირველობდნენ როგორც საერო, ისე საეკლესიო სფეროში[63].

---

59 სარგის კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 187.

60 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გამოც. ი. დოლიძისა, გვ. 502, № 111; თ. ყორდანია, ქრონიკები..., II, გვ. 456.

61 თ. ყორდანია, ქრონიკები..., II, გვ. 456; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, II, თბ., 1958, გვ. 350 (მოუედილობის წარწერა).

62 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 123; თ. ყორდანია, ქრონიკები..., II, გვ. 456.

63 ამავე საუკუნეში (1640 წელს) ჩანს აგრეთვე „აფაქიძის ქალი", მაგრამ მისი სახელი არ იხსენიება. იგი ბებელია ბაგათელიაზე ყოფილა გათხოვილი. ჰყოლია ერთი ვაჟიშვილი — მასის. თვით ბებელია ამ დროს ცოცხალი არ არის. ამ ქალისათვის ლევან II დადიანის თანამეცხედრეს დედოფალ ნესტანდარეჯანს „საკიტაურო სამოსახლო ადგილი" და ერთი კომლი ყმა გლეხი უბოძებია. ნესტანდარეჯანის გარდაცვალების შემდეგ დადიანს აფაქიძის ქალისათვის დედოფლის წყალობის წიგნი „გაუახლებია" და თავის „სულის სახსრად და საოხად" ყოველწლიურად განსაზღვრული რიგის აღაპი (მოსახსენებელი ტრაპეზი) დაუკისრებია (იხ. ისტორიული დო-

აღნიშნულ საუკუნესა და მომდევნო საუკუნის მიჯნაზე (1696—1706 წლებში) ვხედავთ ბუჭუ აფაქიძეს. იგი „თავად ბატონი დადიანთან“ ერთად „თავსმდებადაა“ მოხსენიებული ხახუ ჩიჩუას დასახელებული წლების ერთ შეწირულების წიგნში[64], რაც ბუჭუ აფაქიძის მაღალ ღირსებაზე მეტყველებს[65].

ისე როგორც ლიხთ-იმერეთის სხვა თავადები, აფაქიძეებიც ტყვეთა სყიდვაში „დახელოვნებული“ იყვნენ. ამით აიხსნება ის, რომ ამ ბოროტების აღკვეთის შესახებ 1759 წელს იმერთა მეფის სოლომონ პირველის მიერ დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთაგან ჩამორთმეულ პირობის წიგნში „ერთობით“ აფაქიძეებიც ფიგურირებენ[66]. მათ შორის ამ დროს კერძოდ ზემოხსენებული ბუჭუც არის საგულისხმებელი.

ბუჭუზე გვიანდელი პირია ლაზარე აფაქიძე, რომელიც აგრეთვე საეკლესიო მოღვაწეა. 1780 წელს იგი ლეჩხუმის საირმის უდაბნოს „ზედამდეგია“ და არქიმანდრიტის ხარისხიც აქვს. აღნიშნულ წელს ოტია დადიანის ძემ ცაგერელმა მიტროპოლიტმა ანტონმა ამ უდაბნოს „ყ(ოვლა)დ წმინდის ეკლესიას“ შესწირა თავის „ნასყიდი ვაჭრები“ რამდენიმე კომლი „ურია“ და „ღირსს მამას“ ლაზარე აფაქიძეს ჩააბარა ისინი[67]. ჩანს, აღნიშნული ეკლესიის სამეურნეო ორგანიზაციის საქმეებს ის ხელმძღვანელობდა.

ლაზარეს შემდეგ აფაქიძეთა ხსენება ერთხანს წყდება და ისინი სრულებით არ ჩანან ისტორიის სარბიელზე. ეს გასაგებიცაა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ კაცია II-ის დადიანობაში (1757—1788 წწ.), უფრო ზუსტად მისი დადიანობის ბოლო წლებში, „ორი ძმა“ აფაქიძე მკაცრად დაისაჯა მთავრის ორგულობის გამო. შერისხული და ყმა-მამულ ჩამორთმეული საგვარეულოს წევრები, რა თქმა უნდა, სამთავროში კარგა ხანს თვალსაჩინო პლანზე არ იქნებოდნენ. არ იხსენიებიან აფაქიძეები კაცია II-ის მემკვიდრის გრიგოლის ზეობაშიც (1788—1804 წწ.). მხოლოდ კაციას შვილიშვილის ლევან V-ის მთავრობის დასაწ-

---

კუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 151, № 157). თუმცა ამ ვალდებულებას სინამდვილეში აფაქიძის ქალის ყმები იხდიდნენ, მაგრამ მისთვის აღაპის დაკისრება მაინც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს ქალი აზნაურ აფაქიძეთა საგვარეულოდან იყო და არა მათი თავადური სახლიდან.

64 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 99.

65 თუ ე. თაყაიშვილის მიერ სწორადაა ამოკითხული მარტვილის მონასტრის ერთი ხელნაწერის მინაწერში მოხსენებული „ნიკოლოზ აფაქიძის“ სახელი და გვარი, მაშინ ისიც XVIII საუკუნის მოღვაწე უნდა იყოს. მაგრამ ე. თაყაიშვილს თავის წაკითხვა მთლად უეჭველად არ მიაჩნია (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 98).

66 იხ. თ. ქორდანია, ქრონიკები..., III, თბ., 1967, გვ. 262—263.

67 დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 42.

ჟისში ვხედავთ პირველად როსტომ აფაქიძეს შემდეგ გარემოებაში: მისი ძმა ხუტუნია აფაქიძე „შაქარ კვირკეიას“ თუ კვირკველიას მოუკლავს. მკვლელი „აყრილა“ და გაქცეულა. მის წილ ადგილ-მამულს ლევან დადიანის დედა ნინო დედოფალი 1805 წლის 8 ივლისს აძლევს როსტომ აფაქიძეს[68].

ამ როსტომის შვილი კაცი (კაცია) აფაქიძე, რომელმაც 1826 წელს აზნაურ დავით სალაყაიას მიყიდა „გოგო... აფშილავას ქალი ანა-ცირა“ 400 მარჩილად[69].

ამის შემდეგ კაციას ვხედავთ კიდევ 1828 წელს „დადიანის ასულის ქეთევანის“ მიერ მისი ყმებისათვის — უჩარდია შონიასა და სხვებისთვის მიცემულ ბეგრის ამოკვეთის „წერილში“. აქ დადიანის ასული თავის მოწმეთა შორის პირველ რიგში კაცი აფაქიძეს ასახელებს[70].

კაცის თანამედროვეა მისი სახლიკაცი თავადი ვახუ აფაქიძე. იგიც მოწმედაა დასახელებული იოანე ახვლედიანისათვის ბოძებულ ლევან V დადიანის 1827 წლის 22 ივლისის წყალობის წიგნში[71]. აღსანიშნავია, რომ მთავრის მოწმეთაგან, უფლისწულების შემდეგ, სხვა თავადზე (მაგალითად, „თავადი თამაზ ლორთქიფანიძეზე“) წინ დადიანის სიგელში ვახუ აფაქიძე იხსენიება[72]. ჩანს, იგი სხვა თავადზე უფრო საპატიო პირია.

ლევან V-ის დროსვე, 1833 წლის 11 სექტემბერს ერთ მის „ბოძების წერილში“ მოწმედაა აგრეთვე მოხსენიებული მამუკა აფაქიძე[73].

უფრო მრავლად ჩანან აფაქიძეები ლევანის მემკვიდრის დავითის დადიანობაში (1840—1853 წწ.). ამდროინდელი აფაქიძეებიდან ყველა-

---

68 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1488.

69 ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები..., გვ. 102, № 18.

მარჩილი რუსული ფულის კურსის მიხედვით სხვადასხვა დროსა და ადგილას სხვადასხვა ოდენობისა იყო. სულხან-საბა ორბელიანი მარჩილს სამ აბაზად ანგარიშობს (იხ. მისი ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედ., ტფილისი, 1928).

გიულდენშტედტის ცნობით (1772 წ.), მარჩილი შეადგენდა I მანეთს (იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 285).

როგორც სარგის კაკაბაძე აღნიშნავს, 1810 წელზე „წინანდელი ნორმალური კურსით, მარჩილი უდრიდა სამ აბაზს“ (იხ. მისი იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 5, 1950, გვ. 166, შესავალი).

სამეგრელოში რაფ. ერისთავის ყოფნის დროს (XIX საუკუნის 60-იანი წლები) მარჩილს აქ 10 კაპიკად ანგარიშობდნენ (იხ. კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, რ ა ფ. ე რ ი ს თ ა ვ ი და მ უ რ ი ე. ბატონყმობა სამეგრელოში, თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი, ტფილისი, 1927, გვ. 106).

70 ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები..., გვ. 104, № 21.

71 ქუთ. მუზ. საბ. № 1101.

72 იხ. იქვე.

73 ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები..., გვ. 110, № 28.

ზე მნიშვნელოვანი პიროვნებაა ბეჟან აფაქიძე. იგი იყო „ვექილი“, „წარმომადგენელი“ ოდიშის მთავრისა „თბილისში და კასპიის მხარეში“[74]. მას უნდა დაეცვა „სამეგრელოს ქვეშევრდომთა ინტერესები“, „გაეწია სამეგრელოსათვის იგივე სამსახური, რა სამსახურსაც ეწევიან სხვა ქვეყნებში კონსულები“[75].

უთუოდ კარგ განწყობილებაში იყო დადიანი აფაქიძეთა საგვარეულოსთან, რაკი მან ამ გვარის წარმომადგენელს თავის ვექილობა მიანდო.

აღნიშნულ პერიოდში აფაქიძეთა ფეოდალურ გვარში რაინდული „ზნეობით“ გამოირჩევა მალხაზ აფაქიძე. 1848 წელს მან, დავით და ბათუ ფაღავებთან ერთად, თავი ისახელა „ყაბახის“ სროლაში და მთავრის ქება დაიმსახურა. ეს იყო დასახელებული წლის აღდგომის დღესასწაულის დღეებში, რომელსაც ესწრებოდა ოდიშში ფრანგი ქართველოლოგი აკადემიკოსი მარი ბროსე[76].

დავით დადიანის დროსვე ჩანს ასლან აფაქიძე, რომელიც თურმე სწავლობდა მარტვილის სასულიერო სასწავლებელში[77]. რაღაც მიზეზის გამო მას სასწავლებლისათვის თავი მიუნებებია და ამ სასწავლებლის ზედამხედველი დეკანოზი ივანე ჭიჭინაძე სწერს პირდაპირ მთავარს: „სასწავლებლიდან გამექცა მოსწავლე თავადი ასლან აფაქიძე. გთხოვთ, კეთილი ინებოთ, და ბრძანოთ მისი სასწავლებელში დაბრუნებაო“[78].

ამავე დროს, უფრო კონკრეტულად 1849 წელს, გვხვდება ჯარისმან აფაქიძე. იგი კაცი აფაქიძის ძეა და, მაშასადამე, ზემოხსენებული როსტომის შვილიშვილი. ჯარისმანი „ბრწყინვალე“ თავადის ყირიმ დადიშქელიანის სიძე ყოფილა. უკანასკნელის „გერი“ თავადი ჩიჩუას ასული კეკელა ჯარისმანის თანამეცხედრეა[79].

დავით დადიანის შემდგომ პერიოდში, 1857 წელს ვხედავთ ერისთო აფაქიძეს. ეს ის ერისთოა, რომელმაც თავისი გლეხი ერთ ხმალში დაუგირავა თავისივე სახლიკაცს თავად ხახუ აფაქიძეს[80].

მომდევნო 1858 წელს იხსენიება „პოდპორუჩიკ“ მერაბ აფაქიძე. აღნიშნული წლის 30 მარტს ის მოწმედ არის მოხსენიებული გრიგოლ

---

74 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი, გვ. 85.

75 იხ. იქვე, გვ. 81 (ვექილის გასამრჯელოსა და უფლება-მოვალეობის შესახებ ვრცლად იხ. იქვე, გვ. 81—84).

76 იხ. იქვე, გვ. 72.

77 ეს სასწავლებელი დაარსდა 1830 წელს (იხ. იქვე, გვ. 135).

78 იხ. იქვე.

79 ქუთ. მუზ. საბ. № 494.

80 იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, გრიგოლ დადიანი (ოლხიდელი), ქართველი მწერლები, I, სოლ. ცაიშვილის რედ., თბ., 1954, გვ. 321.

დადიანისათვის მირთმეულ მისი ლიელი[81] ყმების — ქარდავების „პირობის წერილში“[82].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფაქიძეები დიდად ერთგულებდნენ მთავრის ძმას გრიგოლ დადიანს. 1855 წელს, როცა ოდიშში ომერფაშას სარდლობით თურქთა ჯარი შემოიჭრა, აფაქიძეები იმ ცხენოსან რაზმში ჩადგნენ, რომელსაც გენერალ-მაიორი გრიგოლ დადიანი მეთაურობდა და აქტიურად იბრძოდნენ თურქი აგრესორების წინააღმდეგ ქვეყნის დასაცავად. აღნიშნული წლის 3 დეკემბერს სწორედ ეს რაზმი თავგანწირვით ეკვთა ზუგდიდში დაბანაკებულ მრავალრიცხოვან თურქთა ჯარს და დიდად დააზარალა ის. ამ შეტაკების დროს „თურქების მხრით დაიხოცა 150 კაცი... დაიჭრა ამდენივე“ და „ტყვეები დარჩათ მეგრელებს 2 ოფიცერი და 40 სალდათი“. დადიანის რაზმს „ამ შემთხვევაში დიდი ზარალი არ მოსვლია“, რადგან თავდასხმა „მტრისთვის მოულოდნელი იყო“...[83].

სხვა საომარ თუ პოლიტიკურ ვითარებაშიც აფაქიძეები გრიგოლ დადიანს ემხრობოდნენ[84].

დავით დადიანის მთავრობის შემდგომ ხანში იხსენიება აგრეთვე გუთუ აფაქიძე, რომელსაც, იონა მეუნარგიას ცნობით, ბრალად ედებოდა დადიანის ასულის მენიკის „გაპარვა“. ამის გამო იგი დიდხანს იჯდა ციხეში, სანამ მათს საქმეს „ახალი“ (მეფის რუსეთის) სასამართლო გაარჩევდა. „ამასობაში ის ხშირად დაჰყავდათ გამომძიებელთან და სასამართლოში. ამ ფორმალისტობით მოთმინებიდან გამოსულ“ აფაქიძეს გამოუთქვამს ლექსი, რომელიც ხალხში დღემდეა შემორჩენილი და რომელშიც შექებულია დავითის დროინდელი ოდიშის „უზენაესი სასამართლოს“ მსაჯულთუხუცესი როსტომ ჩიქვანი[85]. ცნობილია, რომ იგი კოჟლი იყო და ამიტომ მეგრელები მას „როსთო ქულას“ ეძახდნენ, რაც ქართულად „როსტომ კოჟლს“ ნიშნავს. სწორედ ასე იწოდება ის გუთუ აფაქიძის მიერ გამოთქმულ ლექსშიც. ამ ლექსის ნაწყვეტში ვკითხულობთ:

„ხასილას კანი ვეგებძ,
ფიცარიში გინანჯირა...

---

81 ლია სოფელია სამეგრელოში, წალენჯიხის რაიონში.

82 ც. ქ ი რ ი ა, შ. ს ა რ ი ა, მასალები..., გვ. 117, № 41.

83 იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 316.

84 იხ. იქვე, გვ. 317—318.

85 იხ. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი..., გვ. 127.

მინილენან, დოკარუნა,
გიმილენან, დოსოფუნა,
ხოლო ღორონთქ ნუ მოლას
გუმარჩქინეთ როსთო-ქულა...“[86].

ამ ნაწყვეტის სოლომონ ციშვილისეული ქართული თარგმანი ასეთია:

„ზურგზე ტყავი აღარ შემორჩა ფიცარზედა გორაობით...
შევლენ წერენ განაჩენებს გამოვლენ და ისევ ხევენ,
კვლავ ღმერთმა ნუ მოგვიშალოს მოსამართლედ კოკლი როსთომ“[87].

როგორ დამთავრდა გუთუ აფაქიძის საქმე — დაუმტკიცდა მას ზემოხსენებული ბრალდება თუ გამართლდა იგი, არ ვიცით.

დავით დადიანის მმართველობის შემდეგ, XIX საუკუნის 70-იან წლებში, ოდიშში ცნობილი არიან აფაქიძეთა თავადური გვარის სხვა წარმომადგენლებიც: ვარადებულ, ვარდენ, მანუჩარ, ივანე, დათა, არჩილ, სისონი, მალხაზ (II)[88], ბეჩუა და ირაკლი აფაქიძეები[89].

მათგან გამოირჩევა და უფრო დიდხანს ჩანს ისტორიის ასპარეზზე ვ ა რ ა დ ე ბ უ ლ გ ი ო რ გ ი ს ძ ე ა ფ ა ქ ი ძ ე. იგი დაიბადა 1829 ან 1830 წელს[90]. იყო წიგნიერი. თანამეცხედრედ ჰყავდა სამურზაყანოელი თავად ანჩაბაძის ასული იელიტა. ესვა 10 შვილი, მათგან 8 ვაჟი და 2 ქალი[91].

ვარადებული თანდათანობით წინაურდება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე: 1877 წელს იგი ზუგდიდის მაზრის სამმართველოს

---

86 იხ. იქვე.

87 იხ. იქვე, შენიშვნა I.

88 I მალხაზ აფაქიძეა ის, რომელმაც 1842 წელს ყაბახის სროლაში ისახელა თავი (იხ. ზემოთ).

89 ძს. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., საქაღალდე № 5, გვ. 345—346.

90 ვარადებულ აფაქიძისა და მისი შთამომავლობის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მისმა შვილიშვილმა. თბილისში მცხოვრებმა (ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, № 27), 70 წლის თამარ იასონის ასულმა აფაქიძემ, რასაც მადლობით აღვნიშნავთ. ჩავიწერეთ აქვე 1985 წლის 4 ნოემბერს.

თამარ აფაქიძის ცნობ-თ, ვარადებული გარდაიცვალა 1929 წელს 99 თუ 100 წლის ასაკში. აქედან ცხადია, რომ იგი 1829 ან 1830 წელს დაბადებულა.

91 თამარ აფაქიძის ცნობა.

„უჩინო“ მოხელეა. 1891, 1892, 1893 წლებში მას ამავე მაზრის სამმართველოს IX კლასის შტატს გარეშე მოხელედ ვხედავთ[92].

1902 წელს ის ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატად არის წარდგენილი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოში[93].

1904 წელს კი ვარადებული ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლობის კანდიდატია[94]. რამდენ ხანს დარჩა იგი კანდიდატად, არ ვიცით. მაგრამ 1909 წელს ის უკვე აღნიშნული მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად („მარშლად“) არის მოხსენიებული[95].

ვარადებული გარდაიცვალა, როგორც ითქვა, 1929 წელს. დაკრძალულია ზანას მაცხოვრის ეკლესიაში.

ეს ვარადებული იყო პაპა (დედის ხაზით) ჩვენი დროის ცნობილი ქართველი არქეოლოგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ანდრია მელიტონის ძე აფაქიძისა.

ვარდებულის შვილებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა მისი პირმშო შვილი იასონი. იგი დაიბადა 1877 წელს სოფ. ზანაში. 1902 წელს დაამთავრა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დაინიშნა ქ. ტობოლსკის (ციმბირი) ვიცე-გუბერნატორად. ამ თანამდებობაზე დარჩა ხუთ წელს[96]. შემდგომ ის ბრუნდება საქართველოში და 1909 წელს აქ, თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიის საპოლიციო ნაწილის საგანგებო განყოფილების მოხელეა: „Причисленный к Министерству Внутренных Дел и откомандированный в распоряжение Наместника“[97].

1912 წელს იასონი მეფისნაცვლის კანცელარიის ამავე განყოფილების VII კლასის მოხელედ არის დასახელებული[98].

1913, 1915 წლებში კი იგი იმავე კანცელარიის საგანგებო თუ განსაკუთრებული ნაწილის სასამართლოს განყოფილების საქმეთა მმართველის უფროსი თანაშემწეა[99]. ხოლო 1916—1917 წლებში იასონი თავად არის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო ნაწილის სასამარ-

---

92 Кавказскій календарь на 1877 г., с. 34 (ადრეულ-კალენდრის განყოფილება, ქვემოთ ყველგან იგულისხმება ეს განყოფილება); იგივე: 1891, გვ. 116; 1892, გვ. 101; 1893, გვ. 103.

93 იგივე, 1902, გვ. 156.

94 იგივე, 1904, გვ. 166.

95 იგივე, 1909, გვ. 568.

96 მისი ასულის თამარ აფაქიძის ცნობები.

97 იხ. Кавказскій календарь на 1909 г., с. 30.

98 იხ. იგივე, 1912, გვ. 30.

99 იგივე, 1913, გვ. 31; 1915, გვ. 31.

თლოს განყოფილების საქმეთა მმართველი და უფროს თანაშემწედ ჰყავს გიორგი ნიკოლოზის ძე ნოვოსპასსკი[100].

1911—1917 წლებში იასონ აფაქიძე მოღვაწეობდა აგრეთვე სათავადაზნაურო საადგილმამულო სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილებაში[101].

იასონი დაქორწინებული იყო ქართლის თავად ივანე თარხან-მოურავის ასულ ელენეზე, რომელიც მამის მხრით დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შთამომავალი იყო, ხოლო დედის მხრით — ერეკლე მეორისა[102].

იასონის ასულნი — თამარი და ნათელა ამჯამად უკვე ხანდაზმულნი თბილისში ცხოვრობენ და არაერთი ზეპირი ხასიათის საინტერესო ისტორიული ცნობა აქვთ შემონახული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (დაახლოებით 1922 წლიდან) იასონი ერთხანს ბათუმში ცხოვრობდა და იყო აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოსა და სახკომსაბჭოს მთავარი კონსულტანტი იურიდიულ დარგში. მისი მოღვაწეობა 1937 წელს შეწყდა[103].

გვიანდელი ხანის აფაქიძეებიდან ცნობილი არიან აგრეთვე: ს ვ ი მ ე ო ნ ი. უკანასკნელი მოხსენიებულია 1884 წელს ჯრუჭის მონასტრის (ზემო იმერეთი) არქიმანდრიტად[104];

მ ი ხ ე ი ლ ლევანის ძე, რომელიც 1891, 1893 წლებში იყო ქუთაისის გუბერნიის საოლქო სასამართლოში „უჩინო“ თარჯიმანი. 1901—1903 წლებშიც იგი კვლავ თარჯიმანია ამავე გუბერნიის გლეხობის საქმეთა საკრებულოში, ხოლო 1904 წელს სამურზაყანოს უბნის სასამართლოს ბოქაულად ვხედავთ[105];

ა ქ ვ ს ე ნ ტ ი ფარნაოზის ძე. 1902—1904 წლებში ჩანს ქ. ფოთის პოლიცმეისტერის სამმართველოს რეგისტრატორ-არქივარიუსად[106];

პ ლ ა ტ ო ნ დუტუს ძე. 1904 წელს იყო დეპუტატობის კანდი-

---

100 იგივე, 1916, გვ. 42; 1917, გვ. 43.

101 იგივე, 1911, გვ. 319; 1912, გვ. 30; 1913, გვ. 357; 1914, გვ. 381; 1915, გვ. 357; 1916, გვ. 408; 1917, გვ. 531.

102 თამარ აფაქიძის ცნობა.

103 მისივე ცნობა.

104 იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II კოლექცია, ტ. IV, თბ., 1950, გვ. 118, მინაწერი 5; გვ. 155, მინაწერი 6, 7.

105 იხ. Кавказский календарь на 1891 г., с. 119; 1892, გვ. 186; 1893, გვ. 189; 1901, გვ. 159; 1902, გვ. 151; 1903, გვ. 155; 1904, გვ. 325.

106 იგივე, 1902, გვ. 162; 1903, გვ. 166; 1904, გვ. 171.

დატი ზუგდიდის მაზრიდან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში[107];

ა ნ დ რ ი ა ლევანის ძე. გვხვდება შტაბსკაპიტნის ჩინით 1914 წელს ქვეითი ჯარის თენგინის პოლკში[108]. ეს ანდრია და ზემოხსენებული მიხეილი ძმები უნდა იყვნენ.

*
* *

აფაქიძეთა სათავადომ თავისი აღმავლობის ზენიტს მიაღწია XVII საუკუნეში, ლევან II-ის დადიანობაში (1611—1657 წწ.). ამ დროს პირველობდა ეს საგვარეულო, როგორც ითქვა, ოდიშის სამთავროში. შემდგომ კი აფაქიძეთა პოლიტიკური გავლენა სუსტდება. მათ ადგილს აქ ჩიჩუები და ჩიქვანები იკავებენ[109]. ჩანს, აფაქიძეები, ისე როგორც სხვა ძირძველი თავადები, მთლად ვერ შეეწყვნენ ოდიშში ოფიციალურად XVIII საუკუნის დამდეგს გადადიანებულ ახალ, ჩიქვანთა დინასტიის მთავრებს. მიუხედავად ამისა, აფაქიძეები მაინც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ამ სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ოდიშის სამთავროს გაუქმებასთან ერთად (ფაქტობრივად 1857 წელს) ზანელ და ზემო სამეგრელოელ აფაქიძეთა სათავადოებიც ადმინისტრაციულად გაუქმდა.

---

107 იგივე, 1904, გვ. 166.
108 იგივე, 1914. გვ. 549.
109 იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., I, გვ. 302—303, 320.

დანართი

ტერმინოლოგიური შენიშვნები

XVI—XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საგლეხო გამოსაღებთა დავთრებსა დ უფრო გვიანდელი ხანის სხვადასხვა საბუთშიც ხშირად გვხვდება ისეთი ტერმინები, რომელთა შინაარსი დღეს გაუგებარია. მათი მნიშვნელობის გარკვევა საჭიროა ყმა გლეხის ვალდებულებათა სახისა და ექსპლუატაციის ხარისხის თუ ოდენობის წარმოსადგენად. ასეთ ტერმინებს ჩვენ ადრეც მივაქციეთ ყურადღება და ზოგი მათგანის შინაარსი, შეძლებისამებრ, დავადგინეთ კიდეც[1]. მაგრამ გასარკვევი კიდევ მრავალია:

1. „ოჩხოლი“

„ოჩხოლი“, როგორც საგლეხო ვალდებულების სახე, XVII საუკუნის პირველ ოცეულში შედგენილ საცაიშლო გამოსავლის დავთარსა და აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში იხსენიება.

პირველი დავთრით „ოჩხოლი“ მხოლოდ ცაიშის „მიმდგამ“ გლეხებს მართებთ და აქ ამ გამოსაღების გადამხდელ გლეხთა რაოდენობა სამი კომლით განისაზღვრება[2].

მეორე — აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის მიხედვით, „ოჩხოლი“ მართებთ ხიბულას მოსახლე გლეხებს, რომელთა რაოდენობა რვა კომლს შეადგენს[3].

---

[1] იხ. ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებანი დასავლეთ საქართველოში XVII ს., მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 175—183.

[2] სარგის კაკაბაძე, საცაიშლოს გამოსავლის დავთარი, ტფილისი, 1913, გვ. 16, 20—21 (აქ ერთ ადგილას (16 გვერდზე) წერია „ანჩხოლი“, მაგრამ ეს კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს: „ოჩხოლი“). ქვემოთ ყველგან მითითებულია ეს გამოცემა, როცა სხვა ნაჩვენები არ არის.

[3] სარგის კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, ტფილისი, 1914, გვ. 20—22 (ქვემოთ ყველგან მითითებულია ეს გამოცემა, როცა სხვა ნაჩვენები არ არის).

„ოჩხოლი“, როგორც გლეხთა გადასახადი, იხსენიება აგრეთვე ლევან დადიანის 1642 წლის შეწირულების წიგნში*.

სხვა წყაროებში ეს გამოსაღები არ გვხვდება. „ოჩხოლი“, როგორც ჩანს, ფართოდ გავრცელებული გამოსაღები არ იყო. ამას მოწმობს ის, რომ საცაიშლოს გამოსავლის დავთარში აღრიცხულ 363 კომლიდან ეს ვალდებულება მხოლოდ სამ კომლს მართებს.

„ოჩხოლს“ გლეხი სხვა გამოსაღებებთან ერთად იხდიდა. მაგალითად, ხიბულას მოსახლე საკათალიკოსო გლეხი მახუტოლა ქავთარიას მართებს: „საპურობო, 2 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 2 ჯამი ღომი, 8 კოკა ღვინო, მეოთხეს წელსა ო ჩ ხ ო ლ ი[4] და ლაშქრობა და მგზავრობა“.

ან კიდევ მართებს იქვე მოსახლე გუგუ ქავთარიას: „საპურობო და ერთი საკლავი და ბეგრის ქათამი, 3 კოკა ღვინო, 5 ჯამი ღომი და ლაშქრობა, მეთორმეტე წელსა ოჩხოლი“[5].

ამ ორ კომლს გარდა, ხიბულას მკვიდრ საკათალიკოსო გლეხებიდან 3 კომლი „ოჩხოლს“ იხდის „მეთორმეტეს წელსა“, დანარჩენი 3 კომლი კი — წლის განუსაზღვრელად[6]. ეს იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ისინი ამ გამოსაღებს ყოველწლიურად იხდიან.

„ოჩხოლი“ მეგრული სიტყვაა. ეს კარგად ჩანს მისი თავსართიდან — „ო“, რაც უდრის ქართულ „სა“-ს. ამ ტერმინის ძირი „ჩხ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ქართულ ბურვაკს. ოჩხოლი კი — საბურვაკეს.

ამგვარად, საკათალიკოსო და საცაიშლო ყმა გლეხები, რომელთა საგადასახადო წორმაში „ოჩხოლი“ შედიოდა, საბურვაკე გოჟს იხდიდნენ. ასეთი იყო „ოჩხოლის“ შემადგენლობა.

სიტყვა „ჩხ“ და მისგან ნაწარმოები „ოჩხოლი“ აღნიშნული გაგებით დღესაც ხმარებაშია მეგრულ მეტყველებაში (განსაკუთრებით ზემო სამეგრელოში, ლაკადაში).

2. „ხ ე შ ი“

„ხეში პირველად და უკანასკნელად XVII საუკუნის პირველ ოცეულის აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში შეტანილ ხონისა და ნაგვაზუს ბეგრის ნუსხებში გვხვდება.

ნაგვაზუში საკათალიკოსო სულ რვა კომლია ჩამოთვლილი თავი-

---

* იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 6740.

[4] ხაზი ჩვენია — ო. ს.

[5] ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, გვ. 20 (ქვემოთ: საკათალიკოსო დავთარი).

[6] იხ. იქვე, გვ. 20—22.

ანთი გამოსაღებებით და ნუსხის ბოლოს მიწერილია: „ხმელი ბეგარა თითო ხ ე შ ი ყ(ვე)ლას მართებსო“[7].

მინაწერის ამ ადგილს ტექსტს, როგორც ს. კაკაბაძის, ისე ი. დოლიძის პუბლიკაციაში, მძიმე აკლია[8]. მძიმეს კი აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს ადგილი უნდა იკითხებოდეს არა „ხმელი ბეგარა თითო ხეში“, არამედ „ხმელი ბეგარა, თითო ხეში“. მძიმის ამოვარდნამ თუ ამოგდებამ აქ ორი სხვადასხვა სახის გამოსაღები („ხმელი ბეგარა“ და „ხეში“) ერთ გადასახადად წარმოგვიდგინა. ამან გამოიწვია ის გაუგებრობა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში „ხეში“ „ხმელი ბეგრის“ ერთ-ერთ „შინაარსად“ — „შეშად“ იქნა მიჩნეული[9].

„ხმელი ბეგარა“, როგორც გარკვეულია, „ხმელი“, შეკომლილი სახით წარმოდგენილი ღორის ხორცი — შაშხი იყო[10]. ამას არავინ არ უარყოფს. არ უარყოფს ამას მ. სანაძეც. მაგრამ მას „ხმელი ბეგრის“ ერთ-ერთ კომპონენტად შეშაც მიაჩნია[11], რაც უდავოდ შეცდომაა.

სინამდვილეში „ხეში“ არც შეშაა და არც „ხმელ ბეგარასთან“ აქვს მას რაიმე საერთო. „ხმელი ბეგარა“ და „ხეში“ ორი სხვადასხვა სახის გამოსაღებია. ეს რომ ასეა, ჩანს ხონის გამოსავლის ნუსხიდან, სადაც გლეხთა საგადასახადო ნორმებში შეტანილია თითო „ხეში“ უხმელბეგროდ და სხვა გამოსაღებთაგან იგი ყველგან მძიმითაა გამოყოფილი. მაგალითად:

„მართებს გ(იორგ)ის მაჭარაძესა 7 მთელი ღვინო, ურმრული ღომი, 10 თეთრი, 2 თეთრი სათევზებო, 1 ხ ე შ ი, 1 სასუქი ქათამი“.

ან კიდევ: „მართებს დედულისას ცოტაძესა 14 მთელი ღვინო, ურმოული ღომი, 10 თეთრი, 2 თეთრი სათევზებო, 1 ხ ე შ ი, 1 სასუქი ქათამი“[12].

ასეა ეს ამ ნუსხის როგორც ს. კაკაბაძისეულ, ისე ი. დოლიძისეულ გამოცემაში[13].

ამგვარად, „ხეში“ „ხმელ ბეგარაში“ კი არ შედის და მის „შინაარსს კი არ გაომხატავს, არამედ დამოუკიდებელი გამოსაღებია.

---

7 საკათალიკოსო დავთარი, გვ. 17.

8 იქვე. შდრ. ქართველი სამართლის ძეგლები, ტ. III, გამოც. ი. დოლიძისა, თბ., 1970, გვ. 410—411.

9 მ. ს ა ნ ა ძ ე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 173—174.

10 ო. ს ო ს ე ლ ი ა, საგლეხო ვალდებულებანი დასავლეთ საქართველოში XVII ს., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 77.

11 იხ. მ. ს ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

12 იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 15 (ხაზი ჩვენია. — ო. ს.).

13 იხ. იქვე, გვ. 15—16, შდრ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 410—411.

რა არის მაინც „ხეში“ კონკრეტულად? „ხეში“ მიღებულია მეგრული სიტყვა „ხე“-სგან, რომელიც ქართულ „ხე“-ს კი არ ნიშნავს, როგორც ეს ზოგ მკვლევარს მცდარად აქვს გაგებული[14], არამედ — ხელს. „ხეში“ კი არის ის, რაც ხელით დაიჭირება, ის რაც ვინმეს ხელში უკავია, ხელში აქვს, ან ის, რაც ხელით წაიღება. უფრო გარკვეულად რომ ვთქვათ, „ხეში“ ისეთი ოდენობის ძღვენია, რომელიც ხელით მიაქვთ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის, რომ მეგრულ მეტყველებაში დღემდე შემორჩენილია სიტყვა „ხე-ძღვინი“, რაც ქართულ „ხელ-ძღვენს“ უდრის და ნიშნავს ხელით მისატან ძღვენს, ე. ი. არა დიდი ოდენობის ძღვენს. როგორც ჩანს, ფეოდალური ხანის საქართველოში სხვა ძღვენებისაგან განსხვავებით დაწესებული ყოფილა ძღვენის ასეთი სახეც — „ხე-ძღვინი“ (ხელ-ძღვენი). „ხეში“ სწორედ ამ „ხე-ძღვინის“ სინონიმია.

ნიშანდობლივია, რომ იმ საგადასახადო ნუსხებში, რომლებშიც „ხეშია“ შეტანილი, ძღვენი არსად არ გვხვდება. ხოლო იქ, სადაც ძღვენი იხსენიება, „ხეში“ არ ჩანს.

ჯ. „ომაისური“

ეს ბეგარა პირველად გვხვდება XVI საუკუნით დათარიღებულ ხოფის ეკლესიის გლეხების თეთრის გამოსაღებთა ნუსხაში. მეორედ კიდევ — 1616—1621 წლების საცაიშლო გლეხების „წყარიგზურის სასახლის Ძიდგამ კაცთა“ ნუსხაში[15]. არც პირველსა და არც მეორე ნუსხაში „ომაისურის“ შემადგენლობა ნაჩვენები არაა.

წყარიგზურ ან უფრო სწორად წყარიძგურ[16] ნუსხაში სულ ექვსი კომლი საცაიშლო გლეხია. მათგან ორ კომლს, გარდა ჩვეულებრივი ბეგარისა, მართებს ყოველ მეორე წელიწადს „ომაისურში და თვითო სამოგვე“[17].

წყარიძგურის ნუსხაზე დაყრდნობით ს. კაკაბაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ „ომაისურში“ შეიძლება „ნიშნავდეს სასტუმროს“ და წარ-

---

14 ᲛᲐ. ᲡᲐᲜᲐᲫᲔ, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

15 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 349—350, 473.

16 სწორედ „წყალისძგა“ წერია ხოფის ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღების ნუსხაში (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 350).

მეგრული სიტყვა „წყარიძგა“ შედგება „წყარი“-სა (წყალი) და „ძგა“-სგან (ნაპირი, კიდე) და ნიშნავს წყლის ნაპირს ან ნაპირის წყალს ამგვარადვეა შედგენილი, მაგალითად, „ღალი-ძგა“ ან „ღალ-ძგა“ (ღელეს ნაპირი).

17 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 473—474.

მოსდგებოდეს მეგრული სიტყვა „მიისურიდან“ რაც ქართულ მოისტუმრეს უდრისო[18].

„სასტუმრო“, როგორც ცნობილია, იყო ძღვენი, რომელსაც ყმა გლეხი ბატონს მიართმევდა, როცა მას სტუმარი ეწვეოდა. სასტუმროს შემადგენლობაში, ისე როგორც „საპურობოსა“ და „გოჭკომურში“, ჩვეულებრივ შედიოდა: ღომი, ღვინო, პური, ყველი, საკლავი, ქათამი, კვერცხი, ერბო, მარილი და სხვ[19]. თუ ს. კაკაბაძის ვარაუდს მივიღებთ და „ომაისურშის“ ან „ომაისურს“ სასტუმროდ ჩავთვლით, მაშინ ომაისურის შემადგენლობაც ისეთივე უნდა იყოს, როგორიც სასტუმროსია. ე. ი. ომაისურიც ზემოდასახელებული გამოსაღებებისაგან უნდა შედგებოდეს. მაგრამ მისი ვარაუდი სწორი არ არის.

ომაისურის მნიშვნელობის განსაზღვრას სპეციალურად შეეხო მ. სანაძე და თუმცა ს. კაკაბაძის მოსაზრება არ გაიზიარა, მაგრამ ომაისური მანაც არსებითად სასტუმროს ანალოგიური შინაარსის ვალდებულებად მიიჩნია. მ. სანაძის აზრით, „ომაისური ხადილი და სამასპინძლო იყო და არა სასტუმრო“[20]. მაგრამ არც ეს აზრია სწორი.

მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა ხოფის ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღების ნუსხამ, სადაც ნათქვამია: „მართებს მსხულებს ხატის ბეგარა: ომაისური ერთი ზროხისა თეთრი“ ცხომარიას ერთ კომლსა და შემდეგ ჩამოთვლილია გლეხები, რომელთაც ოც-ოცი თეთრი მართებთ[21].

ამ ნუსხის განხილვისას მ. სანაძე თუმცა მართებულად შეეჭვდა: „შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ხატის ბეგარა ომაისური სხვა არის და „ზროხის თეთრი“ კი სხვაო“[22]. მაგრამ მან ეს ეჭვი უკუაგდო იმის გამო, რომ ოც-ოცი თეთრის გადამხდელ გლეხთა ნუსხაში ძროხა არ არის დასახელებული. ამიტომ აღნიშნულ ნუსხაში ჩამოთვლილი თეთრი

---

18 ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 31, შენიშვნა I.

19 იხ. ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს, აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, თბ., 1938, გვ. 28; ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს., ენიმკის მოამბე, V—VI, გვ. 284, შენიშვნა I. იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 304; მ. ს ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 168; ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასავლეთ საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVI საუკუნიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე, წიგნში დ. მ ე ს ბ ე ლ ა ძ ე, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გ. ა ბ ა ფ ა შ ვ ი ლ ი, ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, ნაწ. I, თბ., 1967 გვ. 218.

20 იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 170.

21 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 341—350.

22 მ. ს ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

მკვლევარმა „ომაისურის თეთრად“ მიიღო და დაასკვნა, რომ: „ომაისური შეიცავს ერთ ძროხას ან ძროხის თეთრს, ძროხა კი ჩვეულებრივ შედის ხადილის, საპურობოს, სამასპინძლოს და, საერთოდ, „პურის ჭამის“ შემადგენლობაში“ და, მაშასადამე, „ომაისური ხადილი და სამასპინძლო იყოო“[23].

მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა: თეთრის გამოსაღები ხოფის ეკლესიის გლეხთა ნუსხაში შემდეგი რაოდენობითაა გაწერილი: 46 ამ გამოსაღების გადამხდელ გლეხთაგან მხოლოდ ერთს მართებს 10 თეთრი, ექვს კომლს თითოეულს — 15 და დანარჩენ 39 კომლს (ე. ი. უმრავლესობას) — 20 ან 30 და მეტი თეთრი აწერია[24]. შართალია, ამ ნუსხაში, სადაც თეთრის გადამხდელი გლეხებია ჩამოთვლილი, თითოეული მათგანის ვალდებულებაში ძროხა არაა დასახელებული, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ნუსხის შემადგენელმა რაკი ერთხელ საერთოდ მიუთითა, რომ „ზროხის თეთრი“ მსხულების გლეხებს მართებდათ[25], საჭიროდ არ ჩათვალა ცალკეული გლეხის თეთრის გამოსაღებში „ზროხის თეთრის“ ხელახლა დასახელება, რადგან იქ თავისთავად იგულისხმება, რომ ეს თეთრი (10, 20 და მეტი) ძროხისაა და არა ომაისურის. ომაისურის ღირებულება, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა 20 ან თუნდაც 10 თეთრი ყოფილიყო.

შემდეგ, აქაც საკითხს წყვეტს ისევ სასვენი ნიშანი, რომელიც ჩვენი საგადასახადო ნუსხების პუბლიკაციებში, სამწუხაროდ, ზოგჯერ არასწორად ან სულ არა დასმული. თუ ხოფის ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღების ნუსხის ს. კაკაბაძისა და ი. დოლიძისეულ გამოცემებში მოცემულ ტექსტს, სადაც იკითხება — „მართებს მსხულებს ხატის ბეგარა: ომაისური ერთი ზროხისა თეთრი“[26], ერთის შემ-

---

23 იხ. იქვე. ხაზი ავტორისაა.

24 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 349—350; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 13—14.

აღსანიშნავია, რომ ხოფის ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღების ი. დოლიძისეულ გამოცემაში ერთი კომლის (გუგულა კვირკველიას) თეთრის გამოსაღები „ორი თეთრის“ რაოდენობითაა აღნიშნული (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 350). ს. კაკაბაძისეულ გამოცემაში კი ამავე კომლს „ოცი თეთრი“ მართებს (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 14). ჩვენ შევამოწმეთ სსცია-ს 1449 ფონდში დაცული აღნიშნული ნუსხის პირი და მასში ხსენებული გლეხის გამოსაღები „ოცი თეთრით“ არის ფიქრისებული. ასე რომ, სწორია ს. კაკაბაძის გამოცემა. ი. დოლიძის გამოცემაში უთუოდ კორექტურული შეცდომაა გაპარული.

25 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 349.

26 იქვე; დას. საქ. საეკლ.საბ., I, გვ. 13.

დეგ მძიმეს დავსვამთ, გასაგები გახდება, რომ „მსხულებს მართებს ომაისური ერთი, ზროხისა თეთრი“.

„ზროხის თეთრი“, რომელიც აქ განუსაზღვრელად, ზოგადადაა დასახელებული, სხვაგან, ყველგან ამ წესსა — კონკრეტულად, უფრო მეტად 20 თეთრის რაოდენობით, არის ნაჩვენები. ნუსხის ეს 20 და სხვა რაოდენობის (15, 30 და სხვ.) თეთრი სწორედ ძროხისაა და არა ომაისურის. ასეა ეს ზემოაღნიშნულ ნუსხებში ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა იხსენიება მათში ძროხა თუ არა. ასევეა ეს, კერძოდ, იოვანე ილიავარიას გამოსაღებშიც[27]. ასე რომ, ომაისურს ძროხასა, ხადილსა და სამასპინძლოსთან არავითარი კავშირი არა აქვს. ომაისური სულ სხვაა. ის არც ძროხას შეიცავს და არც „ზროხისა თეთრს“.

ომაისური საგლეხო გამოსაღების ცალკე სახეა. ეს ნათლად ჩანს საცაიშლო გლეხების გამოსაღების „წყარიგზურ“ ნუსხიდან. ამ ნუსხით ორ კომლს, როგორც ზემოთ ითქვა, სხვა გამოსაღებთან ერთად მართებს „მეორეს წელიწადშიდა ომაისურში და თვითო სამოგვე“[28]. როგორც ვხედავთ, ომაისური ანუ „ომაისურში“ აქ „სამოგვესთან“ დაპირისპირებით ცალკე გამოსაღებად გვეელინება.

რა იყო, რისგან შედგებოდა მაინც „ომაისური“?

შეგრული თავსართი „ო“, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართულ „სა“-ს უდრის. ომაისური თუ „ომაისურში“ (შეგრულად — ომესური) სიტყვა-სიტყვით სამაისოს ან სამაისოდ-ს ნიშნავს. აქედან ცხადია, საგლეხო გამოსაღებთაგან ომაისური იქნებოდა ის, რასაც სამაისოდ ან მაისში იხდიდნენ. ასეთი იყო „ს ა ბ ტ კ ო ბ ო“, „ო ბ ა ტ კ უ რ ი“ ანუ „ბ ა ტ კ ი“. ბატკი საბას განმარტებით, „ჩჩვილ თიკანს“ ეწოდებოდა. ამ გამოსაღების აკრეფა, რაფიელ ერისთავის ცნობით, სამეგრელოში იწყებოდა ნააღდგომევს, „მაისის თვიდან, როცა გუგული პირველად დაიძახებდა“[29]. ეს ბეგარა ხშირად გვხვდება გამოსაღებთა სხვადასხვა დავთარში[30]. ომაისური ანუ „სამაისო სწორედ „ობატკურს“ გულისხმობს.

---

27 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 350; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 14.

28 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 473; ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, საცაიშლო გამოსავლის დავთარი, ტფილისი, 1913, გვ. 44.

29 კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, რ ა ფ. ე რ ი ს თ ა ვ ი და მ უ რ ი ე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები), თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი, ტფილისი, 1927, გვ. 92. იტყოდნენ „გუგულის ხმიანობის შემდეგ დაბადებული თიკნები საშენად არ ვარგაო“. იხ. იქვე (ქვემოთ: ბატონყმობა სამეგრელოში, ავტორთა მიუთითებლად).

30 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 317, 359, 360—366, 404, 407—409 და სხვ.

ამგვარად, ომაისურის შემადგენლობაში, ისე როგორც „ობატკურში“, თიკანი შედიოდა. „ობატკური“ ანუ ომაისური, როგორც წესი, ერთ ან ორ თიკანს შეიცავდა[31]. ზოგი გლეხი მას ერთი თიკნით იხდიდა, ზოგი — ორით.

აღნიშნული გამოსაღების ღირებულება ჩვეულებრივ სამი თეთრით განისაზღვრებოდა[32], რაც ერთი ბატკნის (თიკნის) ფასს უნდა უდრიდეს. ჩანს, გლეხებს უმეტესად თითო თიკანი მართებდათ.

არის შემთხვევა, როცა საბატკობო რვა თეთრითაც არის შეფასებული[33]. მაგრამ ასეთი შემთხვევა მეტად იშვიათია და რვა თეთრიც ერთი თიკნის კი არა, უთუოდ ორის ან მეტი თიკნის ფასია. ხოლო 20 თეთრი საბატკობოს ფასად დასავლეთ საქართველოს არც ერთ საგადასახადო ნუსხაში არ შეგვხვედრია და, როგორც ზემოთაც ითქვა, ის არ შეიძლება ომაისურის ანუ საბატკობოს ღირებულების მაჩვენებელი იყოს.

ამრიგად, ომაისური არც „სასტუმროა“ და არც „ხადილი და სამასპინძლო“. თავის შემადგენლობით იგი „ობატკურს“ (თიკანს) წარმოადგენს და მისი სინონიმია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, რომ „ხატის ბეგარაჲ: ომაისური ერთი, ზროხისაჲ თეთრი“, რომელიც „მსხულებს“ მართებს[34], არის ერთი „ობატკური“ (თიკანი) და მისგან განცალკევებით კიდევ თითოეულ გლეხზე გარკვეული რაოდენობის „ზროხის თეთრი“, რომელსაც „მეზროხე“ გლეხები იხდიან.

4. „მ ა რ თ ა ლ ი ბ ე გ ა რ ა“

ბეგარა, როგორც ცნობილია, მეტად მრავალგვარი შინაარსის შემცველი ცნება იყო. იგი სხვადასხვა გაგებით იხმარებოდა. ფართო გაგებით ბეგარა ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში ეწოდებოდა ყმა გლეხის ყოველგვარ ვალდებულებას, „რომელიც მიწას ედო და მიწის ჭერასთან იყო დაკავშირებული:[35] შრომითი, ნატურით, ფულად თუ სამსახურებრივსაც. ვიწრო გაგებით ბეგარას ეძახდნენ მხოლოდ ნატურით და ფულად გადასახადს, უფრო ვიწრო გაგებით —

---

[31] იხ. ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 92.

[32] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 317, 359—366, 404, 407—409 და სხვ.

[33] იხ. იქვე, გვ. 298.

[34] იქვე, გვ. 349.

[35] იხ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 274.

თავ-ბეგარას, ასევე ვიწრო გაგებით — მუშაობას საერთოდ ან მის რომელიმე სახეს, ხოლო კიდევ უფრო ვიწრო გაგებით — ამა თუ იმ ცალკეულ ვალდებულებას. მაგალითად, ღომის გამოსაღებს ღომის ბეგარა ერქვა, სანთლისას — სანთლის ბეგარა, თეთრისას — თეთრის ბეგარა, ღორის თუ საკლავის გამოსაღებს — ღორის ან საკლავის ბეგარა და სხვ[36].

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა თავი-ბეგარა. თავი-ბეგარა იყო გლეხის უმთავრესი ვალდებულება, ძირითადი გამოსაღები, ის ბეგარა, რომლის გადახდა მებატონის სასარგებლოდ გლეხს უძველეს დროს დაეკისრა[37]. თავ-ბეგარას ან მის ნაწილს ყველა მებეგრე გლეხი იხდიდა.

რაფ. ერისთავის მოწმობით, ქვემო სამეგრელოში თავი-ბეგარა შეიცავდა: „1 ღორს 4—5 მანეთიანს, 1—10 კოკა ღვინოს, 15 ქილა ღომს და ერთ ქათამს“[38].

აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის საქუჩულორიოს ნუსხაში, მაგალითად, ვკითხულობთ: „მართებს ბებია ოფიშხუას თავი-ბეგარა ერთი საკლავი, 1 ქათამი, 7 ლიჭის ღომი ერთს წელიწადსა, მეორეს — რვა, შვიდი ფოხალი ღვინო“[39].

მეტ-ნაკლები განსხვავებით ასეთი იყო თავი-ბეგარა სხვაგანაც დასავლეთ საქართველოში[40].

თავდაპირველად მებეგრე გლეხის ნატურით გამოსაღები მხოლოდ თავი-ბეგრით განისაზღვრებოდა. მაგრამ დროთა მსვლელობაში გლეხთა ვალდებულება თანდათან დიდდება. ჯერ კიდევ XV საუკუნეში გლეხთა შრომითი თუ სამსახურებრივი ვალდებულება და პროდუქტებით გამოსაღები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ეს, როგორც საისტორიო ლიტერატურაშია აღნიშნული, ხდება, ერთი მხრივ, იმ საზომ-საწყაოთა გადიდებით, რომლითაც გლეხი მებატონეს გამოსაღებს უხდის და, მეორე მხრივ, გამოსაღებთა სახეების რიცხვის გამრავლე-

---

36 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 274—276; მ. სანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 158—163; ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებანი..., გვ. 75—76.

37 Р. Эристов, О крестьянском сословии в Мингрелии, „Кавказская Старина“, Тифлис, 1873, № 4 — 5, с. 91; Н. Бердзенишвили, Очерк...., с. 85; სარგის კაკაბაძე, მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 4, შენიშვნა I; ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ, გვ. 275—276. იხ. აგრეთვე ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 90.

38 ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 90.

39 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 413—414.

40 იხ. ო. სოსელია, დასავლეთ საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა..., გვ. 215—216.

ბით[41]. თავი-ბეგარა თანდათან ნაკლებ ადგილს იკავებს გლეხის გამოსაღებში. ჩნდება ახალი „სხვა ბეგარა“, მრავალგვარი ძღვენი, „სამასპინძლო“ თუ „გოჭკომური“ და სხვ.; ხდება „უდების დადება“[42]. ასეა ეს ფეოდალური ხანის საქართველოში. ასეა, კერძოდ დასავლეთ საქართველოში.

გლეხთა ექსპლოატაციის ზრდის პირობებში, როცა თავ-ბეგარასთან ერთად მის გვერდით საგლეხო ვალდებულებათა ნორმებში „სხვა ბეგარაც“ გაჩნდა, „მართალი ბეგარა“ ანუ კონონიერი ბეგარა“ თავ-ბეგარას დაერქვა („მართალი“, ვახტანგის სამართლით, კანონიერს ნიშნავს)[43].

ამგვარად „მართალი ბეგარა“, ჩვენი აზრით, თავი-ბეგარის შესატყვისია.

„მართალი ბეგარა“ დასავლეთ საქართველოს საგადასახადო დავთრებში, თუ არ ვცდებით, მხოლოდ ორჯერ იხსენიება: ერთხელ გელათის წმინდა გიორგის 1545 წლის დავთარში და ასევე ერთხელ — 1578 წელს შედგენილ ქუთაისის საყდრის დავთრის როკითის ბეგრის ნუსხაში[44].

გელათის წმინდა გიორგის მონასტერს ფარსმანაყანევში სამი პარტახტი[45] ჰქონია. მათგან ვინც ორი პარტახტის „მინდორსა და ტყესა“ „ჭამდა“, თითოეულზე „ილია“[46] უნდა გამოეღო „თუ კაცი დასახლდებოდა“, ასევე თითოეულ პარტახტზე „მ ა რ თ ა ლ ი ბ ე გ ა რ ა“ უნდა გადაეხადა[47].

„მართალი ბეგარა“ აქ უთუოდ თავ-ბეგარას ნიშნავს, პარტახტზე თუ სხვა საკომლოზე ახლად დასახლებულს ჩვეულებრივ შეღავათი

---

41 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1948, გვ. 190; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი და სხვ. საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 313—314; Н. Б е р д з е н и ш в и л и, Очерк..., с. 84—85; ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., с. 226—228.

42 Н. Б е р д з е н и ш в и л и, Очерк..., с. 85.

43 იხ. ᲛᲐ. 110.

44 იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 66; ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 307.

45 საკომლო მიწა, რომელზედაც მწარმოებელი (გლეხი) არ ზის, რომლიდანაც გლეხი ამოწყდა ან ამოაგდეს; სიბას განმარტებით — „უნამუშავრო, ოჯერივით“.

46 „ილა“, „ილაღ“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს საზაფხულო საძოვარს. ქართულ ენაში ეს სიტყვა თურქულიდანაა შემოსული და ამავე მნიშვნელობით იხმარება. მაგრამ, როგორც ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, „იალა“ მინდვრისა და ტყის სარგებლობისათვის დაწესებულ გამოსაღებსაც ეწოდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს აღნიშნულ კონკრეტული მაგალითის მიხედვით.

47 იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 66.

ეძლეოდა. მას პირველ ხანში მხოლოდ თავ-ბეგარას ან მის ნაწილს აკისრებდნენ ან ზოგჯერ კიდევ მთლად ათავისუფლებდნენ რამდენიმე წლით ამ ბეგრისაგან. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში „მართალი ბეგარა“ (ე. ი. თავი-ბეგარა) სწორედ ახალ მოსახლეს ევალება.

რაც შეეხება როკითის ბეგრის ნუსხას, რომლითაც „მართებს კარგარეთელის ყმას წიქვაძესა მ ა რ თ ა ლ ი ბ ე გ ა რ ა“[48], ესეც მხოლოდ თავ-ბეგარას უნდა გულისხმობდეს.

თავ-ბეგარას უნდა გულისხმობდეს აგრეთვე „მთელი ბეგარა“ და „სრული ბეგარაც“, რომელნიც იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საგადასახადო დავთრებში[49]. ასე ზოგადად მხოლოდ თავი-ბეგარა შეიძლებოდა დაესახელებინათ იმიტომ, რომ ის ბეგრის მთავარი ნაწილი იყო და, როგორც ზემოთ ვნახეთ, მისი შემადგენლობა მეტ-ნაკლებად საყოველთაოდ იყო განსაზღვრული და ცნობილი. ხოლო თუკი გლეხს, თავ-ბეგარასთან ერთად ან მის გარეშე, დამატებითი ბეგარა (ძღვენი, საპურობო და სხვ). მართებდა, ის, როგორც წესი, საბეგრო ნუსხაში კონკრეტულად იყო ნაჩვენები, რადგან მისი შემადგენლობა და ნორმა ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა გლეხისათვის სხვადასხვა იყო. ე. ი. „მთელ“ ან „სრულ ბეგარაში“ დამატებითი ბეგარა არ შედის. „მთელი“ ან „სრული ბეგარა“ მხოლოდ თავი-ბეგარაა.

ესევე თავი-ბეგარა უნდა იყოს „ა ლ ა გ ი ს ბ ე გ ა რ ა ც“, რომელსაც, 1675—1680 წლების ახლო ხნის ერთი შეწირულების წიგნის მიხედვით, ყმა გლეხი ხუხუ ოდიშარია წინათ სუჯუნის წმინდა გიორგის „ხატს“ აძლევდა. აღნიშნულ წლებში კი გაბრიელ ჭყონდიდელმა მას (ოდიშარიას) „ა ლ ა გ ი ს ბ ე გ რ ი ს“ მაგივრად ამ ხატის სასარგებლოდ მხოლოდ „ათი ლოღარიკონი სამთელი, ერთი ნარგისი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმეველი“ დააკისრა[50]. „ამის მეტი“ დასახელებულ გლეხს ახლა „არც ლაშკრობა, არც ნადობა, არც შინაყმობა, არც მუახლობა, არც სხვა საქმობა, არაფერი სხვა უდიერობა“ არ ევალებოდა[51].

გამოდის, რომ მისი ვალდებულებიდან მებეგრე გლეხისათვის ნიშანდობლივი თავი-ბეგარა — საკლავი (ღორი), ღომი, ღვინო, ქათამი ამოუღიათ. ყოველ შემთხვევაში, მისთვის ახლად გადაკვეთილ ვალდებულების ნორმაში ეს ბეგარა არ ჩანს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ოდიშარიას სანთლის, ზეთისა და საკმეველის გამოსაღე-

---

48 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 307 (ხაზი ჩვენია — ო. ს.).

49 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 306; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 124.

50 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 78.

51 იქვე.

ბი „ალაგის ბეგრის“ სანაცვლოდ დაედო, მაშინ წინანდელ „ალაგის ბეგარაში“, რომელიც მას შეუცვალეს, სწორედ თავი-ბეგარა უნდა ვიგულისხმოთ. „ალაგი“ აქ საგლეხო მიწას, საკომლოს ნიშნავს და საკომლოს ბეგარა სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა თავი-ბეგარა! (თავ-ბეგრის ამოკვეთა კი თავისთავად მებეგრე გლეხის აღზევებას, აზატ ან მსახურ გლეხთა კატეგორიაში გადასვლას ნიშნავდა).

5. „უსახელო ბეგარა“

„უსახელო ბეგარა“ ის ბეგარაა, რომლის შემადგენლობა საგადასახადო დავთრებში ნაჩვენები არ არის[52]. ასეთი შემთხვევა კი საკმაოდ ბევრია. მაგალითად: იხსენიება „ბეგარა“, „I ბეგარა“, „2 ბეგარა“, „3 ბეგარა“[53] და სხვ. ლ. მუსხელიშვილმა ყურადღება მიაქცია უსახელო ბეგარას და აღნიშნა: „რა არის თვით „ბეგარა“, ზოგან „ორი“, ან „სამი ბეგარა“, თუ თავი-ბეგარა არაა, ჯერჯერობით კითხვადვე რჩებაო“[54].

ეს „კითხვა“ გაარკვია მ. სანაძემ: სიტყვა „ბეგრის“ ვიწრო მნიშვნელობის განხილვისას მან მიუთითა: „ტერმინი „ბეგარა“, თუ ერთ შემთხვევაში უდრის თავ-ბეგარას, სხვა შემთხვევაში აღნიშნავს დავთრებში ღორის გამოსაღებსო“[55]. ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ საჭიროა ზოგი რამ დაზუსტდეს. სახელდობრ: როდის უდრის „ბეგარა“ თავ-ბეგარას და როდისაა ის („ბეგარა“) ღორის ანუ საკლავის გამოსაღები:

დასავლეთ საქართველოს საბეგრო ნუსხების „საკლავი“ რომ ღორს ნიშნავს და ეს უკანასკნელი თავი-ბეგარის მთავარი და მებეგრე გლეხის ვალდებულების დამახასიათებელი ნიშანდობლივი ნაწილია, დიდი ხანია დადგენილია ქართულ ისტორიოგრაფიაში[56]. ასე რომ, თუ „ბეგარა“ ზოგ შემთხვევაში ღორის გამოსაღებს უდრის, მაშასადამე, ის უდრის საკლავსაც.

ღორს ანუ საკლავს „უსახელო ბეგარა“ მაშინ უდრის, როცა მას ერთვის რიცხვითი სახელი — ერთი, ორი თუ სამი და სხვ. ეს იმიტომ, რომ გლეხს მისი ვალდებულების ძირითადი ნაწილის აღმნიშვნე-

---

52 ასეთ ბეგარას ლ. მუსხელიშვილი „უსახელო ბეგარას“ უწოდებს (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 302, 309, შენიშვნა 1).

53 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 419—422.

54 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 302, შენიშვნა 2.

55 მ. ს ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

56 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 276 (შენიშვნა I), 315; ო. ს ო ს ე ლ ი ა, აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში..., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 193.

ლი თავი-ბეგარა მხოლოდ ერთი მართებდა და დავთრებში მას რიცხვითი სახელის ან სახელწოდების (თავი-ბეგარა) დართვა არ ჭირდებოდა[57].

ღორი ანუ საკლავი კი, რომელიც, როგორც ითქვა, ხშირად საკუთრივ „ბეგრით“ აღინიშნებოდა, გლეხს რამდენიმე მართებს (ერთი, ორი ან მეტი — თავ-ბეგრისა და ზოგჯერ კიდევ — დამატებითი ბეგრისა). ამიტომ ღორის ანუ საკლავის აღმნიშვნელ „უსახელო ბეგარას“ მისი რაოდენობის მაჩვენებელი რიცხვითი სახელი უნდა დართვოდა. ასეცაა ეს, მაგალითად, საკათალიკოსო გლეხების ნაჟანეულის 1621 წლის ბეგრის ნუსხაში[58].

ამგვარად, „უსახელო ბეგარა“ დასავლეთ საქართველოს გლეხთა საგადასახადო დავთრებში თავ-ბეგარას უდრის იმ შემთხვევაში, როცა ის რიცხვითი სახელის გარეშე იხსენიება, ხოლო ღორის ანუ საკლავის გამოსაღებს აღნიშნავს მაშინ, როცა რიცხვითი სახელი ერთვის. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ერთ შემთხვევაში არაა გამორიცხული.

6. „გესტური საყანო“

„გესტური საყანო“ იხსენიება 1616—1621 წლებში შედგენილ საცაიშლოს გამოსავლის დავთარში. ამ დავთარში შეტანილ „ჭალაის სასახლის მიმდგომ კაცების“ ბეგრის ნუსხაში ვკითხულობთ: „მართებს ხუთს სასახლის კაცსა გესტური საყანო“[59]. სხვაგან ეს გამოსაღები არსად არ ჩანს.

გვხვდება ცალკე „საყანე ბეგარა“, „საყანე“[60], რაც უთუოდ იგივე „საყანოა“[61].

„საყანე“ ანუ „საყანე ბეგარა“ განიხილა და მისი შემადგენლობა და დანიშნულება მართებულად განსაზღვრა მ. სანაძემ. მკვლევრის დაკვირვებით, ეს ბეგარა „ძირითადად 1 ან 2 ღორისაგან შედგებოდა“, ზოგჯერ კიდევ — 20 კენჭი ყველისა, მისი ღომისა და ღვინოსაგან. აღნიშნული ბეგარა იკრიფებოდა „ბატონის ყანაში მომუშავე გლეხების გამოსაკვებად“[62].

---

57 იხ. ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 275—276.
58 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 419—422.
59 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 468.
60 იხ. იქვე, გვ. 413—414, 421, 423.
61 იხ. და შდრ. იქვე, გვ. 413—414.
62 მ. სანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

ეს სწორედ ასეა. მაგრამ რას ნიშნავს „გესტური საყანო“, ხომ არ აძლევს ტერმინი „გესტური“ „საყანეს“ სხვა შინაარსს, ეს გაურკვეველი დარჩა.

რას გულისხმობს სიტყვა „გესტური“, გადაჭრით თქმა ძნელია. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „გესტი“ სოფლის, კუთხის თუ ადგილის სახელია, ხოლო „გესტური“ კი ნიშნავს „გესტიდან“-ს, ე. ი. „გესტიდან“ მოტანილ „საყანეს“. მაგრამ ასეთი სოფელი ან უბანი ოდიშის სამთავროში, სადაც ცაიშელი ეპისკოპოსის სამწყსო იყო და მას ხსენებულ გადასახადს („გესტურ საყანოს“) აძლევდნენ, არ ჩანს არც ძველად და არც ამჟამად. ყოველ შემთხვევაში ოდიშში როდისმე ასეთი სოფლის ან ადგილის არსებობა ჩვენთვის უცნობია.

თუ მაინც ვიტყვით, რომ „გესტი“ სოფლის სახელია და იქიდან ცაიშელ მღვდელთმთავარს გამოსაღები — „გესტური საყანო“ ეძლეოდა, მაშინ რატომაა ის შეტანილი ჭალაის ნუსხაში? რატომ არაა ცალკე „გესტის“ გამოსაღებთა ნუსხა ისე, როგორც სხვა სოფლებისა არის?! ან რით განსხვავდებოდა „გესტური საყანო“ სხვა „საყანესაგან“, ეს გაუგებარია.

დასაშვებია ერთი რამ: შეიძლება „გესტური“ დამახინჯებული მეგრული სიტყვა „გესური“ იყოს, რაც გაისტუმრეს, გადაიხადეს უდრის. აქედან „გესური საყანო“ არის ბატონის ყანაში მომუშავე გლეხების გასასტუმრებელი, გამოსაკვები „საყანე“ (ყველი, ღომი, ღვინო).

„გესტური საყანოს“ ასეთ გაგებას თითქოს რამდენადმე მხარს უჭერს საგადასახადო ნუსხაში ხუთი „კაცისთვის“ ანუ კომლისათვის ამ გადასახადის ერთად გაწერა და „გესტური საყანოს“ ფორმით მისი მხოლოდ ერთხელ ფიქსირება[63], რაც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ისინი ერთად იხდიან „საყანეს“.

ამგვარად, თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ „გესტური“ თუ „გესური საყანო“, „საყანე ბეგრის“ გადახდას, გასტუმრებას უნდა ნიშნავდეს და მისი შინაარსი თუ შემადგენლობა და დანიშნულებაც იგივე უნდა იყოს, როგორიცაა ზემოთ ნაჩვენები ჩვეულებრივი „საყანეს“ შემადგენლობა-დანიშნულება.

7. „ნ ა ა ფ ა ქ ი ო“

ეს სიტყვა გვხვდება მხოლოდ საცაიშლო გამოსავლის დავთრის „ჩოხათის მიმდგამ“ გლეხთა გადასახადების ნუსხაში (1616—1621 წწ.).

---

[63] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 468.

ამ ნუსხით სამ კომლ გლეხს, სხვა გამოსაღებთან ერთად, მართებს: „3 ატარი ღომი ნ ა ა ფ ა ქ ი ო“[64].

„ატარი“ ხის ჯამს ეწოდება და ზომის გარკვეული ერთეული იყო. მაგრამ აქ ჩვეულებრივ ატართან არა გვაქვს საქმე. ეს ატარი არის „ნ ა ა ფ ა ქ ი ო“, რაც მეგრულად ნიშნავს აფაქიას ნაქონებს, აფაქიას ყოფილს თუ აფაქიასეულს[65].

ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი, მაგალითად, სიტყვა „ნაკვარნახუ“, რომელიც ნინო ოდიშის დედოფლის 1803—1811 წლების ერთ განჩინების წიგნში ადგილის სახელად იხსენიება და თვით ამ საბუთში, სავსებით მართებულად, „კვარნახიასოულ“-ად არის მიჩნეული[66].

ასევე უფრო ადრინდელ, ლევან II დადიანის 1642 წლის შეწირულების წიგნში „ნაყუფუნოუ“ გაგებულია „ყუფუნიასსეულად“[67].

სწორედ ასე, აფაქიასეულად უნდა გავიგოთ „ნა-აფაქიოც“, ე. ი. ჩოხათში შემავალი სამი კომლი გლეხიდან თითოეული იხდიდა სამ ატარ (ჯამ) ღომს თვით აფაქიასეული ჯამით ან იმ ადგილის ჯამით, რომელიც აფაქიას ჰქონდა ან მისი ნაქონი იყო.

ჩვენ არ ვიცით რა მოცულობისა იყო, რამდენს იწონიდა აფაქიასეული („ნა-აფაქიო“) ჯამი, მაგრამ ასეთი ჯამი რომ ყოფილა, ეს კი ცხადია.

გვარსახელი აფაქია ქართული აფაქიძის მეგრული ფორმაა. აფაქია, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძირძველი წარჩინებული გვარი იყო ოდიშში და სულ არაა გასაკვირი, რომ აქ ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ამ თავადურ გვარს თავის სამფლობელოში თავისი საზომი ერთეული ჰქონოდა, ის სხვაგანაც ყოფილიყო გავრცელებული და შემდეგ (XVII საუკუნის პირველ მეოთხედში) „ნააფაქიო“ ატარის სახელით დარჩენილიყო.

ამგვარადვე უნდა გავიგოთ „ნ ა-გ უ შ უ ო ატარი ღომის“ მნიშვნელობაც, რომელიც იმავე საცაიშლოს გამოსავლის დავთრის „ჭალის სასახლის მიმდგომ“ ექვსი კომლი გლეხის ვალდებულებათა ნორმებშია შეტანილი[68].

---

64 იხ. იქვე, გვ. 466.

65 „სეული“-ს სინონიმია „სოული“. ორივე ფორმა ხშირად გვხვდება დასავლეთ საქართველოს დოკუმენტებში.

66 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., II, გვ. 169—170.

67 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 6740.

68 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 467 (ხაზი ჩვენია — ო. ს.).

8. „ქ ა ნ დ ა ქ ი“

მრავალ გადასახადთა შორის ყმა გლეხი იხდიდა ეგრეთ წოდებულ „ქ ა ნ დ ა ქ ს ა ც“. ეს გადასახადი ხშირად იხსენიება აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში (1621 წ.). მისი მნიშვნელობა გაურკვეველია.

„ქანდაქ“, „ქენდექ“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს თხრილს, ტრანშეას (ров, траншея)[69]. მაგრამ ამას ჩვენი დავთრის ქანდაქთან შინაარსობრივად არავითარი კავშირი არა აქვს. ყოვლად შეუძლებელია გლეხებისათვის ნატურით გამოსაღებად თხრილი, ტრანშეა გაეწერათ. სულ სხვაა, რომ იყოს თხრილის თხრა თუ სატრანშეო თხრილის გაკეთება, რომელიც შეიძლებოდა გლეხის შრომით ვალდებულებაში შეეტანათ, მაგრამ ეს ასე არ არის.

ზემოაღნიშნულ დავთარში ქანდაქი სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება:

მართებთ გლეხებს, სხვა გამოსაღებთან ერთად, „I ქანდაქის ფასი საყანე ღორი“[70]; „ერთის ქანდაქისა საყანე ღორი“; „I ქანდაქის ფასი საყანე საკლავი“ („საკლავი“ იგივე ღორია); „ერთის ქანდაქის ფასი ღორი“[71];

„I საქანდაქო ღორი“; „I საქანდაქო საყანო ღორი“; „საქანდაქო მჭიფები“[72].

„საყანე“[73] ოცდასამი თითოს ქანდაქის ფასი კუამლის თ(ა)ვ ზ(ედ)ა“; „ერთი ქანდაქი „სამოგვე“: „სამეჯოღორო ერთის ქანდაქის ღორი“; „ერთს წელიწადს ერთი ქანდაქი და მეორეს წელიწადს 2 ქანდაქი „უფროს უმცროსი“ (იგულისხმება „საკლავი“, ე. ი. დიდი და მომცრო ღორი)[74];

„საკლავისა ქანდაქი და სამოგვე“; „ქანდაქი და სამოგვე“; „ერთს წელსა ქანდაქი, მეორეს სამოგვე“; „2 ქანდაქი საკლავისა“; „2 ქანდა-

---

[69] იხ. М. А. Г а ф ф а р о в, Персидско-русский словарь, т. II, М., 1976, с. 670; Персидско-русский словарь в двух томах, т. II, под ред, Ю. А. Рубинчика, М., 1970.

[70] იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 19.

[71] იხ. იქვე, გვ. 19—20, 22.

[72] საკათალიკოსო დავთარი, გვ. 23—24.

[73] „საყანე“ ამ შემთხვევაში ღორს გულისხმობს. სხვა შემთხვევაშიც საყანე // საყანო უფრო მეტად ღორს ნიშნავს. მაგრამ ეს სიტყვა ზოგჯერ, როგორც ითქვა, ბატონის ყანაში მომუშავე გლეხების გამოსაკვებად დაწესებულ გამოსაღებსაც აღნიშნავდა, რომელიც რამდენიმე კენჭი ყველისა, მისი ღომისა და ღვინისაგან შედგებოდა (იხ. მ. ს ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 173).

[74] იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 28—29, 32.

ქი ჯმ(ე)ლი ბეგარაჲ, მესამეს წელიწადსა ქანდაქი და სამოგუე"[75]; „4 ქანდაქი ჯმ(ე)ლის ბეგრისა, საკლავისა ქანდაქი და სამოგვე"; „2 ქანდაქი ჯმ(ე)ლი ბეგრისა, ქანდაქი და სამოგვე საკლავისა"[76];

„სამი ქანდაქი ბეგარა"; „4 ქანდაქი ბეგრისა..." (უნდა იგულისხმებოდეს „ჯმელი ბეგრისა")[77]; „2 ქანდაქი"; „2 ქანდაქი და 2 სამოგვე"; „ბეგარი ქანდაქი და სამოგვე"; „3 ქანდაქი ბეგარი; „ბეგარი 2 სამოგვე, 2 ქანდაქი"; „ქანდაქი I"; „ქანდაქი დ სამოგვე, მეორე ქანდაქი ბეგარაჲ"[78]; „I ქანდაქი ბეგარაჲ"[79].

ზემოთ მოტანილი ამონაწერები, მათი სახეობათა მიხედვით, შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

1. I ქანდაქი ბეგარა, 4 ქანდაქი ბეგრისა, 2 ქანდაქი ჯმელი ბეგრისა, 3 ქანდაქი ბეგარი, ბეგარი ქანდაქი და სამოგვე;

2. ერთი ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ერთი ქანდაქის ფასი საყანე საკლავი, ერთი ქანდაქის ფასი ღორი, სამეჯოღორო ერთი ქანდაქის ღორი;

3. ერთი საქანდაქო ღორი, ერთი საქანდაქო საყანო ღორი, საქანდაქო მჭიფები;

4. საკლავისა ქანდაქი და სამოგვე, ორი ქანდაქი საკლავისა, ოთხი ქანდაქი ჯმელი ბეგრისა;

5. ერთი ქანდაქი სამოგვე, ქანდაქი და სამოგვე.

დაჯგუფებულ ამონაწერთაგან, პირველ ყოვლისა, აშკარად ჩანს, რომ ქანდაქი ღორთან არის დაკავშირებული. წარმოდგენილი ჯგუფებიდან ქანდაქის შინაარსის გასარკვევად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მეოთხე ჯგუფი:

---

[75] იხ. იქვე, გვ. 33—34. „ჯმელი ბეგარა", როგორც ზემოთ აღინიშნა, ხმელი, შეკომლილი ღორის ხორცი — შაშხი იყო (იხ. ო. სოსელია, საგლეხო ვალდებულებანი.... გვ. 77).

[76] საკათალიკოსო დავთარი, გვ. 34.

[77] იქვე, გვ. 35.

[78] იხ. იქვე, გვ. 36—38.

[79] იქვე. გვ. 38.

აღსანიშნავია, რომ საკათალიკოსო გლეხების ვალდებულებათა ნორმებში ზოგჯერ გვხვდება: „2 ქანდაქი საპურობო" ან „საპურობო ქანდაქი და სამოგვე" (იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 36—37). ასეთ შემთხვევაში სასვენი ნიშნის (მძიმის) არასწორად დასმასთან გვაქვს საქმე. უნდა იყოს: „2 ქანდაქი, საპურობო..." ან კიდევ — „საპურობო, ქანდაქი და სამოგვე".

აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის ს. კაკაბაძისეულ გამოცემაში „ქანდაქსა" და „საპურობოს" შორის მძიმე ხან ზის, ხან არა (იხ., მაგალითად, გვ. 36—38). ასევეა ი. დოლიძის პუბლიკაციაშიც. მაგრამ იქ „ქანდაქი" „საპურობოსაგან" უფრო ხშირად გამოყოფილია მძიმით (იხ. და შდრ., მაგალითად, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 431—433).

საკლავი, როგორც ითქვა, ღორია. ჯმელი ბეგარა კიდევ ხმელი, შეკომლილი ღორის ხორცი — შაშხია. ამასთან, როგორც აღნიშნული ჯგუფის ამონაწერებიდან ჩანს, ქანდაქი საკლავის, ჯმელ ბეგრისა ანუ ღორისაა. ე. ი. ის ღორისაგან მიიღება. ხოლო მეხუთე ჯგუფის ამონაწერის მიხედვით, იგი სამოგვეედ — საჩექმედ[80] გამოიყენება („1 ქანდაქი სამოგვე“)[81]. გამოდის, რომ ქანდაქი ღორის ტყავია. მართლადაც, „ქანდაქი სამოგვე“ სხვა რა შეიძლება იყოს, თუ არა ტყავი.

მაგრამ ახლა ისმის კითხვა: თუ ქანდაქი ღორის ტყავი ან საერთოდ ტყავია, რატომაა ის საგლეხო გამოსაღებთა ნორმებში ხშირად სამოგვესთან დაპირისპირებით დასახელებული? („ქანდაქი და სამოგვე“)[82]. სამოგვეც ხომ ტყავი იყო!

ჩვენი აზრით, აქ საქმე შემდეგშია:

გლეხები ტყავს ამზადებდნენ უმეტესად როგორც ღორის, ისე ძროხისა და ხარის ტყავისაგან. ხარის ტყავისაგან უფრო მაღალი ხარისხის ტყავი გამოდიოდა, ვიდრე ძროხისა და ღორის ტყავისაგან. ამასთან, სამივეს ტყავის ზურგის ნაწილი სხვა ნაწილებისაგან განსხვავდებოდა სიმაგრით თუ გამძლეობით.

გამოყვანილი ტყავი გარკვეული ზომის მოგრძო შოლტებად იჭრებოდა იმის მიხედვით, თუ რისთვის იყო განზრახული მისი გამოყენება. ღორის ტყავისაგან უფრო თასმებგაყრილ ქალამნებს კერავდნენ. „ქალამანი მობაწრულ ფეხსაცმელს“ ეწოდებოდა (საბა). სამეგრელოში ასეთ ფეხსაცმელს „კანიში ჩაფლას“[83] ეძახდნენ. საქალამნედ და სამოგვეედ („საჩექმედ“) გამოქნილი ტყავი ხარისხით და ღირსებით ერთმანეთისაგან განსხვავებოდა.

ქანდაქი, როგორც ჩანს, საერთოდ, შოლტებად აჭრილი ტყავი იყო. მაგრამ უბრალო საქალამნე ტყავის შოლტი მისი ხარისხის გამო საკათალიკოსო გლეხების გამოსაღებთა დავთარში მასზე უფრო მაღალი ხარისხისა და მეტი ზომის სამოგვე („საჩექმე“) ტყავის შოლტთანაა დაპირისპირებული. ამით აიხსნება ის, რომ საგლეხო ვალდებულებათა ნორმებში „ქანდაქი და სამოგვე“ ერთმანეთისაგან გამიჯვნით არის დასახელებული.

ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია, რომ „I ქანდაქი ბეგარა“, „3 ქანდაქი ბეგარი“ და მსგავსი სხვა გულისხმობს იმას, რომ გლეხს მართებს ბეგარად ერთი თუ სამი შოლტი გამოყვანილი ტყავი. ხოლო „ქან-

---

80 „ჩექმა“ — საბას განმარტებით, — „სხუათა ენაა, ქართულად — მოგვი.

81 იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 29.

82 იქვე, გვ. 33—39.

83 ქართულად — ტყავის ქალამანი.

დაქი ბეგრისა“, „ქანდაქი ჭმელი ბეგრისა“ ან „ქანდაქი საკლავისა“ არის კონკრეტულად ღორის ტყავის შოლტი.

ასევე „საქანდაქო ღორი“, „I საქანდაქო საყანო ღორი“ ნიშნავს სატყავე ან ისეთ ღორს, რომლისგან ტყავის გაძრობა შეიძლებოდა. ე. ი. მოდიდო ან დიდ ღორს.

მაგრამ რაღას ნიშნავს ზემოხსენებული „საქანდაქო მჭიფები“?

„საქანდაქო“, როგორც ითქვა, სატყავეა. „მჭიფები“ კი მეგრული სიტყვა „ჭიფე“-სგან წარმოსდგება, რაც ნიშნავს ვიწროს. მისგანვე ნაწარმოები „ჭიფანეფი“ უდრის პატარებს[84]. „მჭიფებიც“ სატყავედ განკუთვნილ პატარა ღორს ან გოჭებს თუ გოჭს გულისხმობს.

ქანდაქი ანუ დამუშავებული ტყავის შოლტი დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნეში, და უთუოდ ადრეც, ღირებულების ერთგვარი გამომხატველი იყო. მასზე გარკვეული ფასი ყოფილა დადებული („I ქანდაქის ფასი საყანე ღორი“)[85]. ასე იყო ეს გვიანაც. მაგალითად, იმერთა მეფის სოლომონ II-ის ბრძანებით, მამია გურიელის მიერ დაწესებულ 1808 წლის 25 ივლისის „ნიხრდებულებით“, „хорошая ланча (кожа для сапога)“ ღირდა ერთი „რუბი“.[86]

ასე რომ, „I ქანდაქის ფასი საყანე საკლავი“ ან „ერთის ქანდაქისა საყანე ღორი“[87] ერთ შოლტ ტყავად ღირებული ღორია.

აქვე უნდა შევჩერდეთ ზემოაღნიშნულ „სამეჯოღორო ქანდაქზეც“.

მეგრული სიტყვა „ჯოღორი“ ძაღლის შესატყვისია. „მეჯოღორე“ სიტყვა-სიტყვით მეძაღლეა, ხოლო „სამეჯოღორო“ — მეძაღლისათვის ანუ „კერძუალი“ თუ „კურძუალისთვის“ (ბატონის მწევარ-მეძებრის მზრდელთა და მწვრთნელთათვის) განკუთვნილს გულისხმობს. ჩანს „სამეჯოღორო ქანდაქი“ იყო სპეციალური დანიშნულების გამოსაღები, რომელსაც გლეხები ტყავით იხდიდნენ საგანგებოდ კურძუალების შესანახად.

ამგვარად, საგლეხო გამოსაღებთა დავთრების „ქანდაქი“ ყველა შემთხვევაში გამოყვანილი და შოლტებად აჭრილი ტყავია.

---

84 იხ. И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. СПб,, 1914.

85 საკათალიკოსო დავთარი, გვ. 22—23.

86 იხ. Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878, с. 330.

„რუბი“ არის „მეოთხედი“, „პიასტრის მეოთხედი“, „ათფარიანი თეთრი“ (იხ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, დანართი, I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები შეადგინა მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1957, გვ. 32).

რაფ. ერისთავის ცნობით, რუბი უდრიდა $2^1/_2$ კაპიკს (იხ. ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 106).

87 საკათალიკოსო დავთარი, გვ. 19—20.

9. „მ ო ი ნ ა ლ ო ბ ა“

ტერმინი „მოინალობა“, „მოინალე“ მიღებულია მეგრული სიტყვა „ნინალა“-დან, რაც ნიშნავს სამსახურს, „მოინალე“ კი — მოსამსახურეს.

მოინალე, როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნემდე იხმარებოდა მებეგრე გლეხთა კატეგორიის აღსანიშნავად. ამ კატეგორიის გლეხისათვის „XVI საუკუნეში და ნაწილობრივ, საფიქრებელია, XVII საუკუნეშიც იმერეთში ჯერ კიდევ მეგრული ტერმინი (მოინალე) იყო ხმარებაში“[88]. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ადრე „მეგრელიზმები ქვემო იმერულ კილოში უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი“[89]. XVIII საუკუნეში კი მოინალეს „ეკვივალენტად“ თანდათან ვრცელდება მესეფე[90] და მებეგრე.

რაც შეეხება სიტყვა „მოინალობას“, გვხვდება იგი აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში (1621 წ.). ეს სიტყვა ფართო გაგებით, უთუოდ, მოინალე გლეხთა ყოველგვარ ვალდებულებას გულისხმობდა. მაგრამ აღნიშნული დავთრის საგლეხო ვალდებულებათა ნომენკლატურაში „მოინალობა“ ყველგან ვიწრო გაგებით იხმარება.

ავიღოთ, მაგალითად, ამ დავთარში შეტანილი ხიბულას საკათალიკოსო გლეხების გამოსავალთა ნუსხა. აქ მხოლოდ ექვს კომლს მართებს „მოინალობა“ და, ამასთან ერთად, ექვსივეს ევალება „ყ(ოვ)ლი!ს დღის მოინალობა და სასახლის სამსახური“ და აგრეთვე სხვადასხვა ნატურითი გამოსაღები[91].

ნაჟანეულისა და სუბვის ნუსხებით კი აქაურ გლეხთა მეტად მცირე ნაწილს მართებს მოინალობა (ყოველი დღის სასახლის სამსახურის გარეშე) და მეტ-ნაკლები რაოდენობით ნატურითი გამოსაღებები[92].

კერძოდ, სუბვის ნუსხის ერთი კომლის („სუბეის ღუაჯაგიას“) ვალდებულება, სხვებისგან განსხვავებით, მხოლოდ მოინალობით განისაზღვრება[93].

როგორ უნდა გავიგოთ საერთოდ და კერძოდ ამ ნუსხების მოინალობა და ყოველი დღის სასახლის სამსახური?

---

88 ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები..., საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 20.

89 მ ი ს ი ვ ე, ქუთაისის საყდრის დავთრის უძველესი ნაწილი, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 245.

90 მ ი ს ი ვ ე, მასალები..., საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 41.

91 იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 23—24.

92 იხ. იქვე, გვ. 25—26, 33.

93 იქვე გვ. 33.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს ყურადღება მიაქცია მ. სანაძემ. მან განიხილა ზემოაღნიშნულ ნუსხათა თუ სხვა წყაროთა მონაცემები და „მოინალობა“ და „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“ ერთი და იგივე ვალდებულებად ჩათვალა[94]. ხოლო ერთსა და იმავე საგლეხო ვალდებულების ნორმაში ცალ-ცალკე, ერთმანეთის გვერდით „მოინალობისა“ და „ყოველის დღის სასახლის სამსახურის“ მოხსენების შემთხვევაში, „ყოველის დღის სასახლის სამსახური“ მკვლევარმა მეგრული ტერმინის — „მოინალობის“ განმარტებად მიიჩნია[95].

მაგრამ ეს ასე არ არის. მოინალობისა და ყოველი დღის სასახლის სამსახურის ასეთი ახსნა ნაძალადევია.

ჩვენი აზრით, მოინალობა კონკრეტულად (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) მოინალე გლეხის კომლიდან მისი ერთი წევრის ბატონის კარზე „მოინალედ“, შინაყმად გამოყვანას ნიშნავს. ეს მოინალეს ევალება, ვითარცა მებეგრე გლეხს. ხოლო „ყოველის დღის სასახლის სამსახური“ მოინალეს იმავე კომლის სხვა წევრის ბატონის პირად საკარმიდამო მეურნეობაში ყოველგვარი „სამსახურის“ შესრულებას გულისხმობს. იქნება ეს თოხნა, ბარვა, ტვირთის ზიდვა თუ სხვა.

ამგვარად, „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“ მეგრული ტერმინის „მოინალობის“ „განმარტება“ თუ „შინაარსი“ კი არ არის, არამედ „მოინალობა“ და „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“ ორი სხვადასხვა ვალდებულებაა და შემთხვევითი არაა, რომ საგლეხო ვალდებულებათა ნორმებში სწორედ ასედაც არის ისინი შეტანილი.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ:

საკათალიკოსო დავორის თუ სხვა წყაროს „მოინალობა“, შინაყმობა ანუ შინაყმის გამოყვანაა. ხოლო „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“ ბატონის სასახლის კარმიდამოში ყოველგვარ სამსახურს ანუ მუშაობას გულისხმობს.

ამასვე გულისხმობს „ყოვლის დღის მოინალობა და სასახლის სამსახურიც“, რომელიც ორ შემთხვევაში ხიბულას მოსახლე მოინალეებს (ამრცალაჲ და მაჭიხოლა ქავთარიებს) მართებთ[96] და რომელიც „მოინალობისა“ და „ყოვლის დღის სასახლის სამსახურის“ ვარიანტია.

აქ ერთი გარემოება მოითხოვს განმარტებას.

ზემოხსენებულ ხიბულის ნუსხაში გვხვდებიან გლეხები, რომელთაც, სხვა გამოსაღებთან ერთად, მართებთ „ყოვლის დღის მუშაობა“[97], რომლის კონკრეტიზაცია შეიძლება იყოს იქვე მიწერილი:

---

[94] იხ. მ. სანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 112—117.

[95] იქვე, გვ. 112.

[96] იხ. საკათალიკოსო დავთარი, გვ. 23—24.

[97] იქვე, გვ. 19—24.

„ტვირთის ზიდვა, პურის მკა, ყურძნის კრება, თივის თიბვა“ და სხვ[98].

ჩნდება კითხვა: რა მიმართებაშია ერთმანეთთან „ყოვლის დღის მუშაობა“ და „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“, ხომ არ არის ეს ორი ერთი და იმავე შინაარსის გამომხატველი საგლეხო ვალდებულება?.

„ყოვლის დღის სასახლის სამსახური“, როგორც ითქვა, ბატონის კარმიდამოში მუშაობაა. მაგრამ ბატონის მეურნეობა მისი მხოლოდ საკარმიდამო მეურნეობით (ბაღ-ბოსტნით, ჭურ-მარნით და სხვ.) არ განისაზღვრებოდა. მისი პირადი მეურნეობა მოიცავდა აგრეთვე კარმიდამოსგან რამდენადმე დაცილებულ საყანეებს, სათიბებს, ვენახ-ხარდნებს, საღობ-საჯოგეებს, სათევზო ტბებსა და მდინარეებს და სხვ.

„ყოვლის დღის მუშაობა“ კი იყო სწორედ ბატონის კარ-მიდამოს გარეთ არსებულ, საერთოდ, მის პირად მეურნეობაში ყოველდღიური მუშაობა. ამდენად, სამუშაოს ზონისა და ნაწილობრივ შინაარსის ან სახესხვაობათა (ყანაში მუშაობა თუ სხვ.) მიხედვით, „ყოვლის დღის მუშაობა“ მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდა სპეციალური ზონის (კარმიდამოს) „ყოვლის დღის სასახლის სამსახურისა“ ან მუშაობისაგან.

ამრიგად, ვიმეორებთ: „მოინალობა“ ვიწრო გაგებით შინაყმობაა; „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“ ბატონის საკარმიდამო მეურნეობაში მუშაობა-სამსახურია, ხოლო „ყოვლის დღის მუშაობა“ კი — საკარმიდამო მეურნეობის გარეთ მუშაობა.

10. „ჯ ო ხ ი ს გ დ ო“

ფეოდალური ხანის დასავლურ ქართულ გამოუქვეყნებელ საბუთებს შორის გვხვდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკური ისტორიის ამსახველი მრავალი მნიშვნელოვანი საბუთი. მათგან ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთი დოკუმენტი, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა. იგი სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტია და საყურადღებოა როგორც სასამართლო პროცესის ფორმის თვალსაზრისით, ისე ყმა გლეხის, კერძოდ, მოჯალაბის საკუთრების უფლების გასათვალისწინებლად. მაგრამ ჩვენ მეტადრე გვაინტერესებს ამ საბუთში მოხსენიებული „ჯ ო ხ ი ს გ დ ო“, რომელიც ჯოხის ერთგვარ ნაჭერს, მონაკვეთს უნდა ნიშნავდეს. იგი ლიხთ-იმერეთში (ოდიშში) მიღებული ყოფილა ხელწერილის სანაცვლოდ ან ხელწერილის თუ პირობის წიგნის სიმბოლოდ.

---

[98] საკათალიკოსო დავთარი, გვ. 19—24.

საბუთში მოჩივრის მოპასუხე სასამართლოს წინაშე ამბობს: როცა ადგილ-მამული ვიყიდე, „მაშინ წიგნობა არ იყო (ე. ი. წიგნიერი იშვიათად იყო თუ ქაღალდი არ ჰქონდათ, ო. ს.) რომ მოეცა და ჯ ო ხ ი ს გ დ ო[99] იცოდენ და ის მომცა“ გამყიდველმა მიწის ნასყიდობის მოწმობადო.

ეს ტერმინი ამ ერთ საბუთს გარდა, სხვა ჩვენთვის ცნობილ არც ერთ წყაროში არ იხსენიება.

აღსანიშნავია, რომ ძველად საქართველოში ნასყიდობის, პიროობის თუ სხვა საბუთი ჯოხის ნაჭერზედაც იწერებოდა. მესტიის (სვანეთი) მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მრავლადაა დაცული ხის ანუ ჯოხის ნაჭერზე დაწერილი საბუთი. ჩანს, რომ დაუწერელი „ჯოხის გდოც“ (შეიძლება ზედ გამოსახული რაიმე ნიშნებით) საბუთის დანიშნულებას ასრულებდა. ამდენად, თვით სიტყვა „ჯოხის გდო“ იურიდიული მნიშვნელობის ტერმინია.

ცნობილია, რომ შუასაუკუნეების გერმანიაში „Передача земельных участков происходила в порядке инвеституры с соблюдением символических обрядов (передача палочки, „устами и рукой“, т. е. рукопожатием и соответственными заявлениями)“[100]

რამდენადმე ანალოგიურ წეს-ჩვეულებას ჰქონია ადგილი XIX საუკუნის 20-იანი წლების წინარე და, უნდა ვიფიქროთ, ადრინდელ ხანაშიც ოდიშის სამთავროში.

საბუთის შინაარსი მოკლედ ასეთია:

ოდიშის სამთავროს თავადი ქაიხოსრო მხეიძის მოჯალაბე წიწაია გულუას თავისი ადგილ-მამული მხეიძის „კაცი“ სიმონიკა ბჟალავასათვის მიუცია. მოჯალაბე გუგულას სიკვდილის შემდეგ მხეიძე უჩივის ბჟალავას სასამართლოში: ჩემს მოჯალაბეს ადგილ-მამული შენთვის დაუწინდებია მხოლოდ და არ მიუყიდია, უნდა დამიბრუნოო. სასამართლოს გადაუწყვეტია: ფიცით გამოირკვეს, ნაყიდი იყო გულუას ადგილ-მამული ბჟალავას მიერ, თუ იგი მას საწინდრად ჰქონდა მიცემული და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მხეიძეს არაფერი ცოდნია იმ გარიგების შესახებ, რომელიც მის მოჯალაბეს ბჟალავასთან დაუდვია, მაგრამ მხეიძეს ეს გარიგების გასაბათილებლად არ გამოუყენებია. ჩანს, მოჯალაბე გულუას ბატონის ნებადაურთველად თავის ადგილ-მამულის გაყიდვის უფლება ჰქონია...

---

99 ხაზი ჩვენია — ო. ს.

100 იხ. История государства и права, т. I (учебник), М., 1949, с. 368.

საბუთის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ქვემოთ მოგვაქვს ჯერ მისი აღწერილობა და შემდეგ სრული ტექსტი:

1828 წ. სექტემბრის 18. განჩინება ქაიხოსრო მხეიძისა და სიმონიკა ბჟალავას ადგილ-მამულის საქმეზე. დედანი. 22X17 სმ., დაწერილი მოყვითალო ქაღალდზე უშნო მხედრული ხელით. შუაში გახეულ-დაწებებული. ტექსტი აქა-იქ მკრთალი. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ქუთ. ისტ.-ეთნ. მუზ. საბ. № 593.

ჩყკ წელსა სეკდემბრის იჸ.

ქაიხოსრო მხეიძე და მისი კაცი სიმონიკა ბჟალავა სამართალშიდ შემოვიდნენ. მხეიძემ უჩივლა: წიწაია გულუა ჩემი მოჯალაბე იყო და ამოწყდა და ამას დარჩა მიწა, ადგილ-მამული ნახევარი სხვისი კაცის ზიარი ქონდა. ნახევარი ამ ჩემი მოჯალაბის არჩივი[101] ადგილ-მამული შენგაქვს და მართმევ, მაგრამ რათ მიკავებ არ ვიცი.

მოდგა და ნაცვალი სიმონიკა ბჟალავამ უპასუხა: შარვაშიძის[102] ქალ[ს] დედა ჩემი ემსახურებოდა და მივიდა და ძღვენი მიუტანა და ერთი ოქრო აჩუქა და ქონდა. ამ შენს მოჯალაბეს ხუთი ძროხა საჩიჩუო კაცმან წა[ა]რთვა. ეცადა, მაგრამ ვერ ამოიყვანა. მოვიდა, მითხრა: რომ დედა შენს ოქრო აჩუქა შარვაშიძის[103] ქალმან, ის ოქრო მასესხე და ეგების ზროხები ამოვიყვანოვო. მითხრა და ავსწიე და ეს ოქრო ვასესხე და ვალსაც მისცა და ეს ზროხები ამოიყვანა.

აწი მოვედი და მოვსთხოვე ჩემი თეთრი, მაგრამ ვერ მომცა და მითხრა, რომ თეთრი არ მაქვს და მიწა-მამულს მოგცემო. მითხრა და ნება დავრთე. წამოვიდა მამისა თავისი არჩივი[104] ადგილ-მამული ჩამაბარა. და[105] და თქვენ მას უკან მოდით სამართალშიდ, მაგრამ სამართლით ვერ გამოვიდა და ახლაც მაქვს.

ამინ წიგნობა არ იყო რომ მოეცა და ჯოხის გდო იცოდენ და ის მომცა და მამულიც[106] და ახლაც მაქვს და მედავები, მაგრამ რას მემართლები არ ვიცი.

მოდგა და ნაცვალი მხეიძემ უჩივლა: მართალია, ჩემს მოჯალაბეს რაღაც გაჭირვებოდა და სამი მარჩილი[107] გამოერთმია შენთვის და ის მამული დაეწინდრებია შენთვის იმ თეთრის მოცემამდის, თვარემ

---

101 ტექსტში: არჩვი.

102 ტექსტში: შავრაშიძის.

103 ტექსტში: შავრაშიძის.

104 ტექსტში: არჩვი.

105 ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში ორჯერ წერია „და“, მაგრამ ერთი გადახაზულია.

106 ხაზი ჩვენია. — ო. ს.

107 მარჩილის ოდენობის შესახებ იხ. აქვე, ზემოთ გვ. 215, შენიშვნა 69.

არც ოქრო მიგეცეს იმ ჩემი მოჯალაბისათვის და არც ის მამული შენთვის მიეყიდოს და არც სამი მარჩილის მეტი შენგას ესესხებიოს.

აწ ამათ საჩივრებს რომ დავხედეთ, სამართალი მხეიძეს დავარჩინეთ. ნახონ ის სადაო მიწა და რამდენიც ორი ქცევა გამოვიდეს, წამოაყენოს და იმ ორ ქცევაშიდ თითო გლეხი კაცი შეიფიცოს. ამ ზემო წერილისაებრ თუმცა თავი უმართლოს მხეიძემ, რას ემართლება მისი კაცი. რომ მიწა მხეიძის ყოფილა და მხეიძეს დარჩეს. რომ ბჟალავა ვერც მოედავება. დასტურ ის სამი მარჩილი მიუბრუნოს მხეიძემ მის კაცს. და თუმც ამ ზემო წერილისაებრ სამართალი ვერ მისცეს[108] მხეიძემ მის კაცს, ის ადგილი ბჟალავას ნაყიდი ნაქონა და ხელახლავე დარჩება ბჟალავას. რომ მხეიძემ ვერას მიედავება ამ ადგილშიდ. ასრე, ამ სახით დასწერდენ.

---

[108] ტექსტში: მისცე.

О. Н. СОСЕЛИЯ

ОЧЕРКИ ИЗ СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ ФЕОДАЛЬНОГО ПЕРИОДА (СЕНЬОРИИ)

III

Резюме

Труд представляет собой продолжение II-ой книги, опубликованной под тем же названием в 1981 году. Его хронологические рамки, по существу, охватывают XVI—XVIII века и первую половину следующего столетия. На сей раз обьектом нашего исследования являются преимущественно удельные владения (сауплисцуло), которые в основном были сеньориями (сатавадо).

Сауплисцуло по своей природе принципиально не отличалось от сатавадо. Это—своего рода сатавадо или, по терминолотии западноевропейских стран феодальной эпохи, сеньория. Отличие лишь в том, что сауплисцуло или сабатюпишвило является владением сына, брата царя или князя—мтавари либо представителя боковой ветви царского или мтаварского дома (племянника, дяди, кузена царя или мтавари). Сатавадо же—потомственное владение тавадской фамилии, во главе которой стоял обычно дидебули тавади.

Сауплисцуло было вотчиной, выделенной члену царского дома из общефамильной собственности, первоначально лишь на правах временного пользования. Однако развитие феодальных отношений вносит изменения в природу феодальной собственности. Происходит эволюция права на удельное владение: выделенная на время вотчина с крепостными, в конце концов, фактически переходила в полную собственность члена царского или мтаварского дома. В XVIII веке это уже свершившийся факт. Удельное владение находится в полном распоряжении уплисцули. Он самостоятельно отчуждает (продает, жалуст, жертвует) земли с крепостными и делает это без санкции царя.

Сауплисцуло, как и сатавадо, является следствием децентрализации единой феодальной монархии Грузии и дальнейшего углубления этой децентрализации. Своими сепаратистскими тенденциями оно также служит интересам центробежных сил.

В работе изучены удельные владения и две сеньории (феодальные дома Асатиани и Апакидзе (Апакна) Западной Грузии.

Выяснены время и условия их образования, развития и упразднения. Показаны территориальный состав каждой из этих единиц, административный центр или резиденция, аппарат управления, число крепостных крестьян и азнауров, названы их фамилии; последовательно рассмотрена конкретная история каждой из сеньорий; приводятся биографические разыскания об отдельных сеньорий царского, мтаварских и тавадских домов; выявлена роль сауплисцуло и сатавадо (сеньорий) в общественно-политической жизни страны.

К труду приложены терминологические замечания, в которых предпринят опыт установления значений некоторых ныне непонятных нам терминов, упоминаемых в книгах записей (давтари) крестьянских повинностей в Западной Грузии XVI — XVII веков.

შემოკლებანი

ნაკვ. — ნაკვეთი
მუხ. — მუხლი
თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელნაწ. ინსტ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
სსცია — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი
სტრ. — სტროფი
ფ. — ფონდი
ფურც. — ფურცელი
ენიმკი — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

АВПР МИД СССР—Архив Внешней Политики России (Министерства Иностранных Дел СССР)

ЦГВИА СССР—Центральный государственный военно-исторический архив СССР

АПГА—Археологическое путешесдвие по Гурии и Аджаре

оп.—опись
св.—связка
д.—дело
л.—лист
лл.—листы
ч.—часть

შინაარსი

წინასიტყვა 3

თავი I. საუფლისწულოები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში 6

1. საუფლისწულოები იმერეთის სამეფოში . . 6
2. საუფლისწულოები გურიის სამთავროში . . 77
3. საუფლისწულოები ოდიშის სამთავროში . . 85

თავი II. სათავადოები 119

1. ასათიანთა სათავადო 119
2. აფაქიძეთა სათავადო 155

დანართი 177

ტერმინოლოგიური შენიშვნები 177

Очерки из Социально-политической истории Западной Грузии феодального периода (сеньории) (Резюме) . . 202

შემოკლებანი 204

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4353

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. შაბურიშვილი
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 22. 10. 89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 3. 90;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 13;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11. 64;
პირ. საღ.-გატ. 13, 5;

უე 06461; ტირაჟი 8000; შეკვეთა № 2298;

ფასი 2 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ო. სოხელია

ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან

(სათავადოები)

III

თბილისი
„მეცნიერება“
1990